

664  
974/4


საქართველოს  
საბავშვო  
საბიბლიოთეკო

# სენი

გილოცავთ ახალ წელს!



1974





# სესია

200

გამოცემის მეთვრამეტე წელი

15751

1

იანვარი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფრალთა კავშირის ორგანო

კ. მარკუსის საბ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა

# პ ი ნ ე ა რ ს ი

## პროზა, პოეზია

- 3. ანა კალანდაძე. ლექსები
- 13. რევაზ ინანიშვილი. საგაგიდო რგებულებიდან.
- 19. თენგიზ გოგოლაძე. ნათელია. მოთხრობა
- 21. მურმან ლეხანიძე. ახალი წიგნიდან. ლექსები
- 29. სოლომონ დემურსანაშვილი. სივდის ბაღი. მოთხრობა
- 37. ლამარა კვანტალიანი. მე, ყორანა და „შაპარულა“. მოთხრობა
- 41. ოთარ ჩხეიძე. გორიანი. რომანი. დასაწყისი

## მწერლის პრეზიდიანი

- 59. შარბან კიკვიძე. კვირა დღე. იქნებ იმ გაზაფხულში... მოთხრობები. არჩილ სულაქაშის „ოქროს თივისი“. „დასკვნების“ ბარეში. წერტილები

## ახალი თარგმანი

- 73. ფრანსუა ვიოენი. მცირე ანდერძი. ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაუთხო დავით წერეთლიანმა

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

- 83. ამთაფილ ციხაძე. ბავშვებო, ბაილვიკეთ!

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 97. ცილა არღაშელია. ლაზეთი... ლაზეთი...
- 101. ნუგზარ წერეთელი. სოციალისტური მშენებლობის მშობლიანი
- 120. თენგიზ ჩხეიძე. თამაზ ბილაძის მოთხრობები
- 133. სპარტაკ რევიანიშვილი. სხვისუფროსი მთის რაზმი
- 143. ზოთა რევიანიშვილი. კავალი და საკარტმელო
- 154. ვახტანგ გოგუაძე, იუზა ეგვიანიძე. საბავრო ნაწარმი მართული სატირისა და იუმორის შესახებ
- 158. ყოველი მხრიდან

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ნარკვიანი

### სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვერდუნიანი,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- ქარლუ კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პაპიანი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაძე,
- ნოდარ ფულეისკირი,
- ტარიელ ჯანაშია,
- ხერბი ბილაძე,
- თამაზ ჯილაძე,
- ლავა ჯანაშია.



აპა, მომაგო ესე საუნჯე  
სატრფომან ჩემმან, საუნჯეთ მატა,  
კვალად კეთილი მომცა ლამპარი —  
თვით იყო ნათელ და მადლის სატი!  
მომცა ნათელი წყვედიადთა გვემად:  
უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან...  
აპა, მომაგო მე სიხარული  
სამარადისო სატრფომან ჩემმან.

1970



უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ,  
დიდება შენი ქართაგან შლილა...  
აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს  
ქვეყანას ზედა და ცათა შინა...  
იყო მაღალი შენი კანდელი,  
იყო ნათელი წიაღთა შენთა...  
უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ,  
ცათა შინა და ქვეყანას ზედა.

1970



მე სიხარულის მაღალ ტახტიდან  
გადმოვხედავდი თქვენს მწუხარ სენაკს...  
ახლდა მთოვარე იდუმალს საყდარს,  
მზეი ცხოველი ჰყვა ნათლის მფენად.  
აწ, პა, დამდაბლდა ჩემი საყდარი,  
დაემხო იგი, განშორდა მზესა...  
გარდახდა მისგან აწ სიხარული  
და მწუხარება — უმადლეს ჩემსა...  
აპა, დამდაბლდა ჩემი საყდარი!

1970



ნაზის ნეკერჩხლის ესე შრიალი,  
ჩურჩული მისი, ნაღვლის რომ არი,  
კვლავ სიხარულად გარდამესახოს —  
ხმად სატრფოისა მარად, ო, მარად!

1970

გამომიბრწყინდი, მიუღწევლო,  
აწ უცნაური მექმენ საცნაურ...  
მზეა მაღალი — ხატება შენი  
და ძალი მისი — მარად სასწაულ!

1970

გამომეცხადა რჩეული ჩემი  
ციურის ძალით, ცათავე ნებით,  
გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი  
ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით...  
ვუპყარ პინაკი სიხარულისთვის —  
მოფრინდა იგი თეთრი და ფრთამალ...  
განქარდა ისევ... ო, წამიერი —  
ცამ მომმადლა და მიმიღო ცამან...

1970

„შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების“,  
ძალი მაღალი ყოველთა ძალთა...  
მომმადლე შენი კვლავ ბრწყინვალეობა,  
მომხვდეს ნათელი ყოველთა ნათელ!  
შენის დიდების მე ვარ საყდარი!

1970

მოდისხარ ჩუმად, მაღალო ღამევ,  
თრგუნავ მიწაზე ყოველ ბილწებას...  
რას აღაზრეებ ჩემს ტახტრევანზე —  
ისევ სიხარულს თუ... დავიწყებას?  
მოგყვება ისევ ჩემი მეუფე,  
გრძნეული ხატი მეუფლის ვისიც  
და გაცისკრდება ჩემი საუფლო  
მადლით და ნიჭით მაღალი ცისა,  
თუ... დამტოვებენ ციურნი ძალნი,  
ვისგან იკვრიან მხოლოდ ებანნი,  
დაკეტენ ბჭეთა საიდუმლონი  
და განილტვიან გრძნეულებანი?  
შიშით მოგელი, გრძნეულო ღამევ!

1970



შენ, სასწაულო სასწაულთ შორის,  
მაშენებელ ხარ და... ყოვლის მშლელი...  
არს გზაი შენი — გრძნეულებისა,  
გაუგებარი არს გზაი შენი!  
აღანთე მარად ჩემი კანდელი  
და უხილავთა ხილვად და მზირად  
მარადიულთა შარავანდედთა  
ზეალმიტაცე, მაღალთა შინა...  
ბრძანებდა ვილაც ცეცხლის დაგზნებას,  
იქმნა სასწაულ — დაეგზნო მყისვე:  
მიმეღო გული მე დამეული,  
მომეგო გული — ზიარი ცისა,  
ო, სასწაულო სასწაულთ შორის!

1971



ო, დედოფალო, ეგ წითელი შემოდგომურა,  
ხელთ რომ გიპყრია დღეს შენდამი ქებათა—ქებად,  
ვარდის დაფურცვლას მოასწავებს, იათა კვდომას,  
მტილთა განძარცვას, ქართა ძრწოლას, დამცხრალთა ვნებათ  
და გარესკენელის აღზევებას, ო, დედოფალო!

1970



ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი  
ხელყოფისაკენ წააქეზებს ზოგიერთ გვამებს...  
ამიტომ მე მათ მოვიხილავ მთვარიან ღამით,  
რომ მათის ბრწყინვით დავაიმო გულისტკივილი!

1970



არა მრქვა გულმა მიწიური ბედნიერება  
უმადლესი და ჭეშმარიტი, ნათელ და ქებულ...  
აწ... კრთება იგი, მოლოდინით იღევა იგი:  
აჰა, მოსულ არს იგი მანც და მოახლებულ!

1972



შუალამისას მოვიხილე წმინდა სავანე,  
მოვეყვი ჩემსა მბრძანებელსა ისევ და ისევ,  
არ მიწიურის კავშირისთვის, არ მიწიურის,  
არ მიწიურის გვირგვინისთვის, არამედ... ცისა!

1971

მთავაზობთ... ჯვარცმას — დამშვიდდეს სული,  
მიემთხვეს იგი მწუსართა ცრემლთა...  
აღმომლის გული მძლეოთა გრიგალთა,  
ავშლი დემონთა — წიაღთა ჩემთა:  
მე მინდა ცეცხლი ზეცითგარდამო  
ზრახვათა ჩემთა მირქმად და შერთვად!  
თქვენ კი... თ, თქვენ კი ჯვარცმას მთავაზობთ,  
მივემთხვე მარად მწუსართა ცრემლთა!

1970

მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბალის კარი გაუღო  
და შემოუძღვა ჩემს წალკოტში მონურად, მდაბლად...  
დაჭკნა შროშანი, გახმა ვარდი, დამდაბლდა დაფნა,  
მოელთ ბოლო სულის ჩემის მბრწყინავ ზემთა...  
არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა...  
მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბალის კარი გაუღო...

1972

აპა, გვირგვინი ვარდის რტოთაგან  
(ვით იტყვის ბრძენი სასომიხდილი)  
დავირქვი თავსა, გაგხსენი გული,  
გადავივიწყე ქვეყნად სიკვდილი...  
გაგხსენ ლუსკუმა მე სამეუფო  
ქართა ძლიერთა — გულისმიერი...  
მეუფლა ცეცხლი დაუშრეტელი —  
სიკვდილის სწორი, მისებრ ძლიერი  
(ვითარცა ბრძენი იტყვის იგივე)...  
აპა, დავირქვი ვარდის გვირგვინი.

1971

დავგმანე შენთვის ჩემი სენაკი,  
სიხარულისთვის გული დავხურე...  
მაყრი სახეზე ნუშის ყვავილებს —  
უძლიერეს ხარ შენ, გაზაფხულო!

1970

●  
გულს მისვენია მზეი ცხოველი  
უკეთურებით კვალად ხსნისათვის,  
სინათლის ჩემის გაძლიერებად  
მიწყვივ, უკუნით უკუნისამდე!  
დიდის მნათობის კვლავ მოახლებად,  
კვლავ დაუცხრომელ სწრაფვად მისადმი...  
სინათლის მისის გაძლიერებად  
მიწყვივ, უკუნით უკუნისამდე!

1971

●  
აღმეკრა პირსა მე მწუხარება —  
სიხარულისგან დამცალა ზემან  
და ვარდიანი ჩემი კარავი  
წყვედიადისათვის დააგდო მზემან...  
შემომეძარცვა შარავანდელი  
დაუნჯებული და იღუმალი...  
განქარდა ჩემი ხატი იისა  
და... ჩემს კარავზე დგახარ, ზუალო!  
აღმეკრა პირსა მე მწუხარება...

1971

●  
აპა, მზე ჩემი მარადიული, .  
კეთილმსლებელი ძილთა, ღვიძილთა,  
აპა, ცისკარი ჩემი (უჩინო  
გულით ბრმათათვის) აღმომიბრწყინდა  
და მამცნო კვალად მე მეუფება,  
ძალი ზემადლთა მიმოფენისა...  
მეც განკურნება მტერთა ჩემთაგან  
და სიხარული გზისა ჩემისა!

1971

●  
გუგუნებს გული გრძნეული ხილვით  
და სიხარულით თვალდანამული  
მიგყვები ჩემს გზას... იხსნება ზეცა,  
ო, კვლავ იხსნება ცა მეწამული —  
ყოველს ზეგარდმო ნათელი მოსავს:  
მეუწყა ჩემი მეუფის მოსვლა!  
მიკრთება გული გრძნეული ხილვით...

1970

●  
პა, დაშრეტილა წმინდა კანდელი  
და აღვსებულან გულნი სიხარბით...  
მაფორიაქებს ესე ყოველი  
და... სადღაციდან ველი სიხარულს;  
მისგან — ღამეულ ვარსკვლავთა ბრწყინვას,  
და დამცხრალისა მთვარის აღვსებას,  
მისგან — მცირობას ორგულობისა  
და ერთგულების მოზღვას ასევე!

1970

●  
ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი,  
როგორც შროშანი შენი უბრალო;  
ბრწყინავს ცისკარი აღზუვებული  
და სიხარულთა ჩემთა უფალი...  
აჰა, საუნჯე ჩემი ახალი...

1971

●  
ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო,  
და სასურველნი განიხვენენ ბჭენი:  
გიხმობს თვის სახლსა შენი მეუფე...  
მე თუ მიმიხმობს მეუფე ჩემი,  
დავირქმევ გვირგვინს სიხარულისას —  
ჩემი სავსება მომეგოს სრული,  
შემომეხვევა წმინდა ნათელი  
ამეთვისტო და მარგალიტსხმული,  
მე თუ მიმიხმობს ჩემი მეუფე...

1971

●  
პა, საქორწინო გაქრა გვირგვინი,  
მიმოიფანტა ვარდის ტოტებად  
და ვინც მიხმობდა განთიადისთვის,  
ახლა ბნელ ღამედ მიახლოვდება...  
მაინც გავექრები მე მის წიაღში...

1971



●  
გულს ჩასახული მყვა ანგულოსი  
და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი...  
მოვდექ შენს კარებს წყალობისათვის —  
მთოვოს ადგილმან შენმან წმიდამან,  
ო, სასოებავ!

1972

●  
შენ რას მპირდები, ვერხვო ახალო,  
ნორჩი ფოთლები ცაში რომ გშლია,  
ამ უდაბნოში ჩემს თანადგომას  
და ჩემს სენაკთან ნალვლიან შრიალს?  
დამიდგ კარავი სიხარულისა!

1972

●  
მზევე, არ ჩერდება გულს შენი სხივი,  
ფარჩები შენი ფლასებად შლილა...  
არ მინდა თავზე შენი გვირგვინი,  
არცა ხალისი ნადიმსა შინა,  
არცა შროშანი შენი უებრო,  
კვალად უძლოდეს გაზაფხულს წინა,  
არც მაცნე შენი ნათელმყოფელი,  
თუნდ გულსა ჩემსა დაიდოს ბინა,  
ვიდრე არ მპოვებს კვლავ სიხარული!

1972

●  
დაებრუნდი სახლსა ზენაარისა  
და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა —  
სად არს ნათელი იგი მარადი,  
ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა?  
შეირსა ერთობ სიცარიელე,  
ბუდე ყოველთა ავთა, ავსულთა:  
— უწყი, ყოველსა აქვს დასასრული,  
და სიხარულიც შენი დასრულდა!

1973

●  
აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო,  
მტილი კარღია, მაყვალთა ჩერო...  
ჰა, იგი, მაცნე ზენაარისა,  
განცხადებული ლამპარი ჩემი!

1973

კვლავ უმეცარ ვარ შენის წყალობის —  
შეწყდა ჩემს ირგვლივ წმინდა გალობა...  
დაჭკენ ყვავილნი, უხვად რომ მთოვე...  
ვერცრა უმისოდ ამქვეყნად ვპოვე!

1973

აპა, დასრულდა შენი ციმციმი  
და მწუხარების ბურუსსა შევალ:  
გზა სახლისაკენ სიხარულისა  
მეუფებამან მაუწყა შენმა!

1973

გავეც სამთავრო ჩემი მეფობად  
და სადედოფლოდ სხვა დედოფალთა...  
მზე, მთვარე ჩემი და ოტარიდი...  
მომნატრებია ნათელი მათი!  
მომსურდა ია მისი ხეობის,  
ქართა ქროლვა და ნისლეზის დენა...  
დაუსაბამო მინდორ-ველები  
და შორეულთა მწვერვალთა ჩენა...  
გავეც სამთავრო ჩემი მეფობად  
და სადედოფლოდ სხვა დედოფალთა...

1973

მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული  
და უფერული დღე ესე ყოველ,  
ვიდრე არ მოსცა ცამან ნათელი  
და მრქვა ნათელმან — აპა, მე მოველ!

1972

მე მიმელულა შუალამისას...  
მოსულა იგი, ნათლისმფენელი...  
გამომეღვიძა, როცა ხმაურით  
დაიხშო ჩემი სასუფეველი...  
.  
.  
.  
შუალამისას მოსულა იგი...

1972

გარდამოვიდა ჩემზე ნათელი  
და მე ვმალდები ზეცის კარამდე...  
ჰა, დგახარ ჩემს წინ გაბრწყინებული...  
ო, სხივი შენი მთოვე მარადის!

1972



მალალთ მარტოდენ შარავანდედთა  
სამეუფოთა ცისათა სახლის,  
მომეცეს ძალი წარუვალობის —  
ვიყო მარადის მე მათლა მსახურ!

1972



დამვიწყდა ენა სიხარულისა  
და სახე მისი და თვალთა ბრწყინვა,  
სმა, მოსასხამი ცეცხლისმიერი...  
ნეტარ, ვის მოხვდეს კვლავ მისი ხილვა!  
მრქვა, — ჰა, საყდარი ჩემი მალალი,  
დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი...  
აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ!  
მივუგე, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ!  
გამვიწყდა ხატი სიხარულისა...

1972



ო, მარსს არ ვჭკადრე მე საყვედური,  
არცა წუხილის ცრემლები ვჭკადრე:  
მოიღო ცეცხლი ჩემი ლამპრისთვის,  
გადამაფარა ციური მადლი...  
მომართვა თვისი მალალი ტახტი,  
დამარქვა თუდი თვისი მეფური...  
განმადლიერა მე შიშსა ზედა...  
ო, მარსს არ ვჭკადრე მე საყვედური —  
ზღაპრული იყო ნათება მისი!

1972

შენს ყვავილობას, ქარშიგან რხევას,  
თვალთა ბრწყინვას და ვარსკვლავთა  
ფრქვევას

გრძნეულებისა სხვა ჰყოფდა ძალი...  
დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან  
და დაიხუჭა გულისა თვალის!

1972

ავიღე ძოწი სიხარულისთვის:  
მომსურდა მისი მე სხივთა ფენა...  
გამიხსნა გული უგრძნეულესმა —  
ჰა, სიხარულო, ციმციმი შენი!  
მოხვალ ჩემს კარავს შენ, ოტარიდო,  
მნათობთა ჩემთა ყოველთა მრწემი...  
მალონებელი განვიგდე ფლასი  
და... გადავიცვი ბისონი ჩემი...  
ვიცან ძოწისა მე გრძნეულება!

1970

აჰა, კარიბჭე შუალამისა...  
ცა უხილავი სხივით აივსო...  
ჰა, საიდუმლო ელვარე ცისა...  
უწყის მიწამან ღირსება მისი?

1973

თავს დამეღვარა მე სიხარული  
და დამანახა მთიების ბრწყინვა...  
ცისა და მიწის მშვენიერებას  
აღმოუცნობი უძლოდა წინა...  
ერქვა გვირგვინი მას სხივოსანი,  
ეპყრა კანდელი წმიდათაწმიდა...  
მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა:  
— კვლავ გაგხსნი ციერს, თუ შენ ეს გინდა!  
თავს დამეღვარა მე სიხარული...

1971





## სამაგიდო რეკლამებიდან

### ზამთრისპირის სევდა

ზამთრისპირის ბურუსიან ღღეს ოთხი თეთრი ვეება ფრინველი უხმაუროდ მოფრინდა და ბადის ბოლოში, ფოთოლგაცვენილ კაკალზე დაჯდა. ისხდნენ, როგორც ბავშვის ნახატში, ხესთან შედარებით უზომოდ დიდები, ნაცრისფერში შექლენთილი თეთრი აკვარელივით, დაღლილები თუ საგონებელში ჩავარდნილნი.

შეშინებული უყურებდნენ ღობის ძირებში შემაღული ქათმები.

გამოვარდა კედლის იქიდან ჩემი მასწავლებელი, აკანკალებული ხელით ჩააწყობა გადახსნილ თოფში ვაზნები, ჩაიპარა ორღობით და ყველაფერი დააზანზარებინა წყვილ გასროლას, მაგრამ ფრინველთაგან არც ერთი არ ჩამოვარდა-

ნილა, თითქოს არც შეშფოთებულან, გაშალეს ფართო, გრძელი, ძლიერი ფრთები და თანდათანობით შეერივნენ ბურუსს — რა შეუცნობლობიდანაც მოვიდნენ, ისევ იმ შეუცნობლობაშივე შეიკარგნენ.

მასწავლებელი — ჯანმაცარი, მკვევრ-მეტყველებით განთქმული კაცი — მრგვალ საფანტს აბრალედა, მრგვალმა საფანტმა ვერ გაუარა თივთიკსო. მე კი, ათი წლისას, მცენარეებიდან და ცხოველებიდან ჯერ კიდევ სულგამოუმიჯნავ ბავშვს, ძალიან მიკვირდა, როგორ ამბობდა ამას: როგორ შეიძლება მოჰქალა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზესი სევდა!

### ზარი კახეთში

თოვს. თეთრად გადაფიფქულ შავი აღმანიების ბრბოს დაღუნული თავების მალა ციმციმით მოაქვს თეთრი კუბო, რომელშიც წევს ტრაგიკულად დაღუპული ორმოცი წლის ლამაზი ფერმკრთალი ქალი. ძველებური ჰიშკრის

წინ გამოდგარა ჯონზე დაყრდნობილი, ქუდმოხრილი, დაღეული, დამუშიავებული ბერიკაცი და შემადრწუნებელი ხმით იძახის:

— ეგ როგორ მოადიხარ, გოგო?!

### ბ ე ე

აქ უკვე სულდგმულის ფეხი აღარ არის დადგმული. ჩამუქებული დიდი ნესტიანი ტყე, — დიდი ხეები შიგნით, დიდი თალხი სიმაღლე მათ ტოტებსა და დედამიწას შორის, დიდი ლოდები ნაკადულში, და თვით ნაკადულიც — მომწვანო-მოყავისფრო, რბილი გოგმით მომავალი პაწაწინა ტალღებით,

კბოდის ძირას ჩაიდუმალებული ტბორით, დინებისაკენ პირშებრუნებული, ლაყუნებით ოდნავ მფეთქავი ცილის სიგრძე შავი თევზებით, — ყველა და ყველაფერი, გზაში პირქვე ჩამხოზილი ვაჟკაცივით არის ჩალუშული, და მზრუნველი კოდალა შემფოთებული უსინჯავს პულსს.



ერთი კვირით ადრე დაიწყებოდა ლა-  
ბარაკი, შეშაზე უნდა წავიდეთო. ხან მე-  
ზობელი კაცები გადმოდიდოდნენ ჩვენ-  
თან, ხან ჩვენები გადადიოდნენ მეზობ-  
ლებთან. თათბირები ჰქონდათ, საღ წა-  
სულიყვნენ, რა წაედოთ, ვინ წაეყვანათ.  
ერთნი ერთს ამბობდნენ, მეორენი —  
მეორეს, მშვიდი მონაცვლეობით, ყუ-  
რის დაგდებით, თავის ქნევით. იცლე-  
ბოდა ხელადები, იჭმებოდა ლობიო და  
მწნილი, ყველი და ხახვი. მიმოფლატუ-  
ნობდნენ დედაკაცები მათ სამსახურში.  
ბოლოს შეთანხმდებოდნენ რაღაცაზე.  
ტყევი წასვლის წინა ღამეს ერთხე-  
ლაც ჩასხდებოდნენ ღუმელთან, დაიდ-  
გამდნენ წინ წყლით სავსე ჯამს, ჩაას-  
ველებდნენ შიგ სალესავებს და შეუდ-  
გებოდნენ ცულების ლესვას. ლესავდ-  
ნენ დიდხანს, მაშინაც კი, როცა ყველა-  
ნი დაიძინებდნენ. მუსიკოსების სიფრთ-  
ხილით უსვამდნენ ცულის პირზე ცე-  
რა თითს. გალესავდნენ, გააფხავებდნენ,  
გააპრიალებდნენ. დაწებოდნენ. ცოტას  
წაატყუებდნენ თვალს და მამლის მე-  
სამე ყვილზე ისევ წამოდგებოდნენ.

ხარ-კამეჩის შებმა, თივის ჩაგება,  
სავზლის ჩატანა და კალათში ჩაწყობა  
ხომ ნამდვილ რიტუალს ჰგავდა. განსა-  
კუთრებით — სახრის პირველი გადაქ-  
ნევა.

გავიდოდნენ ურმები ეზოდან, დედა-  
კაცები კი იდგნენ შემალლებულ დერე-  
ფანში და ლოცვა-კურთხევას მიაცო-  
ლებდნენ ჩურჩულით.

წავიდოდნენ სიბნელეში და დაბრუნ-  
დებოდნენ სიბნელეშივე, გვიან, ნა-  
ვახშმევს. ისმოდა, — ჰოო, ჰოო, მამო!  
გავიდოდით დილით და ეზო სავსე იყო  
ბარაქიანი შეშებით და ტყის სუნით.

კაცები კი უკვე ძველებურად ისხდ-  
ნენ, სვამდნენ ნელ-ნელა და დაწვრილე-  
ბით არჩევდნენ წინა დღის ამბებს, —  
რაში მოიქცნენ კარგად და რაში — ვე-  
რა. იმედს იძლეოდნენ, მეორედ რომ წა-  
ვიდოდნენ, სულ კარგად მოიქცეოდნენ.

დედაკაცებიც კვლავ ფლატუნით და-  
დიოდნენ სახლიდან მარანში და მარნი-  
დან — უკან. მიმოჰქონდათ ხელადები  
და ჯამები, აქედან ცარიელები, იქი-  
დან — სავსე.

მ ბ ი

შემოსდგომიან ქალაქს ყვავილები,  
უტყვენ — მიძვრებიან ღრმულეში,  
ლობებსა და კედლების ძირ-ძირ, იმა-  
ლებიან ნანგრევებისა და ნაყარების  
ქვეშ, უფრო გამბედავნი გადარბიან ზე-  
მოდანაც, მეწინავე რიგებში აღარცერ-  
თია ტანმთელი — გადატეხილან, წაქ-  
ცეულან, მიწაზე გართხმულან, ჩაჩეჩქ-

ვილან, ერთმანეთში გადახლართულან,  
მიწას შერევიან, და მაინც ყოყინით მი-  
იწევენ წინ.

შუა ქალაქში, რკინა-ბეტონის ხიდის  
ლავეგარდანზე ამოსულია ოქროსცოცხა,  
გამარჯვების მოზეიმე ლამაზი მეგრძო-  
ლი ყვავილთა ლაშქრისა.

ზრძელი, სერიოზული გზა

ათი წელია მას შემდეგ-  
ივრისპირა ქალაში, კორძიანების ჩას-  
წვრივ, მე და ჩემი ბიჭები გადავყარეთ  
ზემოდან მომავალ ცხვრის ფარას. მოთ-  
ქრიალებდა, მოამტკერებდა მიწას ნამ-  
თევი საქონელი. მოუსტევენდნენ, მოსჭ-  
ყიდნენ გარუჯული მწყემსები. მოძუნ-  
ძლებდნენ ძაღლები, მათგან გამონა-  
პირებულად კი — დედა, ძუძუებჩამო-

ძაგრული ძუნა, ოთხი ბოთვერა, სერი-  
ოზული ლეკვით. ლეკვებს ყველაფერი  
სერიოზული და მნიშვნელოვანი ჰქონ-  
დათ — დიდ-დიდი თათები, მსხვილ-  
მსხვილი კანჭები, ფუმფულა კუდები,  
შავი ცხვირები, ჩაფიქრებული თვალე-  
ბი და გასავლელი გრძელი გზა. დედა  
დიდად კმაყოფილი ჩანდა შვილების



გარგნობით და თავდაპირველად, თითქოს  
ნიშნისმოგებითაც კი გამოგვხედა ჩვენ,  
კაცსა და მის შვილებს, და წავიდა და  
წაიყოლა ის ლეკები ხმისამოუღებლად,  
დედური უმაღლესი ნეტარებით.

ათი წელია მას შემდეგ.  
მაგრამ ისინი ისევ მიდიან და მიდიან.  
არც დაიზრდებიან, არც დაიღლებიან,  
არ გათავდება მათი გასავლელი გრძე-  
ლი, სერიოზული გზა.

**თუშეთის მთავრი**

თუშეთის მთებში, ხრიოკ მიწაზე,  
გულაღმა ვგდივარ ცხენისგან ნათრევი,  
დაჩქქვილი, თვალებში სისხლჩაღდე-

ბული და შევლიმი ჩემთან ჩამუხლულ,  
ხელებათახთანებულ ატირებულ წითელ  
დედაბერს.

**მ ე შ რ ო მ ე**

„უანავ, მოგვივლი მეშრომე,  
გუთანო, ჩამოგეცალე“.

წარწერა საფლავის ქვაზე.

დამწვარი, დადაღული, დაბლუნძუ-  
ლი, დაპატარავებული ჯაფისგან და  
მზისგან. დგება მერცხლის გაღვიძები-  
სას, იცმევს, იბანს პირს, იხურავს ქუდს  
და მიდის სამუშაოდ. მუშაობს მთელ  
დღეს, ჩუჩუნ-ჩუჩუნით, ჩახრილი, ჩა-  
ჩოქილი, მიწასთან ყრუ-მუნჯივით ხე-  
ლებით მოლაპარაკე. ხშირბინდისას  
ძლივს ამოაღწევს შინ, შეჭამს საჭ-  
მელს — აკანკალებული, მოკაუჭებული  
თითებით, დაწვება, დაიძინებს, და ისევ  
მერცხლის გაღვიძებისას წამოუდგება

ღვთისაგან ნაბოძებ დღეს. მუშაობს,  
ჭამს, სძინავს, და არასოდეს არ იტყვის,  
რატომ აკეთებს ყოველივეს ასე.

დაუძახებენ ომში. იქაც ისე წავა, რო-  
გორც ვენახში და მინდორში.

სიკვდილის წინ ძლივს დაეწმინდება  
სახე გულის გასახსნელად, წამოიწყებს  
კიდევც, — დედიო, — მაგრამ აქაც ვერ  
მოახერხებს სათქმელის თქმას და წავა  
დიდი ხნის უნახავ დედასთან და იქ წა-  
იღებს ყველაფერს.

**ი ვ ა ნ ე**

მოკვდა მოხუცი პეტრე. ივანე, მისი  
ძმაცაიცი, მისი კბილა, მშვიდად დაპყრდ-  
ნობია ჯოხს და მშვიდი თვალებით უყუ-

რებს ახალგაზრდების ტირილსა და  
ქოთქოთს.

**გ მ ი ნ ვ ა**

— ავააი! — ამოიგმინებს შვილებ-  
მკვლარი ქართველი დედაბერი, და უცებ  
აშკარა ხდება, როგორ შეიქმნა მითი

ექოზე. შავი სამოსის ქვეშ აღარაფერია  
დარჩენილი გარდა ამ გმინვისა.

**მეზღაპრეები და ზრამენაკაცები**

წინათ ასე იყო. დადგებოდა გიორგო-  
ბის თვე, დაიწყებოდა წვიმები, მერე—  
ქრისტიშობის თვე, მოიყოლებოდა ყინვა-  
სა და თოვლს. შეიბუღებდნენ შინ ალა-  
მიანებიც, საქონელიც. გატკბებოდა  
ცეცხლი, ცეცხლაპირას — მასლაათი.

გაიმართებოდნენ წელში მეზღაპრეები,  
ვისაც არ უნდა მისდგომოდნენ, ყველას  
უხაროდა მათი სტუმრობა. შეეგებებოდ-  
ნენ კარშივე, მიიპატიებდნენ ბუხარ-

რევაზ ინანიშვილი  
სამაგიდო რემოუნტიდან



თან, დაბალი ტაბლის თავში. დაჯდებოდა მეზღაპრეც, ჩაახველებდა, ყელს ჩაიწმენდავდა, მოხალვათდებოდა. დაუსხდებოდნენ წინ ბავშვები, უფრო მოშორებით — მრთველ-მქსოველი ქალები. დაუსხამდნენ ღვინოს, ასწევდა მეზღაპრეც კიქას. სვამდა ცოტა-ცოტას, გამოზოგვით, ატანდა მისატანებელს და ყვებოდა ტკბილადსამენ ამბებს: როგორ გახდა ღარბი დედაბრის შვილი დიდხელმწიფის სიძე, როგორ შეირთო დედინაცვლის მიერ მოძულებული გოგო უფლისწულმა, როგორ დაისაჯა ბოროტი ვეზირი და როგორ შეისხეს ფრთები ცეცხლზე დადებულმა კაკაბმა და ხოხობმა.

— აგრეა, კაკაბო, აგრეა, ხოხობო?

— დიახ, ბატონო.

— მაშ თუ აგრეა, შეისხით ფრთები

და გაფრინდით. გასკდი ფურის ტყავი და გამოდი დედაჩემო.

შეისხეს ფრთები კაკაბმა და ხოხობმა და გაფრინდნენ, გასკდა ფურის ტყავი და გამოვიდა დედამისი“.

მხოლოდ ოჯახის უფროსი, სოფელში პატივცემული ბრძენკაცი არ იზიარებდა ბავშვებისა და ქალების სიხარულს. ვითომდა გადაუდებელი საქმით ვართული, გვერდულად თუ გამოხედავდა მეზღაპრეს და ნაძალადეგ ღიმილს უწყალობებდა მოსვლისას და წასვლისას.

მაგრამ არც მეზღაპრე რჩებოდა ვალში — ისიც ორღესულ ღიმილსა და ამოუცნობ მუქარას აგებებდა ბრძენკაცს.

. . . . .  
. . . . .

ასე იყო წინათ, ასე არის ახლაც.

დადიან და დაქვეთ ორღესული ღიმილი და ამოუცნობი მუქარა საცოდავ მეზღაპრეებს.

და არავინ იცის, რა იქნება ბოლოს.

### მსახიობი ქალი

მაღალი, ტანწვრილი, ნაკვთებდაღლილი, დიდი თვალების ზემოთ შუბლგამობერილი. თვალები — გაურკვეველი ფერისა. თითქოს მღვრიე ცის ფერი, თითქოს თევზის ზურგისფერი, თითქოს უკანდახელი განითადის ფერი, თითქოს არაფრის ფერი. აცვია ვიწრო თეძოებზე მჭიდროდმემოჭერილი და დაბლა გაგანიერებული, ვახუნებული, ჭუჭყიანივით ჯინსი, მომწვანო უსახელოებო მისური, იმ მისურის შიგნით — არ ვიცი! პატარა, უმწეო ძუძუები მოწყენით კი ულაცლაცებს მოძრაობის დროს. ბეჭებზე ჩამოშლილი ქერა თუ ქერადშეღებილი თმაც არ ბზინავს სისხეტაკისაგან. მალი-მალ უახლოვდებიან ისა და

მისი თანხლები უღვაშებჩამოშლილი მამაკაცი, ეკვრიან ერთმანეთს, მამაკაცი ტუჩებს წინა სწევს (უღვაშებმა არ შეუშალოს), ქალი ფეხის წვერებზე იწევს და ოდნავ გვერდზე გადახრილი ეგებება იმ ტუჩებს. მერე დგას, შარვლის სალტეში იჩრის გრძელთითებიან ხელს. არაფრისმთქმელი სახით იყურება აქეთ-იქით, თითქოს არ არსებობდნენ მის ირგვლივ არც ადამიანები, არც საგნები, დეშავს კეცს, ტოკავს ლერწამივით, შარვლის სალტეს ქვეშ იფხანს თუ ისრებს რაღაცას.

ჭერი კი იჭედება ქვეშ-ქუხილის მრისხანე ღრუბლებით.

### ჯ ა ლ ო ქ რ ე ბ ი

კიდევ უფრო იქით, ჩემი მეხსიერების უშორეს კუნძულში, დინდგლისფერ ხუთ ბოძს მიძიმედ დასწოლია სველი, ხავსმოღებუი ღარიანი კრამიტის სახურავი. დერეფანში, მომტიკტულ შავ

მიწაზე, ერთმანეთის პირისპირ სხედან ორნი — რაღაც უცხო ტომის ქალი და კაცი, მოკუნტულები, პატარები, ყურადღებადქცეული; თითქოს ჯადოქრობას ეწვევიან — ფრინველის კლანჭებივით





ხმელი და ჩამუჭებული ხელებით აქეთ-იქიდან ჩაპფრენიან ცხენის ქართული ნალის ოდენა დამბალ ტყავს და ქანაობენ, თავებს იქნევენ. არ გჯერა, რომ კაცი ტყავს კობად „ხეცს“, მოკაუჭებული სასახლა და ნით წვრილ, გაუთავებელ თასმად ჭრის, ქალი კი, უბრალოდ, ეხმარება ამ საქმეში.

ტყავი პატარავდება და პატარავდება, სამაგიეროდ კობის ხროვა იზრდება. ბოლოს ტყავი სულ გაქრება. მაშინ ქალიცა და კაციც წამოდგებიან, ჯამბაზბივით სწრაფნი და მდუმარენი, სხვა სანახაობის დადგმას იწყებენ. კაცი კობის ერთ ბოლოს ბოძზე დაკიდებულ საჯადოქრო მანქანას — ჩიხრისს აბამს, ქალს მეორე ბოლო უკან-უკან მიაქვს. კაცი ჩაცუცქდება ჩიხრისთან, ჩაეკიდება იქიდან ჩამოკიდებულ თოკებს, და იწყებენ ბრუნვას და თახთახს, ჩხრიალს და ზუზუნს, ბორბლები, გორგოლაკები, კოჭები.

წამოვა წვიმა, თქრიალით, ჩქაფაჩქუფით ჩამოიღვრება კრამიტებიდან. დამფრთხალნი გადარბიან გზებზე ადამიანები, ქათმები. გამოფარდება იმ წვიმიდან პატარა, გრძელკაბიანი, ზურგზე ცხრილებწამოკიდებული გოგო. თავდალუნული, შიშველი ფეხების ტყაპუნით შემოვარდება დერეფანში, ცხრილებს კედელთან მიჰყრის, ქალი და კაცი რალაცს ეუბნებიან წყრომით, თან საქმეს განაგრძობენ, გოგო თავს აქეთ-იქით აქანებს, იყრევინებს წვეთებს, მერე თასმებივით იწურავს ნაწნავებს, მერე წვიმა გადაიღებს, მზე გამოანათებს, გოგო დერეფნიდან გავა, ბოძს იქიდან მოეყუდება, თავს ასწევს, თვლებს დასუჰავს და ის კიდეც მზით დაიწყებს ჯადოქრობას. ალერსიან მნათობს ეძახის წამწამებითა და ოდნავ აბურცული ამავალ-ჩამავალი მკერდით. და მზეც მოდის, თან იცინის, იცინის. გოგოს კი მარტო ქვედა ტუჩზე უკიაფობს ღიმილი.

**ტ ბ ო რ ი**

უდაბურ ტაფობში შამშემოვლებული მწვანე ღრმა ტბორი. შიგ ჩვენსკენ მოშტერებული ფეხებგაფარჩხული ტრი-

ტონები, თითქოს საიქიოდან მოგზავნილნი სააქაოს ამბების წასაღებად.

**ე ლ ი ს ა ზ ე დ ი**

ნაშვიდნოემბრებს სტუმარი მოვიდა, უცხო ტომის კაცი, ტაჯიკი, მის შვილთან ერთად გადასახლებაში თითქმის ათ წელიწადს მყოფი. შვილმა ძალიან გაიხარა, წლობით მტანჯველი იშიასიც კი დივიწყა, მეზობლებს დაუძახა, ვაჟიშვილები გვერდით მოისხა და დიდი ქეფი გამართა. ელისაბედი ცოტა შეუძლოდ იყო, თავბრუ ეხვეოდა და ხელები უკანკალბდა, მაგრამ მოქეიფეებს არ მოსცილებია. ხან მაგიდას უვლიდა ირგვლივ, სკამის საზურგულს ეყრდნობოდა და სუფრას ათვალეირებდა, — აბა, ხომ არაფერი აკლიაო (მარტო რძლისა და პატარძლების იმედზე ვერ დადგებოდა), — ხანაც ღუმელთან იჯდა, პატარა, დაბალ სკამზე, მუხლებზე

ხელებდაწყობილი, წელში გამართული, და იქიდან იძლეოდა შენიშვნებს: — ცოტა მძიმედ, შვილო, ცუდი არაფერი იფიქროს მაგ უცხო კაცმა, ცოტა მძიმედ და მოზომილად შვილებოო. შვილსა და შვილიშვილებს, უკვე კარგა ხნის დაღვინებულ ვაჟკაცებს, მაინცა და მაინც არ სიამოვნებდათ ეს შენიშვნები, მაგრამ არაფერს არ აგრძობინებდნენ: პირიქით, ალტაცებული იყვნენ მისი სიმხნევით (სულ მალე, გიორგობის მეორე დღეს, ოთხმოცდათხუთმეტი წლისა უნდა გამხდარიყო), და ხან ერთი მოხვევდა ხელს და მიიხუტებდა, ხან მეორე.

**რედაქცია** **ინანისვილი**  
სამაგიდო რედაქციიდან

ვ. მარქსის სახ. სსრ.  
სახ.ომწოდო რ. სპობაი

სტუმარი ხომ უყურებდა და ტიროდა. — ჩემი დედა, ჩემი დედაო, იძახდა ქართულად.

შუალამე იქნებოდა, რომ კიდევ ერთხელ ჩამოიცილა ორხელადიანი. მაყვალა პატარძალს დაუძახეს, — ღვინო მოგვამეველეო. მაყვალა პატარძალი ყმაწვილს აძინებდა. მეორე პატარძალი, თალიკო, რვეულების გასასწორებლად გასულიყო ბოლო ოთახში, რძალი კიდევ მაყალს დასტრიალებდა აივანზე. ელისაბედი წამოღდა, მე მომეცით, მე ამოვიტანო. ეს ისეთი ჩვეული საქმე იყო მისთვის, არავის არ შეუცხადია, არა, შენ არაო. აიღო ორხელადიანი, წაჩაჩუნდა, ჩავიდა კიბეზე, დაიგვიანა და შვილი გაბრაზდა, — წადით, ჩახედეთ, ის დედაბერი რომ ჩავიდა მარანში, ორხელადიანი ხომ არ გაუტყდაო. წავიდა რძალი, ბუზღუნით,

ჩქარი ნაბიჯით, — ნეტავი ეგ თავისი გილას დადგებოდესო! შევიდა მარანში და მორთო კივილი: — მიშველეთ, მამაველეთო!

ელისაბედი ჩუქურთმებიან დედაბოძთან ჩაკრეფილიყო, შემოხვეოდა გაშვებული, ნაჯაფი ხელებით, თავიც ზედ მიედო, მიჰხუტებოდა და ასე ამოსვლიდა სული.

. . . . .

ესოდენ იშვიათი სიკვდილი მხოლოდ იმით აღინიშნა, რომ ქელებმა ნაშუალამევიამდე გასტანა და ბოლოს ჩაგუბებულნი „თეთრო ბატოც“ იმღერეს ახლობლებმა.

ან კი სხვანაირად როგორ უნდა აღნიშნულიყო ქართველი ქალების ქვეყანაში!

### ბალათერა

— აღარ უნდა წასულიყო, — ამბობდა გიორგი, ბარიდან ამოსული ძმადნაფიცო.

— წერაა ყველაფერი, — მიუგებდა ბარბაცით მიმავალი ბალათერა.

— ნამეტანი ეთამაშებოდა სიკვდილს, — თავისას განაგრძობდა გიორგი.

— წერაა ყველაფერი, — თავისაზე იღგა ბალათერა.

— რა წერა, რის წერა! — გაცეცხლდა გიორგი.

— წერაა, ვაჟო, წერა.

— წერა არა, დარღუბალა.

— ნუ იტყვი ეგრე, ნუ.

ბალათერა ცოტაზეც გაბარგანდა, მარჯვენა თეძოსთან შეიყო ხელი, ძლივს

ძლივობით ამოაძრო ლეგაფერდაკრული „ნაგაი“, მიიტანა საფეთქელთან, — „ა ექ სამი ტყვიათა“, — მარცხენა ხელის ორი თითით ჩამოაბრუნა ბარბანი და გამოუშალა ფეხი. ვაისმა ცივი ტყაცანი და მერე ბალათერას ხითხითი.

გიორგიმ კანკალით ჩამოიღო თვალებზე აფარებული ხელები.

ბალათერა მიდიოდა, მიბარბაცებდა და მიხითხითებდა.

— წერაა, წერა.

გიორგიც მიჰყვა, ფეხებდარბილებული, დაბატარავებული, უცებგათეთრებული.

— ცოდვა არაფრისა არ იცი, შე კი კაცო?! ცოდვა არაფრისა არ იცი?!

### ღამეულ ტყეში

ღამეულ ტყეში გამუდმებით ისმის რაღაც კრუსუნი, კენესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდნენ ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდნენ, რანი კრუსუნებენ, კენესიან და გმინვენ.

მაგრამ ამგვარი ცოდნის გარეშეც ადვილი მისახვედრია ერთი: წუხილი ყველგანაა. შესაძლოა თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტეხს და გმინავს, გმინავს...



თანხიზ გოგოლაკა

ნ ა თ ლ ი ა

დმერთი, მღვდელი და ხატი არა მწამს, მაგრამ მიყვარს ძველი საგალობლები. ბევრჯერ შევსულვარ ტაძარში, რომ საეკლესიო გუნდისთვის მომესმინა. ვიდექ ჩემთვის გაყურსული, ბერიკაცების გუნდი კი ძველ საგალობელს დუღუნებდა. თითქოს გარდასული წლები წამომდგარან და ერთად გალობენ თავიანთ დღეთა სიხარულსა თუ დიდუხჭირესო. ტაძრის გუმბათი გუგუნებდა და ჟრუანტელი მცირიდა. კედლებიდან ცივად იყურებოდნენ ქრისტე და წმინდა ვიორგე, მარიამ ღვთისმშობელი...

ერთი საგალობელი რომ მოთავდებოდა, გუნდი შესვენებდა. გაყუჩდებოდნენ საუკუნეები. ტაძარში ჩამჩუმად არ ისმოდა. რომელიღაც მლოცველი ხატის წინ ჩურჩულით მოიჯერებდა გულს, სულს დაიმშვიდებდა და მერე, ლოდივით მძიმე სინჯუმეში, კვლავ საგალობლის სიტბო შემოვიდოდა...

ერთხელ, ტაძარს რომ მივუახლოვდი, კართან აღამიანთა პატარა ჯგუფი შევნიშნე. მათ შორის ბავშვებიც იყვნენ. შეკრებილთ გვერდით ჩავუარე და ტაძარში შევედი. გუნდი უკვე გალობდა.

ტაძარში რამდენიმე შაოსანი ქალი ლოცულობდა. მღვდელი და დიაკვანი არ ჩანდნენ.

საგალობელი რომ ჩამოთავდა, დიაკ-

ვანიც გამოჩნდა, უხმაუროდ აფუქსფუქსდა ტაძარში. არ ვიცი, ჯვარისწერისთვის თუ ნათლობისთვის დაიწყო სამზადისი.

ტაძრის კართან გაჩერებულნი, ალბათ, იმიტომ არ შემოდოდნენ, რომ ვიღაცას ელოდნენ, სულ გზისაკენ იყურებოდნენ და ლელავდნენ. ბოლოს პატარა ბიჭმა მიიბრინა მათთან, ბავშვიან ქალს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა. შევატყე, რომ მოტანილი ამბავი არავის არ ესიამოვნა. არ ვიცი, რამ შეაშფოთათ, რა მოილაპარაკეს, ჯგუფს ერთი ქალი გამოეყო და ტაძარში შემოვიდა. პირდაპირ ჩემკენ გამოსწია.

— ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ!

— მორიდებით მომმართა მან.

— მიბრძანეთ, თუ რამ შემიძლია...

— ნათლია უნდა იყოთ ჩვენი ბავშვისა.

— მე ნათლია?! მერეღო, რომ არ ვიციანთ ერთმანეთს?!

— გავიცნობთ. გთხოვთ! ნათლია ვინც უნდა ყოფილიყო, ვერ მოდის... ბავშვის უკან გაბრუნება კი არ შეიძლება... ნუ დავგლუპავთ!

— მერეღო, მე...

— ძალიან გთხოვთ! ნუ გერიდებათ, რომ უცნობები ვართ. არ შეგარცხვენთ. უცებ ნათესავეები გავხდებით.

— რა გავწყობა, თუკი ასეა...



— თქვენ გაგახართ ღმერთმა!  
გახარებული ქალი შეტრიალდა და თავისიანები ტაძარში შემოიხიზო. ყველანი გამაცნო. მოსანათლი პატარა გოგონა იყო, მშვენიერი, ლამაზთვალეზა ბავშვი. მოვეფერე.

მეორე ნათლია ქალიშვილი იყო. მორცხვობდა. ლოყები სულ წითლად უღვივოდა.

ბავშვის ღედამ დიდი მადლობა გადამიხადა თანხმობისათვის და ვინაობა მკითხა. ვუთხარი ვინც ვიყავი და რასაც წარმოვადგენდი. ქალმა სათქმელი არ დამამთავრებინა, სიხარულით შესძახა:

— ღედა, რა კარგი ნათლია ეყოლება ჩენს თამრიკოს!

მღვდელი გამოვიდა. დიაკვნამ ნათლობისათვის ყველაფერი გამზადებული დაახვედრა. დაიწყო ჩემთვის უკვე საკმაოდ ნაცნობი ცერემონიალი.

— ბავშვის სახელი? — იკითხა მღვდელმა.

— თამრიკო, ბატონო მამაო, — უთხრა ღედამ.

— თამარ! — ამაყად და ცოტა ბრაზიანად თქვა მღვდელმა და ქალს მწყურალად შეხედა, რის თამრიკო, რა თამრიკო, ასეთ სახელს რად ამახინჯებთო.

მერე ცალ-ცალკე მიგვიხმო ნათლიები. ჩვენს ვინაობას ჟურნალში იწერდა. მეც დამკითხა. ჩაიწერა ჩემი სახელი და გვარი. შენი ნათლობის თარიღი თუ გახსოვსო. ვუთხარი, რაც უკებ გამახსენდა. თარიღი ჟურნალში საგულდაგულოდ ჩაწერა.

თამარი მოვნათლეთ.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. გოგონა გაქრისტიანდა. მისიანებმა დიდსამშობო დამპატიყეს, ჩვენ უკვე ნათესავეები ვართო, მიმტკიცებდნენ და შინისკენ შეწოდნენ, სადაც გაშლილი სუფრა ელოდათ.

მაგრამ მე არ გავყევი. მაშ სხვა დროს აუცილებლად გამოგვიარეთო, მემუდარნენ.

ჩემი წაუსვლელობით მაინც დასწყდათ გული. მადლობა გადამიხადეს და წავიდნენ.

ტაძარში შევბრუნდი. გუნდი ისევ გალობდა.

ცოტა ხნის მერე მღვდელმა ჩამოიარა. ერთი კი შემომხედა და შედგა.

— ნათლიავ, ის ხალხი რად მიატოვებ?

— უცნობები იყვნენ და მომერიდა გავყოლოდი.

— როგორ თუ უცნობები?! — ხელები გაშალა მღვდელმა, — ბავშვი მოუნათლე, რაღა უცნობები გქვიათ, შვილო ჩემო! თქვენ ახლა ნათესავეებზე უფრო ახლობლები ხართ.

— მერედა, მოუნათლავ ნათლიას რა ძალა აქვს?

— მოუნათლავიო?! — თვალები ლამის გადმოუცვივდა მღვდელს, — იმ ხალხისთვის ხომ არა გითქვამს რა?

— არა, რა სათქმელიო.

— კარგად მოქცეულხარ. მთავარი იმათთან არაფერი წამოგცდეს. ღმერთი კი ამ შეცოდებას გაპატიებს, — თვალს ეშმაკურად ჩამიკრა, პირჯვარი გადაიწერა და ტაძრიდან ანაფორის ფრიალით გავიდა.





## ახალი წიგნიდან

### ბევრს არ დაგპირდები!

ლხინში — ავხირდები,  
 ჩრდილში გაგიდგები,  
 ჩემთვის ვაჩსაკუნებ  
 ფანდურს,  
 სანატრელო;

ჭირზე — დაგიტკებები,  
 ბევრს არ დაგპირდები:  
 ფეხზე დაგიდგები,  
 ჩემო,  
 საქართველო!

1973

●

ბატებიც არსად ყოყინებდნენ  
 სოფელში  
 დღესდღეობით,  
 ცაცხვები მაინც ღიღინებდნენ  
 ფუტკრების  
 მუშევრებით.

რა აბიბინებდა, ღმერთო ჩემო,  
 ცაცხვსა და  
 ურთხმელს?!

რა აღიღინებდათ, ღმერთო ჩემო,  
 უგუნურ  
 ფუტკრებს?!

ზვარეთის თემში დარი იყო —  
 უცხო რამ  
 სანახავი...

სოფელი მთებში მკვდარი იყო —  
 არ ჩანდა  
 დამმარსხავი!

1973

## ჩამოღიან დათვები...



წითლდებიან თრიმლები,  
ყვითლდებიან ნემსონი,  
დგება წვრილი წვიმების  
და მოწყენის სეზონი.  
ფითრდებიან დღეები,  
მწიფდებიან პანტები,  
ბოყვას ბოყო-ტყეებით  
ჩამოღიან დათვები.  
სოფლისკენ გზაწვრილია  
არარსებულ ურმისთვის.  
სოფელი დაცლილია  
გაბრაზებულ სტუმრისთვის:  
„სტუმრად! სტუმრად! დავძლებით  
კაცი თავა გულაბით!  
სტუმრად! სტუმრად! დავსხდებით  
ბოყვას ჯალაბ-ჯულაბით!“  
ტყე სოფელზე წაბმულა  
ჟვერით, შქერით, პარტახით —  
ბელს მოუძღვის ჭამბურა  
სვადი ბარკლის თახთახით.  
მწიფე ზღმარტლებს არსევენ,  
მწიფე პანტებს ბერტყავენ,  
ნიგოზს ღრჯოლით ამტვრევენ,  
სკადებიან და ხეთქავენ.  
ერთი ამბობს: „მომწყინდა  
ზღმარტლი — სორცი მწაღიან“.  
ჯაფარიძის ბოსტნიდან  
მესხებისას ჩადიან.  
რის მცველი და რა მცველი,  
წვიმს, არც თოფის დამცლელი,  
არც ყასიდად დამშლელი  
არ ჩანს რაჭას რაჭველი.  
სევედა-ნაღველს აბოდეებს  
ტყე გალუმბულ მწუხრიდან,  
თხელი კვამლი ამოდის  
ორიოდე ბუსრიდან.  
დედაბრები ურდულით  
ქოხებს გამოჰკეტავენ,  
სარკმლებიდან ქურდულად  
გამოსხედვას ბედავენ.  
სოფლიდან გზაწვრილია  
არარსებულ ურმისთვის,  
ურემი დაშლილია  
წუთისოფლის მდურვისთვის.  
სერზე ზვინი ნათიბი  
ლბება, გკითხავ, რისაგან?!

ბრუნდებიან დათვები  
კვლავ თამარის კლდისაკენ.  
შორს ნისლები თქორავენ,  
ღლაბუცობენ, გორავენ,  
ლბილ ფურწიში სკორავენ,  
თან მთელ რაჭას სჭორავენ.  
მაგრამ მართო რაჭაა?  
ფშავ-ხევსურეთს სხვა ცაა?  
არაფერი შეგეშალოს,  
რაჭის დღეში სხვაცაა!..  
ფოცხერვეს დაუთოვია,  
ზვარეთს მოთოვს საცაა.

1973



უროთიც მისდგეს ვენერა  
მილოსელს შავი ჯალათი —  
„სიცოცხლე — წარმავალია,  
ხელოვნებაა —  
მარადი!“

ხვალ ის უგრძესი „ხვალეა“,  
დღეს — მოკლე დღეა ხვალამდი.  
„სიცოცხლე — წარმავალია,  
ხელოვნებაა —  
მარადი!“

ფეიერვერკო ამ სოფლის,  
მზიზღდი, მძაგდი-და მზარავდი.  
ერთხელაც ვეტყვი სამშობლოს:  
გზას ხვალის დღისკენ ვკვალავდი!

სხვა — ყოველივე ქარია!  
სხვა — ყოველივე დალატი!  
„სიცოცხლე — წარმავალია,  
პოეზიაა —  
მარადი!“

1973

არ მინდა, ვიყო მკვლარი,  
მინდა, მოკლული ვიქნე!



იყო პაწია ბიჭი

უნგრეთს, დუნაის პირად,  
სიკვდილს ზომავდა იჭვით  
და ოცნებობდა ხშირად:

„დროშის ხელთ მეპყრას ტარი,  
ქარიც მოვარდეს იქნებ,  
არ მინდა, ვიყო მკვლარი,  
მინდა, მოკლული ვიქნე!“

და ყრმას ესმოდა: „ტყვიით!“  
და ყრმას ესმოდა: „ხიშტით!“  
მოკლული იქმენ — იით  
ჩვენ მყოობადში გიცდით!“

ბიჭის ოცნება ახდა —  
გენიოსის და გიჟის  
ჰქონდა ნიშანი ნაღდად,  
იყო პოეტის ჯიშის.

ოჰ, იმ სიგიჟეს ვაშა, —  
გზას რომ უკუნშიც იგნებს:  
„არ მინდა მოვკვდე ნაზად,  
მინდა მოკლული ვიქნე!“

როგორც მანგუსტი ღამით  
ასჯერ მოაშთობს კობრას  
და როსმე, ბოლოს, შხამი  
მაინც კობრისა მოჰკლავს,  
ასე, სიკეთის ფარად  
იდგეს, პოეტი არჩევს,  
ასე, პოეტსაც მარად  
ძალმომრეობა დასცემს.

„დროშის ხელთ მეპყრას ტარი, —  
უნგრეთს ეშველოს იქნებ, —  
არ მინდა, ვიყო მკვლარი,  
მინდა, მოკლული ვიქნე!..“

და ის დაეცა ომში,  
როგორც შეჰფერდა, ხელში  
სამფეროვანი დროშით  
და ცივი ხიშტით ყელში...

ოჰ, პოეზიავ, მარად  
ცის კიბეებით მსვლელი!  
ვისთვის — წკრილო ქნარად!  
ვისთვის — კრწანისის ველი!



სუნი მეცა ჩემი ძველი  
პაწაწინა მდინარის,  
იმ ჩვიდმეტი მწველი წელის,  
იმ ბავშვობის ბრწყინვალის.

მე პარმალზე ვარჩევ დუმილს,  
გულს ვიოკებ მძვინვარეს,  
შენ საბანი აბრეშუმის  
გადაგხდია მძინარეს.

სუნი თევზიანი წყალის, —  
ჭვაზე წამში შრობადის,  
სუნი ძეწიანი ჭალის, —  
მოგონებებს რომ ბადებს.

ყოველივე — ჩავლილია,  
ყოველივე — მდინარებს,  
მე კი ვთვლიდი: აპრილია  
და მაისი წინ არის!..

იქ, ჭალისპირ ქოხი იდგა,  
ზახსოვს, გაუცინარეს,  
პაპაშენმა დედას ჰკითხა:  
„მ ბიჭუნა ვინ არის?!“

სუნი მეცა ჩვენი ძველი  
მეგობარი მდინარის,  
იმ ჩვიდმეტი მწველი წელის  
შვიდი ფერის ბრწყინვალის.

1973

## მეშინ მიყვარხარ...

მეშინ მიყვარხარ,  
ყურძნის ხეო, — აგვისტოს ბოლოს, —  
როცა გლეხკაცი  
შენით ხარობს და შენით ცხოვრობა;  
მეტს რომ გამოგრჩეს,  
დაქალებულს ხელს რომ შეგახებს:  
ნზეს რომ გიჩვენებს,  
ცას გაგიხსნის, ფურცელს შეგავლებს,  
და შენც პასუხად,  
შენც პასუხად არ დააყოვნებ,  
შენს შემომყურებს,  
შენზე მზრუნველს არ დააღონებ, —  
შემსგავსებული  
კაი მწიფე, ჯიშთან გოგოს, —  
დამკრახულ ძუძუს  
გამოაჩენ — ჯერ ისევ კოკობს.  
მეშინ მიყვარხარ,  
მეშინ, ვაზო, სექტემბრის ბოლოს,  
მთლად საქართველო  
როცა შენით და შენთვის ცხოვრობს,  
როცა სამზითვოდ  
ზედ გასხია მილიონები,  
„მწიფე — მწიფეო!“  
დაგძახიან კვირიონები...  
მაგრამ ათასჯერ  
უფრო მეტად მიყვარხარ მეშინ,  
ოჰ, ყურძნის ხეო,  
უქონელი როცა ხარ ბავშვი,

როცა აპრილი  
თვალეებს გიხელს არაფრის მქონეს,  
სუსტს და უმწეოს,  
მაგრამ ქვეყნის იმედს და ღონეს...

„ტყემ მოისხა ფოთოლი,  
აგერ, მერცხალიც სჭყვივს.  
ბაღში ვაზი ობოლი  
მეტის ღებნითა სტირის“...

1973

## ეპიგრაფია

გერგები პაპად,  
პაპის პაპად გერგები, ალბათ,  
ვარ ღამეში და  
ასი წელი გაირბენს სწრაფად;  
არათუ სორცა,  
ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს.  
კავკასიონის  
მწვერვალები როცა ავერცხლდეს,  
„თენდება, პაპავ!“ —  
ჩამომძახო, არ დაგაფიწყდეს!

1973

ღრუბელს ელვა ჩამოჰკრა,  
ეს — აპრილი ბრძანდება!  
მზე მწვერვალებს ამოჰყვა,  
ცის ლაჟვარდი ღრმავდება!  
შარშან ტოტი ჩამოხმა,  
წელს ხელახდა მძლავრდება  
მიყვარს გაღმა-გამოღმა,  
თუ სამშობლო მწვანდება!

გოგლა მეტყოდა ყურში:  
„მურმანო, შენსა მზესა,  
დღეს თუ აყვავდა ნუში,  
ხვალ აყვავდება შეშა!“

მე ვბუზღუნებ და ვოხრავე:  
„რა ვქნა, ეს კაცი შემშლის!  
ვგ რანაირად, გოგლავე,  
თქვი აყვავება შეშის?“

გზა — იჭირხლება ყინვით,  
ცა — ელვის შუბებს გვიღერს

ის კი იცინის გრგვინვით  
და საიდუმლოს მიმხელს:  
„არის ბუნების ძალი, —  
ხმელსაჲ რომ შეიქმნს ნედლად.  
ღორტყემაღაც კი ჭალის  
გადიპენტება თეთრად!“

„ახალ სახნავებს მოვხნავთ,  
გასწი, მოგყვები კვალზე!  
შენს პირს შაქარი, გოგლავე!“  
ოსტატს ვეტყობდი ასე!

ღრუბელს ელვა ჩამოჰკრა,  
ეს აპრილი ბრძანდება!  
მზე მწვერვალებს ამოჰყვა,  
ცის ლაჟვარდი ღრმავდება!  
შარშან ტოტი ჩამოხმა,  
წელს ხელახლა მძლავრდება!  
მიყვარს გაღმა-გამოღმა  
თუ სამშობლო მწვანდება!

19

მანქანით ვჭროდი  
 სამშობლოში  
 აბრილს და მაისს —  
 შეცვლილა რამე? —  
 არაფერი  
 მაინც და მაინც!  
 ეთქვათ, ტირიფონთან,  
 მშვენიერთან,  
 შეცვლილა რამე?  
 წითელ ძროხებში  
 გამორეულ  
 ორიოდ კამენს  
 ზუსტად ისევე,  
 როგორც ათას  
 ხუთას წლის წინათ,  
 მწყემსავდა გლეხი,  
 ჩამჯდარიყო  
 შოსე-გზის პირად,  
 იპურჭყებოდა,  
 რიყის ქვაზე  
 ღვსავდა ჯაგვას,  
 თან ცალი თვალით  
 მოქანავს  
 მწყემსავდა ჯაგნარს.  
 ტრიალ ტირიფონს —  
 დასიცხულს და  
 მივარდნილს ძილად —  
 ზუსტად ისევე,  
 როგორც ათას  
 ხუთას წლის წინათ,  
 დაპბრიალებდა  
 მზე ბარჩხალა,  
 გლავდა ცერად,  
 დასტრიალებდა  
 (პლანერივით!)  
 ზგერავდა ძერა.  
 ოღონდ ეს იყო,  
 გამომშვირალს  
 ბერიკაცს მკაცრად  
 ეცვა ჩესური  
 ბათინკები  
 ქალამნის ნაცვლად,  
 და პეიზაჟიც,  
 პეიზაჟიც  
 ორიოდ შტრხით

იყო შეცვლილი —  
ტელეგრაფის  
ბოძების რიგით.

მიზარბაცებდა  
„გრუსოვიკი“  
გზაზე ხანსალით —

უნაბისფერი  
რომელიღაც  
რკინის მანქანით.

. . . . .

ოჰ, რესპუბლიკავ  
საქართველო,  
მაცადე ცოტა,

აგაჩქარო და  
აგაჩქარო  
ზოზინი დროთა!

1971



მამამ —	რომელმა დამიტოვა?!
ღამე დამიტოვა,	ბევრი
ღეღამი —	დღე და
კაბა შავი მთხოვა;	ბევრი
ერთი —	ღამე
სასაფლაო მქონდა,	კიდევ
ისიც —	ბევრი შხამით მოვა...
თოვლმა დამითოვა;	ის რომ არ ჩანს,
შენ რომ	ვისაც ველი,
წიგნი დამიტოვე, —	მოწყენილი
სხვამ	ამიტომ ვარ.

1970

## ს ე ლ ე რ კ ი ი

ფანჯარაში — ქეღია.  
ვსტყუი! — ქედზე მეტია —  
საქართველოს  
ხეღია!..

რაც მე მიკეთებია  
მისთვის, ზღვაში წვეთია.  
მე მივდივარ, შენ რჩები —  
შენი მოიმედვა!

1978





# ს ე ე ლ ი ს ბ ა ლ ი

შ. დ-ს ხსოვნას

მონადირენი მწყემსებების დანატოვარ ქობში შეიხიზნენ ღამის გასათევად.

ისინი ორნი იყვნენ. უკვე ხანში ფეხ-შედგმული ნოტარიუსი რაჟდენა სხივიშვილი, ბოლო ხანებში ზედმეტი სიმსუქნისაგან ქოშინი რომ მოსძალებოდა და ექიმის რჩევით ნადირობისთვის მიეყო ხელი, ხოლო მეორე მწერალი ლადი გომართელი.

ეს ორი არსება დიდად არაფრით ჰგავდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ არც დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთი ეგ იყო, რომ სხვადასხვა ვარსკვლავს ეთამაშებოდნენ და სხვადასხვა გზით ეპოტინებოდნენ უკვდავებას.

დისერტაციისა და კიდევ რაღაც უკეთესის მოლოდინში უცოლოდ დაბერებული რაჟდენა ცხოვრობდა თავისთვის მარტოდმარტო და ჩვეულებრივ მოკვდავთაგან რომ რაიმეთი გამოჩეულიყო, მჭერმეტყველებასაღა ეპოტინებოდა. ჰკუასა და გონებას მოკლებული არ იყო რაჟდენა, გარდა იმისა, რომ რჩეულ ადამიანთა ციტატები ზეპირად იცოდა, თავისი საკუთარი აზრებიც გაანაზღაურებდა სიცოცხლესა თუ სიკვდილზე, სამყაროსა თუ ცხოვრებაზე. მაგრამ თავმდაბალ, გულუბრყვლო და ამავე დროს უმარიფათო რაჟდენას ზოგჯერ უწიგნური, მაგრამ მარიფათიანები შემპარავად კიდევ დასცინოდნენ. ალბათ ამ მიზეზით, რაჟდენა უბრალო ნოტარიუსობას ვერ გასცდა. და ახლა, ერ-

თადერთი, რითაც თავს იქცევდა, მჭერმეტყველებდა იყო. როგორც კი რომელიმე უცხო საზოგადოებაში მოხვდებოდა, სხვის აზრებსა თუ საკუთარ აზრებს ციტატებად გადააბნევდა ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ ქიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და სიტყვის ბოლო ბგერას სჭამდა, თავისი მჭერმეტყველებით თვით უღრმესად ინტელიგენტებსაც კი ხიბლავდა და აოცებდა. ასეთ დროს ყელთამდე ბედნიერი რაჟდენა მართლაც უკვდავთა მარაქაში რაცხდა თავს.

ლადის კი სხვა უკვდავების ჭიაღრმე იყო. იგი იმ „დაჩაგრულ ტალანტთა“ რიცხვს ეკუთვნოდა, ესოდენ ცოტანი რომ დააბიჯებენ ჩვენში. ისინი ყველაფერს, რაც იწერება და ქვეყნდება, ზევიდან დაჰყურებენ და ქირქილებენ. ცხვირაწეულნი ყინჩად დააბოტებენ, ტუჩებზე ქედმალღური დიმილი დასთამაშებთ და ერთთავად დუმან, დუმან.

ეს დაჩაგრული ტალანტები არაფერს აქვეყნებენ, რადგან მათ ან ეპოქა ვერ უგებთ, ანდა ხელოვნებას ეწირებიან მსხვერპლად. თანამედროებაზე გაბუტულნი, ტიკტორებივით დაბერილები დაიარებიან და ისე იბღვირებიან, თითქოს ეს-ეს არის ვიღაცამ ძალით მოხადა გვირგვინი და თავად მიიტაცაო.

მაგრამ ამ დაჩაგრულმა ტალანტებმა ჩინებულად იციან საკუთარი თავის ძალა. საკმარისია, გამოაქვეყნონ რაიმე და

მისვე ცხადი გახდება აქილევსის სუსტი ადვილი. ამიტომაც ურჩევნიათ ისევ „დაჩაგრულ ტალანტებად“ იცნობდნენ.

ლადიც ერთ-ერთი იმათგანი იყო. როგორც „დაჩაგრულ ტალანტს“, რაჟდენა გარეგნულად პატივისცემით ექცეოდა. სიამოვნებით ან იქნებ იძულებითაც მეგობრობდნენ ერთმანეთთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ უფრო ხშირად ლადი დასცინოდა მას. ასეთ დროს ხათრიანი რაჟდენა ისედაც ბუთხუზა ლოყებს დაბერავდა ხოლმე, გაიბუხებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. სამაგიეროს იმით უხდიდა, რომ გულში თავადაც დასცინოდა ლადის, მაგრამ როგორც კეთილი კაცი, თავი ისე ეჭირა, თითქოს მის ტალანტს დიდად აფასებდა. ასე იყო თუ ისე, ერთიმეორესთან მიიხილავდა აკავშირებდათ და მეგობრებად ითვლებოდნენ. იქნებ ის, რომ ორივენი ერთ ტაფაში იწვოდნენ.

აი, დღესაც სანადიროდ ძალით წამოიყვანა რაჟდენმა ლადი.

— წამოდი, ლად, სუფთა ჰაერს ჩაყლაპავ და შთაბეჭდილებას გაიმდიდრებ, მწერალ კაცს ნადირობა უნდა უყვარდეს.

შემოდგომის მიწურული იყო. ღამემ უკვე ოთხივე კალთა დაუშვა დედამიწაზე და ყველაფერი ბინდში შთაინთქა.

გარეთ ცრიდა: ქოხის პირას ცეცხლი გიზგიზებდა და თავის ირგვლივ სიბნელეს სძოვდა.

მიუხედავად დაღლილობისა, მონადირეებს ძილი არ ერეოდათ.

ორი უმწეო არსება, წუთისოფლის ორი ხანმოკლე სტუმარი იჯდა ცეცხლის პირას ბნელი, მარადიული ცის ქვეშ და მარადისობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრობდნენ.

— სამყარო ერთი ვეება სასწორია, ლად,—საკუთარი თუ სხვისი ფრაზებით მჭერმეტყველებდა რაჟდენა და სიტყვის ბოლო ბგერას ყლაპავდა. — იმ სასწორის ერთ თეფშზე სიცოცხლე ძევს, მეორეზე სიკვდილი, საკმარისია ერთ-ერთის უმთავანობა და ის სასწორი მაშინვე წონასწორობას დაკარგავს. სიკვდილი და

სიცოცხლე აწონასწორებს სამყაროს. აი, ეს არის ლად, ყველაფერი ხსენებენ ნარჩენი ამაოებია და თავის შესაქცევად. ერთადერთი, რითაც ადამიანი ამართლებს თავის არსებობას, ეს შრომაა, შრომა და ამ ქვეყანაზე რაიმეს შექმნა.

ბოლოს სიტყვა იმაზე ჩამოავდეს, თუ რანი არიან ადამიანები, როგორ ცრობენ ისინი ერთმანეთთან თვით მწუხარების ეამსაც კი და სიკვდილის შემდეგ რამდენხანს ინახავენ ერთიმეორის სხოვნას.

— ხსოვნას! — ჩაიჭიჭლინა ლადიმ და ცეცხლში ჩააფურთხა. — ჩემო რაჟდენ, ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ და თავს ვიქცევთ, თვით მწუხარების ეამსაც კი ვცრუობთ.

რაჟდენამ მწარედ ჩაიციინა და თავი დაუქნია. ამავე წუთს ერთი რამ შენიშნა: ლადი გულთბილად ესაუბრებოდა. ყოველთვის ასე ხდებოდა, როცა მარტონი იყვნენ, ხოლო თუ მესამე ან მეოთხე პირი შეერეოდათ, მაშინ ლადი სულ სხვაგვარი კილოთი ელაპარაკებოდა, — შემპარავი ცინიზმით, რაც აშკარა დამცირება იყო.

რაჟდენამ თავჩაქინდრულ ლადის გადახედა. ცეცხლის შუქზე მისი სახე ფერმკრთალი და სევდიანი ეჩვენა.

— ხანდახან რო დავფიქრებდი, ლად, ყველაფერი არარაობად მეჩვენება და თავი მეზიზღება. რა ყალბები ვართ! — რაჟდენამ ცეცხლს შეუჩიჩინა და ქვეშ დაფენილ ტყაბუქზე საიმედოდ მოკალათდა, — მე გვიამბობ ერთ ამბავს. მწერალ კაც ხარ და გამოგადგება. ალბათ არ გახსოვს ვანო ირემიძე, გაგონილი კი გექნება. ამ ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა უკურნებელი სენით. მაშინ მეც გამომცემლობაში ვმუშაობდი.

ერთ ჩვეულებრივ დღეს მოვიდა სამუშაოზე ვანო და დაიჩივლა: მარცხენა მხარი გაკავებული მაქვსო. ეს ჩივილი არაფრად ჩავვიგდია, მჭვალი გექნება და გავივლისო, გულგრილად დავაიმედეთ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ გარეგნობით სრულიად საღსალამათს, ზვინივით კაცს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძ-



ლო კვირამი ორჯერ ქეიფში გაეტეხა ღამე, მიიმე სნეულება ექნებოდა სხეულში ჩაბუღებულნი.

ვანო უცებ ჩავარდა ლოგინად. ერთ დღეს მაცნე მოვიდა და შემზარავი ამბავი მოიტანა: ვანოს მარცხენა ფილტვში კიბო ჰქონიაო.

მთელი ჩვენი დაწესებულება ფუტკარის სკასავით აფუტფუტდა და აბზუვლდა. ოთახებიდან ოთახებში ფეხის წვეკრებზე დაკინკილებდნენ იმის შიშით აბუზულები, რომ თავადაც მოკვდავნი არიან, რომ როდესმე ეს დღე თავადაც დაუდგებათ.

— საწყალი ვანო, რა კაცი იღუპება! — და ერთმანეთს თვალეებში გამოცდელი მზერითა და ეჭვით ჩაპყურებენ.

— აბა, იმისი წყენა რომ არვის ახსოვს.

— ცხვარივით კაცი იყო.

— ის შერჩა, რაც დრო ატარა.

— ზოგჯერ დაყვირებაც იცოდა, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა საწყალს. ჩვენი კორექტორი, ტარანივით გამხდარი იულია ამბობს თავის აზრს და თან ეჭვიანად აცეცებს თვალეებს, აბა, დამეთანხმებიან თუ არაო. იმისდაგასახარად მაშინვე ეთანხმება უფროსი რედაქტორი ქსენია.

— კი, კი. ხანდახან იცოდა... ცოტა უხეში იყო, მაგრამ ცუდს არაფრით გაგიკეთებდა.

და ყველანი, ქალები თუ კაცები, თანამდებობით უმცროს-უფროსნი კვლავ გამომცდელად და ეჭვის თვალით ათვალთვლებდნენ ერთმანეთს.

მე გაოგნებული მდუმარედ ვიჯექი და თვალწინ მედგა ვანო. თეთრ კიტელში გამოწყობილი ვესტიბიულში დგას (კაბინეტში ჯდომა არ უყვარდა საწყალს) ვილაცას დარბაისლურად ესაუბრება, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ცალი ხელით კედელს მიყრდნობია, ხოლო მეორეთი გამეჩხერებულ ჭადარა თმებს ისწორებს.

და სწორედ მაშინ, როდესაც ყველა-ნი ადამიანის საბოლოო განაჩენს უკვე

შეეგუენ და ყოველდღიურ ცხოვრებას მისცეს თავი, აი სწორედ მაშინ სრულიად მოულოდნელად განვაცხადე:

— ტყუილი, რის კიბო, რა კიბო! თითქოს ცა ჩამოქცეულიყოს, ყველა ერთბაშად აღორიაქდა.

ჩვენმა კორექტორმა ხმელხმელმა იულიამ სარკეში ცქერას თავი ანება და ცერად გადმოიმხედა. თხელ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უციმციმებდა. დანარჩენებიც მე მომიჩერებოდნენ, აბა ერთი რა სარწმუნო წყარო აქვსო.

— კიბოს გასინჯვით ვერ იგებენ, რა სისულელეა! — დავიხე მე.

— რავე გეკადრება, შე კაცო, — ჩაიციხა იულიამ, — კაცს ცალი ფილტი შექმული ჰქონია. მაგას რა დიდი გამოცანა უნდა, ფილტი აღარ არის, მორჩა და გათავდა. დასაწყისი რომ იყოს, მესმის... — და იულია დარწმუნებულნი, რომ საბოლოოდ გამცა ამომწურავი პასუხი, ისევ სარკეს დაუბრუნდა. სპირტიანი ბამბით სახეს იწმენდა.

— იიპ, — პროტესტის ნიშნად ხელი ჩაეიქნე და ჩემი საქმე განვავარძე.

მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი ნათელი გახდა. ბატონი ვანო მართლაც კლანჭებში ჰყავდა სიკვდილს მოქცეული. უნდა გენახა, ლად, ჩვენი თანამშრომლები რა დამცინავად მიმზერდნენ. ყოველ მათ გამოხედვაში ასეთ რამეს ვკითხულობდი: ინდე, რომ არ გეჯერა, ახლა რალას იტყვიო. და თან სინანულით ვიშვიშებდნენ.

ვანო ირემაძე... ეს საოცარი კაცი, რა უცაბედად გვეცლებოდა ხელიდან.

მთელი იმისი ცხოვრება თვალწინ დამიდგა.

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, ირემაძეს შორიდან ვიცნობდი. ძველი თაობის პოეტები ირემაძის განუყრელი მეგობრები იყვნენ. თვითონაც სწერდა ლექსებს, მაგრამ უფრო მეტ დროს ქეიფში ატარებდა. ლამაზი მამაკაცი იყო,

სოლომონ დეაშუსანაშვილი  
სივდის ბაღი



დარბაისელი, მკერმეტყველი და პირ-  
დაპირი. ვაგიდა დრო, უკუღმართმა  
ბედმა ღვიძლი მეგობრები თანდათან  
შემოაცალა ხელიდან.

ირემამქს მას აქეთ თავისი ლექსები  
აღარ გამოუჩენია, ალბათ აღარც სწერ-  
და ყველაფერი, რაც კი კარგი დაიწე-  
რებოდა, ბავშვივით ახარებდა. მთელი  
თავისი ცხოვრება წიგნისადმი და მწერ-  
ლობისადმი სამსახურს დაუთმო, ეს იყო  
მისი მემკვიდრეობაცა და იმედიც. ვა-  
ნო ირემამქე იმ ბერს მაგონებდა, რო-  
მელმაც ამქვეყნიური ყოველივე დათ-  
მო და ღმერთსა თუ მონასტერს მის-  
ცა სული თვისი.

თავისი თანამედროვეების თუ და-  
კარგული მეგობრების პოეზიას ხატივით  
ელოლიავებოდა. ვიდრე წიგნად გამო-  
ვიდოდა, სტრიქონ-სტრიქონ კითხუ-  
ლობდა, სტამბაში დაიარებოდა, საბეჭ-  
დსა და სატიტულე ქალაქს თვითონ  
ურჩევდა.

ყოველი სასიგნალო წიგნი პირველად  
ვანოსთან მიჰქონდათ. ეს მკაცრი, ურღ-  
ვევი კანონი იყო. აიღებდა ხელში და-  
ბეჭდილ წიგნს, ქალაქისა და საღე-  
ბვის მძაფრი სუნი რომ ასლიდა ჯერ  
კიდევ და ისეთი სიამით დაყნოსავდა,  
როგორც თონიდან ახლად ამოყრილ  
ლაგაშებს... მაშინ უნდა ენახა იგი კაცს.  
სულ სხვა ვანო იყო. თითქოს მეტხრე  
ცაზე ასული, კმაყოფილებით გადმოპ-  
ყურებდა ქვეყნიერებას. ასჯერ წაკით-  
ხული ლექსებით ასმეერთედ ტკბებო-  
და, ცდილობდა მხოლოდ კარგი დაენა-  
ხა, კარგი აღმოეჩინა და იგი სხვისთვის-  
საც გაეზიარებინა, სხვასაც გადასდებო-  
და თავისი სიხარული. ალბათ ამ დროს  
სიბერისაგან უკვე ლომივით დაჯირჯე-  
ბულ მის თვალბეჭდში იხატებოდნენ სიყ-  
რმის მეგობრები, ლექსის კაცები, სიტ-  
ყვის კაცები, სუფრაზე მოთამაღენი,  
ზოგი ნაადრევად ხმაშეწყვეტილი, ზო-  
გიც სიბერით დაღუშებული. რა მორე-  
ვი ტრიალებდა მაშინ ვანოს გულში,  
აბა, ვინ მიხვდებოდა.

გადიოდა დრო და ვანოს ის კანტი-  
კუნტად შემორჩენილი მეგობრებიც ეც-

ლებოდა ხელიდან. თაობა მიდიოდა, ვა-  
ნო კი, იმ თაობასთან სულითადაც გუ-  
ლით გადაბმული ვანო, ცალსიტყვად  
რავით მარტო რჩებოდა. ამას ისიც ემა-  
ტებოდა, რომ გამომცემლობაში წიგ-  
ნის გამოცემის საქმე ბრკოლდებოდა.

ვანომ ირგვლივ შემოიკრიბა ახალი  
თაობის პოეტები, ისინი, ვინც წინა თა-  
ობას რალაცით ჩამოჰკავდნენ და იმათ-  
თან მეგობრობითლა სულდგმულობდა.  
ამ უკანასკნელმა მოპოვანმა შექმნა ისე-  
თი სამყარო, რომელშიც შვებას პოუ-  
ლობდა და თავისი ყოფნის გამართლე-  
ბას ხედავდა.

კვირაში ხან ერთხელ, ხან ორჯერ  
შეიყრებოდნენ სუფრასთან, პოეზიაზე,  
წინაპრებზე საუბარსა და ღრეობაში  
ათევდნენ ღამეს. ვანო ირემამქისთვის  
სუფრა იყო წმიდათაწმიდა ადგილი, იქ  
პოულობდა შვებას, იქ იოხებდა გულს  
და იკლავდა დიდი სიყვარულის ყინს.  
სუფრაზე ირჩეოდა ლიტერატურული  
მემკვიდრეობა თუ თანამედროვეობა,  
სუფრაზე ირჩეოდა წინაპართა თუ  
დღევანდელთა კაცობა თუ მამულიშ-  
ვილობა, სუფრაზე ამტკიცებდნენ ფი-  
ციოთ ერთმანეთის მეგობრობასა და სიყ-  
ვდილის შემდეგ არდავიწყებას.

მერე, რა შესანიშნავი იყო, ლად,  
საწყალი ვანო სუფრაზე. იტყოდი, ქე-  
ივისთვის არის გაჩენილიო. რაც არ  
უნდა ბევრი ესვა, სიდარბაისლეს და  
წესიერებას არ დაჰკარგავდა. თავად  
ალალმართალი და სიტყვის კაცი ვერ  
იტანდა მატყუარებსა და ცრუბენტე-  
ლებს, მლიქვნელებსა და ქლესებს. თუ  
ვინმე სუფრაზე ასეთი გამოერეოდა,  
რომელიც ზომიერების საზღვარს გა-  
დასცდებოდა, ანდა წინაპრის გინებას  
დაიწყებდა, რაც ახლა მოღაშია, ვანო  
უხმოდ დატოვებდა სუფრას. სუფრის  
დატოვება კი მისთვის იგივე იყო, რაც  
ზოგისთვის ცოლ-შვილის მიტოვება.

ასეთ დროს ერთი-ორი დღე თავის  
გუნებაზე აღარ გახლდათ. მოშხამული  
მოვიდოდა გამომცემლობაში და ზოგ-  
ჯერ მიზეზიანად, ზოგჯერ უმიზეზოდაც  
ვინმეს დაჰკვივლებდა, სამსახურში დაე-





ვიანებისთვის დატუქსავდა, მოხსნით დაემუქრებოდა, მაგრამ მისი გულის ამბავი ყველამ ვიცოდით, ბოროტებას ვერ ჩაიდენდა, მეორე დღეს ისევ ის კეთილი, სახეგაბადრული ვანო იქნებოდა და ის მუქარაც ბავშვსავით გადავიწყდებოდა.

გამოცემლობაში ყველა საწარმო-მელმა ხუთი თითივით იცოდა მისი ხასიათი.

— ხალხო, დღეს ბატონი ვანო კარგ გუნებაზეა.

— ალბათ დაპატივებულია.

— დილას მგონი თოთიაში დაუტრეკა.

— ჰოდა, ავამენოს ღმერთმა, ქეიფი ელის.

ო, მაშინ უნდა გენახათ ვანო, მართლა დიდი ბავშვი, როგორც მას ჩუმ-ჩუმად ვეძახდით. ერთბაშად გამოიცვლებოდა, პირზე ღიმილი გადასდიოდა, მოუსვენრობა შეიპყრობდა და ეს ზვიინივით კაცი მერცხალივით გახდებოდა. ოთახიდან ოთახში დიარებოდა, ნახევრად გამელოტებულ თავზე პეწით ისევამდა ხელს და თანამშრომელსა თუ მოსვლელ-მომსვლელს სიცილ-ხარხარით ელაპარაკებოდა.

ქალაქის ერთ-ერთ პატარა ბაღში ჩახუხულავებულ სასადილოში იყრიდნენ ხოლმე თავს. გარეგნობით არაფერი, მაგრამ რა გინდოდა სულო და გულო, იქ არ იპოვებოდა. თანაც შედარებით სიიაფე იყო. მე თითქმის არასოდეს არ ვაკლდებოდი იმათ ამქარს, ზოგჯერ მუალამედე, ზოგჯერ გათენებამდეც ვუსხედით სუფრას ამ პატარა ბაღში, რომელსაც ვიღაც ჩვენთაგანმა ხუმრობით სევდის ბაღი დაარქვა, ღვინით გაბრუებულ ტვინს ძალას ვატანდით, რათა ერთმანეთისთვის ისეთი ქება შეგვესხა, რომ სიმართლეს ძალიან დამგვანებოდა. სუფრაზე აღიდებდნენ ერთიმეორის შემოქმედებას და კაცობას, არჩევდნენ კლასიკურ თუ თანამედროვე პოეზიას, იხსენებდნენ პაოლოსა და ტიცინანს, ვალაკტიონსა და გოგლას, იყო კამათი და აზრთა ჭახაჭუხი.

ვანოს თავისი მეგობრებიდან განსა-

კუთრებით ორი პოეტი უყვარდა, — თარხანი და თოთია. თუ სუფრაზე ისინი არ იყვნენ, ისერიად ფრთებგაშლილი ვეღარ იყო ხოლმე.

— თქვენ უნდა დამმარხოთ და სიკვდილის შემდეგაც თქვენ უნდა მიპატრონოთ, თქვენ...—და ღვინით შეზარხოშებული ვანო თვითონაც აიჩუყებდა გულს და იმათაც აუჩუყებდა.

თოთია და თარხანი ჯერ კიდევ მაშინ დაუმეგობრდნენ, როცა პოეზიაში პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. ვანო იყო ყოველი მათი შემოქმედებითი წარმატების მოწმე, მოზიარე და ჭირისუფალი, მაგრამ ვადიდოდა დრო, ისინი ასაკში შედიოდნენ, სხვა საქმეები უჩნდებოდათ, სხვა ინტერესები. სუფრისთვის ხშირად ვეღარ იცლიდნენ, გარდა ამისა, თანდათან ზვდებოდნენ, რომ სუფრა ხშირად სიყალბე იყო, ხოლო გადაბმული ქეიფი დროის ფუჭად გაფლანგვა და შემოქმედის ლახვარი.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მოცილილობის ჟამს მინც ვანოს ირგვლივ იყრიდნენ თავს, ის იყო მედროშე სუფრის კაცებისა, ახალგაზრდები თუ მწერლობაში დაბერებულნი მის გარშემო იკრიბებოდნენ. ყველას უყვარდა, როგორც სუფრის კაცი, სიტყვის რაინდი, პოეზიის ტრფიალი და მწერლობის ზვარა.

— შენ ის კაცი ხარ, ვანო, ვინც ქართულ მწერლობას მისცა თავისი გული და სისხლი. შენ შეგეძლო სხვა სახსარი გეპოვნა ცხოვრებაში და უფრო წელგამართული ყოფილიყავი, მაგრამ პოეზიის ტრფიალმა და წიგნის სიყვარულმა ყველაფერი დაგათმობინა. ქართულ მწერლობას დაუკავშირე შენი ბედი და იგივე მწერლობა უკვდავყოფს შენ. ყველაზე უკეთ შენ იცი ნაღდი პოეზიის ფასი, იმ პოეზიისა, რომელსაც ეროვნულ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული.

აი, ამ სიტყვებით ამკობდნენ ყოველ სუფრაზე ვანო ირემამეს და დარწმუნ-

**სოლომონ დავუჩხანაშვილი**  
სამღის ბაღი

ნებული იყავი, ლად, რომ ვერავის გულწრფელობაში ექვს ვერ შეიტანდი. ამ დროს ცამდე ბედნიერ ვანოს ღრმად სწამდა, რომ სიკვდილის შემდეგ იმასაც ისე მოიხსენიებდნენ, როგორც სხვა წინაპრებს.

გაიწელებოდა სუფრა, ვედარ გაძლებოდნენ ერთმანეთის სიყვარულით, ვედარ მოიჭერებდნენ გულს პოეზიაზე საუბრით. ბოლო დროს ვანოს, რომელმაც კარგად იცოდა ქართული აუ ევროპული პოეზია, ზოგიერთ თანამედროვე ლექსებზე ეკვი უჩნდებოდა. კისერგადაგდებული გულზე ხელს დაიდებდა და თარხანს შეემუდარებოდა:

— ჩემო თარხან, რუსთაველი მესმის, შექსპირი და ბაირონი მესმის, პუშკინი და ბოდლერი მესმის. გვედრები, მითხარი რატომ ვერ ვიგებ, ზოგიერთები რომ სწერენ დღეს ლექსებს?

— ხე, ხე, ხე! — ჩაიროხროხებდა თარხანი და ლამის ჭერი ძირს ჩამოეტანა. — თვითონ თუ ესმით რასა სწერენ. ნათლად წერა ძნელია და რა ქნან. თავიანთი ჭკუით მკითხველს აბნევენ, ვანო, მკითხველს. ხე, ხე, ხე! — ისევ ჩაიროხროხებდა თარხანი და კმაყოფილ ვანოსაც აიყოლიებდა.

ერთი უცნაური ჩვევაც ჰქონდა ვანოს. თუ სუფრა აღერ აიშლებოდა, იგი ორიოდ კაცს აიყოლიებდა და უსიკვდილოდ რესტორან „საქართველოში“ გაივლიდა. ამ ჩვევას არასოდეს უღალატებდა. შევიდოდა, სამიოდე ბოთლ ღვინოს თავისი საუზმით მოატანინებდა. მუსიკოსებს „გრენადას“ ანდა «письмо к матери»-ს დაუკვებავდა. უსმენდა ამ თავის საყვარელ მუსიკას და ნეტარებით ცაში ლივლივებდა.

ერთი სიტყვით ასეთი იყო ვანო ირემიძე. უიმიოდ გამომცემლობა ვერც თანამშრომლებსა და ვერც ავტორებს ვერ წარმოედგინათ.

ყველა თაობის ავტორი მის ირგვლივ იყრიდა თავს, ისე როგორ შემოაბიჯებდნენ გამომცემლობაში, რომ ვანო არ მოენახლებინათ, მასთან არ დაყოვნებულყვნენ და ქართული მწერ-

ლობის წარსულსა თუ აწმყოზე, მის ბედ-იღბალზე არ წაესაუბრებინათ ამ დარბაისელ კაცთან.

პარასკევი ისე არ დაღამდებოდა, ვანო აღმე არ დაეპატიჟათ. „სევდის ბაღში“ ან საღმე მოიყრიდნენ თავს, რომ ქწერლობასა თუ ერზე საუბრით გული მოეჭერებინათ.

და აი ასეთი კაცი მოულოდნელად გააკრა ლოგინზე უკურნებელმა სენმა და სიცოცხლის დღეები დაუთვალა.

როგორც ვითხარით, პირველ ხანებში მთელი გამომცემლობა აფორიაქდა. სევდამ მოიცვა. ყოველდღიურად მოდიოდნენ ავტორები და კუშტი სახეებით ვითხულობდნენ მის ავ-კარგს. პასუხი მუდამ ერთი იყო, უმიედო.

— დიდი-დიდი ერთ კვირას გასტანოს. საშინელი ტკივილები დასწყებია.

კიდევ უფრო დაეღვრიმებოდათ სახეები, სინანულით თავს გადააქნევდნენ, ამოიხრებდნენ და ერთსა და იმავეს ჩაილაპარაკებდნენ:

— რა კაცი გვეცლება ხელიდან. ეგ-ღა იყო დარჩენილი იმ საუკეთესო თაობიდან და ეგეც მიდის.

— აბა, აბა!

— სოფელში მინდოდა წასვლა კვირას, — სინანულით ამბობს უფროსი რედაქტორი ქსენია, — მაგრამ როგორ, კაცი დღედღეზეა.

— შაბათ-კვირას ვედარ გააღწევსო, — ეს იულიაა, — თუ ეგრეა, ალბათ ხუთშაბათს დაკრძალავენ. ამინდი მაინც იყოს კარგი. ამ ძველი პალტოს ჩაცმა აღარ მინდა.

ასე იყო თუ ისე, ყველანი შეგვევით ვანო ირემიძის სიკვდილს. მასზე ლაპარაკი და ვიშივიში თანდათან ჩაცხრა და ჩვეულებრივ ცხოვრებას მივეციით თავი. ახლა რაღაც საეჭვოდ გატრუნულეები იმასლა ველოდით, უკანასკნელ პატივს როდის დაგვებდით და, ლად, ვიგრძენი, რომ ეს მოლოდინი ცოტათი თითქოს ჭიანჭურდებოდა. მეც და ალბათ სხვასაც თვალწინ გვედგა ცამეტ-სართულიანი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოსთან შეყრილი საზოგადოება. სამ-

გლოვიარო მუსიკა გაზაფხულის ნახსენებების სეველით ავსებს. ჭგუფ-ჭგუფად გაფანტულან გამოსათხოვრად მოსული ხალხი და ქალაქის ახალ კორებს ფქვავენ. მერე დგება ვაცილების დღე. სხვასთან ერთად თავდადებული მივაცილებ კუბოს და ვცდილობ უკანასკნელად რაიმეთი გამოვიჩინო ზრუნვა განსვენებულისადმი.

ერთი სიტყვით, ვანო ირემამე სიკვდილამდე გამოვიგლოვეთ და ახლა მის სიკვდილს ველოდით, არ გავიკვირდეს და, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად. ვანოს სიკვდილს თითქოს რაღაცით უნდა შეეცვალა ჩვენი ერთფეროვანი ცხოვრება და რამდენიმე დღით საინტერესოც უნდა გაეხადა.

ღმერთო ნუ შეგცოდავ და ასეთი შეგარძნება მქონდა. მარტო მე კი არა, აშკარად ვატყობდი, სხვას ჩემზე მეტად ჰქონდა იგი და ხანდახან დამალვას ვერც კი ახერხებდნენ. დღით სამსახურში რომ მოვიდოდნენ და ვანოს ამბავს იკითხავდნენ, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მისი სიკვდილი ეჩქარებოდათ. იწურებოდა მომაკვდავის დღეები... იცი რა მოხდა? ახლა იწყება მთავარი ამბავი, რამაც მე გამოაცა... აბა კარგად მომისმინე, ლად.

ერთ დღეს სამსახურში წასვლისას (არ ვიცი რამ ჩამიჭედა თავში ასეთი აზრი, იქნებ იმან, რომ აღრე იულიამ ნიშნი მომიგო და მისი ვარაუდი უფრო მართალი გამოდგა) გადავწყვიტე, წარმოუდგენელი ჭორი გამეგრეებინა. ერთი სიტყვით, მივედი სამსახურში და თანამშრომლებს ასეთი ამბავი ვაუწყე:

— არავითარი კიბო არ ჰქონია ვანოს. უბრალო ანთება ყოფილა, ექიმებმა რამდენიმე დღეში წამოდგებო.

ეს ახალი, მოულოდნელი უწყება ხომ ყველას უნდა გახარებოდა და ყველას უნდა ერწმუნა კიდევ, მაგრამ შენს მტერს, რაც იქ ამბავი დატრიალდა.

— როგორ და რანაირად, — ყელის ძარღვები უსკდებოდა იულიას, — საიდან მოჭორე ასეთი სისულელე. კაცი გუშინ მომაკვდავი იყო... არ დაიჯეროთ

ხალხო, ეს იდიოტობა, რენტგენის ფირი ჩემი თვლით ვნახე.

— როგორ გეკადრება, ქალო, — გავკვირდი და ჩემს სიტყვაზე დავდექი, — აი ახლა, პირდაპირ იქიდან მოვდივარ. პროფესორები თავზე ედგნენ, ცნობილი ონკოლოგი დიომიდე ყანთარელი...

— ტყუილია, — შეჰკივლა იულიამ, — დიომიდე გუშინ პარიზში გაფრინდა.

— როგორ შეიძლება მომაკვდავ კაცზე ასეთი ხუმრობა! — ცოფსაჰყრის ქსენია.

— იქნებ არ გაფრენილა დიომიდე პარიზში? — ეჭვობს ვილაცა.

— რას მასწავლით მე, — იტყუება იულია, — იმისი და ჩემი მეზობელია და ყველაფერი ვიცი. ეგ თუ მართალი არ გამოდგა, გალანძღვის ღირსი ხარ, ახლავე დაერეკავ.

— ალბათ სწორად ვერ გაიგო კაცმა. — შევებრალებ ვილაცას.

მე ხმას აღარ ვიღებდი. ვუსმენდი მათ კამათს, თვითულს სახეზე ვაკვირდებოდი და უცებ ასეთი რამ მომიჭევენა. თითქოს ყველას სწყინდა, რომ მოლოდინი უნდა გაცრუებოდათ. ისინი ხომ უკვე შეგეუვნენ ადამიანის სიკვდილს, ელოდნენ, უკვე განწყობილნი იყვნენ ვანოს სიკვდილისთვის, რომელიც მათ ერთფეროვან ცხოვრებას რამდენიმე დღით გარდაქმნიდა. და აი, დახეთ სასწაულს! ვანო ირემამე აღარ უნდა მოკვდეს, ეს როგორ, რანაირად?

თვით მეც იმ წუთს ჩემი თავი დავიკტირე. ერთი წამით ვირწმუნე ჩემი ტყუილი და თითქოს გულში მწყინდა, რომ მოლოდინი მიცრუვდებოდა. გველის ფხაში ძვრებოდნენ, რომ ჩემი ნათქვამი დაეზუსტებინათ და იმავე დღეს კიდევ დააზუსტეს. ჩემი მიტანილი ამბავი ჭორი გამოდგა. უნდა გენახათ რა დამცინავად მიყურებდნენ.

— აბა, მიდი და ახსენი, ლად, რათ მოხდა ასე, ან რათ არის ადამიანი ესოდენ რთული?

სოლომონ დავუჩანაშვილი  
სმვდის ბადი



სამიოდე დღის შემდეგ ვანო ირემაძე მიიკვალა. თავისი წილი პატივი ყველამ მიაგო. მისმა უახლოესმა მეგობრებმა საფლავზე ის სიტყვები წარმოთქვეს, რასაც სუფრაზე ეუბნებოდნენ ხოლმე ვანოს და დაიშალნენ.

ჩვენი გამომცემლობა თითქოს იმ დღიდან დაყრუვდა. აღარ იყო ის უკანასკნელი მოპიკანი, ვინც თავისი დროშის ქვეშ აერთიანებდა სუფრისა და სიტყვის რაინდებს. დაცალკევდნენ და თავიანთ ნაქუქში ჩაიკეტნენ.

გავიდა ერთი წელი, ორი, სამი... მაგრამ ვანო ირემაძე აღარავის გახსენებია. ერთხელაც არ შეყრილან მისი ღვიძლი მეგობრები მის მოსახსენიებლად სევდის ბაღში. ერთხელაც არ დაუკვეთიათ მის პატივსაცემად მუსიკოსებისთვის „გრენადა“, ანდა «ПИСЬМО К МАТЕРИ». იმ ცოდვილს კი ეგონა, რომ

სიკვდილის შემდეგ თავისი თანამეგობრები ისევე მოიგონებდნენ, როგორც სხვა წინაპრებს. რომ სუფრაზე დადებული ფიცის ერთგულები იქნებოდნენ, მაგრამ სუფრა სხვაა, ცხოვრება სხვაა. თვით უახლოესი მეგობრებიც კი ერთხელაც არ მისულან და ჭიქა ღვინო არ წაუქცევიათ მის საფლავზე.

აი, ამიტომ ვამბობ, ლად, რომ ერთადერთი, რითაც ადამიანს შეუძლია თავისი არსებობა გაამართლოს, ეს შრომაა, რაიმეს შექმნა... სხვა ყველაფერი და, მით უფრო სუფრაზე დადებული ფიცი, ტყუილია და იმ ღვინოსავით მალე გაქრება...

მწყემსების დანატოვარ ქოხში, სადაც მონადირეები ღამეს ათევდნენ, ცეცხლი უკვე ინავლებოდა. უკუნი სიბნელე დასწოლოდა დედამიწას. გარეთ დინჯი წვიმის ხმა ისმოდა.





## მე, ყორანა და „შაჰარულა“

ნოდრის წყლის პირზე ცხვრის სადგომ არჩახებთან ცეცხლის კვამლი ცაში მიიზღაზნებოდა. კიბალაზე ჩამოკიდებულ შავყურთან სპილენძის ქვაბიდან ჭედილას ხორცის ოსშივარი ამოდიოდა.

საჯში თაბახში მოზელოლი პური ცხვებოდა. შევნაბად წამოხურული მწყემსი ყორანა პურ-მარილისთვის ეშხადებოდა. ყორანას სიხარულისაგან თვალებიდან ცეცხლები ცვიოდა. ნაპერწყმებს კი მე ვიჭერდი ციცინათელევიით.

მწყემსის თავჩობანი ქვაკაცა თავის სარქალს, ნაღებს ეუბნებოდა:

— მაიყვა დედა ცხვარი, ჩავაგდოთ კორაკანაში, მიუგდოთ ბატკანი და შავათვისოთ. აბა ისეთ თამამ სალ ბატკანს გაზრდა ხომ უნდა! — სარქალმა მწყემსს პეპანას გასძახა:

— შევნაბადავ! მაიყვა დედა ცხვარი! მააყოლე ტყუპის ცალიც! დავიწყოთ შათისება! — დედა ცხვარი, რომელსაც ერთი ბატკანი მოეგო, ჩააგდეს კორაკანაში. მოიყვანეს პატარა თვალბედაცეცებული ბატკანი და მიუგდეს ცხვარს. ბატკანი ფეხზე წამოღდა და ძიძუ გამოწოვა. ვიყვირე გახარებულმა:

— ნახე როგორ უცებ გამოწოვა?! რა ჯანიანი და თამამია, თითქოს დიდი ხნის დაბადებულია, აკი უძნელდებაო დედა ცხვარს სხვა დედის დაბადებულ ბატკანს შეთვისება?!.

— ხან ძალიან ჭირს ხოლმე, ხან კი უცებ შეეთვისება. — მპასუხობს ქვაკაცა. მე და მწყემსი ყორანა დავდივართ ცხვრის ხანხალებს შორის არჩახებში. ყორანა მიხსნის:

— ცხვრები ხანხალეებში დახარისხებულია, აი ეს ყოჩებია! —

შევხედე ყოჩებს და ჩუმად ჩავილაპარაკე:

— რა მამაკაცებივით იბრიქებიან.

ყორანა მპასუხობს:

— ყოჩები, მამაკაცებზე თამამები და ძლიერები, რატომ არ გაიბრიქებიან! იმათ ხომ ხედავ? ისინი დედა ცხვრებია...

შევხედე დედა ცხვრებს და აღტაცებულმა ვთქვი:

— რა ლამაზებია?! ..

— შენსავით, — მპასუხობს ყორანა, — ყველა ერთმანეთზე უკეთესებია, ქალავ, ნელა იარე ვინძლო რამეს ფეხი არ წამოკრა, — თან უღვაშებში ჩაიღირდილა, — რავე... ქალი ხო გქვია და... ხელში ასაყვანი არ გახდე — ეს ბერწი ცხვრებია, ურწან ცხენებივით. იქ გვერდით კი ბებერი ცხვრებია — ჩემსავით? — ვეკითხები და ვიცინი.

— შენ, რამ დაგაბერა, ქალავ?! — გულს მიკეთებს ყორანა, — ისე დააბიჯებ ლამის მიწა ჩახერგო, ისე მიყურებ თვალეებში, ლამის თვალეები თვალეებით გამომთხარო. აი იმათ გვერდში ხანხალეებში ჭედილაა.

ჩავიარეთ ჭედილეებში. ვუყურებდით

ერთად მე და ყორანა, ყორანა მე შემომხედავდა, მე შევხედავდი და ვახსენებდი, რომ ვხვდებოდი მოჭარბებულ მზერას.

— ეს კი ამდენი რაღაა. ჯერ დოლო რომ არ დაწყებულა? — ვკითხე ვაკვირვებულმა და თან შევხედე ყორანივით შავ თვალებში.

— ეს ქალავ, დოლამდე შაპარულათი მოგებული ნაბიჭვრებია, დღეს ერთმა დედალმა ცხვარმა შაპარულათი სამი ტყუპი მაიგო. იცი რა არის შაპარულა? დედა ცხვრებში ყოჩების გაპარვა და დარევაა... დოლამდე ნადრევე ნაყოფს კი ნაბიჭვარი ჰქვია. ასეა ჩვენთან მწყემსებში...

ვიღივები და ვაპარებ თვალს „შაპარულას“ ნაბიჭვრებს და ყორანას.

— დღეს სამი ტყუპის ნაბიჭვრების დაბადების დღეა, პურ-მარილი იმითეინ ეწყობა, ეხლა რომ შათვისეს, ის ბატკანი იმ სამი ტყუპის ცალი იყო, ცხვარს ორი ძუძუ აქვს, მესამეს დედა ცხვარი ძუძუს ვერ აწოვებდა, ამიტომ სხვა დედა ცხვარს შათვისეს, რადგან ბატკანს ძუძუ და გაზრდა უნდა!

— ქალაუ!.. — მეძახის ბინის ყურის მგდებელი და პურის მცობელი ხაბაზი — მოდი ყველაფერი რომ გაინტერესებს, ნახე გუდის ყველის ამოყვანა.

ყორანა მომყვება, თან მეუბნება: —

— მარტო ვერ გაგიშვებ აქ მწყემსი ჯანავერებიც არიან, ჯანავეარი ცხვრის ქურდი მწყემსია. ეგებ თეთრ ცხვრებში ავრიოს და მაგიტაცოს —

მე კი მეცინება, ყორანას ვეკითხები:

— შენ ცოლი არა გყავს, ყორანა? —

— მყავდა, მაგრამ მამიკვდა, შენ განა ქმარი გყავს, ქალავ?!.. — ყორანა ბასუხს ელოდება.

— მეც მამიკვდა, მაშა!.. — მართალს ვეუბნები. ყორანას გავლიმა და ერთი ბედისა შეგვირიღვართო, გახარებულმა თქვა. ავრძელებს ლაპარაკს.

— მწყემსმა დოლის დაწყებამდე უნდა შაირთოს ცოლი, თორემა მერე პირის გასაპარსად და დასაბანად კი არა,

ცოლთან დასაწოლად აღარა სცალიათან გაიღიმა და გაწითლდა.

მე ვითომ არაფერი არ გამიგია და არ დამინახავს. მოვედით ხაბაზთან. ხაბაზს ხამუშას ეძახდნენ.

— სანამ ბატკანი ბალახს მოიძოვს, კუჭში აქვს კვეთი, — მიხსნის ხამუშა — რახან ბალახის გემოს გაიგებს, ბატკნის კუჭში კვეთი წყალდება, ყველის კვეთის დედისთვის ახლად დაბადებული ბატკანი იკვლება, კუჭიდან კვეთი ამოედება, კვეთის მაჭიკში მარილი უნდა ჩაყარო და მზეზე დაკიდო, როცა გახმება, უნდა ქილაში დააღობო.

შევყურებდი და ვუსმენდი. ხამუშას ყორანამ ლაპარაკი შეაწყვეტინა, თითონ გაავრძელა. იეჭვიანა, ... მაშა!..

— იმ ქილაში ასხია წყალი, გარეულია შიგ შაბი, ტყემალი, ხორბალი, ან შინდის კერკი, სიმყავის გამოსაყოფად. მე შენ გასწავლი ყველაფერს, შენი ხელით დაგახსმევიანებ რძეს, შენი ხელით გაგაწყურინებ ყველს, შენ თითონ ჩაღებ გაჭირდ მიწაში ტოპრაკით ყველს და დაფარებ ქუჩს. ეხლა კი გახსენ გუდა და შენი ხელით ამაილე ყველი. შენ კარგი ხელისა ხარ, ამოხვალ და შაპარულათი მატებაა ცხვარში. სუფრა კარგი ხელით გაგვიწყვევი, ხომ ხედავ ქალის ხელი რომ მამნატრებია — ყორანა ისე მიყურებდა, კინალამ შემეშინდა.

— ქალავ, რას ჰქანკალე, შავცივდა თუ ჩემი შავეშინდა? — მეუბნება ყორანა და თავის შავ ნაბადს მახუთრავს. — წამო, ეხლა ძალღები გაჩვენო, თან ხორცს მაწვდის და მეუბნება: — ეს ძალღის ჯერია...

მე და ყორანა ძალღებისკენ მივდივართ. წამოწოლილი ძალღები, ჩვენ დანახვაზე დგებიან, ხორცი მივუგდეთ და ესევინან.

— ქალავ! ამ წითელ ძალღს აღია ჰქვია, ეს ასანაა, უბედური ავი ძალღია, ეს ფარეხაა — ძალიან ჰკვიანია, ეს ბოთიაა, ვითომ ბოთია, მაგრამ ქვეშეკვეშა და სწრაფია. ეს ძალღი კი ხედავ რანაი-



რია? — ყორანამ ძაღლს ყურში ხელი ჩასჭიდა და ჩემსკენ მოახედა.

— ვხედავ, ყორანა! რა დაკობილია, შენა გვავს! ყორანა იღიმება — მაიგივე სიტყვაში, ცხვარს რომ შავადარე?!. მე მუსასთან რა ვარ! . .

ამას არ გამოეპარება მოსხლეტვა, არ გაახარებს არც ერთ ჯანვარას. მოსხლეტვა, ქალავ, ცხვრის გაპარვაა. ამ ალავას მარტო ჩვენ არა ვართ. ყველას თავისი მიჯნა აქვს.

— მერე ცხვარი არ გერევათ ერთმანეთში? — ვეკითხები ყორანას და შევყურებ ლამაზ თვალეზში.

— გვერევა მაში! მაგრამ ყველა ცხვარს თავისი ნიშანი აქვს, რასაცა ჰქვია სერი. ისეთივე სერი ეგების მომიჯნავესაც ჰქონდეს, მაგრამ მწყემსს ისეთი ჰაზრბინი თვალი აქვს, ცნობს თავისას და სხვისასაც, თვალეზს რას აცეცებ, ქალავ, მაგეწონე თუ შავეწინდა — ვითომ აქაც არაფერი. მაგრამ მე ორივე მჭირდა.

— ყორანა! — ვუთხარი — შენ ფხიზელი თვალი გქონია! — ყორანა გაწითლდა, შერცხვა. მე და ყორანა ანთებულ ცეცხლთან დავჯექით. ცხვრის ტყავი მომაწოდა: — აჰა, ამაზე დაჯექ, მიწამ არ დაგცადოს, თორემ მიწას მუჭით მოვფშვნი და ავატირებ!

— დოლი როდის დაიწყება, ყორანა? — უცებ შეშინებულ კრავივით მივაყარე შეკითხვები.

— თებერვალში. — მპასუხობს ყორანა, — როცა ცაზე გამოჩნდება ვარსკვლავი, რომელსაცა ჰქვია მრავალი. მაშინ დაიწყება ნერბვა. მერე კი იგებს ბატკანს, იწყება დოლი. ერთი დედალი ცხვარი ერთ ბატკანს ბადებს, ხან ორს, სამს კი — ძალიან იშვიათად დოლი ჩაივლის და იწყება გასართვლა. ბატკანს აურევთ დედებთან ცხვარში, სართვლს ვეძახით, ცხვარი თავის ბატკანს ხმაზე დასუნზე რომ იცნობს. შევხედე, პეპანა და ნალება ცხვრებს როგორ ითვლიდნენ. პეპანამ ოცამდე გადაითვალა, ნალებამ ჯოხი ჩასერა, პეპანამ ისევ ოცი გადაითვალა, და

ასე ყოველ ოცზე ნალება ჯოხს სერავდა. მერე ჯოხზე ჩასერილი სერებით ცხვრის რაოდენობა დათვალა, ცხვარი არ მოსხლეტილათ და ერთმანეთს გახარებულ-ებმა შეხედეს.

მწყემსებმა ცეცხლთან თავი მოიყარეს. მწყემსების თავჩობანმა ქვაკაცამ თქვა სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს შაპარულას ნაბიჭვრებს, ეგრეთი მომგებიანი დოლი გექონოდეს! — მწყემსები იცინოდნენ. დალიე, ქალავ! შენთან ვარ ალავერდს! — მე ჩამოვართვი ღვინის ჭიქა ქვაკაცას და ვთქვი:

— იახშიოლლ, — იმრავლოს შაპარულას ნაბიჭვრებმა-მეთქი! —

შავნაბადა მწყემსებმა სიცილი დამაყარეს, მეც ვიციხოდი. ყორანამ აიღო ღვინის ჭიქა და მითხრა:

— ქალავ, მწყემსის ცოლობა არ გინდა? ნახე რამხელა გზა არის ფეხით სავალი. რამდენი რამე დამრჩა მოსაყოლი. განა მატარებელში ჯობია საქორწინო მოგზაურობა? მანგლისს ფეხით გადავატარებ. იქ წყალი შეგეხედება ალგეთის, პირს დაგბან — მწყემსები ისე გაჩუმდნენ, მარტო ცხვრების ხმა ისმოდა — მერე დიდი ქვა არის აყუდებული სოფელ ნეხვიანში, სადაც ეხლა სოფელი აილაა. იქ გრანიცაა საქართველოსი და სასომხეთის, იქ ჭოჭიანი ალაგია, ქაობი არის, ხელში ავტირებ, ფეხი არ გაგესვაროს, გორხანაზე ფეხით არ გატარებ. გორხანი მსხვილი ქვა არის და ფეხები გეტკინება, გორხანს რომ გავეცლებით, ტბა არის ფარავანი. ტბაში ჩაგახედებ, ჯანდიც რომ იდგეს, გაანათებდი ისეთი თეთრი ხარ! ტბაში ჩაგადგებ და მეც თან ჩამოგყვები. აბა და . . . წყალში სად წამიხვალ, მერე სოფლებს ფეხით გაგატარებ, ჩაშკა, ასპარა, ეშტაუ, ყაურმა, ჯიგრაშენი, ბაღდანოვკა, მერე არის დიდი და პატარა ხანჩალო, კატნატური, მერე მთები, ქალავ, და იქ დაგემალები. რომ შეგაშინო და ავატირო. თითონ რომ შემეხვეწო, ცო-

ლავარა კვანახალიანი  
მე, ყორანა და „შაპარულა“



ლად წამიყვანეო. ცხვრის საძოვრებთან დიდ ხევში წყლის გვერდზე წამოვწვევებით, იმითვინა რომ იქ ოსმალოს გრანიცაა და ზაკრაშენიაა... — გაჩუმდა ყორანა. აქამდე სმენად ქვეულმა მწყემსებმა კი სიცილი დააყარეს; აროხროხნა ნაღება.

— ამ ქალს ამ გზაზე მარტოს უვლია, არ შაშინებია და არც უტირია, შენ რას ემუქრები ავატირებო, ზაკრაშენიაზეც გადაგეყვანა რაა... სადღაც მოფარებულში წაგეყვანა, შენც ნატვრა ვაქცა-ცურ ოცნებად შაგრჩებოდა, მაგას კი გაუხარდებოდა. ნახე როგორ გისმენდა, ხმა არ ამოუღია, არ გაბრაზებულა, არც შარცხვენია! — ქვაკაცამ სიტყვა გააწყვეტინა.

— ხმას როგორ ამიღებდა იმდენი ატარა დაღალა, აქაც და ნატვრაშიაც, ამ ქალს ცხვარი როგორ ყვარებია, შაპარულას ისე უსმენდა ყურებზე ხელე-ბი არ აუფარებია, რა მოხდა... შაპარულა ყოჩების დედა ცხვარში გაპარვია, გამრავლებია... ბარაქა... ნაღებამ შემომხედა, ჰიქა, ჰიქაზე მიმიჭახუნა.

— ქალავ, შენი ცოლობისა რა მოგახსენო, ისე ჯიქურ იყურები, მაგრამ შენგან კარგი მწყემსი კი დადგებოდა.

მე გამეცინა, ყორანას ეწყინა, არ დაუჯეროვო თვალით მანიშნა, მეც პასუხად ღიმილი არ დამიშურებია.

პეპანამ სიმღერა წამოიწყო, ყველა ხმა შეაშველა. მღეროდნენ:

— საჯის პური მიჭამია, ცივ მიწაზე მძინებია, ღამის თევით რომ დავლილვარ, ქვაზე თავი დამიდვია, დავლილვარ და წამომდგარვარ, ფიქრი ჯოხისთვის მითქვია...

ძაღლების ყეფამ სიმღერა შეაწყვეტინა მწყემსებს. ყურები დაცქვიტეს. ქვაკაცამ თქვა:

— ყორანას მუსა ტყუილად არ იყევებდა, ალბათ რაღაც მოხდა! —

გავიქვეით და რას ვხედავთ! ყოჩები მოსხლეთილან და დედა ცხვრებში შეპარულან! მე დავიძახე:

— ბიჭებო! დოლამდე თქვენი ცხვრები „შაპარულათი“ თუ გამრავლდნენ, დოღზე ბატკნები საღდა დაგეტევათ!

ყველამ გაიცინა, ძაღლები ყეფდნენ, ცხვრები ხმაურობდნენ, აშოტილი ყორანა თავზე წამომდგომოდა, შავი ნაბადი გაეშალა და შავ ყორანასავით ზემოდან დამძახოდა:

— ქალავ! ოღონდ ცხვრებმა დოღზე შაპარულას ნაბიჭვრებივით სამ-სამი მაიგონ და მიწაზე თუ არ დაეტევა გულში ჩავისვამ. შენ არ გცოდნია, მწყემსის გული რომ ჩემსავით ყველას სიყვარულს დაიტევს! —

ნისლი იყო ჩამომდგარი ნოდრის პირზე, მაგრამ შეენაბადა ყორანას მზე ღრუბლებიდან ძალით გამოჰყავდა.





# ბოროტია ყი\*

რომელი ჰქადაგებ არა პარეასა, იპარაჲ?  
რომელი იტყვ არა მრუშებასა, იმრუშებ? რო-  
მელსა გძაგან კერპნი, საკურთხეველთა სძარ-  
ცუაჲ?

ეპისტოლენი პავლესნი

1

ძველი ნათქვამია, მოგზაურობა ფათე-  
რაკიო, არც არად ივარგებს მოგზაურო-  
ბა უფათერაკოდო.

მოგზაურობა შთაბეჭდილებათ, ძვე-  
ლივე ნათქვამია, ფათერაკები რალად  
უნდა მოგზაურობასა, როცა ყველა თუ  
ყველაფერი შთაბეჭდილებით აღავსებს  
ადამიანსაო.

ფიქრთ გასართველია მოგზაურობათ,  
ძველია ესეცა, არგებს სულსა, მერე  
ხორცსაო ან ჭერ ხორცსა მერე სულსაო,  
სულერთია, ფიქრთ გასართველიათ.

მოგზაურობა საქმეათ, ძველივეა, მო-  
გზაურობა მიზანიათ, ძველია, ძველი,  
ძველადვე განბჭობილი, ძველთაგანვე  
შეუთანხმებელი: კაცია და გუნებათ, ვი-  
საც როგორცა ჰგონებია, ისეც უთქვამს.  
ისეც უმოძრავია ამ ცოდომადლით აღე-  
სებულ წუთისოფელშია. წუთისოფელს  
თავისი გზით უვლიათ. ერთ ჰკუთხებ უე-  
ლიათ თუ დაბრუნებულათ ერთ ჰკუთხებდა,  
ოღონდ ერთი ჰკუთხისანი არ აპყოლიან  
წუთისოფელსა, სადავოც ამისგანა ყო-  
ფილა, შეხლა-შემოხლაცა, სისხლის წვი-  
მებიც ამასვე მოჰყოლიათ. თუმცა აქ სასი-  
სხლო არაფერია, — აქ სადაოისად ითქ-  
მის, თორემ ისე ფათერაკი მაშ რის

ფათერაკი იქნება, ცოტათი მაინც თუ არ  
გამოუშვა სისხლით, — აქ მხოლოდ სა-  
დავოა და არც სადავოა, რახან კაცია  
და გუნებათ, რა ხელი აქვს დავასა, რა-  
საც ინებებს, იმას აირჩევს, ფათერაკს  
ინებებს თუ ფიქრთა გართვასა, ნება მი-  
სია, ოღონდ ვინ უწყის რას გადაეყაროს  
ფიქრთ გასართველად გამოსული წყა-  
როს პირადა ან არც არაფერს შეეფეთოს  
გზაზედა. ვინ იცის, ვინ უწყის!..

მაინც ბევრგვარი მოგზაურობა ყო-  
ფილა, მოგზაურნიც ყოფილან მრავალ-  
ნაირი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენე-  
ბიც მოგზაურობის ქინს მოჰყოლიათ, კოს-  
მოსში გაჰრაცა, მოგზაურობა ყოფილა  
ყველაფერი.

ნიკუშას ამბავიც მოგზაურობათ, აი ეს  
ამბავი, ახლა რომ მოგიხრობთ, ძველი-  
ცაა, თუმცა ისე ძველიც არა, დიდ აღ-  
მოჩენებთან რომ მოიხსენიებოდეს,  
ვთქვათ კოლუმბთანა თუ ვასკო დეგა-  
მასთანა, არა, ისე ძველიც არა, თანაც იმ-  
დენიც არ გაეგებოდა, მოგზაურობა რომ  
დაჰყოლოდა ბეჭადა, არა, არ გაეგებო-  
და თუ არ იცოდა, — კოლუმბმა იცოდა,  
ვასკო დეგამამაც იცოდა, ჭემს კუკმაცა,  
ამან არ იცოდა, არც ის უწყოდა თუ რა  
ყაიდის მოგზაური გამოვიდოდა, მწუხა-  
რე სახის რაინდი თუ ისე უბრალოდ,

\* ბეჭდება საქურნალო ვარიანტი.

სენტიმენტალური მოგზაური, — არა, არ უწყოდა, არ გაეგებოდა თუ ვის რას გადაჰკიდებდა ახირება მისი, თუ სურვილი, სულერთია, ვის რას გადაჰკიდებდა, ეს არ გაეგებოდა, არ უწყოდა, არ უწყოდა. ბევრი რამ არ უწყოდა, ბევრი რამ არ იცოდა, მუსიკა იცოდა, იცოდა და უყვარდა, კმაროდა ტვირთად ერთი კაცისა, მუსიკა იცოდა და ხალხური სიმღერების შეკრება განეზრახა შიდა ქარლშია ეს იყო მხოლოდ, განეზრახა და აღძრულიყო, ხოლო თუ რა გამოვიდოდა აქედან, სწორედაც რომ მოგზაურობა გამოვიდოდა, ან როგორი რა მოგზაურობა გამოვიდოდა, არც ეფიქრა, არც უფიქრია, არც წაჰკამათებია არავისა, ამაზე არ წაჰკამათებია, თორემ ისე, იცოცხლეთ, საკამათოც ბლომად გამოუჩნდა, სადავიდარაბოცა, თავბედიც იწყევლა, გაჩენისა თუ ნათლობის დღეცა, ისიც გაახსენდა, გვიანდა არის თითზე კბენანო. თუმცა არა „თითზე კბენანი“ არ მოაგონდებოდა, მხოლოდ „გვიანდა არის, გვიანდა არის...“ წამოენთებოდა მგრძნობიარე სულსა, არია აღძვროდა ოპერადანა, ანდაზის მაგივრობას ეს გაუწყევდა. ან ასეც იქნებოდა, თითზე იკბენდა და მერეღა იმღერებდა, გვიანდა არისო. რაც იქნებოდა, იქნებოდა, აჰა, მოგიყვებით, მოგიყვებით ფათერაკიან მოგზაურობასა, თუმცა განზრახვა უხეფათო უნდა ყოფილიყო, ხოლო მოგზაური — ალალი ახლავარდა კაცი, წრფელი, სათნო, გულითადი, ზრდილი, მეგობრისათვის ჰოდა ჰო, უცხოთვისაც „თავი ქირსა არ დამრიდალ...“

ჰო ხიფათისა არაფერი ემჩნეოდა განზრახვასა და არც არაფერი წაჰკიდებია თბილისიდან გორამდისა, არაფერი, სულ არაფერი, — მიჩაქჩაქებდა მატარებელი, ოხრავდა, ხრჩოლავდა, ბოლავდა, თუ იდგა, ველარ დაიძვროდა, თუ დაიძვროდა, ველარ მიადწევდა თუ ვინ იცის როდისღა მიადწევდა სადგურიდან სადგურამდისა, მერე რაო, არც არავის უკვირდა, არც ამას უკვირდა. ყოფლ

სადგურზე ემატებოდა მგზავრი, ბევრი ემატებოდა, ცოტა აკლდებოდა, ვიღაც ქალ: ადგილი დაუთმო, ის რომ წავიდეს, სვა დაებატრონა იმა ადგილსა, მერე სხვაი, კიდევაც სხვაი და სხვაი, ეს ალარავის გახსენებია, მადლობაც არავის უთქვამს ამისთვისა, მერე რაო, არ ეუცნაურებოდა არვისა, ამას თუ მაინც ეუცნაურებოდა, რა ვუყოთ მერე, ფათერაკად მაინც არ ითქმოდა. გვერდი თუ გაჰკრეს, კალათებიც თუ გამოსდეს, ეგეც არაფერი, კოსტუმი მაინც მთელი ჩაჰყვა გორამდისა. ვიღაცამ თუ გასცინა, იქვე ვავონში „ალილოზე“ სიტყვარომ ჩამოუვდო, თუ გასცინა, მოგცლია შენცაო, ნეტავი რაღა დროს „ალილოაო“, ეგეც არაფერი, აჰყვებოდა ლიანხსა, მეჩუდას აჰყვებოდა, ბერშოულასა, ფრონეებსა, მტკვარგალმა გავიდოდა საციციანოში, ტანას შეურბენდა, იმდენ „ალილოს“ ჩაიწერდა, გააოცებდა მუსიკალურ სამყაროსა, ლეხურა თუ ქსანი და არაგვი შემოკალთავებულივით ეგულებოდა, თეძამიცა, მთლად ქვემო ქართლიცა, თბილისსქვეითი ქართლიცხადია, ჰოდა ჩაიწერდა კიდევ მრავალსა, ჰოდა გააოცებდა მომეტებულადა, ჰოდა რა აინუნში ჩააგდებდა ვიღაცას ქირქილსა, ჰოდა ხიფათადაც არ ითქმის არაფერი, რამეთუ თუ იყო, რაც იყო, ეს იყო გორამდისა, გორის სადგურამდისა.

სხვანაირად არც იქნებოდა, განზრახვა გახლდათ კეთილშობილი, ყმაწვილკაცი კეთილშობილი, სათნო, ნაზი... ჰო ამას უფრო ქალზე იტყვიან, ოღონდ მუსიკოსზეც იტყვიან ხოლმე, დახვეწა იცის მუსიკამა, არაოდენ დახვეწა სულისა, სხეულის დახვეწაცა სცოდნია, ჰოდა არც არას გადაჰყრია, არც არას ელოდა, არა, რაღა თქმა უნდა არა, ფათერაკისას მოგახსენებთ, თორემ სიმღერას ბევრს ელოდა, მელოდიას ბევრსა, ჯერ მიუგნებსა, აღმოუჩენსა. ელოდა და მიეშურებოდა, ისერიგად მიეშურებოდა, არც დახსომებია სადგური გორისა, არც ის დახსომებია თუ ვისა ჰკითხა ეტლი სად



იქნებო, არც ისა, ეტლამდის ვინ მიაცი-  
ლა, თუ ვინ ჩაუჭდა სადგურიდან გორის  
ციხემდისა, ასე გასინჯეთ, ციხეც როდი  
დახსომებია ან არც შეუხედავს ან ისე  
გდაუტურებია თვალი, ბაზარზედაცა,  
ხალხზედაცა, ერთის სიტყვითა, ყველასა  
და ყველაფერზედა, არც რა უხილავს,  
არც რა დახსომებია, ისე მიეშურებოდა,  
ისეთი რამ ამოეჭრა გულში.

რაც ამოეჭრა, ჰო ითქვა უკვე, აჩქა-  
რებითაც ასე ამგვარად აჩქარებულყო,  
თუმცა მოჰყოლოდა სინანულიცა, სინა-  
ნული გიორგი ყანჩაველისა, სახელგან-  
თქმული კომპოზიტორისა, მასწავლებე-  
ლისა, თავისი მასწავლებლისა რაღა  
თქმა უნდა, — რამდენიმე წლის წინათ  
თუ გაემგზავრებოდი, გორშიც ბევრი  
გიწინამძღვრებდნენო, დიდებულადაც  
გიწინამძღვრებდნენო, ანასტასია ერის-  
თავ-ხოშტარიასო, სოფრომ მგალობლი-  
შვილიო, ნიკო ლომოურისო, სხვაც ბევ-  
რი და მრავალნი, რომელთაგან ზოგი  
გარდაცვლილა, ზოგი მიწისძვრას აუყ-  
რია, ზოგიც თბილისსა თუ ვინ უწყის  
სად რას შეჰკედლებიაო, — ეს სინანუ-  
ლი გამოჰყოლოდა, ჰო მამ რაო, აქვე  
ერჩივნა მასპინძელიცა, წინამძღოლიცა,  
თანამგზავრიცა, მაგრამ ეგეც არაფე-  
რიო, მიჩაქჩაქებდნენ ცხენები, არ მიპ-  
ქროდნენ, მიჩაქჩაქებდნენ, მაინც მია-  
ტანდნენ მასპინძლამდისა, გორის იქი-  
თა, კარგა დაშორებითა, მერე რაო, მა-  
ინც მიატანდნენ, დღესვეო, ფიქრი არაა,  
დღესვეო, აიმედებდა მეეტლეცა, აქეთ  
ამას აიმედებდა, იქით დაუწრუბუნებდა  
მოჩაქჩაქე ცხენებსა, ისე უგერგილოდ  
დაუწრუბუნებდა, წესისამებრა, ჩვეუ-  
ლებისამებრა, თორემ არც აქეზებდა  
ცხენებსა, არც ისინი შეიპარტყუნებ-  
დნენ ყურებსა. ამას მაინც მოთმინება არა  
ჰყოფნიდა, მაინც ითმენდა, მაინც წა-  
მოსცდებოდა კრძალვითა, გაუბედავად.  
მხოლოდ კითხვად წამოსცდებოდა, ცო-  
ტა მეტად ვერ აჩქარდებიანო. და კით-  
ხვითვე მიუგებდა მეეტლეცა, თუ გაგი-  
გია ამ კვირია, ჩანახი ქერი როგორ იყი-  
დებოდაო, მიუგებდა და დაუწრუბუნებ-

და ისევე, აქეთაც დაუწრუბუნებდა, იქ-  
ითაც დაუწრუბუნებდა, ცხენები მაინც  
არ შეიბერტყავდნენ ყურებსა, ამისი რ-  
გითხრათ, როცა არ გაეგონა თუ რა ფა-  
სი დასდებოდა ერთ ჩანახ ქერსა. მხო-  
ლოდ სიმღერის ფასი იცოდა, ღირსება  
იცოდა, სიდიადე იცოდა მელოდიისა,  
ბაზრისა არა, არაფერი გაეგებოდა,  
ვერც მიუგებდა, უნდა ეჩაქჩაქა, ეჩაქ-  
ჩაქა, რახან ვერ მიუგებდა, მამ რაო, თუ  
კიდევ იკითხავდა, შეეკითხებოდა მეეტ-  
ლეცა, ბევრად უარესს შეეკითხებოდა,  
ვერც ვერას მიუგებდა, ცხენებიც არ აუ-  
ჩქარებდნენ ფეხსა, თუმცა უწრუბუნებ-  
და მეეტლევი, ერთობოდა თუ მღეროდა  
ისიცა როგორღაც ანაირადა.

ჰოდა მიჩაქჩაქებდნენ ცხენები, მიჯაყ-  
ჯაყებდა ეტლი, მისდევდა მტვერი, მტვე-  
რი ავვისტოსი, ბულიანი ავვისტოსი.  
ჯერ თვით გორიდანვე აეკიდა მტვერი,  
ერთადერთი მოკირწყლული ქუჩიდანვე  
აეკიდა, იმატა და იმატა ქალაქის მოუ-  
კირწყლავ ქუჩებშია, ქალაქშივე იმატა,  
ხოლო სოფლის გზებზე ჰო აღარც გამო-  
ირჩეოდა, რა მიდიოდა თუ რა მიჩაქჩა-  
ქებდა, მტვერი მიგორავდა დიდი, ამშუ-  
ლი კუდითა, ბორიაცი მიგორავდა,  
მკვრივი თვალგაუფალი, გულში მკვრივი,  
მოგუდული, ამოქედილი, მერე აგრაგნი-  
ლი, ამოხვეული, ნასკვამოცლილი, მერე  
გაწეწილი, მერე და მერე გაწეწილი და  
აბრტყვილებული მზეზედა. კაი გასაძ-  
ლისი გახლდათ, ფათერაკი თუ არა, სახი-  
ფათო რამ მაინც გამოდიოდა, სუნთქვა  
ჭირდა, თვალის გახელაც ვეღარა ხერხ-  
დებოდა, მტვრით ამოვესო ყელ-კისერი  
თუ ზიბე-უბევი, მთლად მტვრად იქცა,  
მტვრის გორგალადა. შეხანხალეა არასა  
შველოდა, მტვერი არ დაცვივოდა შეხან-  
ხალებითა, თითქოს გუნდა იყო, მთიდან  
დაგორებულნი გუნდა თოვლისა, უფრო-  
დაუფრო რომ აღივსება, გადიდდება, გა-  
იბერება, მუქისოდენა მთისოდენად რომ  
აღიმართება ტაფობზედა. ამასაც ივივეს

ოთარ ჩხეიძე  
ბორიანი



თუ უქადოდა მტვერი, ბორიაცი უქადოდა იგივესა, მთისოდენად თუ გააფუცებდა, ვიდრე მიაღწევდა ხევთისამდისა. ასე იქნებოდა თუ არ აჩქარდებოდა ეტლი, ასე ნირუშულელად თუ იჩაქჩაქებდნენ ცხენები, ასე უგერგილოდა თუ ძარღვების ამშლელად თუ იწრუპუნებდა მეეტლეი, ასეც იქნებოდა და ასედაც იყავ, რამეთუ ვერ ეთქვა, ააჩქარეო, რომ ეთქვა, პირიც ამოეცხებოდა მტვერითა, თანაც მეეტლე ფასსა ჰკითხავდა ქერისასა, ხოლო ამან არ იცოდა თუ რა ღირდა ქერი, ან რა ღირდა, ან რა უნდა ღირებულებიყო, ანუ რის მაქნისი იყო ქერი, როცა ლამის გამომხრევალიყო მტვერშია.

ის მაინც იკითხა, რა სოფელიაო, ხელთუბანს რომ მიატანეს, მაშინ იკითხა. ამის პასუხად მაინც აღარ ელოდა ქერსა, არა, არ ელოდა, თორემ არ იკითხავდა რაღა თქმა უნდა, უნდოდა ხევთისი ყოფილიყო, უნდოდა დახრჩობას გადარჩენილიყო, მეტი არაფერი, მაგრამ მეეტლესაც მხოლოდ ის თუ ეკერა პირზედა, მხოლოდ ის ეკერა და იგივე მიაფრქვია მტვერთან ერთად, თუ იცი რა ღირდა ჩანახი ქერი ამ კვირიანო. გაცხარდა მგზავრი, ო, როგორ გაეცხარდა. მაგრამ ვერ გააღო პირი, ვერა, ვერ გააღო, რაღა თევეზი წყალშიო, რაღა კაცი მტვერშიო. ამასობაში გაიარეს ხელთუბანიცა, ის სოფელი, რომლის გახსენებისთანავე ძაგძაგი აუტყდა გიორგი ყანჩაველსა, ძაგძაგი აუტყდა და ვეღარც დაეცხრა კარგახანსა, ვეღარც ენა მოიბრუნა, ძაგძაგებდა ეგრე ენაჩაშეშებულნი. ძაგძაგებდა ბედისწერა თედო რაზიკაშვილისა, ბედისწერა სწორედ ამა სოფლად გამოცხადებული, სახლაურად დიდი ღვაწლისა, უებრო ღვაწლისა. უბადლო ღვაწლისა. თედო ყველას აჯობებდაო, — დამხმაროებს რომ უძებნიდა, ესეც მაშინ ურჩია გიორგიმ, — ზეპირსიტყვიერების უკეთესი გამომხრეკელი არცა გვეყოლია, ხალხურ სიმღერებსა და მელოდიებსაც ყველაზე უკეთ ის გამოგაჩხრეკინებდაო. აგერ აი, —

თითი დაუდო რუკაზედა, გორთან იქვე, ხელთუბანში ცხოვრობდაო, ხელთუბანშიო და ძაგძაგიც აუტყდა.

ადვილად როდი გაიხსენებენ ხელთუბანსა თედოს ბიოგრაფოსებიცა, არც ყველაფერს გაიხსენებენ, უბრალოდ ჩასწერენ, გარდაიცვალაო, ცხოვრობდა და გარდაიცვალაო, ხელთუბანში გარდაიცვალაო. ვაგლახ! გარდაცვალეზაცა თქმულა და გარდაცვალეზაცა, ათნი დაესხნენ ერთსა, ათმა დასცა ერთი, ათი ხანჯლით დასერეს, დახეთქეს ყაშიყაშია და მარილი ჩაყარეს ათ-ათ მუჟადა. ძნელი სათქმელია, არც გაიხსენებენ ბიოგრაფოსები, უთქმელობაც დანაშაულია, რად არ გაიხსენებენ, რა რაღაო მერე, შემზარავი რომ არის, იმიტომა, აუტანელი რომ არის, იმიტომა?! ვაგლახ! კაცის ხელისაგანაა, კაცთა სიშმაგეა, მხილება უნდა კაცთა სიშმაგესა, სიშმაგე თუ სივერავე გაუშხელებელი, საბუღარია ახალ-ახალ სიბოროტეთა. ასე ყოფილა, ჰო ყოფილა ასე... და თუ იკითხავთ, რას ერჩოდნენო, მართლაც რას ერჩოდნენ ფუტკარივით ადამიანსა, რას ერჩოდნენ სოფლის მასწავლებელსა, სახალხო საგანძურის მკვლევარსა და შემგროვებელსა, მწერალსა, მეურნესა, საუკეთესო სანიმუშო მეურნესა, ერთგულ მეზობელსა, სოფლის ქომავსა? დიახაც ქომავსა, სუსტთა ქომავსა სუსტნი დაეფარნა გათავებდებულ ფალელაშვილთაგანა, იმათაც მიეზლოთ მფარველისთვისა, ვენახი აეჩეხათ, ბაღი აეჩეხათ, დაენელებინათ ფუტკარი, რამდენიც დაეფარა, იმდენჯერ მიეზლოთ, რამდენიც გაეხარებინა, იმდენჯერ აეჩეხათ, აეჩეხათ და აეჩეხათ, ბოლოს თვითონაც აეჩეხათ მფარველობისთვისა, მოსარჩლეობისთვისა, ქომავობისთვისა, დიახაც, რომ ქომავობისთვისა! აეჩეხათ ასო-ასოდა, აეჩეხათ და ხმა დაეყარათ, „მტრულ პროპაგანდას ეწეოდო, კასრადის ასაყოლებლად აქეზებდა ახალგაზრდებსაო, ასეო, ისეო, დროზე მოვამორეთო“, ხმაც დაეყარათ და მოწმენიც ემოვნათ, თავიც გამოეხს-





ნათ სასამართლოდანა, ადვილადაც გამოეხსნათ თავი, ოღონდ ბიოგრაფოსები როდილა გაიხსენებენ ადვილად, მით უმეტესად გასძნელებოდა გიორგი ყანჩაველსა, ჯერ მიწაც არ გაციებულოყო, — აგერ აი, ასე ახლოსა გორთანაო.

ჰო ასე ახლოსაო, ხოლო ამას ეგონა, დიდი ხანია მივემგზავრებიო, თუმცა მტვერში აგორებულოყო, აგორებულოყო ბორიყშია, ამასაც თუ მგზავრობა დაერქმეოდა ..

რაც დაერქმეოდა, დაერქმეოდა, დახრჩობას მინც აღარაფერი უკლდა, ფათერაკიც აღარ იქნებოდა ამაზე მეტი, ჰო უარესიც აღარ იქნებოდა და იყვირა მგზავრმა, გააჩერეო, იყვირა და შეშინდა, ემანდ ისევ ქერისა არ მითხრასო.

ქერისა არ უთქვამს, გააჩერა, წრუბუნი შესწყვიტა და დადგნენ ცხენები; ცხენები დადგნენ, მტვერი მინც დიდხანს ეხვიათ, სქელი, გრაგნილი, გაუვალი მტვერი, ეხვიათ და თითქოს გაცლაც აღარა ნებავდა მტვერსა, ჰო თითქოსაო, ოღონდ მინც ნებავდა თუ არ ნებავდა, იფშვინებოდა მინცა, იმსხვრეოდა, იწეწებოდა, ლივლივებდა ზეგზევითა, ზევითვე უნდოდა, დედამიწა აღარ ექაშნიკებოდა ავარდნილსა დედამიწიდანა. მინც დაფინებოდა, მინც დაწკნებოდა. დაწკნებოდა, ოღონდ მანამდის, ჯერ ისევ მტვერში მოგზაურმა ტირიფი შენიშნა, შენიშნა რუცა, რუი მოწანწკარე დამტვერილ ბალახებში, შენიშნა და არც დაიჯერა, ასე ეგონა, მეჩვენებო, მინც მიუახლოვდა, მიეპარა, მიეპარა, წაიხარა უეცრად, წაიხარა და ხელი ატაკა წყალსა, ნამდვილად წყალსა, ნამდვილად შეესხურა წყალი და მერე ისხურა მოჩქარებითა, ისხურა თვალებზედა, ისხურა ყურებზედა, ცოცხალი თუ გადავრჩენილვარ, არ დავბრმავდე მინცა, არ დავეყრუვდე მინცაო. ჰოდა ისხურა, ისხურა, ისხურა, ამოიწმინდა თვალნი და მეტიც იხილა, — თურმე გუბესთან მიმდგარიყო, რუში კაცი ეგდო, მკვდარი თუ ცოცხალი ეგდო ეგრევე, ეგრევე და ეგუბებინა, ეგდო და ჰკინტები ფეხსა-

ცმელებსა ლამის ე ამის ცხვირთან მოეტანა, ან ამას მიეტანა ცხვირი იმის ჰკინტამდისა, მიეტანა და ეგრე ისხურებდა წყალსა, — აი რა იხილა, რა თავზარდამცემი რამ იხილა, რა საოცარი რამ იყო, იქვე რომ არ გაუსკდა გული. გაუსკდებოდა, თავზარი მინც დაეცემოდა, ოღონდ თუ გადარჩა, მხოლოდ იმან გადაარჩინა, მარტო რომ არ გახლდათ, ხოლო იმ მეორესა აინუნშიც რომ არ ჩაუგდია არაფერი, გულვრილად რომ გადახედა იმა ცხედარსა, გულვრილადაც მოარიდა თვალი, ეგება ცხედარიც არ ესვენა, ეგება კუნძი ეგდო, კუნძი, მინამგვანი კაცისა, — ასე თუ იეჭვა, მხოლოდ ამან თუ გადაარჩინა თავზარსა თუ გულის გახეთქვასა.

რაც იყო, იყო, თვითონ გადარჩა და იხსნა ისიცა, არა კუნძი რაღა თქმა უნდა, კაცი იხსნა, კაცი ნამდვილი, იხსნა კაცი და თავი ამოჰყო ფათერაკებში უნებლიედა, გაუგებრად, გაურკვეველად, უცნაურობებში გაიხლართა და ვერც ვერას მიხვდა, მოგზაურობასა სცოდნია ასე ანუ ასეთი მოგზაურნიცა ყოფილან. და ყოფილა ვრცელი სია მოგზაურებისა, მოგზაურობის ხასიათიც ბევრგვარი ყოფილა, ეს ამ ხასიათის მოგზაური გამოდგა, მინც მიეყვრა სიას მოგზაურთა, მიეწება უგრძეს სიასა... ბევრი უშალა მეეტლემა, დაეხსენიო, ძალდი კოჭლობით არ მოკვდებო, სიკეთისათვის სიკეთით ვის გადაუხდიაო, ბევრი უშალა, შეაგონა ბევრი, მაგრამ ვერაფერიც ვერ შეაგონა, — რახან მიხვდა მართლაც კაცი აგდია რუშიო, რახან გაიგო, ჯერ კიდევ სუნთქავსო, უჩვეულო გულმხურვალემა გამოიჩინა, უჩვეულო ძალაც გამოიჩინა, ეტლამდის მიათრია, ჩააწვინა ეტლში და ბრძანა მართლაც მბრძანებელივითა, გარეკეო.

გარეკა მეეტლემაცა ანუ მოზიდა აღვირები, დაუწრუბუნა და წამოიშალა მტვერი, აბორიყდა, წავიდა, გაგორდა ბორიყ-ბორიყითა. ასე იარეს და ივ-

ოთარ ჩხიძე  
ზორიყაი





თითქოს ძმა ყოფილიყო ან მეგობარი ბავშვობისა. მეზავრის ბედი ასეთი ყოფილა, ვილაცას გადაწყრის, ვილაცას გადაჰყიდებს, ფათერაკიც ამითი იწყებოა. მაგრამ ნიკუშა არ მისცემოდა ასეთ ფიქრებსა, არ ეჩვენებოდა არაფერი ავი თუ საშინელი, პირიქით, გახარებულოყო, ხეთერელთან რომ მიეშურებოდა, ხეთერელი ექიმი რომ იყო.

მართლაც მიეშურებოდა, აჩქარდნენ ცხენები შუა სოფელში, თავმომწონედ გაიჭირითეს, ვითომდა რაო, ასეთი რიხით გამოვლიეთ მთელი გზაო, რიხიანადაც ჩაიფრუტუნეს, შეგრიადდნენ ალყაფის კარებში.

II

ალყაფის კარად ითქმოდა ანუ ალყაფის კარი უნდა ყოფილიყო, ცალი კალთა ცალ ანჯამაზელა ეკიდა და გზაზე გადაყარავებულოყო, გელას უშლდა, ურემი ურემს ვერ აუქცევდა, მაინც არავინ ასწორებდა, პატრონიდედის საგინებლად საბაბი რომ არ გამოლოვდათ; მეორე კალთისა ნახევარი აქვე ჩაფშხენათ და ზედ გადადიოდნენ, ნახევარიც ვილაცას წაეღო, სათონესთვის წაეფარებინა. ვალავანიც გადაენჭრიათ, ქვები მოღავებულოყო გზაზეცა, ეზოშიცა. ასწლოვანი კაკლები მიმოეჩნხათ, ზოგისთვის ეგრევე მიეცათ ცეცხლი, იდგნენ გარუჯულნი, გაშავებულნი, დანახშირებულნი. აუზის ამურისათვის თავი მოეპროთ, მოელეწათ მკლავებიცა, ფრთებიცა. ეზოში ეყარა ნალეწები, რა არ ეყარა; ყვავილნარი ალუფხულოყო, გადაჭევილიყო ვარდისა თუ იასამნის ბუჩქები, ტუიის ხეივნისა ნაადგილარიც ველარ მოიძებნებოდა. შელანძლულოყო კარმიდამო ხეთერელებისა, თვით სასახლეც შელანძლულოყო, გამოიყურებოდა როგორღაც ნაცემივითა, ნათეთქევივითა, დარბეულოყო, ფეხქვეშამოდებულოყო.

ამას არაფერი გაჰკვირვებია ან არც შეუშინებია არაფერი, ან რა უნდა გაჰკვირებოდა. როცა არ იცოდა თუ როგორი იყო იქაობა; თუნდაც სცოდნო-

და, არას დაგიდედათ, რამ გააპარტახაო, ამდენ ნაწილად ვერ დაიშლებოდა ამისი ყურადღება, ვერ გასწვდებოდა რამდენიმესა თუ ყველაფერსა, ამჯერად მხოლოდ ექიმი უნდოდა, მეტი არაფერი ახსოვდა, არც მოაგონდებოდა, მერე ექიმს რომ გადაეყრებოდა, ისიც ამოუტივტივდებოდა გონებაში თუ რად უნდოდა ექიმი, ჰო მერელა ამოუტივტივდებოდა ის ფათერაკამოვლილი კაცი, თუმცა გვერდით უჯდა თუ მიჰსვენებოდა, მაინც გადასცილებოდა ხსოვნიდანა, მიჰფარებოდა თვალთავანა. ექიმი უნდოდა, მაგრამ არა სჩანდა ექიმი, სულიერი არა ქაჰანებდა რა ელონა, არ იცოდა ისევ მეეტლე წამოეშველა, გასამხნევებლად არაფერი უთქვამს, ისევე უყმურად შემოატრიალა ცხენები, გარს შემოუარა შელანძლულ სასახლესა და ვიწრო, ძველ საშობალო შესასვლელთან შეაჩერა. შეაჩერა და ყვირილიც მოისმა. ეს უბრალო ყვირილი არ იყო, არც შეიძლება ყვირილი უბრალო რომ იყოს, რაღაცა აყვირებთ, ან ტკივილიაო, ან უხმობენო, ან იმუქრებიანო, — ეს არა ჰგავდა არცა ტკივილისასა, არცა ხმობისასა, მუქარასა ჰგავდა, მუქარა მოიწევდა, სადაცაა ჩამოიჭრებოდა, აცემოდა და აიტაცებდა ეტლსა ცხენიან კაცინადა. თითქოს შეირხა ის ფათერაკამოვლილი თუ სამარის კარს მისულიო, თვალი მაინც არ გაუხელია, თითქოს უფრო მოხუჭა, მოხუჭა ძალდაძალა, მოიბუხა, მიიკუნჭა კუთხეში. აქამდის თუ ვაჟკაცურად მისვენებულოყო, გადამოტირიო დაჭერიო რაინდივითა, ახლა რაღაც საცოდავ, უსასო არსებას დამგვანებოდა. ამას ამდენი არ შეუშინებია, არც მუქარისათვის მიუქცევია ყურადღება, ექიმი უნდოდა, ჯერ ექიმს უნდოდა შეჰხედროდა, სხვა დანარჩენი უცხო რამ იყო, გარეგანი, შორეული, მიუხსადარი.

ექიმი უნდოდა და ექიმი ჩამოეგება, თუმცა ექიმად არ მიუღია, — უბრალო,

ოთარ ნანიძე  
ზორიანიძე



ლურჯი ხალათ-შარვალი ემოსა, ნაბდის ქუდი ეხურა, სახეც გარუჯოდა, ნამდვილი გლეხი გახლდათ, არაფერი შეეძინებოდა განსხვავებული ერთი თვალის დაკვირვითა, მხოლოდ ერთი თვალის დაკვირვითა, თუ ცოტასაც დააკვირდებოდი, კეთილშობილებისა და განსწავლულობის იერი ამოეფინებოდა სახეზე, თვალს თუ გაგისწორებდათ, გონიერებასაც ამოიკითხავდით, მაგრამ არ შეეძლო გასწორება თვალისა, ჭუჭუტავდა თვალებსა, წურავდა, ეგრე გამოიციქირებოდა ვიწრო ზოლად ახლომხედველთა თუ ბეცთა ჩვეულებისამებრ. ჰო, ექიმად არ მიუღია მგზავრსა, მაგრამ ძლივს ვილაც შეეგება და თუ რამე ეთქმოდა, უნდა ეთქვა იმისთვისა, კიდევაც უთხრა:

— ექიმი მინდოდა...

— გახლავართ... — მიუგო მიმგებებელმა.

— ელიზბარ ხეთერელი!

— გახლავართ...

— მე ბატონ გიორგისაგანა ვარ, გიორგი ყანჩაველისაგანა...

ფანჯრებიდან კიდევ მოისმა ყვირილი, სხვა ხმაც მოისმა, დამამშვიდებელი და ცოტა წყრომისაცა.

— გადმობრძანდით!.. — აჩქარდა ექიმი.

— ეს...

— თქვენ გადმობრძანდით, მაგას მე მოვუვლი.

და გადმობრძანდა დამშვიდებული, დაწყნარებული, შეასრულა თავისი მოვალეობა, ექიმს ჩააბარა დაქირალი კაცი, — შეხვდა, წამოიყვანა, გადაარჩინა. მაინცდამაინც ვერაფერი თავგადასავალი იყო, არც ფათერაკსა ჰგავდა, არც დიდი რამ შთაბეჭდილებანი გამოუწვევია, არც აღუძრავს ფიქრები მარადისობისა თუ ამოებისა; რაც უნდა ეთქვით მოგზაურობის განმმართველებსა, როგორც უნდა ედავათ. რამდენხანსაც უნდა გაგრძელებულიყო დავა-კამათი, სიტყვა სიტყვა, საქმე სხვათა, ამას მხოლოდ უბრალო რამ შეემთხვა, ისე ჩამოაღწია ხეთერელე-

ბამდისა და ის უბრალოც გაუქმდა მაშინვე, შედგა თუ არა ფეხი ფეხზე, ფეხი შედგა თავის ჩანთა-აბგეზიანადა, აღარც გაუგია, საით შებრუნდა ეტლი, რა იქნა პირველი შემგებებელი, აღარც ახსოვდა ეტლი, აივანზე აპყო თავი და სხვანი დაინახა, სხვა შემგებებელნი, — არც ისე ბევრნი, ორადორნი, ერთი ქალი და ერთიცა კაცი. კაცი კარებში იდგა, გამოიციქირებოდა მრისხანე თვალითა, სახეც მრისხანე ჰქონდა, არწივისებურიო, რომ იტყვიან, ისეთი. ქალი გამწყრალაყო, ოღონდ სიამის იერი გადაიფინა სტუმრისთვისა, უცებ, ელვად გადაიფინა, წყრომა ვერ გაიქრო ისევე უეცრად, სახე აერია ორგვარი შუქითა. სტუმარი შეცბა, შეანელა ფეხი:

— ბატონ გიორგიმ... — ეს მოადგა ენაზე და მოიშველია შეცბა თუ არა.

— მობრძანდით! მობრძანდით! — შესძახა ქალმა, წყრომის ელფერიც გადაიგდო, მიეგება ეშხიანადა, სანდომიანადა.

— იმას სადღა გადაეყარეთ? — რისხვით იკითხა მრისხანე კაცმა.

— ბატონ გიორგის... — ცოტა არ იყოს აბლუყუნდა სტუმარი.

— იმასა! — თავი გადაიქნია მრისხანე კაცმა და თითქოს ელვამ გაუკენწულა სახეო.

— შენ ისევე იქა ხარ... — გაიკისკისა ქალმა ძალადა, ოღონდ მომხიბლავად გაიკისკისა, — ისევე ის გახსოვს, ეგ სულ სხვა არის, ვიცნობ, ჰო გეტუნები, სხვა არისმეთქი. მობრძანდით! მობრძანდით!

ჰო მობრძანდითო, სთხოვდა სტუმართმოყვარული გატაცებითა. კიბე აათავა თუ არა, იქვე დაება ფეხი, ჩანთა-აბგეზი მიჰყარა და აიწურა, ე რა დამმართნია, რასა ვგეგარ, როგორ ამოგვანგულურვარო. პირი მოეკუშა, ისე გამოთქვამდა აწურული მხრებითა, დარცხენილი, მობოდიშო, გაკვირვებულნი გამომეტყველებითა. ქალსაც ოდნავ გამოემშლა ხელები უმწიგობისა თუ უსასობის ნიშნადა, აბა რა ვუყოთ,





საქართველოს  
წიგნების  
კავშირები

რა გიშველოთ, საით მივასწავლოთო, აღარაფერი შეგვარჩინეს, ეს სამოახლოდა მოგვიგდესო, ისიც სულ არაო, გდაგვიტხოვს, ჩვენი საძინებელი და ერთი უხეირო მისაღები ძლივს გამოვაწყვეთო, ერთიც პატარა ოთახი გამოგვივიდა, სასტუმროსავითაა, ახლა ჩემი მახლი იძინებს იქა, შენც იქ როგორმე ჩაგტევთ, სხვა მხრით შენ თვითონვე მოუტარე შენს თავსაო, აგერა ეზო და აგერა რუო, თუმცა ეზოსი ეს პატარა კუნძულია მოგვიგდეს, მაგრამ დანარჩენი ისე გლია, ვისაც როგორ მოენებება ისე დაჯლიგინებს, შენც მოგიხერხდება მტვერი თუ ტალახი მოიცილოო ასე გამოშვერილიყო ხელები, თითებიც ირჩეოდა ოდნავადა, სულ ოდნავადა, მაინც ამოიკითხებოდა ამდენი რამე. ამოიკითხებოდა თუ არა, მასპინძელმა ეს გაივლო გულში, სტუმარიც მიხვდა მისახვედრელსა, მოჩქარებით გახსნა ერთი ჩანთი, ჯაგრისი და სხვა საჭირო საშუალებანი ამოალაგა, კბე ჩაირბინა ბოდიშობითა, რუსს მიამურა.

მრისხანე სახისა მანამდის მიეფარა, ბურღდუნით შეიხურა კარი, ალბათ იმ პატარა ოთახის კარი, სასტუმროდ რომ დაეგდოთ და ესეც როგორმე იქვე რომ უნდა ჩაეტიათ. მგზავრი უნდა შეწყუბუღულიყო, რა გამაძლებინებს ამ გაბრაზებულსა თუ აბორგებულ კაცთანაო, მაგრამ არ იცოდა წინასწარი შეღონება თუ წუხილი, სხვა არც არაფერი ახსოვდა, უნდა გაეწმინდა კოსტუმი, დაებანა, დაევარცხნა, გაწყვილიყო ისე, გინგლი აღარ მიჰკარებოდა და წარმდგარიყო მასპინძელთა წინაშე კომპოზიტორი ნიკუშა ჩაჩანიძე, მოწაფე და მეგობარი სახელგანთქმული კომპოზიტორის გიორგი ყანჩაველისა: მართალია, თვითონ ჯერ არაფრით გამოეჩინა თავი, ჯერ მხოლოდ გიორგი ყანჩაველმა და ორიოდ სხვამ თუ იცოდა ამისი ერთი-ორი მუსიკალური ნაწარმოები თუ რაღაც დიდი რამ განაზრახვის ნაწყვეტი, მაგრამ ეს არაფერი, ჯერ გიორგი ყანჩაველის ქომავლობაც ეყოფოდა, ხოლო მერე, ამ მოგზაურო-

ბის მოთავების შემდეგ, თვითონ იცოდა, როგორც გაითქვამდა სახელსაბარე ერთსა და ორს გაუთქვამს სახელი, ბარე ერთსა და ორს გამოსდგომია ხალხური მუსიკალური საუნჯე, ამასაც შეეწევა, ამასაც გამოადგება, გამოიყვანს დიდ ასპარეზზედა. შესტრფის ამ იმედსა, ელოლიაგება, ოღონდ არ გაამხელს, ჯერ არ გაამხელს, თვით გიორგისთვისაც არ გაუმხელია, ჯერ მხოლოდ მოტრფიალვა უბადლო ხალხური სიმღერებისა, შემგროვებელია, მეტი არაფერი, მოტრფიალვა და შემგროვებელი. პატარა რამეა არა, რა სათქმელია, დიდი რამეა, მაგრამ სხვა, ფარული მიზანი რომ უდევს გულში იმასთან უარესი მოკრძალებათა.

მოკრძალება ამშვენებს აღამიანსო, ჰოდა, წარუდგა დამშვენებული, განსპეტაკებული, ესა და ეს გახლავართო; ჩვენც ესა და ესენი გახლავართო: ძმა ელიზბარ ხეთერელისა, შალვა ხეთერელი ანუ ელიზბარი გახლავთ ჩემი ძმა, რადგან მე უფროსი ვარო: რძალი ჩემი, თეკლა ანუ მუღლუე ელიზბარ ხეთერელისაო. კეთილი და პატიოსანიო. ეს რა თქმა უნდა მისაღებში მოხდა. ორი სავარძელი იდგა მისაღებში, ერთი ტახტი, არცთუ ძვირფასი ხალიჩითა, რამდენიმე ჩალის სკამი, ამ სკამებში თავიანთი საძინებლისაც ერია, სტუმართა მოსასვენებლისაცა, ჯერ აქ გამოეტანათ, მერე ისეც იქით გადაიტანდნენ. მაგიდაც იდგა, ქაღალდის სათამაშო, ეს გახლდათ ერთადერთი ძვირფასი და საუცხოო რამ, როგორ გამოეტანებინათ, საკვირველებად ითქმოდა, თუმცა გატანას ყოველთვის მოახერხებდნენ, ყოველშემთხვევაში ჯერ იქ იდგა, თამბაქოს კოლოფი გადაეხსნა შალვასა, ინებეთო სთავაზობდა.

— არ ვიახლებით.— განაცხადა სტუმარმა.

— არც ღვინოსა სევამ.

— რა მოგახსენოთ, მაინცდა მაინც არა...

ოთარ ჩხიძე  
გორიანი

— არც ქალებში დადიხართ.

სტუმარმა მორიდებით გაჰხედა დიასახლისსა.

— რა ბრძანებაა...

— ანგელოზი ყოფილხართ, ხა, ხა, ხა... — გადაიხარხარა ხეთერელმა, მხოლოდ თვითონ გაიხარა თავისი ხუმრობითა, გაიხარა გასაოცრება, ან განგებისადა, თითქოს წელანდელი მრისხანე შეხვედრა უნდა გაანელოსო. მაგრამ უხერხული გამოდიოდა, ის მრისხანება სჯობდა, სხვისადმი მიმართულიყო, ეს უკბილო ხუმრობაც იმასვე რომ მიჰყოლოდა, კიდევ არა უჭირდა რაი. — ჰო არ გეწყინათ, ბატონო ნიკოლოზ! — სიცილი მოსჭრა და თანაგრძნობით იკითხა შალვამ.

— უკაცრავად, ნიკოლოზი არა მქვიან.

— თქვენ არა ბრძანეთ ნიკუშა ვარო! — გაიოცა შალვამა, — ნათლობის სახელი ნიკოლოზი იქნება, მაშ რაო?!

— ნათლობისად ესტატე მქვიან, მაგრამ ასე არავინ მიცნობს.

— საიდან სადო, დიდება შენთვისა, ღმერთო! — მხრები აპყარა შალვა ხეთერელმა, — თუმცა რაც უნდა იყოს, ხომ არ გეწყინათ, ბატონო ნიკუშა? — გაიმეორა, ოღონდ პასუხისათვის არ დაუცდია, — ხანდახან ძალად თუ არ გავიცინეთ, დარდი გამოგედრდნის. დარდი ჭიაა, შავი ჭიაა, ეგრე დაგფქვავს, ვერას გაიგებ; ერთ მშვენიერ დღეს ერთს კიდევ ამოისუნთქავ და ფაფუ, აღარ იქნები, იმ ამოსუნთქვას გაჰყვება შენი ნაფქვავიცა, ფაფუ!.

ამას რომ ამბობდა, უნდოდა მოეგვარა სევდის იერი, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, სახე გაფიცებოდა, წამოწებოდა თვალებიცა, ვერ იხარებდა სევდის იერი ესოდენ გაფიცებულ სახეზედა. სტუმარი რომ ცოტა გამჭრიახი ყოფილიყო, მიხვდებოდა. ნასვამიაო; მეტად გამჭრიახი თუ იქნებოდა, მეტსაც მიხვდებოდა. — ხმა რიხიანი ჰქონდა, მბრძანებლური, განკარგულებასავით გაისმოდა ეს დარდიანი ნათქვამიცა, განკარგულებებს მისჩვეოდა, რუ-

სეთის არმიის ოფიცერი გახლდათ, მერე ქართულ ლაშქარში გადმოსულიყო, მერე, ჰო მერე, ამბები ისე დასრულდა, რომ ჯერ ისევ მხნე, ჯერ ისევ საოფიტრო კაცი, მეკუბოეთა არტელს შეჰკედლებოდა ბულატრადა. თუმცა ამდენსაც ვეღარ მიხვდებოდა, რაც უნდა გამჭრიახი ყოფილიყო სტუმარი, მიხვედრასაც თავისი საზომი აქვს, მომეტებული არაფერი შეიძლება, ვთქვათ, ოფიცრის სამხრეები წარმოესახა იმ ვანიერ მხრებზედა, ბულატრობას მაინც ვეღარ მოილანდებდა, არც საჭირო იყო, ვითომ რატომ უნდა დაეძაბა აზრი თუ გონება, თვითონვე ეტყობა, გამოუტრევედა საუბარშია, თუნდაც ნუ გამოუტრევედა, სულაც არ ეკითხებოდა, ვინ იყო და რა იყო, ეს ელიზბარ ხეთერელსა სწვევოდა და ელიზბარს ელოდა, გიორგი ყანჩაველის ბარათი რომ გადაეცა, სხვა დანარჩენი შორეული, უსარგებლო და უმარჯნისი რამ გახლდათ ამისთვისა.

შალვა თითქოს მიუხვდაო, მოღუშა წარბები.

— სად გადაეყარეთ ლეკო თათაშელსა?

— რა ბრძანეთ?!

— ძველისძველი მეგობრები ბრძანდებით თუ ახლა დამძაკადით?!

— მომიტევეთ, მაგრამ არაფერი გომეგება... — უმწეოსავით მიუგო სტუმარმა. უმწეო თვალითვე გადაჰხედა თეკლასა, მომეშველეთო ან გამაგებინეთ რამეო.

— ლეკო არ იყო-მეთქი. — თქვა დიასახლისმა, გაგებინებით ვერაფერი გააგებინა, მიშველებით თითქოს მიეშველა, მიეშველა უგულოდა.

— ლეკო არ იყო-მეთქი! — გამოაჯავრა მახლმა, — სამფურზე რომ შეწვან, მაინც ვიცნობ... არა, მართლაც კარგი იქნება სამფურზე რომ წამოაგებდნენ, ჰა, ჰა, ჰა... — მოეწონა თავისი ნათქვამი, ახლაც მხოლოდ თვითონვე გაიცინა. ეცინა, ასე უკეთესი გახლდათ, სიცილი სჯობდა მრისხანებასა, სოლომონ ზურგიელიძისებური აფორიზმისა

არ იყოს, ყოველ შემთხვევაში ასე ერჩინა სტუმარსა, თუნდაც უხერხული სიცილი ერჩინა; მაგრამ არ გასტანა სიცილმა, ისევე რისხვა წამოერია შალვა ხეთერელსა, ვერ დევიწყებინა ის კაცი, ვერც დაივიწყებდა, რახან ამას შესცქეროდა, ისიც ახსოვდა, მშვიდად ვერ მოეგონებინა, ვერც მოიგონებდა მშვიდადა თუ სიამოვნებითა, რადგან უკმაყოფილებას გადაჰკიდებოდა იმის წყალობითა, განა დიდი ხნის წინათა, ორიოდ საათის წინა. დიდი ხნის წინათ რომ ყოფილიყო, კიდევ არაფერი, მიივიწყებდა აქამდისა, ან ღიმილით გაიხსენებდა, მიუჩნებდა იცის გარდასულმა ტკივილებმაო. ეს ახალი სატკივარი გახლდათ, ახლად ახალი: დილას გამოვიდა ამ დარბაისელ კაცსა, შესახედავად დარბაისელსა, მისანდობელსა, მე გახლავართ ლეკო თათაშელით, მე კარგად მახსოვხარ და ალბათ შენც გეხსომებიო, თუმცა მე უფროსი ვარ, მაგრამ უმცროსები კარგად იმახსოვრებენ უფროსებსა, უფროსებიც იმახსოვრებენ უმცროსებსა, თუ ისე არ დაბერებულან, მეხსიერება რომ დასჩაჩანაკებოდეთო. ჩემგან სიბერე არც ისე შორს უნდა იყოს, მაგრამ მეხსიერებას არას ვემდღური, შენი პატარაობაც კარგად დამხსომებიო, მამაშენისაგანაც ბევრი სიკეთე მომაგონდება და მეც მინდა ცოტა რამ პატივისცემა გავიწიო, ცოტა გაჯართო, თორემ ელიზბარის ამბავი რომ ვიცი, შენთვის ვერ მოიცილისო. ორიოდ დღით ამოსულხარ ამ უკეთურ სოფელში და ვილაცამ მხარი თუ არ ავიბა დარდი შეგუკამსო. კარგად ამბობდა ხავერდოვანი, მომხიბლავი ხმითა. ხმა იმდენი არაფერი, თითქოს გულში უჯდაო, ჰოდა ვინ წაუფვიდოდა გულისთქმასა, — ვერც წაუვიდა, აპყვა, მამ რაო, ისე შეჰღიმოდა და შესდღუფუნებდა, ბოლაშვილები შემომჩინიანო, ოღონდაო შალვა ხეთერელი გვაწვიეო და ხატივით ვილოცებთ შენსეო; ნუ იუკადრისებო, კარგი ოჯახიშვილები არიან, დოვლათი კიდევ მოჰყოლიათო; ნუ იუკადრისებო, თაე-

მდაბლობა კაცს ამშვენებსო, თავმდაბლობითა ქებულიყო ცხონებული მამაშენიცაო.

ჰო ცხონებული მამაშენით და გაპყვა, ეწვივნენ. იქ არც არავინ ელოდა, არც არავის ეცალა ამათვისა ამ გახურებულ კალობისასა, მაგრამ მაინც ვერ წაუვიდნენ სტუმართმოყვარეობის წესსა და ადათსა, სუფრა გაუწყეს, მოილხინეს და მოალხინეს, თან თვალი გარეთა რჩებოდათ, აფსუს რა კალოს ამინდიაო. ხვალაც ამ თვისაო, ამშვიდებდა ლეკო, ენად გაკრფილიყო, მღეროდა, ცეკვავდა, ვიდრემდის დრო გვაქვს, მოგვამოთ წუთისოფელიო. მერე უცებ რაღაც ეშმაკი შეუჯდა, პატარძალი გამოჩნდა, ცხრაფურცელა ქალები მოჰქონდა ხონჩითა, მამინ შეუჯდა ეშმაკი, რაღაც საოცრად დაუხვლანჯა თითები, ეცა იმ დახვლანჯული თითებითა და ისე უჩქმიტა ძუძუს ძირზედა, ლამის ჰერი ახვალა იმისმა კივილმა. აღარც წესს დაგიხედეს ბოლაშვილებმა, აღარცა ადათსა, ქეჩოში ჩააფლეს ხელი, ორნიც აქეთ-იქიდან შეუსხდნენ მხრებში და ციმციმ გაიყვანეს შინიდანა, თავიანთ კარმიდამოსა გააცილეს, სხვათა კარმიდამოსაცა, მთლად სოფელს გააცილეს ისე, არც კრინტი დაუძრავთ, არც ხელი გამოუღიათ, ხოლო მერე, სოფელს რომ გააცილეს... არა, ამან არ იცის იქ რა მოხდა, იქავე იჯდა თავჩაღუნული, იჯდა გაქვავებული სუფრასთანა, ეგონა მართლაც გაქვავებულიყო, გათავებულიყო, ამოჰქარებოდა სული, მაგრამ მაინც გაიგო, როგორ დაბრუნდნენ პირგამხებული ბოლაშვილები, როგორ უთხრა უფროსმა ბოლაშვილმა, თუ ჩვენი სტუმრობა გინდოდა, სხვა ამფსონი ვედარ იშოვნეო. დამცირება თუ შეურაცხყოფა სხვაც გადაეტანა, ოღონდ ასეთი არა, ეს ყველაზე მწარე რამ იყო. ხმა არ ამოუღებოდა, არც ამოუღია ხმაი, იყო მდუმარედა, არას მიუგებდა არცა ძმასა, არცა

ოთარ ჩხიძე  
აღიწიდა



რძალსა, მამინდა შეპყვირა, ეტლი რომ შეჩერდა სამოახლოს შესასვლელთანა, მოვკლავო, შეპყვირა და კედლებს შეეტოტინა, — კედლებზე ხალიჩები ეკიდა და ხალიჩებზე იარაღი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი იარაღი, ზოგიცა ნადავლი, აქ არა, იქით, დიდ დარბაზში ეკიდა, ახლა იქაც აღარ ეკიდა, აქეთ მით უფრო ამოდ აფათურებდა ხელებსა, ასავსავებდა, იმტვრევდა სიმწრითა.

ეს წელანა, ახლა აღარ იმტვრევდა ხელებსა, მაგრამ სიმწარე არ განელებოდა... თეკლამ იხელთა წუთი, საუბარი გადაიტანა:

— როგორა ბრძანდება ბატონი გიორგი? ახალს აღარაფერს გვიწერს? — თქვა თვალთა საამო ციმციმითა, თუმცა იქვე მოინისლა, — მე ყველაფერს მოვწყვილი...

— რატომ?! — მიამიტად იკითხა სტუმარმა.

თეკლამ გაიღიმა მრავალმნიშვნელოვნად, დაუშვა წამწამები, მუქი, გრძელი წამწამები.

— რა არის ახალი?! — მხოლოდ ეს იკითხა.

— არის, მეტად საინტერესო ნაწარმოები აქვს, ოღონდ ჯერ არ გადაუცია შესასრულებლად.

— „კანტატა მეთერთმეტე...“ — ჩაუთოთ შალვამა, თანაც ისე გადაჰხედა, როგორ თუ არ გადაუციაო.

— ამაზე არ მოგახსენებთ. — საჩქაროდ დაატანა სტუმარმა.

— ახალი ესაა.

— ვინც გიორგი ყანჩაველის შემოქმედებას იცნობს, ადვილად დიჯერებს, რომ ეს არაა მისი საეტაპო ნაწარმოები.

— კომისრები ამბობენ საეტაპოაო.

— ვინც მუსიკა იცის...

— მუსიკა ცოტას გაეგება, — არ დაცადა შალვამა, — კომისრებმა ეს კარგად იციან, იმათ მხოლოდ ქება უნდათ, რომ უამრავნი აიყოლიონ: ძალიანაც კარგია თუ ცოტას გაეგება მუსიკა, გიორგი ყანჩაველმა დასწერა დიდება და მრავალნი აპყვებიან.

— ეს ცოტას როდი ნიშნავს, — თით-

ქოს წამოთამაშდა სტუმარი, — შენმე-ქმედის ძალა...

— ძალა! ძალა! — მძაფრად ამოიძახა შალვამა, თითქოს ფილტვები ამოიფხრიწო, — წამოიჭრა, გაიწოდა ხელები და არეული თვალეები დააცეცა აქეთ-იქითა, თითქოს თურქობაში გამოვლილ ხმაღს დაეძებსო. მერე აივანზე გაბრაგუნდა, დაბრაგუნებდა იქაცა, ვიდრე გადაუვლიდა მოჭარბებული სიფიცხე.

ამსობაში თეკლას ებოდიშებოდა სტუმარი, არ ვიცი რა მოხდა, რატომ გავაბრაზე ბატონი შალვაო. მე ერთი უწყყნარი ადამიანი ვარ, ჭია რა არის, ჭიასაც არ დავადგამ ფეხსა. ადამიანის გრძნობებს ვუფრთხილდები ყველაზე მეტად, რადგან ადამიანი, რაც არის, გრძნობაა, სხვა ყველაფერი მოსართავია გრძნობისაო, თუ გრძნობა დაიშალა, დაიშლება ადამიანიცაო. ასე რომ მწამს, საოცრად სათუთი ვარ ყველას მიმართ, ზედმეტად სათუთი ვახლავართ, ზედმეტად მოკრძალებულიო; ამიტომაც გამქვირვებია, რა დამემართა, რატომ ავალეღვე ბატონი შალვაო. მოვედი ავალეღვე, გამოვესაუბრე, ავალეღვე, თუმცა არ ვიცი, ვინ არის ის კაცი, ხოლო რაც შეეხება ბატონ გიორგის, რა ვქნა, მომიტევეთ, ყურს ვერ მოვუყრუებ იმის მოაუგესაო.

— შალვასაც ისეთი არაფერი უთქვამს... — ჩაუთოთ თეკლამა.

— არა, ისეთი არაფერი... არც მე მითქვამს ისეთი არაფერი, თქვენ როგორ ფიქრობთ, განა მითქვამს...

— არა, არაფერი ისეთი...

აივანზე ბრაგუნმა იკლო, დაწყყნარდა ნაბიჯები, გესმითო, ანიშნა თეკლამა, მალე შემობრუნდება ფეხაკრფითაო.

### III

მანამდის ელიზბარი დაბრუნდა, შინ რომ შემოვიდა, წელანდელივით აღარა წურავდა თვალებსა, პენსნე გაეკეთებინა, სხვა იერი დასდებოდა, თუმცა იგივე ტანსაცემელი ემოსა. წარმოსახვა თუ ეყოფოდა სტუმარსა, წარმოიდგენ-



და თეთრი ხალათითა და ექიმი იდგომებოდა იმის წინაშე, — ექიმიც იდგარა თქმა უნდა, იმას აღარ ეკითხებოდა ექიმი, მოთავდა ის ამბავი, ამისთვის მოთავდა, აღარც გაიხსენებდა. ვერც ის გაიგო, რას ანიშნებდა ექიმი, მოვასვენე, დარდი ნუ გექნებაო, ანიშნებდა, თან ერიდებოდა ემანდ ძამე არ შემომისწროსო. ამისთვის სულერთი გახლდათ, ამას მხოლოდ ელიზბარ ხეთერელი უნდოდა, რა ხელობისაც უნდა ყოფილიყო, რა განათლებაც უნდა ჰქონოდა, მოხუცი ყოფილიყო, თუნდაც ახალგაზრდა, თუნდაც ასე შუა ხნისა, მეოთხე ათეულს მიტანებულნი. ამიტომ არც დაუყოვნებია, შემოვიდა თუ არა, გადასცა ბარათი, ოღონდ არც ის დავიწყებია, თეკლასთვის მოეხანა ბოდიში უეცრად შეწყვეტილი საუბრის გამო. თუმცა შეიძლებოდა გაგრძელება საუბრისა, ვიდრე ელიზბარი გადაიკითხავდა ბარათსა, მაგრამ ადვილად როდის გაგრძელებულა ნაძალადევი საუბარი, რაიმე შემთხვევა ჩასჭრის და იტყვიან ხოლმე, მადლობა ღმერთსაო. აქ ამას არ უთქვამს, მხოლოდ თეკლამ გაეგლო გულში და აჩქარებით გავიდა, დაე ემსჯელათ მამაკაცებსა თუ რაიმე ჰქონდათ სამსჯელო, რაიმე თუ უნდა გადაეწყვიტათ.

— ჩემთან ორი სათხოვარი ჰქონია ბატონ გიორგისა. — სთქვა ელიზბარმა, წერილი რომ გადაიკითხა.

— დიახ... — მიეშველა სტუმარი წრფელი ღიმილითა.

— პირველი, ვცადო, როგორმე გადავათქმევინოთ განზრახვა.

— რატომ?! — გულწრფელადვე აღმოხდა სტუმარსა და თვალები გაუფართოვდა.

— ეს თვით ბატონ გიორგისაც უცდია, მაგრამ არც ისე თავგამოდებითა, ეგება ვერც მიმიხვდაო, მწერს.

— არ ვიცი... შესაძლოა.

— მწერს, რომ გჩვევიათ უაღრესი გატაცება, თავდაუზოგავი მისწრაფება თუ რამე ამოიქერით გულში.

— ბატონი გიორგი ამ აზრისა ჩემზე?!

— მწერს მეთქი.

— მადლობელი ვარ ბატონ გიორგისა! — ქედი მოიხარა სტუმარმა.

— მწერს, დავაჯეროთ, ახლა დრო არაა ასეთი გატაცებებისა.

— რატომ?! — თითქოს ნეტარი მირინდებიდან გამოერკვა სტუმარიო.

— რატომ?! — იკითხა ელიზბარმაცა, — როგორ მიბრძანებთ, ფილოსოფიური და სოციოლოგიური პრობლემებით ავიხსნათ თუ უბრალო, ნათელი, ცხადილივი მაგალითებითა?

— როგორც გენებოთ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის, — უბრალოდ მიუგო, თითქოს არც იცის რას ეუბნება ან არც ეკითხება, არც ყურს დაუგდებსო, — ოღონდ ნუ დაივიწყებთ, მე სულ სხვა რამისთვის ვეახელით, სხვა რამ მაინტერესებს.

— გასაგებია... — თითქოს დაჰყვავო ელიზბარი, თითქოს რაღაცა იგონებს, თითქოს აი ესაა გაჰხსნის ბაგესა და მუსიკოსთათვის ჯერეთ უცნობ ხალხურ სიმღერას აღმოიტყვისო. — მაგრამ ჯერ პირველი თხოვნა უნდა შევასრულო. — სიმღერის ნაცვლად ესა თქვა ელიზბარმა, — მეორე ეგ არის, დაგეხმაროთ თუ ვერ დაგაშლევინეთ.

— რატომ, რატომ უნდა დამაშლევინოთ?! — ჰირვეული ბავშვივით შესძახა სტუმარმა, თან ისეთი სახე მიიღო, სულერთია, არ დაეიშლი, არ გადავალ ჩემსასაო.

— ბატონი გიორგი მთხოვს.

— თვითონ რომ არაფერი უთქვამს?! — საშიში დროაო...

— ახსენა რამდენჯერმე.

— თბილისს ეს ისე არ ეტყობა, გასცდები თუ არა, უღმობელ ამბებს გადაეყრებიო.

— ბრძანა... მაგრამ მე არაფერს გადავყრივარ. მშვიდობით მოვედი, გავბრუნდები მშვიდობითვე, გაგბრუნდები ახალი ჩანაწერებითა. თქვენ არც გეცო-

ოთარ ჩემიამ  
გორისაჲი

დინებათ, საუკეთესო ჩამწერი აბარატი წამოვიღე, უწმინდესი ნიუანსიც არ გამომეპარება, ხელახლა ჩავწერ, რაც ჩაუწერია ზაქარია ფალიაშვილსა, ჩავწერ, რაც გადაუღია ლადო აღნიშვილსა თუ ფილიმონ ქორიძესა, ჯერ ესეც თვალსაჩინო მოვლენა იქნება, ხოლო, რაც მთავარია, მწაჰს, მივაკვლევ დღემდის უცნობ სიმღერებსა, ახალ მელოდებს მივაკვლევ! — უბრალოდ დაიწყო და გზნება მოეკრდა, ეტყობოდა, გზნება იმატებდა თუ მიუშვებდა ასე თავის კვალზედა, თუ არ შეაჩერებდა. და შეაჩერა:

— დამწვიდდეს ქვეყანა..

— მე არაფერს გადავყრივარმეთქი.

— უმოწყალოდ ნაცემი კაცი თქვენ მომაყენეთ კარზედა?!

— ეს შემთხვევით...

— სხვაც შემთხვევით იქნება.

— მე არაფერ შუაში ვიქნები.

— თქვენ შეგემთხვევათ... — ჯიუტად მიაჩერდა ელიზბარი, თითქოს თვალთ უნდა გასტეხოსო, შუშების ქვეშ გაფიცებულყო თვალები; თითქოს ისრებია წვერანთებულო. — ნუ გიგონებათ, თითქოს დიდი რამ საბაბი იყოს საჭირო, ტყვია რომ ჩაგიჭედონ შუბლში.

— ნუ მაშინებთ, — ხელი ოდნავ აიქნია სტუმარმა, ვითომდა რაო, რა ხელი აქვს ჩემთან შიშსაო, — შიში დარწმუნების საშუალება არ არის, ყოველ შემთხვევაში ჩემთან უმაქნისია.

— არ გაშინებთ, მხოლოდ გიხსნით. — თვალთ აარიადა, ხმაჰაც დაუწია ელიზბარმა, — როგორც გენებოთ, მინდა მხოლოდ იცოდეთ, რომ მეჭუდის გაღმა გამოღმა, გაღმა გამოღმა პატარა ლახებისა, დაღმა თუ ასე, მთებში. შეყოლებამდე სოფელი არ არის, თემი არ არის; ალბათ ოჯახი არ მოიძებნება, სიკეთე რომ არ გამეწიოს, უსასყიდლოდა, დაუზარალოდა, უანგაროდა, ჩემის წამლითა და მინც ეზოს გაეცოდები თუ არა. სათვალე უნდა ჩამოგიხსნა. თორემ ვიოც უკეთესი ტყვიით დამიხვრეტს თვალებსა.

— ეს უბრალო შიშად როდღია გეჩვენება, ეს უკვე ავადმყოფობას გეჩვენება. — საჩქაროდ დაატანა სტუმარმა, მომიტევეთ ასე აშკარად რომ მოგმართავთ, მაგრამ თქვენ ისე დაყენებით მინერგავთ შიშსა, თუ არ შეგებრძოლეთ, დამიმორჩილებთ.

— ეცადეთ თქვენსასა, — კიდევ უფრო დუხნდა თქვა ელიზბარმა, — ოღონდ ერთი რამ მაინც გამიგონეთ, მოიხსენით ეგ შავი ბაბთა, თეთრ საყელოს რომ გიმშვენებთ, მოიხსენით, თორემ გაუპირდაპირებენ თოფის ლულასა.

სტუმარმა უნებლიედ დაიფარა ორივე ხელი, ყელი დაენანა თუ უფრო ბაფთას ვერ შეეულოდა, ძნელი სათქმელია, ხოლო ცოტა რომ შეერთა ეს უკვე აშკარა გახლდათ. თვალთ მიატანა ელიზბარმა, ოღონდ როდი მისციებია, ვითომც არაფერი დამინახავსო.

— ვერ დამაჯერებთ. — ცივად გაიღმა სტუმარმა, ხელბთც ჩამოუშვა

— ნუ დაიჯერებთ, მაინც მოიხსენით. — წამოდგა, მიუახლოვდა, — ნება მომეცით! — საყელო გადაუწია, თვითონვე შესხნა, — არც ეს გახამებული პერანგი გინდათ, ლურჯ ხალათს მოგცემთ, ან შავსა, რაც უფრო გახუნებული იქნება, მით უკეთესი, მე ამყვებით, ვითომც ჩემი თანაშემწე ხართ... ასე იყოს, რახან არ დავიშლიათ.

ეს უეცარი დაყოლიება არ გაჰხარებია, თითქოს ეწყინა, ცოტა დაიბნა, ვერც იმას მიჰხვდა, ბაფთა რად უნდა შეესხნა ან ლურჯი თუ შავი ხალათი რად უნდა ჩაცეკა, მასპინძელი თუ დაშინებულყო, ამას რაო, ესეც ჰო არ მიეცემოდა ავადმყოფურ შიშსა? ბატონ გიორგის სხვანაირად ეგონა, — ელიზბარ ხეთერელი თუ ამოგიდგა მხარში, ფიჭვი ნულარათრისა გექნებაო, აჰა, ამოუდგა მხარში. ამოუდგა და აშინებეს. ეს ვერაფერი ქომავლობა, ვერც მიენდობა ასეთ ქომავლსა, ეს უკვე ნათელია, ცხალია, მაგრამ რაო არწმუნებდა ბატონი გიორგი, იმ მხარისა ყველაზედ უკეთ იმან იცისო, თუ ვინ-



მეს კიდევ შერჩენია რაიმე გავლენა ყველაზე მეტად იმასაო. თუ ვინმეს რამეს დაუჯერებენ, ყველაზე მეტად იმასაო. უკეთესად ვერც დაახასიათებ ადამიანსა, მაგრამ დიდი ადამიანებიცა ცდებიან თურმე, ოღონდ დიდი ადამიანები მაინც დიდ ადამიანებად რომ რჩებიან ალბათ, ამიტომაც, სხვათაღმიც გამოატანა ბარათები თუ ვინცბაა ამ ერთმა მიმტყუნა, სხვანი მაინც არ დამალატინებენო. არა, დიდი ადამიანები არა ცდებიან, სიფრთხილე იციან, წინასწარ სკვრეტენ შესაძლო გართულებებსა, წინასწარვე გააუფნებლებენ. აი თუ არა, — ამისთვის უკვე საშინო აღარ არის ეს დამფრთხალი მასპინძელი თუ გზის მასწავლებელი, უამისოდაც ბევრი ამჟღერებს შემწეობასა, ხოლო რაც შეეხება მეგზურსა თუ მიმთითებელსა, არც არავინა სჭირდება, — აჰან ჰო რუქა შეადგინა შიდა ქართლის ველისა, რუქა საკუთარი, სოფლები და გვარები მონიშნა მეგულისა, ლიხვთა, ფრონეთა და მტკვრის ნაბარებზე, შარა გზებიც გადაიტანა დიდი რუქიდანა, ისიც გაიგო, საურამე გზა უღევს ყველა სოფელსა, მთელი ველი დასერილა საურამე გზებითა და ბილიკებითა, სოფელს გაჰხედ და დაადე თავი, იარე ბირდაბირა, ლარივით იარე, ნაბიჯიც არ გადაჰხაროო. ოღონდაო ცოტას მდინარეები დაგაბრკოლებენ, ლარში გადაველობებიან და მაშინ ნუ გაედევნები მაინცდამაინც ლარსა, მაშინ ფონი უნდა მოსძებნო უსათუოდო, ფონიც ბევრი იცის ველის მდინარემა, მდინარე არც არის უფონოდა, მხოლოდ უნდა იცოდე, თუ არ იცი, გაიკითხვა-მოიკითხო, ჯერ ფონი უნდა უპოვნო, მერეღა შეხვიდე მდინარეშიო. ცხოვრებაც დიდი მდინარეა, კაცი რა არის, კაციც მდინარეა და თუ ფონი არ უპოვნე, ვერსაით მოუხვალ, ვერც ავადაო, ვერც კარგადაო.

ამის ფონი შინი ყოფილა, თუმცა არა. შინი ჩანჩქერი უფროა, ვიდრე ფონი, მაგრამ ვიწრობები იცის ჩანჩქერმა, ვიწრობები ხილისათვის უკეთესია

და ხიდი სჯობიან ფონსაო; შეიძლება ესეც სოლომონ ზურგიელიძისებურად აფორიზმი გამოდიოდეს, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ხიდი სჯობიან ფონსაო. ესეც ხიდს გასდებდა ამ ვიწრობზედა, დაარწმუნებდა, უიმისოდაც რომ იოლს გავდიოდა, იოლადაც დაარწმუნებდა. და ქალაქის გასაშლელ მაგიდაზე თავისი რუქა გადაშალა. ბარათებიც იქვე დაიწყო. ფანქარი ააყოლა მეგულის პირსა, — თქვენ ნუ შეწუხდებით, ჩემი დარდიც ნუ გექნებათო, ასე მეგვრისხევეს მივალ, აგერა ბარათიცა ერისთავიანთადმიო. იქიდან მერეთს გავა, იქ ფურცელაძიანი უმასპინძლებენ. მერეთიდან უნდა, დაჰყვება პატარა ლიხვსა, ტყვიავს გავა, იქიდან ძვეერასა, ჯავახანთა, უნდა ცხინვალს აუვლის, აჩაბეთს ეწვევა მახაბლიანთა. აჩაბეთიდან ფხვენისს ჩაუვლის, ამილახვრიაანთა; თუნდაც კირიონის სახლიკაცებს მოინახულებს ნიქოზში, რა თქმა უნდა ფხვენისამდისა; ყველა სოფელში ეყოლება მასპინძელი, უთავბოლოდ არ წამოუწყვიტა მოგზაურობა, განზომილია ყოველი ადგილი, დღენი, საათებიც განზომილი აქვს. ფხვენისთან იქვე ყელქცეულია, ჩხეიძიანი შეეგებებიან. იქიდან თუნდა ბარემ რუისს ჩაუვლის მამაცაანთა, თუნდა ავენესა და ალს გავა ამირეჯიბიანთა, მერე ხვედურეთსა, ციციანთა. ჰო თუნდა ასე ივლის, თუნდა ისე, გაშლილა ველი შიდა ქართლისა, გასჭიმე ლარი, გასჭიმე საითაც გინდაო. ოღონდ მაინც უკეთესია ბოლოსთვის მოიტოვოს რუის-სალოლაშენ-არადეთი, აქ ფერიცვალობა და მარიობა გადაებმის ერთმანეთსა, ორი დიდი დღეობა გადაებმის, მთელი ქართლი იქ მოიყრის თავსა, ყველა სიმღერა იქ შეიკონებაო. ეს რომ თქვა იტვრინა, თითქოს აღუღუნდა სიმღერები ველისა, დაიძრა, წამოვიდა და ამ დინებასაც, ვითარცა ყველასა თუ ყველაფერსა, თავის ფონად გამოერია „ნეტავ

ოთარ ჩხეიძე  
აღრიავი



ახლა ჩემთან იყვე ხაზე...“ — გამოერია და წაიძვრა. მარიამობას იქ ილია ყოფილა, აკაკი, ვაჟა, ყველა სახელოვანი ადამიანი სწვევია მარიობასა, ბატონი გიორგიც ბევრჯერა სწვევია, ყველას თავისი ხელმოწერა დაუტოვია ამირეჯიბიანთ დიდ სუფრაზედა, ამ მარიობას მეც მივუმატებ ჩემს სახელსა და გვარსაო. არადეთში იშხნელები შეეგებებიან ან რალა ჩამოუთვალოს, დაჰხედოს რუქასა, დაჰხედოს როგორც მონებებზე, თუნდაც სათვალთა, თუნდა უსათვალადა, ადგილი არ არის მოუწინავე, ყველა არც უთქვამს, არც საჭიროა, ეცოდინება, ყველგანა ჰყავს პატრივისმცემელი თუ თაყვანისმცემელი ბატონ გიორგისა, იმანაც ყველა გაიხსენა, ყველა მოიკითხა, დრო იხელთა და მოიკითხა, როგორა ხართო, რა დღეში ხართო, თანაც ეგება ხელი წაახმართ ამ ჩემს ახალგაზრდა მეგობარსაო, ამოიჩემა, მოდის, ახალგაზრდული ამოჩემა ბედისწერაა შემომქმედისა, იქ გარდასწყდება გარდასაწყვეტიო.

რას იტყვის დამინებული მასპინძელი, რა უნდა აფიქრებდეს ასე მომზადებულ ადამიანსა?

არაფერს იტყვის მასპინძელი, არც რუქას დაჰყურებს, თუმცა იქვე ჩამომჯდარა, მაინც არ წაუტდება თვალი რუქისკენა, თითქოს არც ესმის, რას უყვება სტუმარი, თითქოს იმის ბაფთას წაუტრთმევია გულსყური, დაჰყურებს, აკვირდება, ვითომც უკვირსო, ვითომც ეუცხოვებო, ხანაც ვაჭრის ტუჩის ბოლოებსა. ისე, ვერავინ მიუხვდება, რაიმე ეჭაშნიკა თუ არ ეჭაშნიკაო. როგორც ვნებოს, მაგრამ აქ დუმილი უხერხულია, რალაც უნდა თქვას, მოუწონოს ან დაუწუნოს, რაც უნდა თქვას, ამისთვის სულერთია, ოღონდ უნდა თქვას, ამან ამდენი ილაპარაკა, ნოთოჲ იმან ერთი სიტყვა მაინც არ უნდა დაწიოს?!

რას იტყვის მასპინძელი? ან რა ეთქმის? — არც არაფერი. ისე მაინც დარწმუნდეს, უთავბოლო კაცს რომ არ

შეჰხვედრია, იმათაგანი არ თვალს რომ დაჰხუტავენ და გააქვნიან მორევსა, მოხდეს, რაც მოხსნის ნიაო, დარწმუნდეს, დაიჯეროს. სხვა ყალიბზე მოჭრილა, ბრმად არაფერს აედევნება, წინასწარვე აუწონია ყოველი წუთი, წინასწარ იცის სად როდის მოხვდება, აი, დაჰხედოს, დაჰხედოს, რუქასა, აღნიშნულია საათებიცა, წუთებიცა, სამამადადა აღნიშნული, იმის მიხედვითა თუ რითი ივლის, ცხენითა, ურმითა, თუ ფეხითა; აი, დაჰხედოს, დღეს, ამ საათზე ხევთისში რომ იქნებოდა, ზედ აწერია „ხევთისსა“. ნუ გაუკვირდება თუ მოახსენებს, რომ ამ საუბარსაც მიმხვდარიყო, სიტყვა მოემზადებინა წინასწარა, ნუ გაუკვირდება, ერწმუნოს, დაუჯეროს. თუმცა ამდენად აღარ გამოუტყდება, ისა დღეს, დადუმდება ესეცა, დუმილი ოქროაო? — იყოს, მიეცემა ოქრო მღუმარებასა.

ყურადღება თუ ეყოფოდა, მიხვდებოდა, გასჩენოდა გულმოდგინე მსმენელი, შალვა დასდგომოდა თავსა, ჩასციებოდა იმის რუქასა. ფეხაკრეფით შემოსულიყო, ან შესაძლოა ბრაგუნითაც შემოვიდა, მაგრამ სულერთია, ეს მაინც ვერაფერს გაიგებდა, რახან ერთის დარწმუნება თუ მოხიბვლა ამოჩემებინა, აღარ გაიხედავდა მეორისკენა, თუნდაც გაეხედა, ვერ დაინახავდა, ერთი, ერთადერთი ტრიალებდა ამის თვალსა თუ გონებაში. შალვას თვალი თუ წარმოსახვა სხვაგვარი გახლდით, ის უწყინარი რუქა. მონახაზი ახალგაზრდა მუსიკოსის მოგზაურობისა, არც თუ ლაზთიანად მონახაზი, თვალსაჩინო სტრატეგიულ გეგმად წარმოედგინა. გამოცდილი თვალი უცებ გარკვეულიყო და ის ლურჯწითელი თუ სხვაფერი გრეხილები საომარ ველზე გადაიგანა, გადაიგანა შიდაქართლის ველზედა. ვითომც ერეგდისა ან ტბეთის სერებზე მდგარიყოს, იქ დაეცინ შტაბი, იქიდან დაენახოს მოძრაობა ლაშქრისა, იქიდან განეგოს, წარემართოს მთავარი დარტყმა, გორი აეღოს, გაეწმინდოს ქართლის მთები და ველე-



ბი, მოემზადებინოს იქაობა კოლხეთის  
ლაშქრის გადმოსასვლელადა. მერე  
სხვა იქნებოდა, მერე დასახედნენ გეგ-  
მას თბილისის აღებისა, მერე სხვა რუ-  
ქები დიფინებოდა, ჯერ აქ ამ ველზე  
უნდა დაბანაკებულიყო დიდი ლაშქა-  
რი, ძლევამოსილია, სიკეთისა, სამართ-  
ლიანობისა, ერის უფლებების გადასარ-  
ჩენადა. არა, ეს უბრალო რუქა არ  
უნდა ყოფილიყო, არც ეს ყმაწვილი  
უნდა ყოფილიყო ასე დაბნეული თუ  
მაიმიტი, როგორც მოაჩვენებდა თავსა,  
აქ დიდი რამ უნდა იყოს ჩათქმული.  
მხოლოდ იმას უმალავენ, შემოვიდა  
თუ არა დადუმდნენ, ვითომდა აქ არა-  
ფერიო. ეს კიდევ ჰო, ეს არ იცნობს,  
მგვრამ ელიზბარს რაღა დამართვინა,  
ნუთუ ისე გაუკუღმართდა, ისე წაირყ-  
ვნა ქვეყანა, რომ ძმა ძმას აღარ ენდო-  
ბა. ელიზბარს რაღა დამართვინა, რას  
დაჰყურებს იმ შავ ბაფთასა, რად იქ-  
ცევა ისე, ვითომც ერთი ვინმე ახირე-  
ბული ყმაწვილი სწვევოდეს და, თავი-  
დან როგორ მოიცილოს, ვეღარ გაუ-  
ციაო. ეგება ის ბაფთაც რილაცის ნიშა-  
ნაცა, ეგება იმ ბაფთით უნდა გაიგოს,  
ენდოს თუ არა ამ უეცრად და უცნაუ-  
რად მოვლენილ ყმაწვილსა, ნუ აჩქარ-  
დება, დაე სდუმდნენ. დაე მიუხვდნენ  
და ენდონ ერთმანეთსა, მანამდის თა-  
ვისი გაარკვიოს, განსაზღვროს თუ საი-  
დან დაიწყო მოძრაობა, გამზადებული  
ლაშქარი ჰო არა ჰყავს, უნდა მოუხმოს  
ტყედაგპირილებსა, მთადგახიზნულებ-  
სა. მოუხმობს და დიძრებიან. მოძ-  
რაობა არ გამოეპარებათ. — რა გზას  
იორჩევს, როგორ შეეხამება?.. ბალ-ვე-  
ნახები თუ ჰალეები კარგი საფარია, მა-  
გრამ აშკარადაც შეიძლება, მინდვრად  
გასულა ხალხი, შუაგული კალოობა,  
ბრუნავს კევრი, ჯერ არ დადაბლებუ-  
ლა ძნები, ჯერ მინდორიც არ მოუც-  
ლიათ, ეზიდებიან ბულულსა, ტბეთი-  
დან ურწყავებს რომ გაჰხედო, გადა-  
ყვითლებულ ნაწვერლებს რომ გაჰ-  
ხედო, ლანდებითაა სავსე, მინდვრად  
მოფუთფუტე, მოფუხფუსე ლანდები-

თა, იმატებენ ლანდნი, იმატებენ, იმა-  
ტებენ და ლაშქრად იქცევიან, მოუ-  
ლოდნელად წამოიმართებიან სასწაუ-  
ლად. აი, აქაც, რუქაზეც ზოლები არ  
გასდევს ურწყავების მხარესა, თეთრა-  
დაა, მთავარბანაკადაა მონიშნული, კა-  
რგადა სცოდნია გარემოება ამ რუკის  
შემდგენელსა. ლიხის გადმოსასვლე-  
ბიც იქითაა, კარგადა სცოდნია, კარგად  
გაუთვალისწინებია ყველაფერი, შუაკა-  
ციც კარგი აურჩევია, ჰო, რა მოხერხე-  
ბული ყმაწვილია, ხალხური სიმღერე-  
ბი უნდა შეეგაროვო, ჰმ!

დუმილი გრძელდება, ამან განსაზღვ-  
რა თავდაპირველი განსასაზღვრელი,  
ახლა დანარჩენი დარიგებანი თუ რჩე-  
ვანი უნდა მოესმინა, გაჰყოლოდა, და-  
ეზუსტებინა, უარეყო ან მიეღო, დრო  
არ ითმენდა, არ ითმენდა აქამდისაცა,  
მითუფრო ახლა, რახან დაწყებულა,  
უნდა დაიწყოს. დუმილი გრძელდება,  
— რას ჩაჰკირკიტებს ამ შავ ბაფთასა,  
აბრეშუმის ნაჭერია, სხვა რა უნდა  
იყოს, ამოქარგულია რამე, საიდუმლო  
ნიშნებია? თუ უბრალო დათქმაა, გა-  
ენდე ამის მომტანსაო? გაენდე, რაღას  
უცდი, ბრძანების თვალთ გადაჰხედა  
შალვამა, თვალიც დაუქნია, გაენდო.

ელიზბარი შემობრუნდა.  
— კარგახანია აქეთ აღარ უვლია  
ბატონ გიორგისა, — თითქოს სინანუ-  
ლითა თქვა ელიზბარმა, — ალბათ თბი-  
ლისიდან აღარც გამოსულა და ზოგი  
რამ, შესაძლოა, ნათლად ვეღარ წარ-  
მოიდგინოს. ბევრი რამ შეიცვალა, ბევ-  
რი რამ ისე აღარ არის ან უფრო პირ-  
დაპირ რომ. ითქვას, აღარაფერია ისე.  
ამ ბარათებიდან ნახევარსაც ვერ ჩა-  
ბარებთ პატრონებსა, ზოგან მხოლოდ  
დედაბერები დაგხვდებიან, ან ახლოსაც  
არ გაგიკარებენ, ან არაფერში გამოგა-  
დგებიან. აჰ, აჰ, აჰ, — ხელი დაადო რუ-  
ქაზე მონიშნულ წერტილებსა, — საძირ-  
კვლების მიტს ვეღარაფერს იპოვნი,  
— აჰ, აჰ, აჰ, აჰა, აჰაჰა. თუნდ აქაცა,  
— კვლავ თითით მონიშნა, — ვინმე იქ-

ოთარ ჩხიძე  
ზორიანი

ნება, მაგრამ უდიდამო, უხეირო თულა იქნება, სტუმარ-მასპინძლობაც რომ აღარ ეცოდინება, ისეთი იქნება. აქ, აქაცა, აქაც, კიდევ რამდენიმე ადგილას თითქოს ისევა ფეთქავს სული მაგრამ რა ფეთქავა... ერთისიტყვით მოყოლილან ქამთასაივის ქვეშა, სასიმღეროდ აღარავისა სცხელა.

სასიმღეროდ აღარავისა სცხელაო,— შალვამ ჩაახველა უამურადა, ესეიგი ეუარება, არა თანხმდებაო, იტკიცა აილეწა, ლამის შესძახა, უგნური სიფრთხილეაო, მაგრამ უცებ წამოჰკრა სიამაყემ ხეთერელეზისა და ჩაადუმა, ეს ყმაწვილი ცენტრიდანა ბრძანდება, რა თქმა უნდა, ცხადია, ამკარაა, ბრძანებანი მოუტანია, ნათელია და ნათელზე ნათელი, ცენტრის ბრძანება უნდა შესრულდეს უყოყმანოდა, ასე იყო აღაბაბიდანა, ასეა, ასე იქნება, მაგრამ ელიზბარი ვიღაა, რა ძალა აქვს ესოდენ ბეჯითი, გულმოდგინე, ესოდენ დაჯერებული უარისა? რა მოვლენებში მოქცეულა, რა გავლენა მოუპოვებია ამ ჩია კაცსა, თავისი დღენი რომ წამლებს სუნი ასდის, თავისი დღენი მილი რომ უდევს გაძვალტყავებულ ავადმყოფთა გულმკერდზედა? ხეთერელები არც გაისხლიტებოდნენ მოვლენათა გულიდანა, ხეთერელებს ბევრჯერ გადაურჩენიათ საქართველო, გადაურჩენიათ ვაჟკაცობითა, ოღონდ ახლა ისე დაბრუნებულა წუთისსოფელი, ფარული და მოხერხებული მოქმედება გადაქცეულა ვაჟკაცობადა. ეს წყნარი კაცი, ეს ჩია კაცი დიდი ამბების გულში მოქცეულა ხეთერელთა შეუპოვრობითა. რომ ეუარება, რბაც იცის, მეტი იცის, ყმაწვილზე ჰო არაფერი ითქმის, იმაზე მეტი იცის, ვისი სახელითაც მოვლენილა, — გიორგი ყანჩაველიო, ამბობენ, რაც უნდა თქვან

შალვაც უკვე მოესხენება, რის საღებროსა სახელგანთქმული კომპოზიტორი თუა თონ ის ალბათ არაფერ უთქვამია და არც გავგება თუ რა ხდება იმის გარშემო. „მეც ასევე ვარ, არაფერი ვიცი, მაგრამ უნდა გავიგო, უჩემოდ არ იქნება, რაც უნდა იყოს ელიზბარი, სამხედრო საქმისა მაინც არაფერი ესმის, მე უნდა განვაგო, მე უნდა გავუძღვე, ამან მოაწყოს ლაზარეთები, მე უნდა გავუძღვე, ალბათ ასეც არის გათვალისწინებული, ამიტომ დამისწრეს, ამიტომაც არ მერიდებიან“. — გაიფიქრა და მოეკიდა სიამაყე ხეთერელებისა. რუქაც აღარ უნდოდა, წელზე შემოიდო ხელები და ბოლთა წამოიწყო, ურუქოდაცა ჰხედავდა შიდაქართლსა, მთებიანადა, ხეობებიანადა, ველ-მინდვრებიანადა; ჰხედავდა ბალ-გენახებში გამოხვეულ სოფლებსა, მდინარეთა ზოლებსა, გზებსა, ბილიკებსა, სოფლების სიდიდეც მოეხსენებოდა, მხოლოდ, ესა ჰქონდა სავარაუდებელი, რომელს რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლო, რამდენი დაეტანა ომებსა, რამდენი გადასულაყო იმათკენა, რამდენი ამათ მიემზრობოდა, — მხოლოდ ესლა ჰქონდა სავარაუდებელი, ძნელი რამ უნდა ევარაუდნა. წესის მიხედვით აღნუსხული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ იყო აღმნუსხველი ან ვინ რას გაიგებდა ამ არეულ დროში. დაძახილი უნდოდა, ძლიერი დაძახილი, ვინც უდევნებოდა, წაუძღვებოდა იმათა. ვინ აედევნებოდა?... ძნელი რამ ჰქონდა განსასაზღვრი დაე ამათ გადაეწყვიტათ, მერე იხმობდნენ, გაუშხელდნენ, სთხოვდნენ, უთავე აჯანყებასო, ისიც მოახსენებდა თავის ვარაუდებსა; თუმცა ასე უცებაც არა. ითაკილებდა, ახვეწინებდა, რატომ აქამდის არ გამიმხილეო... ბოლთა ვავიდა აივანზედა, ბრაგუნობდა სამოახლო აივანი, ბრაგუნობდა სარდლის ფეხქვეშა.

გაგრძელება იქნება





### კ ვ ი რ ა დ ლ ე

გაღვიძებისთანავე უსიამოვნო ფიქრი ამყვამ: „რა ეშმაკები უნდა გააკეთო“.

— რა და, გავივლი. — ვთქვი ხმა-მალლა.

— სად?

— სადმე, ვაა!..

ასე საკუთარ თავს ველაპარაკები. საუზმეს ნაუცბათევეად შევექეცი. ჭამე, ჭამეო, — მგონი ხუთმეტყერ მითხრა დედაჩემმა. ვჭამ-მეთქი.

— რისთვის მიბრაზდები, შე კაცო!

— გიბრაზდები?.. აბა როდის!..

— ჭამე. — ერთხელ კიდევ დაუმატა.

— წავედი, დე, — ვთქვი და როგორც იქნა, გამოვედი. „წვიმა მაინც იყოს“! — გავიფიქრე.

— მერე რაო ვითომ, წვიმა რომ იყოს?

— ისე, უბრალოდ, წვიმა რომ იყოს.

— რომ იყოს, რომ იყოს!

— თავი დამანებე!..

მერე, არ ვიცი, საკუთარ თავს თავი დავანებე, თუ იმან დამანება, ქუჩის გადაღმა ამხანაგს ხელი ავუწიე და, ხომ ხარ ლომივით-მეთქი, გავძახე. კი, ლომივით ვარო. ჰოდა, იყავი ბატონო. მერე იმან დამიძახა რაღაც და მეც ლომივით ვარ-მეთქი, გული აღარ დავწყვიტე.

ცოტა ხნის მერე, ვინანე, რომ არ ვა-

ვარე და სად მიდიხარ-მეთქი, არ ვკითხე. რა ვიციო, ალბათ მეტყოდა. მერე მე ვეტყოდი, მეც არ ვიცი-მეთქი და სადმე ერთად გავუტევედი.

გაჩერებასთან ჩამომდგარ ავტობუსს ზურგი შევაქციე და ჭავჭავაძის პროსპექტს ფეხით გავუყვივი. „რატომ წამოვედი ფეხით, — გავიფიქრე, — სხვა დროს რაღაც არ გიყვარდა აქედანვე ფეხით წამოსვლა. „მხრები ავიჩიე და ეშმაკურად გაღიმებულ ქალიშვილს კინაღამ ვუყვირე: ვითომ რა მოხდა, არ შეიძლება კაცმა მხრები აიჩიოს?! კიდევ კარგი, რომ არაფერი ვუთხარი. ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა და ვითომ შენ არ გიყურებო, ირიბად გამომხედა. გამეცინა. მერე იმასაც გაეცინა და ერთმანეთს დაეშორდით. ლამაზი თვალები ჰქონდა იმ ოჯახდასაქცევს.

— ეგ ოჯახდასაქცევი რააა?

— რა ვიცი, ასე ამბობენ!..

ჭავჭავაძის პროსპექტს მელიქიშვილის ქუჩა მოჰყვა, მერე ლენინის, რუსთაველის და, თითქოს ჯიბრზე, ნაცრობისმაგვარი არავინ შემხვდა. ქაშუეთის სკვერთან ძველი პენსიონერივით მუხლები შევასვენე. სკამზე რომ დავჯექი, მაშინდა შევამჩნიე, რომ ხელში წიგნი მეჭირა. უცებ ის ეშმაკურად გაღიმებულ თვალები გამახსენდა და ასაჩივრად გამზადებული მხრები შემაცივდა. წიგნის სათაურმა სევდა მომგვარა და



ფიქრებმა გამიტაცეს. მოდი, ახალ ხილს ვნახავ-მეთქი, მერე გავიფიქრე, და უკვე ხილისაყენ მიმავალს, საკუთარ თავს ვკითხე: „რატომ მიღიხარ“?

— ან ვითომ ის რა იყო, სკამზე რომ იჯექი.

— ალბათ, ასე იყო საჭირო.

— მაინც რატომ?

— რატომ, რატომ!

ახალი ხიდი ძალიან მომეწონა. არა, არც ისე ძალიან, მაგრამ, რაკი მომეწონა, მომეწონა. არ მიყვარს ბევრი გამოკიდება. ორსართულიანი იქნებაო, მშენებლები ამბობდნენ და კია ორსართულიანი. შიგ მალაზიები ექნება დატანებულიო და, დაუტანებიათ. ჰოდა, მეტრა გინდა.

— არაფერი, ბატონო.

— რა ვიცი, ესაო, ისაო, ბარათაშვილის აღმართი გაუსწორებიათ და ეგრად აღმართიაო, თუ აღმართია, აღმართი იყოსო, შენ ისე გინდა, საქმეც გააკეთო და არც არაფერი გაფუჭდეს.

— რატომ არა?

— კაი დაგემართოს! მერე მე როდის ვითხარი, არა-მეთქი...

ისე, გულდაგულ კი დავათვალიერე მშენებლობა. ასფალტი უკვე მთელი ხილის გასწვრივ იყო დაგებული და ახლა მოაჯირებს ამაგრებდნენ. ხილის გადაღმა, ტრაშეის ახალ ლიანდაგზე, გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას ვაგონები. გზა, გზაო, ყვიროდა ვატმანი და ხალხიც გზას უთმობდა. მერე, თითქოს აუცილებელი ყოფილიყოს გზის ჩაკეტვა, ისევ ლიანდაგებზე ჭგუფდებოდნენ ახლა მორიგი ტრამეის ვატმანი ყვიროდა, გზა მომეცით თქვე ასეთებო და ისეთებო და ხალხიც გზას აძლევდა. მერე ისევ ლიანდაგებზე ჭგუფდებოდნენ.

როდის ამთავრებთ-მეთქი, მშენებლობას, ვკითხე ბრიგადირს. რა ვიცი, მუშას არ ჰგავდა და ბრიგადირი თუ იყო. როდინობის კვირაშიო, მიბასუხა. შენ მითხარი, ბიძია, როდის ამთავრებთ-მეთქი, ახლა სხვას ვკითხე. მითხრა, როდისაც

ამთავრებდნენ და იმ ბრიგადირს მოსვლისას თვალები დაეჭრებოდა, იმანაც დამიბრიალა თვალები და მგონი ტუჩებითაც რაღაც წაუშამთა. წამტება ასე არ უნდა-მეთქი და მე უფრო ხმამალა მოვახსენე. მერე, ჰაი აქეთ, ჰაი იქით და, როგორც იქნა, დაგვაშოშმინეს. მე უფრო ადრეც დავმშვიდდი, მაგრამ ცოტა წესის გულისთვის წავიჭაჯლანე. მერე, ძალიან კარგი ჰქენით, რომ გავგაშველეთ-მეთქი, გავიფიქრე. მერე ვიღაც ქალიშვილის უშველებელ თვალებს შევეფეთე. თურმე ჩვენ გვიყურებდა და თვალებში შიში ჩასდგომოდა. ის არტისტული ტალანტი უცებ დავკარგე და გოგონას დამნაშავესავით გავუღიმე. ის შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით ბარათაშვილის ქუჩას გაუყვა. „მოიხედავს“, — გავიფიქრე. მართლაც მოიხედა. მერე თვალს მიეფარა და ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი. „დღეს უკვე მეორედ“, — გავიფიქრე და ხილს ზურგი შევაქციე. ერთხანს გულდამძიმებული მივდიოდი. მერე ერთბაშად გამიარა ნაღველმა და ვამვლელ-გამომვლელს ყურადღება მივაქციე. პუშკინის ქუჩაზე, მომეჩვენა, რომ ვიღაც ნაცნობს მოვკარი თვალი. ფეხს ავუჩქარე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მოვეტყუედი. „ახლა საით.

— საითაც გენებოს.

— ჰოდა, ვივლი.

— იარე, ბატონო.

— რა თქვი?

— დღეს რაღაც უნდა მოხდეს...

— რა უნდა მოხდეს!

— მოხდება, აი ნახავ!

ჰო, ალბათ,“ — გავიფიქრე.

— დღეს თუ არა, ხვალ, ზეგ, ან როდისმე...

ზარის დილაკს თითი დავაჭირე.

— კახა სახლში არ არის, — მითხრა კახას დამ, — თუ გინდა, შემოდი...

— არა, გავივლი...

მერე, დათოსთან წავალ-მეთქი, უცებ გადავწყვიტე. დათო საბურთალოზე





ცხოვრობს და ჯერაც არ ვყოფილვარ მასთან. „რალა დღეს გაგახსენდა“.

— დღეს რალაც უნდა მოხდეს...  
 ავტობუსის გაჩერებასთან მივედი და გავიფიქრე: „რატომ მივედივარ. ან თუ მივიდიოდი, რატომ დილასვე არ გადავწყვიტე.“

— ალბათ სახლში დაგხვდება დათო.  
 — ჰო, აბა ისე რა აზრი ჰქონდა ამდენ იმას...  
 — რას?  
 — რა ვიცი! ვიცი?..

დათო სახლში არ დამხვდა. „ესეც ასე უნდა მომხდარიყო?“ ფიქრში ავტობუსის გაჩერებას გამოვცდი და გადავწყვიტე ფეხით მევლო. „ეს რალა?“

— დღეს რალაც უნდა მოხდეს!  
 „აი, დათო რომ სახლში დამხვედროდა, მაშინ კიდევ, ჰო. ალბათ რაიმეს მეტყოდა ახალს. მერე მე ვეტყოდი. მერე სადმე წავიდოდი, მერე... და ეს იქნებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ახლა კი, ახლა გაუგებარია ყველაფერი...“

მოხუცმა ქალმა გამაჩერა და დიდუბის საბაგირო გზასთან როგორ მივიდეო, მკითხა. მივასწავლე. „ესეც აუცილებელი იყო?“ — გავიფიქრე და ისე სულელური მომეჩვენა მთელი დღის აკვირება, რომ გულზე მომეშვა.  
 — ალბათ, იყო.

— ჰო, ვიცი, დღეს რალაც უნდა მოხდეს...  
 — დღეს თუ არა, ხვალ...  
 — ჰო, ხვალ, ან ზეგ, ან როდისმე... ახლა, რომ გადავწყვიტო, სახლში აღარ წავიდე, მაშინ?..  
 — მითუმეტეს.

— ჰოდა, არ წავალ!.. — ისე რუსთაველის პროსპექტზე გავედი და ყოფილი პირველი გიმნაზიის ეზოში ილიასა და აკაკის ძეგლის წინ ბალის სკამზე ჩამოვჯექი. წიგნი გადავშალე და შემთხვევით გადაშლილ გვერდზე ისეთი რამ წავიკითხე, რაზეც მთელი ჩემი სიცოცხლე ვფიქრობდი და პასუხი ვერ მეპოვნა. სული შემიგუბდა და წიგნი

სასწრაფოდ დავხურე. „ესეც ის, რაც უნდა მომხდარიყო, — გავიფიქრე, — რამდენ აუცილებლობას მოსდევს ხოლმე ერთი უბრალო შემთხვევა! თუ პირიქით?“ მერე, როგორც იქნა, ჰკვიანური რალაც გავიფიქრე: „ეს წიგნი ხომ მაინც უნდა წამეკითხა. ჰოდა, ხომ მივიდიოდი ადრე თუ გვიან იმ ადგილზე, ახლა ხომ გჯერა, რომ ტყუილად იტყვიებ თავს და ფიქრობ რალაც არ არსებულზე. შენ თვითონ წარმართავ შენს ბედს, და ტყუილად გგონია, რომ ის წინასწარ დაკანონებულია და ერთადერთი.“

— მაგრამ, იქნებ...  
 — არაფერი მაგრამ. ვიცი რასაც ვამბობ, მორჩა და გათავდა!  
 — იცი?  
 — ვიცი!.. ჰო, ალბათ...  
 — დღეს რალაც უნდა მოხდეს!  
 — ის უკვე მოხდა. — კინალამ ვიყვირე.

ჩემს გვერდით გოგონა ჩამოჯდა. სანამ მომიახლოვდებოდა, მენიშნა, რომ სადღაც მენახა. „ჰო, — გამახსენდა, ეს სწორედ წინა კვირას იყო, ჰადრაკის კლუბში“. — ვაი, ჰადრაკი! — კინალამ ვიყვირე. დღეს კლუბში ჰადრაკის დღე იყო, საერთაშორისო შეხვედრა, და ახლა გამახსენდა. ძალიან მინდოდა დასწრება. ახლა უკვე გვიანი იყო. საშინლად დამწყდა გული. „ეს რა სისულელე მომივიდა!“

— დღეს რალაც უნდა მოხდეს! — და მოსახდენის გარდუვალობაში ისე ღრმად დავრწმუნდი. რომ თითქმის ძალდაუტანებლად ვუთხარი გოგონას:

— აქ ჯდომას კუბეში ჯდომა ჯობია, მოდი წავიდეთ.  
 — რა თქვით?  
 — ჰო, კაფეში... იქ დიდი მინებია და შიგნიდან აწერია: ეფაქ. ზიხარ შენთვის და კითხულობ: ე. ფ. ა. კ.  
 — კიდევ რა იცით?  
 — ჰადრაკი სულაც არაა თამაში, ის

შარბანა აიკვიძე  
 ორი მოთხრობა



ბრძოლა, შიში, სიკვდილი, დამარცხება... ჭადრაკი ლტოლვაა, ძიება... მოკლედ, ცხოვრება.

— თამაშიც.  
— ჰო, თამაშიც... ცხოვრებაც ასეა.  
— მე ძალიან მიყვარს ჭადრაკი.  
— ვიცე, — შენ მართლა ძალიან გიყვარს ჭადრაკი... ჭადრაკში ათასი მოულოდნელობაა, ათასი ჭუნგლი და ლაბირინთი... და მაინც ყველაფერი ერთ წესს ემორჩილება: აუცილებლობას! ეს საშინელებაა... მაგრამ ჭადრაკი მაინც ლამაზია, მომხიბვლელი...

— მერე, რატომ?  
— იმიტომ რომ ჭადრაკში შეცდომებიცაა... შეცდომებს კი მხოლოდ ადამიანები უშვებენ...  
რალა დამავიწყდა და შვებით ამოვისუნთქე, მერე ისევ გამახსენდა, მერე დამავიწყდა...

გოგონამ უცებ საათს დახედა და შეწუხდა.

— უკვე გვიანაა, — გამეცინა, — საათნახევარია, რაც დაიწყო, — მერე ისევ ყოყინით მოვარდა: „ღღეს რაღაც უნდა მოხდეს!“

— ჰო, კაფეში, — ვთქვი, — იქ დიდი მინებია და შიგნიდან აწერია: ეფაქ. ზიხარ შენთვის და კითხულობ: ე. ფ. ა. კ.

ყველაფერი აუცილებლობის გამო ხდებოდა:

— წავიდეთ. — თქვა გოგონამ.

წავედით. „რა უცებ მომენდო!.. თუმცა რა, რატომ არ უნდა მოგენდოს.. ზიხარ შენთვის ბაღში და წიგნს კითხულობ...“ და უცებ წიგნის მიმართ განუსაზღვრელი მადლიერების გრძობით ავივსე. „ეს წიგნია, ბატონო, წიგნი!“ წიგნია, ყველაფერს რომ სიყალბის სამოსელს ხდის და ამარტივებს, აუბრალოებს. რა კარგები იქნებოდნენ ადამიანები, წიგნებს რომ უჭერებდნენ, და „რეალობანას“ არ თამაშობდნენ.

— მართლა ისე სწერია, — თქვა როცა მაგიდას შემოვუსხედით და თითი მინისკენ გაიშვირა.

— უყურე, მართლა!  
— ჩვენ ახლა ბევრ ფულს ვაგროვებთ. — შემაშინა.

— მოითხოვე, რაც გინდა, მზის ასულს.

— რატომ, მზის ასული?  
— ასეა ზღაპრებში.  
— არ მახსოვს.  
— რას ისურვებ, მზის ასულო.  
— ერთ ყავას.  
— კიდეც.  
— ისევ ყავას.  
— გიყვარს?  
— ახლავე დარწმუნდები.  
— შამპანური?

გოგონამ მზერა გადმოკრა.  
— შენ ალბათ გგონია, რომ სხვა დროსაც წამოვსულვარ ასე...

— რატომ.  
— დაუჭერებელია და იმიტომ... — მიოხრა.

— მე მჯერა. — გოგონამ დიდხანს, დიდხანს მიყურა თვალებში. „რა კარგები იქნებოდნენ ადამიანები, წიგნებს რომ უჭერებდნენ...“ მინდოდა, მისთვისაც გამემხილა ეს აკვიატებული ფიქრი, მაგრამ მხოლოდ სახელი ვკითხე.

— აკი გითხარი მზის ასული.  
— ეგ ხომ მე დავარქვი.  
— ძალიან მომწონს.  
— იყოს ნება შენი, მზის ასულო.  
— ეგ რა წიგნია? — მკითხა.

— ესა? — ვთქვი და უცებ მოვიწყინე. სხვა დროსაც დამმართნია ასეთი რამ, მაგრამ ასე ძალიან არასდროს. მზის ასულს წიგნის თავფურცელი ვაჩვენე. თავი დამიქნია. — ზღვაში დაიხრჩო, — ვთქვი ავტორზე.

— რაღაცას ამბობენ.

— ჰო, ალბათ... აქაც სულ სიკვდილზე წერს... ჰოდა, ერთხელაც...

— მართლა ხდება ასე? — იკითხა.  
— რა ვიცი...  
— ხდება. — თვითონვე მომიგო.  
— ეს სრულებითაც არაა სისულე-



ლე... პირიქით, სიბრძნეა... იცი რა, ბევრს რომ იფიქრებ...

- შენც მოიკლავ თავს?
- მე არა.
- რატომ.

— იმ სიბრძნის მერე კიდევ არის ახალი სიბრძნე...

- რა სიბრძნე?
- ის რომ, თავი მაინც არ უნდა მოიკლა...

- რა იცი?
- ვიცი. მეტსაც გეტყვი...
- ილაპარაკე.

— რა და, უფრო იქით კიდევ მეტი სიბრძნეა...

- ის რაღაა.
- ისევ თავის მოკვლა...
- მერე.

— მერე აღარ ვიცი, მაგრამ ალბათ ის რომ...

- და ასე, დაუსრულებლად...
- ჰო, ასე...
- მერე აქედან რა გამოდის?

- ის რომ, თავი არ უნდა მოიკლა.
- მართლაც ასეა.
- ასეა, მზის ასულო.

— რა კარგია, არა, რაიმე რომ გწამს?

- კარგია, მზის ასულო.
- მისთვის რომ ვინმეს ასე ეთქვა...
- ჰო, ალბათ, ძნელია წინასწარ ყველაფრის განჭვრეტა...

— იცი რა, მე არასოდეს მიფიქრია სიკვდილზე... მეშინია და იმიტომ.

- ყველას ეშინია.
- ყველას არა, ჩემო უშიშარო რაინდო.

„უშიშარო რაინდო!.. ჰმ!.. ერთი, იცოდე ჩემი ამბავი...“

- დაცალეთ სასმისი, მზის ასულო.
- დავთვრეთ, ჰო?
- დავთვრეთ, მზის ასულო.

მერე ველაპარაკე დილიდანვე აკვიატებულ ფიქრებზე. რომ ადამიანი თითოსაც ვერ გაანძრევს ისე, რომ ამ ამბავს რაღაც არ მოჰყვეს. რომ ეს „რაღაც აუცილებელია, და რაკი აუცილებელია,

უნდა მოხდეს. მომხიბვლელი მოსაუბრე იყო და ველაპარაკე ადამიანის გონებისთვის ამრუხსნელ იდუმალებაზე, ერთმანეთში ავურიე რეალური და არარეალური, და ბოლოს შემუფოთებით მკითხა:

— ასე შეიძლება თავი მოიკლა!

— არა, მზის ასულო, — ვთქვი უცებ და გავემხიარულდი. ჩემთვის ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, როგორ ვიტყოდი და ვთქვი, რაც შეიძლებოდა უდარდელად: — ჩემში არის მეორეც, ცოტა ნაკლებად „ბრძენი“, მაგრამ ძლიერი... ჰოდა, ის მასწავლის, როგორ უნდა ვიცოცხლო.

— მერე, არ გეშინია გაორების?

— გაორების? ვითომ რატომ უნდა მეშინოდეს გაორების! გაორების კი არა, მე იმისაც არ მეშინია... გასამების. ჰოდა, ასე, არც გასამების და არც კიდევ იმის, რა ქვია... გა... გა...

— გაოთხების.

— არა, გაექვსების. — გულით გამეცინა.

შებინდებისას კაფედან გამოვედი. ხოლო კაფედან რომ გამოვედი, მე უკვე ნათქვამი მქონდა, რომ მყავდა დედა, მამა, და, მეორე და, ხოლო რაც მთავარია, მყავდა ცოლი და ორი შვილი. მზის ასულმა არ მითხრა თავისი სახელი. არ მითხრა იმიტომ, რომ არ ჩავაცივდი. ძალიან მოსწონდა ჩემი შერქმეული სახელი. და მე მიხაროდა, რომ ჩემი შერქმეული სახელი ასე მოსწონდა. მზის ასულმა მითხრა, რომ ჯერ არავინ ჰყვარებია, არავინ, გარდა სიზმარში ნახული ჭაბუკისა, და რომ ის ჭაბუკი... მეტი აღარაფერი უთქვამს იმ ჭაბუკზე.

ბავშვობაში, ერთხელ, ლამაზსურათებიანი წიგნი წამართვეს. ნახევრამდეც არ მქონდა დათვალიერებული, რომ წამართვეს და ბუხრის ცეცხლში შეაგდეს. მას შემდეგ მუდამ სიზმარში

ზარაზან კიკვიძე  
ორი მოთხრობა



ვნახულობდი იმ წიგნს და სწორედ იმ ადგილზე, როგორც ბავშვობისას, ხელიდან მართმევდნენ და ბუხარში აგდებდნენ. მერე არსად აღარასოდეს მინახავს ის წიგნი. ახლა გამახსენდა და საშინლად მოვიწყინე. და ასე იქნება აწი სამუდამოდ...

მანქანამ გვერდი გამკრა და ხიფათის შეგრძნებამ ერთი წუთით ყველაფერი დაამაგიწყა. გავმხიარულდი. „ეს რილასთვის იყო საჭირო,“ გავიფიქრე და უკვე შორს მიმავალ მანქანას თვალი გადავყოლე.

— ალბათ იმიტომ, რომ გამცინებოდა. — ვთქვი ხმამალა.

მზის ასული მიხვდა, რასაც ვამბობდი და საყვედურით მითხრა:

— ეს ხომ ეგოისტობაა, ყველაფერი მხოლოდ შენი გულისთვის...

— ჰოდა, ვარ კიდევ ეგოისტი, — გავბრაზდი, — ჰო, სწორედ, ყველაფერი ჩემი გულისთვის... მაგრამ, თუ შენთვის საჭირო იქნება, მე თავს მოვიკლავ, ისე რომ ერთი წუთითაც არ დაფიქრდები, შენთვის კი არა, თუ გინდა სხვისთვისაც... — მერე უცებ გავიფიქრე, რომ ასეთ ფიქრებს, თუკი ის ვინმეს აქვს, გულში ინახავენ და არ ლა-

პარაკობენ, და გავჩუმდი. მზის ასულმა მითხრა:

— მოდი, მე შენი მფარველი ანგელოსი ვიქნები.

— ჩემი?

— ჰო, შენი. როცა გავიჭირდება, ერთი, ორი, სამი და უცებ გამოგეცხადები... შენ მხოლოდ თვალები უნდა დახუჭო და თქვა: ჩემთან, მზის ასული.

— ნახვამდის, მზის ასული.

— მშვიდობით.

სახლამდე კიდევ კარგა მანძილი იყო და ჩემი თავი საბოლოოდ დაეარწმუნე რომ დადგებოდა ის დრო, როცა ამოვხსნიდი, რისთვის იყო ეს დღევანდელი დღე საჭირო. „ჰო, დადგება, უსათუოდ დადგება“, — ზარის ღილაკს თითი დავაპირე.

— რატომ არ ჩამოდის თაია, — ვკითხე დედას.

თაია ჩემი ცოლია. სოფელში მამის სანახავად წავიდა და დღეს უნდა ჩამოსულყო. როცა თაია შინ არაა, სახლში ვერ ვჩერდები. თუ სახლშია, ვზივარ ჩემთვის და წიგნს ვკითხულობ, ან...

საერთოდ, ჰირივით მეჭავრება კვირადღე.

## იქნებ იმ გაზაფხულზე...

დედა ძალიან სწუხდა:

— შოფრობა რა შენი საქმეა, შვილო...

მამა უფრო ძალიან სწუხდა. ყოველ წერილში იწერებოდა:

— იქნებ, უკეთესი რამე მოიფიქრო...

მე უკვე მოფიქრებული მქონდა: „სწავლას ქვეყანაზე არაფერი ჯობია“.

მაგრამ ომი იყო.

დედას ღვიძლის ტკივილი აწუხებდა.

ჯუნა მესამე წელში გადადგა.

ფილო ყოველ საღამოს ჩიოდა:

— ან თვალი მიმტყუნებს, ან ხელი, გადავიჩხვავ მაგზავრებს!..

მე ბევრი ვიფიქრე და როცა საბოლოოდ გადავწყვიტე, ვთქვი:

— მე ვატარებ შენ ავტობუსს!

ავტობუსი ქუთაისსა და ამბროლაურს შორის დაჰყავდა ბაბუა ფილოს.

მერე ფილო მოკვდა.

მამამ უკანასკნელი წერილი მოიწერა.

ომი დამთავრდა.

ჯუნა სკოლაში შევიდა. ჯუნას გარინდება დასჩემდა. ჩვენ შეგვეშინდა. ჯუნა იჯდა და ფიქრობდა...





— საოცარი სმენა აქვს, — თქვა ექიმმა და გაიცინა, — ეს მხოლოდ ნიჟია.

— მე წავეყვან თბილისში, — თქვა გენომ.

დედან ღვიძლის ტკივილმა გაუხსენა.

— შენ ახლა სიმშვიდე გინდა, დედა! დღე დღეს მისდევდა. ტკივილმა თანდათან უმატა.

— ოპერაციაა საჭირო, — თქვა ექიმმა, მერე მე მომიბრუნდა, — შენ რას ტყვი...

ოპერაციამ არ გაუმართლათ.

მერე მე ვუთხარი გენოს:

— რაღაზე შეგაწუხო, მე თვითონ წავეყვან.

ჯუნა მუსიკალურ სასწავლებელში მიიღეს.

„შოფრობა რა შენი საქმეა, შვილო“, — მახსენდება დედის ნათქვამი. ცული ხალხი არა ვართ შოფრები. ჩვენ ყველას უყეთესი რაღაცა გვინდოდა.

● უნივერსიტეტს რომ ჩავუქროლე, მანინ დამიძახა:

— ტაქსი!

ეს ჩემი ახალი სახელია. ადრე, უბრალოდ, შოფერს მეძახდნენ. ისევ ის ძველი სახელი მერჩია. მაგრამ ამასაც შევეჩვევი! გუშინ ჯუნას სიმღერა გადმოსცა რადიომ.

მანქანა დავამუხრუჭე. მისკენ არც გამიხედავს, კარის სახელურს ხელი ჩამოგვარი და დაუუცადე, ვიდრე შემოვიდოდა. ჭრელი ჩითის კაბა მუხლზე გადამეფინა.

— ავლაბარი!

არც მე გამომიჩენია ენაწყლიანობა. მთელი გზა კრინტი არ დამიძრავს.

ბარათაშვილის აღმართს მივადექით.

ეს ადრე იყო: ბაბუა ფიდოს დაყვადი ხოლმე თბილისში, მანქანის ნაწილების საშოვრად რომ ჩამოდიოდა. — გამარჯობა, თბილისო! — ამბობდა ბაბუა ფიდო. ჭერ ფართო და მაღალ ქუჩებს მომატარებდა. მერე მთაწმინდას.

მეტებს, ნარიყალას... ბოლოს, ვიწრო ქუჩებსაც არ ივიწყებდა. მე არაფერი მაკვირვებდა, გარდა პატარა, ცხენისმგავსი ცხოველისა. ზოგს ზურგზე მაწვინის ქილებით გატენილი ხურჯინები ევიდათ, ზოგს უსაშველოდ დიდი შეშის კონები. ესენი წყნეთელები არიანო, ამბობდა ბაბუა ფიდო იმ საცოდავი ცხოველების პატრონებზე. მაგრამ ქუჩის მცხოვრებლები მათ სულ სხვა სახელებს ეძახდნენ:

— მაწონი, მოიცა, მაწონი!

— ტარხუნა, კაცო!

— შეშა, ძია შეშა!

— რა გაციონებს, — მეკითხებოდა ბაბუა ფიდო.

— ძია შეშა, — მიხაროდა მე, მერე ხმას ვუწვედი, — ეპეი, ძია შეშა!

ძალიან კარგი რამე იყო.

„არა, ტაქსი, ტაქსი, მაგრამ აი, კაცს რომ შეშას დაგიძახებენ...“ — გავიფიქრე.

გამეცინა. მერე უცებ წარმოვიდგინე, რომ ტაქსი ვარ და მე — ტაქსი — ვიცინი. არ ვიცი იმ წუთში რამდენად ვგავდი ბორბლებიან მანქანას. ეს კი ვიცი, ტაქსს რომ სიცილი შეძლებოდა, ალბათ ჩემსავით სულელურად გაიცინებდა.

„რას მივედ-მოვედები!“

— გააჩერეთ! — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, კარი გააღო და ის იყო, მანქანიდან გადასვლას აპირებდა, რომ უცებ მისკენ მივბრუნდი და ვკითხე:

— ვინ გასწავლათ ჩემი სახელი?

ეს იყო და ეს. მეტი აღარაფერი მითქემს. გოგონა თურმე ისეთი ლამაზი ყოფილა, ისეთი ლამაზი!.. მუშტისოდენა თვალები შემომანათა და ჰკუთიდან შემშლული ღიმილით დამშორდა.

ანგარიშმოუცემლად მანქანიდან გადამოვედი. გოგონა მოსახვევს მიეფარა. მზეს თურმე ქალად გადაქცევა შესძლებია, ჩითის კაბა ჩაუცვამს, მე მანქანაში მეჯდა და არ ვიცოდი, მერე

ქართული მწერთა კავშირი  
ორი მოთხრობა

მუშტისოდენა ბრდღვილა თვალები შემომანათა მზემ და მაღალი ქუსლების ბაკაბუკით მოსახვევს მიეფარა. მე კი გაოგნებული ვიდექი და ვგრძობდი: სამუდამოდ ვკარგავდი იმ ღიმილს, გული რომ გამოუთქმელი ნეტარებით ამივსო, ვკარგავდი ყველაზე უფრო ძვირფასს, რაც კი ცხოვრების გზაზე შემხვედრია... და მაინც მოჯადოებულ ივით ერთ ადგილას ვიდექი, საქმეს ვერაფრით ვშველოდი.

— საჭეს რომ მივებრუნდი, ისევ მომესმა:

— ტაქსი!

ეს უკვე ნიკო იყო, ჩემი მეგობარი, მწერალი.

— შენც დაგავიწყდა ხომ ჩემი სახელი!

— ოჰ შენა, ბოცო? — გაუხარდა ნიკოს. მე? საიდან!

— აბა ერთი მაჩაბლის ქუჩაზე წამიყვანე, ბოცო!

— წაგიყვან და მეტსაც გიზამ, შე უბედურო!

— მაინც რას?

— აი, იმ მანქანას უნდა დავეჩახთო.

სისწრაფეს ვუმატე და სატივითო მანქანას ჩავუქროლე. მერე ნიკოს გავხედე. ფერი აღარ ედო ადამიანის.

— კარგი ხუმრობა გცოდნია...

— მე არ მიხუმრია, — ვუთხარი და სისწრაფეს ერთიორად ვუმატე. ნიკო ერთხანს გაჩუმებული იყო, მერე სრულიად დამშვიდებული ხმით მითხრა:

— როგორც გეგნებოს. მე არ მეშინია. ისე კი, რაღაც, უმიზეზოდ არ უნდა ბორგავდე.

— უმიზეზოდ, უმიზეზოდ!

პუშკინის ქუჩას ავუყვები. ახლა უკვე საკმაოდ ნელა მიმყავდა მანქანა, თითქმის ტაატიით.

— ჭუნა რასა იქს, — მკითხა ნიკომ. მერე დიდი ხნის წინათ დაწყებული საუბარი განაგრძო, — შენ არ იცი, ბოცო, რას ნიშნავს ხალხთან სიახლოვე... ეჰ, მე რომ შოფერი ვიყო!..

— გახდი მერე ვინ გიშლის!

— ვინ გიშლის? ბექნუ მიშლის, თათა მიშლის, ერასტი, თეონა, უკვე გვიანიაო, ჩემო ბოცო, ახლა ჩვენ მოგვხედეო, გვიშველეო, გვასუნთქე, გვაცოცხლე, გვაცხოვრე, ვიხრჩობით, პაერი აღარ გვეოფნისო...

ესენი სულ ნიკოს მოთხრობის გმირები არიან.

— ჰოდა, მიხედე, — ვუბნები ნიკოს.

— ვხედავ.

— მე თავი დამანებე.

— შენც გინდა, ბიჭო, უკეთესი...

— მე კმაყოფილი ვარ.

— მაგაზე ცუდი არაფერია, არ უნდა იყო... არც შენ, არც ჭუნა... უფრო ჭუნა... ჰო, მართლა, რა ეშმაკი მოგივიდა:

თვითონაც არ ვიცი რატომ, გული მომივიდა:

— მუზა არ დაგკარგვია, პოეტო? თუმცა, შენ რა გიჭირს, ერთს დაკარგავ და მეორეს იპოვნი.

— დღეს შენთან ლაპარაკი არა ღირს. გააჩერე, მოვედით. — თქვა ნიკომ.

გადავიდა. კარი ისე მომიჯახუნა, რომ მანქანა მთვრალივით შებარბაცდა. გამეცინა. მერე, უკებ, რაღაც სურვილმა შემიპყრო, რომ რაიმე ჩამედინა, მანქანიდან სწრაფად გადმოვედი და სანამ ნიკო თვალს მიეფარებოდა, ვუყვირე:

— შეშა!

ნიკო შემობრუნდა, მე კი ისევ შეშამეთქი, დავუძახე და გულმოოხებული საჭეს მივუჯექი.

ნიკო ჭერ განცვიფრებული მიყურებდა, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. იქნება თქვა კიდევ, შენგან აღრე თუ გვიან ამას მოველოდიო.

მანქანა პირდაპირ იმ ადგილისკენ გავაქანე, სადაც ის გოგონა ჩავისვია. რატომ, რისთვის — მე თვითონ არ ვიცი. „რატომ არაფერი ვუთხარი...“

მე ომის დროს გავატარე ბავშვობა. ბევრი ვიფიქრე და ლაპარაკს გადავეჩვიე. კაცი ფიქრში იხრდება. ერთი გო-

გონა შემოიყვარდა. ოთხი წლით ჩემზე უფროსი იყო. ვათენდებოდა — იმ გოგოზე ვფიქრობდი. დაღამდებოდა — ისევ იმ გოგოზე ვფიქრობდი. ის რომ სუნთქავდა, მეც ვსუნთქავდი. სუნთქვას რომ შეაჩერებდა, მეც სული მიგუბდებოდა. მეტი ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე:

— თავს მოვიკლავ, აღარ შემოძლია! გოგონამ ისე შემომხედა, თითქოს კარაქიან პურს აღარ შეეჭამ-მეთქი, დავმუქრებოდე. ის იყო და ის, ქალისთვის აღარაფერი მითქვამს.

„იწყება!“

მთელი დღე აქეთ-იქით დავაქროლებდი მანქანას. ბევრი მგზავრი გადავიყვანე ქუჩიდან ქუჩაზე. რამდენჯერმე ავუარე იმ ადგილებს, სადაც გოგონა შემხვდა, მერე დამშორდა... მაგრამ ამაოდ.

„მოფრობა რა შენი საქმეა, შვილო...“

ბევრ ლამაზ გოგონას შევავლე თვალი, სუნთქვაშეკრულს საქე ხელიდან მისხლტებოდა. ისინი ბევრნი იყვნენ, უსაშველოდ ბევრნი...

„შენ ახლა სიმშვიდე გინდა, დედა!..“

ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, ყველანი ერთმანეთს და არც ერთი მათგანი — იმ ჭრელკაბიანს.

გავწამდი. ერთხანს გადავწყვიტე, რომ ხელი ჩამეჭნია და აღარაფერზე მეფიქრა, გამეფანტა აბეზარი ფიქრები, განუმეორებელი, აუხდენელი სიზმარი. მაგრამ ვერ შევძელი. გულს ტკბილი გრძნობა ვერ ამოვგლიჯე და მუხლს ჩითის კაბის საამო ლიცლიცი.

●  
მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. დიდხანს ვეძიე ის გოგონა, დიდხანს და იცით?

ვიპოვნე. მეორედაც იმ ადგილას შემხვდა, სადაც პირველად. ისევ ის ჭრელი ჩითის კაბა ეცვა, ერთხელ მუხლზე გადამეფინა, მეორედაც ისე უსიტყვოდ გავიარეთ მელიქიშვილის ქუჩა, მერე ლენინის, რუსთაველის, ბარათაშვილის. მეორედაც ღიმილით დამშორდა, ჭკუიდან შემშლელი ღიმილით, და ის კვლავ ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მშვენიერი, რომ კვლავ ვერაფერი ვუთხარი და... მეორედ დავკარგე.

ტაქსი.  
ავლაბარი.  
გააჩერეთ.





## პრჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“

ამ ბოლო დროს მომრაველდა რომანები ახალგაზრდა კაცზე, მის ფიქრზე, გზის ძიებზე... ახალგაზრდები ჩამოდიან მთიდან ბარში, ბარიდან აღიან მთაში, მოგზაურობენ ქალაქიდან ქალაქში და გზებს ეძებენ... დათო ნათიშვილი კი საკუთარ სულში მოგზაურობს. არჩილ სულაკაურისთვის უცხოა ფიქრების რეკლამა, ის არ ფიქრობს იმისათვის, რომ იფიქროს, ის ეძებს კაცურ კაცს თავის საყვარელ გმირში, — „მეორე დათოს“.

დათო ნათიშვილის „ბუბა ეშმა“ არ არის რეალური, მაგრამ ის უფრო ძლიერია და „ნამდვილი“. არჩილ სულაკაურს არ ერევა ერთმანეთში სუბიექტური და ობიექტური, მაგრამ ის ენდობა დათოს, მის ფიქრებს, ეძებს ბუბა ეშმაში დათოს თვალთ დანახულ მის სულს, მის ბუნებას. დათომ ვერ იპოვნა ბუბა ეშმა, მაგრამ სულაკაურს სჯერა მისი იმპულსის, ბუბა ეშმა ცხოვრობს დათოში და დათო მას უსათუოდ იპოვნის... და მაშინ ბუბა ეშმა დაიწყებს ცხოვრებას, მთელი არსებით, მთელი სიმძაფრით... ბუბა იპოვნის თავის თავს და შეერწყება დროს, სამყაროს... მანამდე კი დათო იფიქრებს ბუბა ეშმაზე, „ისაუბრებს“ მასთან, გახდება უფრო გულწრფელი, უფრო ძლიერი, კეთილი...

უტყვია მირიან ნათიშვილი, მაგრამ მეტყველია მისი დუმილი. მისი სული გათელეს, მაგრამ ვერ გასრისეს. ის სდუმს, როგორც ოქროს თევზი, მაგრამ ის ცხოვრობს სხეულში, რომელთაც ის შეინახეს. ის ცოცხლობს დათოში, როგორც ომამდელი მირიანი, ბონდარევი, როგორც გმირი და მართალი... მირიანს შეუძლია მშვიდად მოკედეს, მაგრამ ბუნება უფრო გულუხვია და კეთილი. მირიანი „იწყებს“ ცხოვრებას და რწმუნდება რომ სიკვდილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ თვითმკვლევლობა. და ყველაფერი ეს მაინც უყვთ „ესმის“ დათოს, მისი ფიქრები უფრო საესეა, უფრო მძაფრი და მართალი, არანაკლებ მტიკინეული, მაგრამ ჭანსადი. დათოსთვის უცხოა ყოველგვარი პრიმატი: „კარგი და ცუდი, ცუდი და საშუალო, კარგზე ცოტათი

ცუდი, ცუდზე ცოტათი კარგი, საშუალოზე ცოტათი ცუდი ან ცოტათი კარგი“ და სხვა... ის საგნებს არასოდეს არ უყურებს ცალმხრივად, მისთვის უცხოა მხოლოდ ანალიზი, ან მხოლოდ სინთეზი, არ არსებობს ცალკე ნაწილები და ცალკე საგანი მთლიანად... დათოს არ ეშინია საკუთარი სისუსტის, მაგრამ ეშინია იმ სიკეთის, რომელიც მასშია, ეშინია ეს სისუსტე არ გამოდგეს მყიფე და არ დაიმსხვრეს, რადგან მისთვის უფრო ძვირფასია სწრაფვა სრულყოფისაკენ, ვიდრე თვით სრულყოფა...

— „... მე მეშინია შენი, მე მეშინია მირიანის თონასი, პლატონის, ნოდარის, ჯიმუერის... ყველა მახლობელი ადამიანის მეშინია... ყური დამიგდე, შენ არ იფიქრო ღვინო მალაპარაკებდეს... ყველანი ერთმანეთს ვაცუხებთ, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... დღეს რა გაგიხარდა? ის, რომ მირიანს საშველი დაადგა? ის რომ კაცმა თავი დააღწია მართლობას, აპატიას, კარჩაკეტილობას?

— რასაკვირველია.

— თუ ის, რომ წერილის გამოქვეყნებამდე სწორედ შენ მიავგნი მირიანს და უფროსების ქება დაიმსახურე:

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— ჯერ ეს იყო და მერე ის, ზომ მართალია, გელა?

— მაგამი ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— წავედი. შენც უნდა გეშინოდეს ჩემი. მეც ვგეით ვარ“.

დათო არ მისწრაფვის უკვდავებისაკენ, მაგრამ იგი შინაგანად ძლიერია და კეთილი, და მისთვის უცხო არ არის ეს გრძნობა. მასში, როგორც უცხო სხეულში ისე ცოცხლობს ეს გრძნობა მაგრამ მაინც ცოცხლობს.

— „ერთხელ დამესიზმრა, თითქოს მე ვიყავი მინის ეს ჭურჭელი... თითქოს მე ვიყავი, და შენ ჩემში ცხოვრობდი. ჩემში ცხოვრობდი... მე ვწუხდი, რომ ჩემს სხეულში უცხო არსება მოხვდა, ვწუხდი... თან მომჩვენა, რომ შენც შეწუხებული იყავი, რადგან სხვა ჭურჭელში აღმოჩნდი... მომჩვენა...“





ოქროს თევზი სიხარულის თრთოლვამ აიტანა.

— მაგრამ ის სიხმარი იყო... სიხმარი...  
— სიხმარი?  
— მერე ხანდახან მეგონა, მართლა ცხოვრობდი ჩემში... ხანდახან... იქნებ მართლა ჩემში ცხოვრობ?.. იქნებ?..

— მე მინდა ვიცხოვრო, მინდა შენში ვიცხოვრო.

— ახლაც ასე მგონია თითქოს ეს ჭურჭელი მე ვარ და შენ ჩემში ცხოვრობ... ახლაც ასე მგონია.

— ეცხოვრობ! — სიხარულით იყვირა ოქროს თევზმა, — მე ყოველთვის ვიცხოვრებ! ამაყად გასრიალდა წყალში. ოქროს თევზს ბევრჯერ განეცადა სიხარული, სიამაყე კი — არასოდეს. ღირსეულად ევირა თავი, ფარულგებს ნულა, დიწვად ამოძრავებდა, ისე როგორც ეს შეპფერის დარბაისელ თევზს. რომელმაც სიცოცხლეშივე მოიპოვა დიდი დიდება, უზიარა უკვდავებს...“

დათონათიშვილს არ უწერია უკვდავება, მაგრამ უკვდავა მისი ჭიშტი, ძლიერი და კეთილი აღმაინის ჭიშტი... ალბათ დათონაც თავისი ცხოვრებით, თავისი უწილით ამის თქმა უნდოდა...

სულ სხვა პლატონ ბარამიძე... ისიც თავის დროზე რაღაცას ეძებდა, ეძებდა თავისებურად... ეს ძიება იქნებ სულ რამდენიმე საათი გაგრძელდა, ან იქნებ მეტიც, რამდენიმე თვე, იქნებ წელიწადიც... და იგი დამთავრდა, დამთავრდა იშვიათი, უპრეტენდენტო აღმოჩენით. ეს აღმოჩენა მას „სულ რაღაც“ კაცობის დაქარგვად. სინდისის მოთრეუნვად დაუფდა, მაგრამ უამრავია და უპრეტენსი გზა არსებობისა და რჩეულთა შორის მოხვედრის... ის რაც სხვისთვის რთულია და ბნელი, პლატონისათვის საოცრად მარტივია და ნათელი: ამიერიდან მას არ სჭირდება მლიქვნელები, ან პირადი ჩაშუშები, არ სჭირდება დიდი გონება, ამ წუთიდან მისთვის უცხოა მოულოდნელობის შიში და სიფრთხილე...

ბუნებამ რაც თავის „რჩეულთ“ დალად არგუნა, პლატონმა საყუთარ თავს ბედად მოუპოვა.

ვა... თევე თქვენი კონკურენციისა და არსებობისთვის ბრძოლის პრობლემის გადაწყვეტაში... მე ვეუბრებო, და ნეტავ მართლა ასე იქნება ნებოდეს (მწერალი ხომ რომანის მეორე ნაწილსაც გვპირდება), პლატონ ბარამიძე თამამად ამოუდგება გვერდში მისი სულისა და ჭიშის სხვა მსოფლიო ტიპებს...

და კიდევ სულ სხვაა ნიკო კორინთელი. აქ უკვე ბევრ რამეს განსაზღვრავს სოციალური გარემო. სულაქური „თავს გვახვევს“ კორინთელის მოჩვენებით ძლიერებას, მაგრამ ამას ის სავსებით ვარკვეული განზრახვით აკეთებს. მწერალმა იცის რომ ამ ძლიერების წყარო საზოგადოების მოდუნებაა... ეს დათოს და მირიანის თვლემაა, მათი მოდუნება...

თვით კორინთელს ეს ბევრად უკეთ ესმის ვიდრე სხვას, და ამ მოდუნებით სარგებლობს. სარგებლობს მშვიდად და აშკარად, მაგრამ სხვამ ვინ უნდა იცოდეს, თუ არა ისევე კორინთელმა, რომ ეს სიმშვიდეც მოჩვენებითია, უნიადაგო... საკმარისია ერთი მშვიდა და ტრახბასა უტრნალისტიკის გაბრძოლება და „ძლიერების იღუმალ საშოსელში“ გახვეულ „შვე კოლას“ შემფოთება იპყრობს, თუმცა „ამ შემფოთების დამალვას გამოცდილი ცხოვრების უქულმართობაში გაობრძმედილი მამაკაცის საუბრის მშვიდი კალოთი და დამინავი, მსუბუქი დიმილით“ ცდილობს. და რომ არა ის სოციალური გარემო, რომელშიც ნიკო კორინთელი ცხოვრობს, ვინ იცის სადამდე ივლიდა მისი ნება და ძლიერება.

რომანის ერთ მეტირე ნაწილში ა. სულაქური კვლავ ბრწყინვალე ნოველისტად გვევლინება. ესაა ნოველა მოსე მამისთვალაოვის ესთერისა და დაქარგული მარგალიტის შესახებ. სულ რაღაც ორიოდე ფურცელზე მწერალი იშვიათი ოსტატობით ახერხებს საოცრად მძაფრი და დრამატული ამბის შთამბეჭდავად გადმოცემას.

და ბოლოს, რომანის უკანასკნელი ფრაზა საბაბს მძალევს ამ რეცენზიის გაგრძელების უფლება დაეტიტოვო.

15 მაისი, 67 წ.

## „დასკვნებში“ გარეშე

გულგრილი მკითხველის თვალში „ცისფერი გორგალი“ ალბათ სხვა არა არის რა, თუ არა მწერლის მიერ დასასვენებელ სახლში გატარებული რამდენიმე დღის უპრეტენზიო, დოქუმენტური აღწერა. არ ვიცი, რა განსაკუთრებული აზრით ვიხმარე სიტყვათა ეს თითქოს უადგილო შეთანხმება: გულგრილი მკითხველი, — მაგრამ ვიცი, რომ მისი ადრე-

სატეხი ნამდვილად არსებობენ. მათ არსებობას ინტუიციით გრძნობენ სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ყაიდის მწერლები. ერთნი ამ ფაქტს მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ცდილობდნენ მათი შემეცნების გა-

შარბამან აკიპიძე  
ირი წმირლი

ლოზიანებს პათეტიკურობამდე ამაღლებული მხატვრობით და სიტყვათა და გრძნობათა თვალისმოპყრელი ფერადოვნებით. მეორენი. პირიქით, თითქოს „განზრახ“ უგულვებელყოფენ მათ ასრებობას და უბრტუნებობის ნიღაბს ამოფარებულნი ბეჭითად და თანამიმდევრულად ავებენ სადა და უბრალო, მაგრამ საოცრად ნათელ და გამკვირვალ „შენობას“. და აი სწორედ ასეთი ყაიდის მწერლებს ჰაერით სჭირდებათ დიდი სისადავის და უბრალოების ნიჭით დაჩილდოვებული მკითხველი, მაგრამ მათს სასახლოდღე უნდა ითქვას, რომ (სიტყვის იმ თავბრულამხვევ ფერადოვნების მომხრეთაგან განსხვავებით) ისინი წერას პროცესში ნაკლებად განიცდიან „წარმოსახვითი“ მკითხველის კონტროლს და მომავლიდნებელ გავლენას.

„ცისფერი გორგალის“ ავტორის სიტყვიერი ქსოვილი იმდენად აღსავსეა ფაქიზი მიგნებით და დიდი სისადავისა და უბრალოების გამომხახველ საშუალებათა ამომწურავი „ერთადერთობით“, რომ „თვალის სვირის“ მოყვარული მკითხველისათვის ძნელია ამ სიმარტოვის სირთულეში გზის გაგნება. სიმარტივის სირთულე — ეს ისეთივე უფლებამოსილი ცნებაა, როგორც ღარიბის სიმდიდრე, ან სიტყვობების სიმწარე; და სიმარტივეს იმდენი ლაბირინთი აქვს, რამდენიც ალბათ არც ერთ ამქვეყნიურ აზრსა და ძიებას.

მაგრამ ერთია ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილი და მეორე მისი არსი და იდეა, რევან ინანიშვილისთანა ფაქიზი გემოვნების მწერალი არაა დაზღვეული, აზრის რაც შეძლება ლაკონურად გადმოცემისათვის ბრძოლაში საბედისწერო მარტობისა და უქიდურესობაში (პრომიტივიზმში) ჩაყარდნის საშოშრობისაგან. მაგრამ ისევ ერთია დამარცხდე და მეორე — ლამაზად დამარცხდე; და მხოლოდ გზას, როელიც ბეწვის ხიდზე გადის, მიჰყავს მწერალი შემოქმედებით გამარჯვებამდე.

ახლა როცა უკვე დაწერილია „ცისფერი გორგალი“, ექვებისთვის თითქოს ადგილი აღარ რჩება, და მკითხველისთვის ცხადია, რომ „ვიდაცას ავტობუსზე აგვიანდებს“ ავტორი, ადრე თუ გვიან, ისევ იმ აზრისა და ფორმის სისადავის მორიგ ბედნიერ შერწყმამდე უნდა მისულიყო.

მოთხრობაში არა ხდება რაიმე „არაჩვეულებრივი“. ახლაგაზრდა კაცო (პროფსიით მწერალი) საქართველოდან იალტის ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში მიემგზავრება და პირველსავე დღეს სასიყვარულო თავგადასავალში ებმება. ქალს ალბათ სადღაც ქმარიც ჰყავს, თუ ჰყავს ისიც „ალბათ“ საქმოსანი. თუმცა, რა უფლება გვაქვს მუდამ და ყველაფერში გულწრფელ აულიტას ამ შემთხვევაშიც არ დავუჭეროთ:

— მე ქმარი არ მყავს. რაც შეეხება საქ-

მოსნებს, მოდი, ეს რამდენიმე დღე გვიტოვებოთ უიმათოდ. ზომი“

ასეა თუ ისე, მოთხრობის გმირების რულის მარადისობაზე ფიქრით თავს არ იმტრევენ და აწმყოს დღის ბედნიერებით ცხოვრობენ. მკითხველისათვის თავიდანვე ხელშეშახება ამ ამბის ლოკიური დასასრულიც: ქალის უეცარი გამგზავრება და პატარა ლაყონური ბანათი. მხოლოდნელია მხოლოდ ავტორის ძუნწად მინიშნებული გაკვირვება: უეცარიც არის და უეცარიც, — „მას ხომ ოცდაექვსდღიანი საგზური ჰქონდა!“ — და რვეულის ფურცელზე დაწერილი ორი სიტყვა, თითქოს მადლობის გამომხატველი რეფრენი: „მშვიდობით. მშვიდობით!“

ასეთი ძუნწი, მაგრამ უქვეელი მინიშნების შემდეგ სხვა არა დავგრჩენია, მივეყვით ინტუიციის „ყოვლისშემძლე“ გრძნობას და მოთხრობის „მოჩვენებით“ ჩვეულებრივობაში ისევ ის პარადოქსალური „არაჩვეულებრივობა“ ევძიოთ. არა, „ცისფერ გორგალში“ უთუოდ არის რაღაც ახალი, არტრადიციული, არაჩვეულებრივი!..

თავი ავარიდოთ სხვა უფრო საგულისხმო ადგილებს და მთის ვადასახედთან ფეხმორთხმულ გმირებს ცოტა ხნით ყური მივუგედოთ:

„ლიტამ მკითხა:  
— არ გაინტერესებს, რა მომეწონა შენი, პირველად რომ განახე?  
რა მეთქი.

— თვალები ლამაზი გაქვს, კისერიც, მაგრამ ჭამა რომ არ გცოდნოდა ასეთი, ვერასოდეს ვერ მოიგებდი ჩემს გულს.

— მაინც როგორი ჭამა ვიცი?

— ბრძოლის ველზე გასულ ოფიცერივით. ასე მგონია, შექამ ამ ორიოდღე ლუქმას და ძნელი ამოცანის შესასრულებლად გაუძღვებოდა ჭარბიკაცებს.

— შენ დიდი, კეთილი გული გაქვს, — მავუბე მე.“

დიდი და კეთილი გული! იქნებ ესაა ყველაზე მთავარი? მაგრამ ცოტა ხნით ისევ მივეყვით მოთხრობას:

„გადმოიწია, თავი მზარზე დამადო.

— და მაინც ცუდი, ცუდი ქალი ვარ, არა? აღმოსავლურ შესხმასავით რაღაც წამოვიწყე, მაგრამ იმან ყურებზე ხელისგულები მიიქია და სახე მუხლებში ჩააშალა.“

არა, არაფერი ისეთი, რაიმე უჩვეულო და ახალი. „დიდი და კეთილი გული“, ვინ იცის, რამდენჯერ წაგვიკითხავს, გაგვიგონია...

მაგრამ იქნებ ეს „დიდი და კეთილი გული“ სწორედ ის ნიჭია, რომელიც ამ შესაშური სიმდიდრის მფლობელ ადამიანებს ყოველდღიურსა და ჩვეულებრივში რაღაც არაჩვეულებრივსა და ამაღლებულს აძებნიან? და იქნებ მხოლოდ ამ იშვიათი ნიჭის მფლო-



ბელ ადამიანებს აქვთ ის უნარი, რომ ყოველ-  
დღიურობის მომპაზვრებელ ერთფეროვნება-  
ში სხვისთვის შეუძმნეველი სიმაღლეები დაი-  
ნახონ? ეს ან მართლაც ასეა, ან არა...

მაგრამ რევაზ ინანიშვილის გმირები ამ  
სიმაღლეებს სწორად იქ ეძებენ, სადაც ეს  
ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი. და რა  
გასაკვირია, რომ ამ ლამაზი აღმოჩენებით  
საესე ერთი ყველაზე უფრო ნათელი ღღის  
შემდეგ. ქალი მოულოდნელად (დასასვენებელ  
სახლში ჩასვლიდან მესამე თუ მეოთხე დღეს)  
მიემგზავრება და უდიდესად დღეების პერს-  
პექტივას „სიხმრების გამგებლის ჯიბრზე  
ბრწყინვალედ გტარებული“ ღღის მოგონე-  
ბებს ამჯობინებს?

ერთი სასიამოვნო თვისებაც ახასიათებს ამ  
მოთხრობის გმირებს. ისინი (ისევე როგორც  
ავტორი) ორგანულად ვერ იტანენ ბრჭყვიალა  
ფრაზებს და მეტისმეტად „ჭკვიანურ“ გამოხ-  
დომებს. სიყალბისადმი ეს სამართლიანი ზოხ-  
დი რეგრენივით გასდევს მთელ ნაწარმოებს.  
„აღმოსავლურ შესწასავით რაღაც წამოვიწ-  
ყე, მაგრამ იმან ყურებზე ხელისგულები მიი-  
ჭირა და სახე მუხლებში ჩამალა.“

ან კიდევ:  
„— ვახსოვს, რა მითხარი გუშინწინ? მე-  
ტისმეტად კარგი ნუ იქნებო. ახლა მე გთხოვ  
— შენ კიდევ მეტისმეტად ჭკვიანი ნუ იქნები.  
ხომ?“

კიდევ შეიძლება ადგილების მოყვანა:  
„— ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი რამ  
(ზღაზღა ლაპარაკი), — ამბობდა ალტაცებუ-  
ლი და ღრმად სუნთქავდა, — რატომაა ასე?“

მე ვითომ ახსნა დავიწყე: — მაღლიდან რომ  
დავცქერით, უფრო დიდ სივრცეს ვხედავთ.  
ჩვენი თვალიდან წასული, სხივი ბლაგვი  
კუთხით... მაგრამ მივხვდი, რომ სისულელეს  
ვროშავდი, გამეცინა და უცებ მოვჭირე:

— ეს მერე ფიზიკოსებს ვეითხოთ. ახლა კი  
მეყურით და დავტყობთ.“

და ასე, მერამდენად:  
„მე წავიხუმრე — არ ვიცოდი, ორკესტრან-  
ტებსაც თუ დასვენება ესაჭიროებოდათ-მეთ-  
ქი.“

მეგარდერობემ სერიოზულად, მაგრამ რა-  
ღაც დელაშვილური სიტხითი განმიმარტა:

— აბა როგორ! ისინიც ადამიანები არიან,  
ან აბანოში სჭირდებათ წასვლა, ან სხვაგან.

ჩვენ „ხასიათი გავუსწორეთ“ — თითქოს  
დიდარ კმაყოფილი დავრჩენილიყავით ასეთი  
განმარტებით — თავი დავუყარით და დაბრაზ-  
ში შევედით...“

მოთხრობას ცალკე ნოველასავით ერწყმის  
„ქიანჭველების ამბავი“. მოთხრობის ეს ნაწი-  
ლი იმდენად ძლიერადაა დაწერილი, რომ ამით  
მთელი მოთხრობა არა თუ იგებს. არამედ  
აგებს კიდევ. და „ცისფერი გორგალის“ მიუ-

ხედავად უამრავი და კარგი თვისებებისა,  
მკითხველს რაღაც სინანულის და დაუკმაყოფი-  
ლებლობის გრძნობას უტოვებს იმის გაფიქ-  
რება, რომ ავტორს, მთელი შესაძლებლობის  
გამოვლინების შემთხვევაში, რა დიდ სიმაღ-  
ლეზე შეეძლო ამ მოთხრობის ატაცება.

მინდოდა მოკლედ და „შთამბეჭდავად“ გად-  
მომეცა მოთხრობის ეს ადგილი, მაგრამ სხვა  
რა გზით შეიძლება ამის გადმოცემა:

„სიკითხველს ამიტანა. ხალხთან ყოფნა მომინ-  
და, დავ, რანაირებიც არ უნდა ყოფილიყვნენ  
ისინი! მოვბრუნდი და აჩქარებული მკლავურით  
წავედი ნაპირისაკენ. ნაპირიდან ჩემი მეგობა-  
რი გოგონა და ბიჭი მილიძოდნენ. უკეთეს  
ვინმეებს ვერც ვინატრებდი! სილა მოვძებნეთ  
და წავწყვიტე. აქეთ-იქნად შემოვიყარეთ. სი-  
ლამ ერთი ბავშვური გასართობი მომაგონა.  
ქიანჭველები მიპოვეთ-მეთქი. მეც წამოვდექი.  
მთელი სანაპირო შემოვიარეთ და ბოლოს  
მაინც მივაგენით — ნამდვილ „ყაჩაღ“ ქიან-  
ჭველებს — ახალგაზრდანი ფისის წვეთბივით  
რომ შავეები არიან, მაღალ ფეხებზე რომ დგა-  
ნან და მწარედ ეკბინებოან. ბავშვები ცნობის-  
მოყვარეობით იწვოდნენ. მე წმინდა, ძალიან  
წმინდა მშრალი სილა ავარჩიე. ჯერ ავაჯოკო-  
ლაყე, მერე წვერი ეულკანის კრატრებით  
ამოვუღრმავე და ქიანჭველები შევჩავსხი.  
ორნი იყვნენ. ერთი ერთ მხარეს ეცა, მეორე  
მეორეს. მაგრამ კრატრის შუაწელამდეც არ  
იყვნენ მისულნი, რომ სილა მოზავადა და ძირს  
ჩაიხარდა ორივენი. უფრო ბეჭითად დაიწყეს  
ამოსვლა, მაგრამ ისევ მოემძვლათ ფერდობი.  
ახლა უფრო დაბლა. ბავშვები ალტაცებულნი  
იციინდნენ. დიდებოც დაინტერესდნენ, ირ-  
გავლი შემოგვეჩვივნენ.“

— მიიღი მიღი, მიღი! — იბახდნენ ქიან-  
ჭველები გასამხნეველად.

ქიანჭველებიც ცდილობდნენ. თავგანწირუ-  
ლი მიცოცავდნენ კრატრის ფერდობზე. და  
აჰ, უცებ რა მოხდა: ძირს დატურებული ქიან-  
ჭველები ერთმანეთს დაეჯახნენ. ფიფიკურ,  
შემთხვევით დაეჯახნენ. მაგრამ, რომ არა და აღ-  
არ გაშორდნენ, დავიხარე, დავაკვირდი და ჟრუ-  
ანტელმა დამიარა ტანში. ერთი ქიანჭველა  
გულაღმა იყო ამობრუნებული, მეორე ყელში  
ჩაფრენოდა. ავისმომასწავებლად გამეშებე  
ღიფი პაერში ბოლოაპრილი. მომეცნა ღრქი-  
ალი, კნატანტუტი — თითქოს ორი უზარმაზა-  
რი რკინის ურჩხული ძვლებს უმტერებდა  
ერთმანეთს.

— ჰკლავს! — შემეფოთებულნი ხმით წამოი-  
ძახეს აქეთ-იქედან და რამდენიმე ხელი გა-  
მოქანდა გულაღმა ამობრუნებული ქიანჭვე-  
ლის საშველად. მაგრამ უკვე გვიან იყო. ზე-  
მოთმოქცეულმა ქიანჭველამ ბოლო დაუშვა,

შარბაშენ კიკვიძე  
[ორი წიგნილი]





იყალუა, წინა ფეხები თითქოს გამარჯვების ნიშნად აასავსავა, გაუნძრევლად მყოფ თვის-ტომს ირგვლივ შემოურბინა და კრატერის კალთას ეცა.

ჩვენ გაოგნებული თვალებით ავხედეთ ერთ-მანეთს. უცებ ტოლია, ჩემი მეგობარი ბიკი წამოხტა, ქვეშით კოკოლას ქუსლი ჩაჰკრა და ტირილშერეული ხმით წამოიძახა:

— რატომ მოჰკლა?! რატომ?!

მისთვის არავის არ გაუცია პასუხი. ისე კი დაიწყეს. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მე არცერთის ნალაპარაკევი არ მაინტერესებდა. რალაც სიმბოლურ თუ საბედისწერო ამბად მომეჩვენა ეს ფაქტი, და ხმის ამოუღებლად ვიჭექი დიდხანს. გამტკნარებული იყო ტოლი-აც, ლიკა კი, მისი და, დედას მიჰკროდა და ცრემლიანი თვალებით უყვებოდა ალბათ ჰინკველებს ამბავს.“

მე პირადად, — არ ვიცი ეს რატომ, — ხიროსიმის საშინელება ამ სტრეიქონების წაქით-ხეისას ასე ძლიერად სულ მესამედ განვიცადე. მეორე მაშინ იყო, როცა გავიგე, რომ ატომური აფეთქების შედეგად პირისაგან მიწისა აღ-გვილ ადამიანთა ჩრდილები ბუნებამ თურჲე სამუდამოდ აღბეჭდა ქვებზე და „ჩრდილების მარადისობის“ ამ შემაძრუნებელი პარადოქსით კაცობრიობას რალაც სიმბოლური განა-ჩენი დაგვიტოვა. აქამდე თითქოს პირიქით იყო, და ყველაფერი თავის ადგილზე; ადამიან-

ნები კარგადენენ ჩრდილებს და თვით უკვლავ-გებას იპოვებდნენ.

ბუნება თვით გეთავაზობს უამრავ წინააღ-მდეგობებს, მაგრამ იგივე ბუნება საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ გონიერი და კეთილნი, და თუ ბოროტება სიყვითეს ვადააჰარბებს, მაშინ ადამიანთა ამ პარადოქსზე თვითონაც უღმო-ბელი პარადოქსით გვიბასუხებს. მეტად შთა-ბეჭდავი გაფრთხილებაა ბუნებისა, და თით-ქოს ამ გაფრთხილებისდაგვარი არის რალაც ინანიშვილის ზემოთ მოყვანილ სტრეიქონებ-შიც.

ან იქნებ (ჰიანკველების მაგალითით) მხოლოდ იმის თქმა უნდოდა რეეაზ ინანიშვილს, რომ ადამიანის მიზნისაკენ სწრაფვის მუდმივ გაუ-მართლებლობას. იგი ბოროტებამდე მიჰყავს? ან და იმისა, რომ ყველაზე სამართლიანია ბავ-შვის პროტესტი? — არ ვიცი. მხატვრული განზოგადობა მხოლოდ იმით არის მომხიბვე-ლი, რომ ის არის მეტისმეტად კონკრეტული. „ან არაფერი, ან ყველაფერი“, — ისევე ამ გა-ბედულმა გზამ ფეიქრობ ამ შემთხვევაში გა-მარჯვებამდე მიიყვანა მწერალი, და მე უკვე აღარ მიკვირს ერთი შეხედვით თითქოს არა-საკმარისი მინიშნებისა: „რალაც სიმბოლურ თუ საბედისწერო ამბად მომეჩვენა ეს ფაქ-ტი...“

მეც ჩემს წერილს დასკვნების გარეშე ვამ-თავრებ.



სტრეიქონების



## ფრანსუა ვიიონი

### მ ბ ი რ ე ა ნ ლ ე რ ძ ი

#### I

უნე წელსა, დეკემბრის თვესა  
ვინმე ფრანსუა ვიიონს, სქოლარს  
დამიწერია მე წიგნი ესე.  
აწ ვიხსნი ყელზე დაკიდულ დოლაბს.  
„საქმესა თვისსა ვინცა ეწიოს,  
ვაქოთ, საქმენი შე-რა-ვიტყოთა“,  
უთქვამს ოდესღაც ბრძენ ვეგეციუსს,  
და თუ არ უთქვამს, ვინმე იტყოდა.

#### II

სხენებულ თვეში, მწუხარე დროში,  
როცა დღისითაც ნახევრად ბნელა,  
როცა სასტიკი ყინვა და თოში  
ბუხრებისაკენ მირეკავს ყველას,  
როცა ქარიშხლით ვახშმობენ მგლები  
და ჩაჰყმუიან ცარიელ სტომაქს,  
მომბეზრდა ასე, ჩემივე ნებით,  
ტრფობის დილეგში უაზროდ ჯდომა.

#### III

იგი, ვინც ჩამსვა სიშმაგის დილეგს,  
სისხლს მიწვავს ღამით, გულს მიჭამს დღისით.  
მალე შევერწყმი ქვესკნელის ჩრდილებს  
სელდასხმითა და კურთხევით მისით.  
თქვენ, სიყვარულის დიდო ღმერთებო,  
შემიმსუბუქეთ ტანჯვის უღელი  
და ჩემი ჯაფრი ვეგებერთელა  
არ დამიტოვოთ ამოუყრელი.

#### IV

მომეთილისმა, მომცა დასტური,  
ტანს შემომავნო ტკბილი სახმილი,

დიმილიანი მზერა მაცთური  
გულს გამიტარა როგორც მახვილი,  
მერე კი შექცა ფეხთუთრა ცხენად,  
თავის დაღწევა გვიანლა ვცადე.  
მცოდნოდა, სხვაგან ჩავყრიდი ვენახს  
და სხვა წიაღში ჩავფენდი ნათულს.

V

ბრძანა თუ: ჯდესო ბნელსა ხაროსა,  
ვერ ილხინოსა, ვერ იხაროსა,  
ვერღარა მიჰხედეს სანეტაროსა  
პირსა მთვარესა, ტანსა საროსა.  
მოკლედ, მიბრძანებს, ტრფობით გალღვიო,  
დასწეულდით, ცრემლად იქეცთ.  
დროა, დილეგი გადმოვარღვიო  
და პარიზიდან გადავიხვეწო.

VI

მეყო, რაც უღვთოდ მგვემეს და მტანჯეს,  
ცრემლმა დამალტო, ცეცსლმა დამდაგა.  
მშვიდობით, ძმებო! მივდივარ ანჯეს,  
სვალვე მივდივარ, თორემ თანდათან  
ჩემი ამბავი ისე გართულდა,  
დაგვირგვინდება სულის გაცხებით  
და ტრფიალების წმინდა მარტვილთა  
ღვთაებრივ დასში შევირაცხები.

VII

მივალ, მივდივარ, გზას დავადგები.  
მაგრამ მწყურიახარ!

ასეთი ძალით

არა მგონია კასრში ჩატკეპნილ  
ბულონურ ქაშაყს სწყუროდეს წყალი.  
ნეტა ვინ გიხსნის ახლა საკინძეს,  
ვინ ეწაფება შენს უტკბეს ტყუილს!  
ო, ღმერთო ჩემო, ნუ გამაგიჟებ!  
კი არ ვლოცულობ, არამედ ვყმუი!

VIII

ჯაგრი რკინასაც გახრავს და გაღვეს,  
დასტურ იტყოდნენ ჩვენი ძველები,  
მე კი კაცი ვარ, დღესა თუ ხვალე  
სიკვდილის ცელით მოვიცელები.  
მემკვიდრეებიც მოვლენ, ცხადია,  
და რომ არ დარჩეს რაზე საცილოდ,  
ახლავე მინდა, რაც მამადია,  
კანონიერად გავანაწილო.

IX

მაშ, სახელითა მამისაითა,  
ძისაითა და სულისაითა  
წმიდისაითა (სახლი საიდან!  
კარი საიდან! ფული საიდან!)  
გიომ ვიიონს — შეუბღალავი,  
შორს გატყორცნილი ჩემი სახელი,  
საგვარეულო ჩემი ალამი,  
ჩემი კარვები და ჩარდახები.

X

Item, რა მოგვედგე, ეს გაბასრული,  
გამლდვალი გული ბაჯალღოს სადა  
ვარაყში ჩასვან (წმინდად ვასრულებ  
მიჯნურ რაინდთა უძველეს ადათს)  
და მას მიართვან, ვისთვისაც ენთო  
და ევნო იგი ამდენი ხანი.  
ლამაზია და შეუნდგე, ღმერთო!  
ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!

XI

Item, მიერთვას იტიე მარშანს  
ჯავარდნის ხმალი უზარმაზარი,  
რომელიც ლომბარდს შეეხსენ შარშან,  
მერე დავწვი და... ველარ დავძარი.  
თუ ქესატობა ჩემს იტიესაც  
განაზრახვინებს უკანდახევას,  
ხმლის ნახევარი კორნუს მიეცეს,  
მასვე ვაკისრებ ხარჯის ნახევარს.

XII

Item, ბლარიუს მიერთვას ჩემი  
ბრილიანტები — ვარსკვლავთა ხომლი! —  
სენტ-ამანს ვაძლევ აბრათა რემის  
მშვენებას — „ულაყს“. მღვდლებს ვაძლევ „ომნის  
უტრივისკვე სექსუსს“, რომელმაც ბერებს  
სადაო ლუკმა წაართვა სრულად  
და მღვდლებს გადასცა... ეს ბულა მერე,  
ვაგლახ, აკრძალა შემდეგმა ბულამ.

XIII

Item, ვიზრუნოთ რობერ ვალესთვის,  
რომელიც ღმერთიმა ისე გაწირა,  
სასამართლოში კაცი ხალისით  
დადის ოქმების გადასაწერად.  
სად რას იშოვის კლერკი მშვიერი!  
ვაძლევ გაცვეთილ შალის პანტალონს:  
თავისი ჟანა დე მილიერი  
სუსხში უთავშლოდ არ ატანტალოს.

XIV

სულ რომ ყველაფერს თავი ვანებო,  
უნდა უშოვო ერთი კრებული —  
ჩლუნგთა საწვრთნელი სახელმძღვანელო,  
„არს მემორიედ“ სახელდებული.  
აშკარად უნდა ვუშველო რამე,  
არ ძალმიძს გულზე ხელის დაკრეფა.  
ჩვენს დროში ასე არაფრის გამო,  
მარტო სიბრიყვით ვინ იჩაგრება!

XV

პოდა, ჩვენებთან თხოვნა მაქვს ერთი:  
ჩემი ბევტარი გაყიდონ მალე  
და სააღდგომოდ სენ-ჟაკის გვერდით  
მცირე კანტორა გაუხსნან ვალეს.  
ექნება საწყალს თავისი ფუძე,  
უბირ დავაქრებს დაუწერს არზებს,  
ამოიყორავს დროდადრო მუცელს  
და აღარ ირბენს კარიდან კარზე.

XVI

Item, ჟაკ კარდონს — ატლასის შავი  
წამოსასხამი ფართოდ გაშლილი,  
ხელთათმანები ძვირფასი ტყავის,  
ტირიფისა და მუხის ვაშლები,  
დიდი ქვევრებით ღვინო კრიალა,  
ხორაგეული დიდი გოდრებით,  
ერთი ხალიჩა — საკოტრიאלო,  
ორი პროცესი — გასაკოტრები.

XVII

მიმირთმევია სამი სეტერი  
რანდ რენიე დე მონტინისთვის.  
ასიოდ ოქროს გავიმეტებდი  
ჟან რაგიესთვის, მაგრამ, ვინ იცის,  
კარზე რამდენი მშვიერი მადგას,  
იქით ისაო, აქეთ ესაო.  
თუ გადავყვევი თვითეულ მათგანს,  
მშრალზე დამრჩება სანათესაო.

XVIII

Item, დე გრინის, ზვიად ფეოდალს  
მიერთვას ექვსი ძალლი მგლისებრი  
და გადაეცეს მემკვიდრეობად  
სრა-სასახლენი — ნიჟონ-ბისეტრი.  
მის ძველ მომჩივანს, ვახშის პალადინს,  
განებივრებულს გრინის თვალყურით,  
მუტონს — მხურვალე ჩემი სალამი.  
და გულიდათი ჩემი პანდური.



ჟაკო რაგივს — პოპენის წყალი,  
 ღელე, რომელიც არწყულებს ნახირს,  
 პური და ხორცი, თევზი და მხალი,  
 ნამცხვრეულობა სხვადასხვა სახის.  
 მოირგოს ტანზე ფლასები ბერის,  
 შეუდგეს „გირჩში“ სუსნას და ხუხვას,  
 ღვინიან თასში ჩაალბოს წვერი  
 და მიაფიცხოს ფეხები ბუხარს.

## XX

ჩემს ცნობილ შარვალს, გრძელს და განიერს,  
 არა სჭირდება პანეგირიკი.  
 მარჯვენა ტოტი — მეტრ ბაზანიეს,  
 მარცხენა — მოტენს, ანდა პირიქით.  
 მათთან ფურნიეც ვახსენოთ, ჯერ არს,  
 სადაც ალხანა, იქაც ჩალხანა.  
 მე მას ვუტოვებ ჩემს უხმარ პერანგს  
 და იმ პერანგის ნახმარ ამხანაგს.

## XXI

ჟან ტრუევს, ყასაბს, ვუტოვებ ხვასტაგს,  
 „ერკემალს“, „ძროხას“, „ჯილოსან კუროს“,  
 სინჯოს და თვალს ჭრელ-ჭრელი დასტა,  
 თანაც სიამით თვალეში წკუროს.  
 თუ ხსენებული ჭრელი ნახირი  
 წაჰგვარა ვინმემ ხსენებულ ყასაბს,  
 შეიპყრონ ქურდი და არნახული  
 სიბრიყვისათვის ანძუხზე გასვან.

## XXII

საეჭვო პირთა დოსტა და ქომაგს,  
 ჩაფრების უფროსს — საჯავშნე რკინა.  
 როცა კი შატლეს მომიწივს ჯდომა,  
 ვთხოვ, „სამ სოსანში“ დამიდოს ბინა.  
 თვითონ ჩაფრებმა, როგორც სჩვევიათ,  
 ბნელში მოსინჯონ, ღრიჭო რაც არი.  
 ამა სიგელით მიმირთმეგია  
 მათთვის მათივე ნაბაცატარი.

## XXIII

პერნე მარშანი, რომელსაც ზოგი  
 ლა ბარის ბუშის სახელით ბლაღავს,  
 მიიღებს ჩემგან ბედნიერ ლოგინს —  
 სამიოდ შეკვრა ნოტიო ჩალას.  
 თავისი მრეელი მიჰგვაროს მუშტარს,  
 თვითონ კი, როგორც დროდადრო ხდება,  
 გაშლილ ჩალაში ჩაემხოს კუშტად  
 და ჩალაშივე ჩაიცხროს ვნება.

XXIV

ლე ლუს და შოლეს — მეზობლის იხვი,  
ეზოს გადაღმა თხრილში რომ ცურავს.  
ოღონდ მშივრებმა ნადავლი იქვე  
რომ არ გაბღღენან და არ ჩანთქან მგლურად,  
გავატან შამფურს, მაყალს და მარილს,  
გარდა ამისა ჩავაცვამ ხამლებს,  
რომ თხრილთან ორი ნადირის კვალი  
არ ეცეს თვალში თვითეულ გამგლეღს.

XXV

Item, ბედგრულო სამი ობოლი,  
სამი ნიბლია, სამი ნამლევა,  
უსახლკარონი, უახლობლონი,  
მტერმაც რომ ნახოს, შეებრალება.  
თუ არ გავუესე საწყლებს მუცლები  
და სამოსელიც თუ არ მივეცი,  
უსმელ-უჭმელნი და ჩაუცმელნი  
სულს გააფრთხოებენ ამ სიცივეში.

XXVI

ჰოდა, ერთგული მათი მსახური  
ამ ობლებს — მარსოს, გოსუენს, ლორანს —  
ვუტოვებ სახლის მთელ ხარახურას,  
რომ ერთმანეთში გაიყონ სწორად.  
ერთხანს დაუცნობოთ ეგ მესამედი  
მუცლის გვრემას და სიმწრის ხველებას.  
ოღონდ, არ ვიცი, შორს თუ წავედი,  
ამ უბედურებს რა ეშველებათ.

XXVII

Item, ვუტოვებ სორბონის მიერ  
მოცემულ დიპლომს და ჩემს წოდებას  
ორ საწყალ მნათეს, ლატაკს და მშიერს,  
დიპლომს ამაოდ რომ ელოდება.  
ძნელია, მაგრამ გაივლის დრო და  
შეიფერებენ ბოძებულ ხარისხს,  
რაკი ლათინურს ამტერევენ ცოტას  
და შეუძლიათ წვალება ქნარის.

XXVIII

ეს ორი მნათე გახლავთ ცნობილი  
გიომ კოტენი და ტიბო ვიტრი.  
უჩანთ შუბლები შესამკობელი  
ეპისკოპოსის მაღალი მიტრით.  
მაღე დაეხურავ საკადრის ჯიდას,  
თუკი ორივე ცოტას შეიცდის.  
ოღონდ ეს საქმე შემდგეში იყოს,  
კვლავ რომ მოვიცლი, ხოლო დღეისთვის

XXIX

გელდრის სახლიდან მიეცეთ ცენზი  
და კიდევ ძველი და თავმოშობალი,  
პაპის დროიდან ნაგდები სხვენზე  
(მღვდელმთავრის სკიპტრა!) დიდი კომბალი.  
Item, ჩიტუნებს, ვისი გალობაც  
ავსებს ქალაქის მთავარ გალიას,  
ციხის უფროსის ცოლის წყალობა  
გადაეულოცო, ჩემი ვალია.

XXX

Item, ჰოსპიტლებს — აბლაბუდებით  
ამოქარგული ჩემი სარკმელი,  
რომ არ გაცივდნენ საბყარ-კუტები  
სააქაოდან ბარგასაკვრელი.  
წიხლი, მჯიღი და მსგავსი წამლები  
სნეულ ღატაკებს და წვრილფეხობას.  
უშემოსავლო და მოსავლელი  
მე საკუთარი თავიც მეყოფა.

XXXI

Item, ჩემს დალაქს — ჩემი თმა-წვერი,  
მისივე ხელით ნაპარს-ნაკრეჭი.  
ხარაზს — ცალ-ცალი და ძველთაძველი  
ჩექმის თუ სამლის ყველა ნაგლეჯი,  
ჩემს მეძველმანეს — ჩემი ძონძები.  
თუკი რაიმეს ნახავს წასადებს  
და გულუბყვილო მუნტარს მოძებნის,  
უხმარ სამოსად ნუ შეასადებს.

XXXII

ან კარმელიტი, ან ჭაკოპენი  
მშიერ-მწყურვალი თუ დაძრწის სადმე,  
მივართმევ ღვინოს დიდი კოკებით,  
კურდღლებს, ყვერულებს, შებრაწულ ქათმებს.  
დააცხრებიან სვაფრიელ ალაფს,  
ღვთის ბოძებულს და მარხვის გასატეხს,  
მერე მეზობლის ფაშფაშა ქალებს  
დააოთხებენ, როგორც ფაშატებს.

XXXIII

Item, ჟან ლა გარდს, პარიზელ ბაყალს,  
ახალთახალი მიერთვას ფილი,  
თორემ მის ფილში ქვეყანა ნაყავს,  
რითაც მთელ ოჯახს ადგება ჩრდილი,  
ხოლო ვინც ჩემი დასმენა ცადა,  
როცა იმ ბაღში მეც ვრგავდი ხეხილს,  
წმინდა ანტონის ცეცხლსა და ღადარს  
მიფიცებოდეს ორივე ფეხით.

XXXIV

ლუვიგა და მერბეფს ულვეგი  
ფრანკი, ეკიუ, ლივრი, ცეზინი,  
ნაირ-ნაირი ოქროს ფულები,  
ბუს კვერცხებიდან გამოტეხილი.  
გუვიეს დარაჯს, რუსვილს მიეცით  
რეგვენთა პრინცის განძი ურიცხვი  
მის სარბიელზე უხანგრძლივესი  
თავდადებული სამსახურისთვის.

XXXV

ჩამოვამწკრივე დაუზარებლად  
სიგელის ოცდაათოხმეტი მუხლი,  
როცა სორბონის დიდმა ზარებმა  
გაბმული რეკვით მაუწყეს მწუხრი.  
ღამე მოსულა და ბურძღლავს ქალაქს  
დეკემბრის სუსხით. ცხრა საათია.  
ცოტა ხნით განზე გადავდებ კალამს.  
სულით და გულით ლოცვა მწადია.

XXXVI

რა მომდის! როგორც ღვინით გაღეშილს  
თვალთ მიბნელდება! აზრი მერვეა!  
და ვგრძნობ უცნაურ ამ სიმთვრალეში,  
რომ ქალბატონმა მეხსიერებამ  
ცნობიერების მთელი შრეები,  
გროვა სახეთა თუ ქვესახეთა  
დაამწკრივა და თავის ვეება  
სკივრის წყვილიადში ერთად ჩახვეტა.

XXXVII

სკუპ! პოტენცია ესტიმატივა.  
სკუპ-სკუპ! გადაჰყვენ დიდი პატივით  
სიმილიტივა და ფორმატივა  
თავის პროსპექტივ-ოპინატივით  
(მთელი ამათი ნაირგვარობა  
დიდი ჯახირით, ბევრი დუდღუნით  
არისტოტელურ სიბრძნის წყაროდან  
სულ პეშვითა მაქეს ამოშუთხული).

XXXVIII

ჯადოთი შემკრა რალაცა ძალამ.  
გარბის, ირევა, ისევ იწყობა,  
ყალყზე დგება და გადადის მალაყს  
შეგრძნება, აღთქმა თუ ნებისყოფა.  
მთელი ამქარი როკავს და ცმუკავს,  
ყვირის, ზრიალებს, ხტის გამალებით.  
უცებ შედგნენ და... მოიქცნენ უკან  
ბნელი სვრელებით და ტალანებით.



XXXIX

სანამ გაგრძელდა სვლა იდუმალი  
და სანამ მწყობრში ჩადგენენ ყველანი,  
ჩაქრა სანთელი, ჩაქრა ღუმელი  
და ჩაიყინა ბოთლში მელანი.  
ამით გასრულდა ეს ჩემი წიგნიც.  
ახლა კი ბნელში ხელის ცეცებით  
მოვნახავ ლოგინს, შეეძვრები შიგნით  
და ვალმოხდილი ძილს მივეცემი.

XL

დაწერილ იქნა ზემოთქმულ თარიღს  
სახელოვანი ფრანსუას ხელით.  
ეს იყო კაცი უგროზოდ მჯდარი,  
ბუხრის ჭოკივით შავი და ხმელი.  
გასცა საჭურჭლე, სამკვიდრო სრული,  
ახლა კი ზის და აცეცებს თვალებს:  
ჯიბეში მხოლოდ სპილენძის ფული  
ჩარჩა და ესეც გაქრება სვალე.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

I უნე წელსა — „მეორე ანდერძი“ დაწერილია 1456 წელს, როცა ფრანსუა ვიონმა და მისმა ორმა ამხანაგმა გატეხეს ნავარის კოლეჯი, 500 ოქროს ეკიუ გაიტაცეს და მიიპალნენ.

ვეგეციუსი — რომაელი სამხედრო მწერალი (IV ს.) მისი წიგნის რომელ ადგილს იმოწმებს ვიონი, დაუდგენელია.

IV მექვა ფეხთეთრა ცხენად — ფეხთეთრა (კავშა) ცხენს ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ითვლებოდა არასანდო და ხიფათიან ცხენად, განსაკუთრებით ბრძოლის დროს.

IX გიომ ვიონი — წმ. ბენედიქტე განრღვეულის სახელობის ეკლესიის კაპლანი, პოეტის ნათესავი, რომელმაც იშვილა და აღზარდა უმამოდ დარჩენილი პოეტი.

X ამ სტროფში პაროდირებულია რომელიღაც რაინდული რომანი.

XI იტიე მარშანი — ვიონის ერთ-ერთი ნაცნობი. კომენტატორთა ვარაუდით, პოეტი თავისმა სატრფომ სწორედ ამ იტიე მარშანის გამო მიატოვა.

უნ კორნუ — მდიდარი ფინანსისტი.

XII ბლარიუ — ოქრომკვდელი.

სენტ-ამანტი — იმ ხანებში სამეფო საგანძურის მდივანი.

„ულაჟი“ — სამიკიტოს აბრა. როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, ამ ძველნიტ მინიმუმებუღია სენტ-ამანტის სიბერე და უძღურება.

Omnis utrisque sexus („ყველას, ორთავე სქესისა...“) — გაუქმებულან, რომელმაც ბერებს წაართვა ზიარების უფლება და მღვდლების პრივილეგიად გამოაცხადა. დავა ამ საკითხზე მღვდლებსა და ბერებს შორის კიდეც კარგა ხანს ვაგრძელდა.

XIII რობერ ვალე — მიწათმფლობელი და იურისტი.

ჟანა დე მილიერი — მისი საყვარელი.

XIV Ars memorial ან Ars memorativa („მეხსიერების ხელოვნება“) — მე-15 საუკუნეში გავრცელებული დიდიტიკურწ წიგნები.

XV სენ-ჟაკი — წმ. იაკობის სახელობის ეკლესია შატლეს (კრიმინალური სასამართლოს) მახლობლად.

XVI ჟაკ კარდონი — მდიდარი სოცდაგარი, ფართულეული მოვაჭრე.

XVII რენე დე მონტინი — ფეოდალური ოჯახის შთამომავალი, დიქონის ბანდიტთა ასოციაციის წევრი. ჩამოხრჩობილ იქნა ამ ნაწარმოების დაწერიდან ერთი წლის შემდეგ. ვიონი მას, როგორც დიდგვაროვანს, მონადირე ძაღლებს უტოვებს (მონადირე ძაღლთა ყოლა იმ დროს წარჩინებულთა პრივილეგია იყო).

ჟან რაგიე — პარიზის პრევეს თორმეტ სერჟანტთაგანი.

XVIII დე გრინი, — ფილიპ ბრუნელი, ღარიბი აზნაური, პოეტის ერთ-ერთი მეგობარი.



ნიუონი და ბისტერი — ციხე-დარბაზები, სენის გაღმა-გამოღმა მხარეს. იმ დროს უკვე ნანგრევებად ქცეული.

მუტონი — ეს პიროვნება კომენტატორებისათვის უცნობია.

XIX უაქ რაგეი — შატლეს (კრიმინალური სასამართლოს) ადვოკატი, შემდგომში ეპისკოპოსი.

„გირჩი“ — სამიკიტნო.

XX ბაზანიე — შატლეს ნოტარიუსი.

მოტენი — შატლეს გამომძიებელი.

ფურნიე — შატლეს პროკურორი.

XXI „ერკემალი“, „ძროხა“, „ჯიღოსანი კურო“ — სამიკიტნოთა აბრები.

XXII „სამი სოხანი“ — შატლეს საუკეთესო საკანი.

XXIII ბერნე მარშანი — შატლეს სერჟანტი. პოეტი მას აქ მკვანკლობასა თუ სუტენერობას სწამებს.

XXIV ლე ლუ და შოლე — ერთი მათგანი შეთვალუხე იყო, მეორე — შეთევვე, საეკვო საქმიანობას ეწეოდნენ. შოლეს დაახლოებით იმხანად მინდობილი ჰქონდა პარიზის თხრილების გაწმენდა. ამ სტროფს თუ ვერწმუნებით (აგრეთვე „დიდი ანდერძის“ შესაბამის ადგილს) იგი თხრილებს დროდადრო შინაური ფრინველებისგანაც „წუმენდა“.

XXV-VI სამი ობოლი — ლორანი, მარსო, გოსუენი — პარიზელი მევახშეები.

XXVII დიპლომს და ჩემს წოდებას... — პოეტმა დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი და უფლება ჰქონდა მიეღო ვაკანტური საეკლესიო ბენეფიციცა.

XXVIII კოტენი და ვიტრი — პარიზის ღვთისობლის ეკლესიის კანონიკოსები.

XXIX გელდრი — ამ პიროვნებას ფარით აღებული ჰქონია სახლი და ზემოხსენებულ კანონიკოსთათვის უნდა მიეცა გარკვეული თანხა („ცენზი“), რომლის გადაუხდელობის გამო გადასცეს სასამართლოს, მაგრამ ვერც ამან გამოიღო კანონიკოსთათვის სასურველი შედეგი: გელდრი ფულს მიინც არ იხდიდა.

XXX აბლაბუდებით ამოქარგული ჩემი სარკმელი — „იმ ეპოქაში მინიანი სარკმელი იშვიათი იყო. მინის ნაცვლად ხმარობდნენ ქსოვილს ან ქილაღდს. ვიონს სარკმელზე ასაფარებლად აბლაბუდების გარდა არაფერი გააჩნია“. (C. F. M. A.)

XXXII კარმელიტები და უაკოპენები — მთხოვარი ბერები.

XXXIII ფან ლა ვარდი — საბაყლო მღაზისის პატრონი. აქაც ისევე, როგორც „დიდი ანდერძის“ შესაბამის სტროფებში მინიშნებაა ცოლის ლალატზე.

წმ. ანტონის ცეცხლი — განგრენა

XXXIV ლუვიე — მუღდით მოვაჭრე.

მერბეფი — გადასახადთა ამკრეფი.

გუვიეს დარაჯს რუსვილს... — გუვიეს სასახლის ნანგრევები და მისი შემოგარენი იმ ხანად დათვალეირა წყალთა და ტყეთა შემსწავლელმა კომისიამ ვინმე პიერ დე რუსვილის მონაწილეობით. და დაადგინა: „მთელი ეს მიდამო ადნგრეული და გაპარტახებულია“.

ამიტომ უწოდებს პოეტი რუსვილს გუვიეს დარაჯს.

XXXVI ამ და შემდეგ სტროფებში, ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ქარაგმულად აღწერილი ვიონისა და მის თანამზრახველთა მიერ ნავარის კოლეჯის გაქურდვა. ისინი მართლაც ცხრა საათზე შეხვედრიან ერთმანეთს დათქმულ ადგილას, ხოლო ათზე თავიანთი ჩანაფიქრი განუხორციელებიათ კიდევ. ვიონს ამ დროს „თვალთ უზნელდება, აზრი ერევა“, ერთი სიტყვით, ვგარწმუნებს, რომ ნახევრად შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფება.

XXXVII *Potentia estimativa* (განჯისი უნარი), *potentia similitiva* (ცნებათა ფორმირების უნარი), *potentia prospectiva* (განწვერების უნარი), *potentia opinativa* (სწორად მოაზრების უნარი) — სქოლასტიკური ფილოსოფიის ტერმინები, მომდინარეობენ არისტოტელესაგან.

XL ჭიბეში მხოლოდ სპილენძის ფული ჩარჩა... — ხსენებულ კომენტატორთა აზრით პოეტი გულისხმობს თავის წილს გატაცებული თანხიდან.

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ღაბითი წარმდგომი.



პოპულარული სიუჟეტი

## ბაშელებო, გაიღვიძეთ!

(ღია წერილი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის თავაკეებს, მშრომელებს, ახალგაზრდობას, სოფლიდან წასულ ოჯახებს)

**ბაში, ჩვენი ბაში!**

„ბაშელებო, გაიღვიძეთ,  
რაღადროს ძილია,  
მარიაში მოიტაცეს, —  
ათანახეს შეილია!“

კოლხეთის შუაგულში მდებარე ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის ამ საყვარელ სიმღერას ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად: მეზობელ სოფლებს, არაღინ იცის—იანეთლები იყვნენ ისინი, ფარცხანაყანებლები, ჭყვიშელები, მუხიანელები თუ საყუღელები, — ოდესღაც ბაშელი მშრომელი კაცის გოგონა მოუტაციათ საპატარძლოდ. ეს სიმღერა ალბათ არც დაიბადებოდა, ბაშელი ქალების მოტაცება მხროლოდ ათანახეს ქალიშვილით რომ დამთავრებულყო. საერთოდ, ქალის გატაცება ყოველი ოჯახისა თუ სოფლის თავისებური ტრადიცია იყო, მაგრამ ისიც მინდა ვიწამო, რომ მშვენიერი მარიამის მშობლებისა და ბაშელების გულს მრისხანებასთან ერთად ალბათ ვარკვეული სიამაყის გრძობაც ავსებდა იმის გამო, რომ სოფელში იზრდებოდნენ საცოლოდ შედარებული ჭაბუკებისათვის საოცნებო, ზრდილი, შრომისმოყვარე, მოხდენილი საპატარძლოები. ბაშელი ჭაბუკების

„როდემდე უნდა ვიმუშაოთ ახალგაზრდობასთან ასე პრიმიტიულად, არამეცნიერულად, დილექტანტურად?.. უნდა შევიმუშაოთ სოფლის ახალგაზრდობის ქალაქში მიგრაციის აღკვეთის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი“.

(საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებიდან.)

1973 წლის 8 ივნისი).

ცხოვრების მეგობრად ვახლოვდები ბევრი ადგილობრივი თუ მეზობელი სოფლის თვალხატულების ოცნებად იყო ქცეულა.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა იყო სოფლის მშვენიერა. მაგრამ თვით სოფელიც უხვად ქმნიდა ადამიანთა ლამაზი სულის აღზრდის საფუძვლებს. სამხრეთიდან მას თავს გადმოსცქერის ვალაკტონის თვალით დანახული „ქლიაისფრად დაბინდული“ აქარა-მესხეთის მთები, სოფელს კვეთს ხუთი მოზრდილი ნაკადული, რომლებიც, როგორც პოეტი ამბობს, შვილებით კალთაში უგორდებიან სოფლის ბოლოში ჩამოდინარე დედა-რიონს. სოფელს ამშვენიებდა ზენა და ქვენა ქალებისაგან ნანანავეები ასწლოვანი მუხის, ძელქვისა და რცხილის ტყეები; მსუყე-ბალახიანი სძოვრები, სარწყავად გამოსადეგი ნოყიერი მიწები, კოლხური კლიმატი ბევრით მუშაკაცს ლუქმას არ ამაღლიდა. გაიზარდა სოფელი, მისი ცალკეული უბნები — პირველი ეწერა ბაში, მეორე ეწერა ბაში, ქვედა-ბაში, შუა-ბაში და ზედა-ბაში დიდ, დამოუკიდებელ საცხოვრებელ პუნქტებად იქცნენ. პირველ ხანებში სამი, შემდეგ კი ერთი გამსხვილებული კოლმეურნობა გაუძღვა მშრომელებს ახალი ცხოვრების გზაზე.



დიდ სამამულო ომში ჩვენმა სოფელმა წმინდად მოიხდა ვალი სამშობლოს წინაშე. ფრონტზე წასული 530 კაციდან 225-მა საიუდეო დანდს ოთხი ქვეყნის ბედნიერების საკურთხეველზე დაბრუნებული 315 ვაჟკაციდან იშვიათი იყო ისეთი, რომელსაც მეგრადი სამშობლოს რაიმე ჭილდოთი არ ჰქონდა დაშვებულნი.

...დაღა ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. მშვიდობიანი-მეთქი, ვამბობ, თორემ თქვენც კარვად იცით, ის ფიჭების ამფორიაქებელი ამბები, რამაც ამ წერილის დაწერა გააბეძინა, სწორედ ორმოციანი წლების ბოლოდან დაიწყო.

სოფელი ოთხი გზით უკავშირდებოდა გარე-საყაროს. ერთი — ორონზე მომუშავე ბორნით ვანისაკენ მიემართებოდა, მეორე — საყუღია-ოფშკეთის გავლით ქუთაისს უკავშირდებოდა, მესამე საღვურ კოპიტანარამდე, ხოლო მეოთხე სამტრედიამდე მიდიოდა. სწორედ ამ გზებით დაიძრნენ ბაშულები; ქართული ზღაპრების ცნობილი ფრაზისა არ იყოს, ამ გზებზე წამსვლელებს ბეგრს ვხედავდით, დაბრუნებულებს კი — არავის. თანდათან იცლებოდა სოფელი, ბოქლომები ედებოდა ბინებს, მცირდებოდა ახალგაზრდობის რიცხვი.

რა მოხდა? რა მიკრომიგრაციასთან ვეხებება თვალის გასწორება? წუთით ვთხოვთ მოთმინებას, და ვიდრე მიზეზებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ვისაუბრებდეთ, ვნახოთ რა სურათის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი სოფელი.

#### „საით, მათგანაო?“

შემფთოთები წარმოთქმულ ამ კითხვით ხშირად მიმართავდნენ წუასსეველად აღერდილ სევასტის, ივანესა თუ პოლიკარეს. ახლა ძნელია გაიხსენო რას პასუხობდნენ ისინი; იმას კი ყველა ნათლად ხედავდა, თუ როგორ წყდებოდა სიცოცხლე სოფლის ამა თუ იმ კუთხეში, აღარ ისმოდა კოპიტზე მიბმული ძაღლის ყეფა, ბავშვების ქრიალი ეზოში, ამოდიოდა ბალახე ჭიშკართან მისასეველ ბილიყე...

და აი, — თუ ბაშუში 1940 წელს 800 კომლი ცხოვრობდა, 1960 წელს ამ რიცხვმა 600-მდე დაიკლო, ახლა სოფელში 537 კომლია, აქედან 140-მდე კომლი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ბაშის საბჭოთა მეურნეობის საქმიანობაში; ესენი ძირითადად სოფლიდან „გაქცეულნი“ ახალგაზრდების მოხუცი მშობლების ოჯახებია.

სკოლა ხომ ყოველი სოფლის ხვალინდელი დღის ცოცხალი სარკეა! ნახეთ რა შემამფთოებელ ციფრობრივ მონაცემებს გვაწვდის ამ სოფლის მკვიდრი, მისი ერთ-ერთი მოპირანხალე, საშუალო სკოლის დირექტორი ლავრენტი თვალიაძე: 1941 წელს ბაშის საშუალო სკოლაში 800-მდე მოსწავლე იყო, 1946 წელს ამ რიცხვმა 500-ს ჩამოაღწია, 1960 წელს — 400-ს, ხოლო

დღეს 241 მოსწავლე ირიცხება მის სასკოლო ეზურნალებში.

სოფელს ჰქონდა და აქვს ორი სკოლა პირველ და მეორე ეწერა-ბაშუში. პირველ ეწერა-ბაშუში ომამდე 90 მოსწავლე სწავლობდა, ამჟამად მხოლოდ 12 დარჩა. მეორე ეწერა-ბაშუში ომამდე 35 მოსწავლე ირიცხებოდა, ამჟამად დარჩა მხოლოდ 5. არ დავაიწყებდით, რომ ორივე სკოლის ირგვლივ მდებარე მიკრორაიონში 100-ზე მეტი კომლი ცხოვრობს, რომელთაგან სკოლაში მხოლოდ 17 უმცროსი ასაკის ბავშვი დადის (არ იფიქროთ, რომ ვინმე გაუბრბოდეს სწავლას; ბავშვებს ეს არ ახასიათებთ. უბრალოდ — ბავშვები არაა სოფელში). სამწუხაროდ, ეს ტენდენცია კვლავაც გრძელდება, — შენიშნავს პატივედი მწიგნობარი, — წელს საშუალო სკოლა 27 მოსწავლემ დაამთავრა, პირველ კლასში კი მხოლოდ 22 ბავშვი მოდის (ალბათ ქვემოთ უნდა მეთქვა, მაგრამ რადგან სკოლაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე აღვნიშნავ, რომ საშუალო სკოლის შენობის 18 ოთახიდან 12 ავარიულ მდგომარეობაშია, ზოგიერთი კედელი საყრდენი ბოძითაა დამაგრებული. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, აკლია სასწავლო ლაბორატორიები).

მოსწავლეთა რიცხვის კლება სკოლაში, ცხადია, ყველას აწვთობებს, მაგრამ უფრო უარესია სხვა ფაქტები, რაც გულსსხმირად აღუნუსხავს სკოლის დირექტორს. მან ბლოკნოტი ვახსნა და დანანებით შენიშნა, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი ხელიდან ეცლებოდა სოფელს. ასე მაგალითად, გასულ წელს საშუალო სკოლა 12 მოსწავლემ დაამთავრა, ყველა მათგანმა სცადა ბედის მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს სასწავლებლებში. გაუმართლდა მხოლოდ ოთხს, დანარჩენებიდან ზოგი პროფტექნიკურ სასწავლებლებში წავიდა, ზოგმა რაღაც სხვა გზა გამოიხატა, სოფელს კი არც ერთი მათგანი აღარ დაბრუნებია.

1973 წელს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი 27 მოსწავლემ მიიღო. როგორც გასამოკითხვით დადგინდა, მათგან 24 სოფლიდან მოდის (მათ შორის 10 უმაღლეს სასწავლებლებში, სოფლად სამუშაოდ არჩება მხოლოდ სამი ახალგაზრდა. მე სამაჟენებით ვსახებდები მაი; ესენია: ილია გოღუაძე, ლენა კაშია და ნარგიზა ხელაძე.

ასე იბრუნა ახალგაზრდობის, ზოგჯერ კი მთელი ოჯახების ერთმა ნაწილმა პირი ჩვენი სოფლიდან. გამოიკვთა „გაქცეულ“ ან „ნახევრად გაქცეულ“ ოჯახთა ოთხი წყუფი; ესენია: 1. ოჯახები, საიდანაც ყველა წავიდა და მხოლოდ მოხუცი მშობლები-ლა დარჩნენ, 2. ოჯახები, რომლის ყველა შრომისუნარიანი წევრი სხვაგან მუშაობს, მაგრამ ჩაწერილი არიან და ცხოვრობენ სოფლად, 3. ოჯახები, რომლებიც სულ წავიდნენ სხვაგან, ოღონდ შევბუნებებსა და





შვილების სასკოლო არდადეგების დროს იხსენებენ მიტოვებულ კერას, და 4. ოჯახები, რომლებიც საერთოდ წავიდნენ და სამუდამოდ მიატოვეს სოფელის საცხოვრებელი ბინა, რომელიც «დანგრეულ ზუღეებს» მოგვაგონებს.

აი, ერთ-ერთი გამარჯვებულ კოლმეურნის სახლი, უფრო სწორად, ნასახლარი ეწერა-ბაშში. აქ დედ-მამის ვარდა ექვსი ქალ-ვიცი ცხოვრობდა. შემდეგ სწავლა, დაოჯახება და... ყველა თბილისში, ქუთაისში და სამტრედიისში გადანიაცვლა. გარდაიცვალნენ მოხუცები და... ერთ დროს ვარჯით, პურ-მარილით, ხალხმრავლობით ცნობილი სახლის კარ-ფანჯარებზე ფიცრებია აქედნეა. ახლა, სამწუხაროდ, ზოგიერთ ოჯახს ამ «დანგრეული ზუღის» ზედი ელის.

როგორ ხდება დანგრეულ ოჯახთა აღდგენა-შეკვება? ბაშის სოფლსაბჭოს მდივანმა, სოფლის ერთ-ერთმა მოწინავე ახალგაზრდამ ნაზი ნაცვლიშვილმა ასეთი საფულისხმო ცნობა მოგვამოლა: გასულ 1972 წელს სოფელში სულ 18 ქორწინება რეგისტრირებული, 1973 წელს კი — 14. მაგრამ ამ 32 წყვილიდან სოფელში მხოლოდ ათი დარჩა საცხოვრებლად, დანარჩენმა ოცდარობა — ბაში, როგორც ჩანს, ახალი ცხოვრების დაწყების ეგზოტიკურ საფეხურად შეარჩიეს, შემდეგ კი სამუდამოდ მიატოვეს იგი. მიუხედავად ყურადღება იმას, რომ იმ ათი პატარძალიდანაც, რომლებიც ბაშში დარჩნენ საცხოვრებლად, მხოლოდ სამი გოგონა აღვილობრივი განა ამას იფიქრებდნენ ათანასეს მშვენიერი მარიაში და მისი ბაშელი თანატოლები?

**დაძინებულნი ტვირთი**

და გუჟობდა სოფელს. გაიწვლიდა დიდი მოსაყლისათვის ბრძოლა შეთხლებული ძალებით. მთელი სიმძიმე დააწვა მოწინავე ახალგაზრდობას მ. მიმინოშვილს, ნ. ნაცვლიშვილს, ი. ქიქუშას, ც. ქორქოლიანს, ლ. დოლიძეს, ა. კაპანაძეს და სხვებს, რომელთა რიცხვიც არც თუ ისე შესაშურებელია (მეურნეობის კომეკავშირული ორგანიზაცია 31 კომეკავშირებს ითვლის, რაც თავისთავად მეტყველებს სოფელში მოწინავე ახალგაზრდობის სიმცირეზე). უმთავრესად კი მეურნეობა ასაკში შესულ აღმართა იმდენ დარჩა.

ხომ გახსოვთ, ბატონო ილია, თქვენს მიერ დასახლებულთა ციფრები და ფაქტები, რაც თქვენ, როგორც პარტორგანიზაციის მდივანს, სეროზულად გაფიქრებთ? მეურნეობაში მომუშავეთა საშუალო ასაკი 52 წელია. 537 კომლიდან მეურნეობას მხოლოდ 399 ემსახურება. აქედან თითო კომლს საშუალოდ თითო მუშაეც ვერ გამოყავს. სულ 245 მუშაა სოფელში, — 150 ქალი და 95 კაცი. მამაკაცები, როგორც წესი, მძღოლები, მექანიზატორები, ბრიგადირები არიან. მინდვრად და ფერმებში კი ქალები მუშაობენ. მართალია, 98 პენსიონერიც გეხმა-

რებთ, მაგრამ მათი შრომა, პატიოსანი მოძღომების მიუხედავად, ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

თქვენს ნათქვამს მე დავუმატებ ერთ ფაქტს, რომლის დასახელებაც თქვენ ალბათ უხერხულად მიიჩნით. პირველი ეწერა-ბაშის ბრიგადაში (გაგახსენებთ, ამ უბანში 80-მდე კომლი ცხოვრობს) მხოლოდ ერთი შრომისუნარიანი მამაკაცი — 47 წლის სერგო ნუცუბიძე შემორჩა.

ეს მოვლენა, როგორც სამტრედიის კომეკავშირის რაიკომის პლენუმზეც ითქვა (პლენუმში ჩატარდა 1973 წლის 26 აპრილს და სპეციალურად მიძღვნიდა სოფლად ახალგაზრდობის დამკარგების საკითხებს), სხვა კომეკავშირებისთვისაც დაზნაობათვები ყოფილა. პლენუმზე, მაგალითად, მესალურის კომეკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ბიბილიაშვილი ამბობდა, რომ სოფელში 800 კომლია, კომეკავშირეობაში კი მხოლოდ 209 მუშაობს. „ამთავან ძირითადად კომეკავშირებს წარმოადგენენ ხანდაზმულები“.

ახლა კი, მოდიოთ, თავი გავანებოთ არსებული სურათის აღწერას და მივხედოთ იმ მიზეზებს, რამაც აქამდე მიიყვანა სოფელი ბაში.

მაგრამ აქვე ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო: წყლის დამნაყვეების როლში გამოვალთ, თუ ბოლომდე არ ვიქნებით გულახდილი და დაუფარავად არ ვილაპარაკებთ მთავარ და დღეისათვის პრობლემურ საკითხად ქცეულ მიზეზებზე. საქმე ისაა, რომ ჩვენი კომეკავშირული ორგანიზაციების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ სხვათა მიერ ჩატარებულ სპეციალურ ღონისძიებებში ზოგჯერ შეიმჩნევა ფორმალური „უალის მიზნის“ ტენდენცია ისეთი დიდი და მტკივნეული საკითხისადმი, როგორცია სოფლად ახალგაზრდობის დამკარგება. ხშირად ვიფარვლებით ხოლმე მეორეხარისხოვანი მიზეზების წინა პლანზე წამოწევით, აშკარად ვუბრალოებთ საკითხს და, ბოლოს და ბოლოს, მკითვლის, მაყურებელს თუ კრების მონაწილეს ნამდვილი მიზეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლის ნაკლებფექტურ გზაზე ვაყენებთ.

გახსენეთ აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი ქართული კინოფილმები „კინი შეკავშავს ცხენს?“, „გაზაფხული კიდეც მოვა“, პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და სხვანი. „მშობლიურ კერას ნუ აციეებთ!“ — აი, შვილებისადმი მთავარი ვიბრების საყვედურის ძირითადი თემა. განა სოფლიდან ახალგაზრდობის მასობრივი წასვლის წინააღმდეგ ბრძოლა თავისებულ გამოკეტილ ბინაზე ბოქლომის ახსნით ცალკეულ ეს პრობლემა, გესურს თუ არა ჩვენ ამის დანახვა, დღეს ხომ სერიოზულ სოციალურ პრობლე-

**აშთანდომ ციხაძე**  
 ბაშელის, ბაილშიძის!

მათა დონემდე ამაღლდა? რატომ არ გვირდა გულახდილად ვილაპარაკოთ იმ ღრმა მიზეზთა მიუღ კომპლექსზე, რაც საბოლოო ჯამში ჩვენი რასპუბლიკის ზოგიერთი რაიონების სოფლებს აშკარა ზიანს აყენებს?

მე გავცანი სამტრედიის კომკავშირის რაიკომის ბუღუმის მასალებს. ახალგაზრდობის ამ ნაღვლიად საქმიან და სასარგებლო ფორუმზეც ჩვენთვის საინტერესო მიზეზთა ძიება, ძირითადად, არ ვასცილებია გარკვეულ ვიწრო ფარგლებს. აი, ტბიპური ადგილი სოფელ ნოდის საშუალო სკოლის წარმომადგენლის ნ. კახიანის გამოსვლიდან: „ახალგაზრდობის სოფლად დარჩენა მასობრივი იქნებოდა, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს. სოფელს არა აქვს კლუბი, იშვიათად ტარდება კინო, ცენტრში არ არის ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი“. ათასჯერ და ათათასჯერ მართალი ხართ, მეგობრებო, მაგრამ ყველაფრის კინოზე, კლუბზე და სპორტულ ბაზებზე გადაბარლება სინამდვილის წინაშე თვალის დახუჭვა და მეტი არაფერი.

ცხადია, ახლახან ციტირებულ გამოსვლაში ნახსენებ მიზეზებს ეს წერილიც ვერ დავიწყებულ, მაგრამ, მოდით, პირველ რიგში, უფრო მთავარზე ვისაუბროთ.

### „ახლა არაჰის უპირის, შვილი!“

მეგობრებთან ერთად ბიოლოგიაში ვესტუმრე. გაიხარა 70 წლის მოხუციმა. დასახმარებლად მეზობელ მოხუცს მოუხმო და ჩქარა მეფის საყდრის სუფრა გაშალა. შეიღებო, ისე ნუ წახვალთ, ერთი ომხიანი სიმღერა რომ არ გაავლონთ სოფელსო, გვთხოვა მან. უმალ მივუხედი. მისი ოთხი შვილიდან ყველა ქალაქში მოიწყო ოჯახი და გამოყრუებულ ბინაში სიმღერა და ხალხმრავლობით გამოწვეული ხმაური მოეცატრა მოხუცს.

მე მდიდრულ სუფრას გადავხედე და მოუბოდიშე, გაგსარჩეთ და დაგხარჯეთ-მეთქი.

— რას ამბობ, შვილო, — არ დამაქალა მოხუცმა, — ახლა სოფელში არავის უქირს! მე პირადად მაქვს პენსია, სკაიპრიდამო ნაკვეთი, შვილებიც არ მაკლებენ ყურადღებებს!

ახლა სოფელში არავის უქირს! სრული კეშმარიტებაა. ახლა ჩვენი სოფელი ეკონომიურად ათწლი ღონიერია, ვიდრე იგი იყო, ვთქვათ, ათანასეს მარამის მოტაცების ყამს. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ 70 წლის ბიცლაჩემის მოთხოვნილებებით ვერ შემოფარგლავ იმ თაობის ინტერესებს, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინსვლის, კოსმოსის დაპყრობისა და არნახული ეკონომიურა თუ კულტურული პროგრესის მოწვევნი და უშუალო მონაწილენი არიან.

ღიან, ახლა მართლაც არავის უქირს, მაგრამ მე მაინც იქიდან მინდა დავიწყო. მხედველობაში მაქვს ჩვენი სოფლის საბჭოთა მეურნეობაში

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უპატივცემულობა და აქედან მიღებული სავალაპარაკო დეგები, რაც საბოლოო ჯამში, ბევრს უტრუნებს სოფელზე გულს.

შორს ნუ წავალთ. 1961 წლიდან, ე. ო. კოლმეურნეობის ბაზაზე საბჭოთა მეურნეობის შექმნიდან, ერთი ხანობა თითქოს საქმე წინ წავიდა, მაგრამ შემდეგ... ეს სამი წელია მეურნეობა არარენტაბელური ვახდა, იგი ზარალს აძლევს სახელმწიფოს. რენტაბელობის დაკარგვის მიზეზთა ძიებისას მრავალთა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა, რომელიც, როგორც ჩანს, მეურნეობის მეცნიერული, გეგმიანი გაძლიერების პრინციპების მოშლის ტბიპურ მაგალიტს წარმოადგენს: 1963 წელს ხეხილის ბალის ვაშენების ათწინთ ვაჩნება 45 პექტარი საკვერნაძოს ტყე (თითქოს აუცილებელი იყო სოფლის ამ მაცოცხლებელი მშვანე მასივის მოსპობა, როდესაც საამისო ადგილი სხვაც ბევრი იყო. მაგრამ ამაზე ქვემოთ). დაირვა ვაშლი, მსხალი, ტყემალი. მოცდა უამრავი მეშხელი. 9 წლის განმავლობაში მეურნეობა განუწყვეტლივ იღებდა კაპიტალდაბანდებს ამ ფართობისათვის. მაგრამ უგეგმობამ, წინასწარპკერეტის უნარის დაკარგვამ, უყარათობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ბოლოს აღარავინ გამოვიდა, ანატოვის ფართობი, მოგებას ვერ მოგვეცემსო, მეურნეობას კი 200 ათასი მანეთი ვალი დედო. დღეს ისეც საკვერნაძოს უწოდებენ ამ ადგილს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საამო ტყის ნაცვლად აქ მწირი ბელტების უზარმაზარი მასივია, რომელზეც აქა-იქ საცოდავად ამოჩხერილა მიტოვებული, გასახმობად განწირული ხეხილი.

ამგვარ „ღონისძიებათა“ წყალობით ის შედეგი მივიღეთ, რომ მუშის საშუალო შემოსავალი მეურნეობაში 50 მანეთამდე დაეცა (მართალია, ზოგ თვეს შემოსავალი ვაცილებით მეტია, მაგრამ ზამთრის თვეებში მუშათა ძირითადი ნაწილი მოწყვეტილია სისტემატურ სამუშაოს. არც ეს ფაქტი ლაპარაკობს შრომის კარგი ორგანიზაციის სასარგებლოდ). რა გასაკვირია, რომ ამ შემოსავლის ქმონე ჯანსაღმა მუშაკებმა თვალა გააპარა ქალაქისაკენ ან სხვა მეურნეობისაკენ, სადაც იმავე ენერჯიის დახარჯვით სამჯერ და ოთხჯერ მეტ ანაზღაურებას მიიღებს. გული არ მიმოწინდა და შედარებისათვის აქვე მინდა გავისხუტუნის მეგვენახეობის საბჭოთა მეურნეობის მაგალითი. მეურნეობის ხელმძღვანელმა შალვა ჯაშიბაძემ, პარტიულ და კომკავშირულ აქტივზე დაყრდნობით, ისე წარმართა საქმე, რომ არა თუ სოფლიდან ქალაქად, არამედ, პირიქით, ქალაქიდან (ამ შემთხვევაში სასაბჭოთა რედიიდან) ბევრი სამუშაოდ წავიდა ამ სოფელში; უფრო მეტი, ზოგიერთი სამუდამოდ დასახლდა აქ.

მუშახელი არ გვეოფნისო, — სწორად გავიგონებთ ახლა ბაშის თაკაცთა საყვედურს. ეს მართალია, მაგრამ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, განა



გულსწამებრად ეძებთ და იყენებთ მუშახელს? ხელმძღვანელების რა დიდი მეცნიერული ნიჭია საჭირო იმისათვის, რომ, მაგალითად, გადაწყვეტილ იქნას მუშახელის გამოძებნის ერთი ასეთი საკითხი: თქვენს მეურნეობაში დასაქმებულ ოჯახებს თითქმის ყველას ყავს მსხვილფეხა რქოსანი პირტუტევი, რომელთა მოწყვემისათვის ყოველდღიურად ცდება 15-მდე მუშა. ხომ შეიძლება მათთვის განკუთვნილი საძოვრების შემოკლება და მწყვემსების განთავისუფლება ამ ზედმეტი სამუშაოსაგან? მოსახლეობა, როგორც ვიცი, თანახმა გაიღოს ხარჯის ნაწილი. თქვენ ამის გაკეთება თავისუფლად შეგიძლიათ. ვაგახსენებთ, რომ ვანელთა საზღვარეულ ღობის გაკეობას თქვენ 12 თასი მანეთი მიიხარჯეთ, თუმცა, როგორც ახლა აღმოჩნდა, სულაც არ იყო ამის გაკეთება საჭირო.

დიახ, 15 მუშახელი მცირე ძალა როდია იმ დროს, როდესაც თქვენს მიწვრებზე სამუშაოდ წასულ ბრიგადაში ზოგჯერ ხუთიოდე ქალი ძლივს იკრიბება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია წარმოდგენილია მშრომელთა მომსახურების მაღალი დონის გარეშე. როგორია ამ მხრივ საქმე თქვენს მეურნეობაში? ავიღოთ თუნდაც ისეთი ელემენტარულთა აუცილებელი საკითხი, როგორიცაა მუშათა კვების ორგანიზაცია. თქვენ სოფლის ცენტრში სასადილო გახსენით. ეს კარგი წამოწყება იყო, მაგრამ გავიდა ხანი და აქაც ხალხმა ისევ ის ყბადაღებული «გლისი მოხდის» ტენდენცია დანახა. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მერქვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ამ სასადილოში ჯერ არავის უნახავს არც რძე და არც ბოსტნეულისაგან დამზადებული წვნიანი საჭმელი?

— რა ასორტიმენტი გაქვთ? — ვეკითხები გამყიდველს.

- დიდიოთ უმთავრესად კონსერვებს ვხსნიო!
- სადილისათვის?
- ზოგჯერ ვიღებთ ხორცს. ისე კი, თუ წინასწარ შეუტკეოთ, შეძლება რაიმე განსხვავებული მოგომზადოთ. გეშამზე საერთოდ არავინ მოდიხ და ჩვენც არაფერს ვამზადებთ.

ხომ ნათელია, რომ მიწვრებში ან ფერმაში სამუშაოდ წასული მშრომელი აქ სპეციალურად ვერ მობრუნდება სადილისათვის (მითუმეტეს, იგი არაა გარანტირებული სადილით). და ბოლსევიზმის, ეს სასადილო სოფლის ცენტრში განლაგებული დაწესებულებების თანამშრომლებისა და ლუდის (ზოგჯერ მოგვედისო, განაცხადა გამყიდველმა) მოყვარულთ ემსახურება. ასეა, მეგობრებო, მიწვრებისა და ფერმის მუშახალხი, რომელიც მეურნეობის დასაყრდენია, ამ მომსახურების გარეშე დარჩა. თავი რომ არ შეგაწყინოთ მრავალი პარალელების გაკლებით საყუარით თვალით თუ არ ნახავთ, იკითხეთ მა-

ინც, ეს საკითხი როგორ გადაწყვიტეს რესპუბლიკის ბევრ რაიონში.

და ყოველივე ამის შემდეგ (მე სხვა ფაქტებზე აღარ მომყავს), დაირღვა რა ადამიანთა შრომის დაფასების თანაფარობა ჩვენს მეურნეობასა და სხვა წარმოება-დაწესებულებებს შორის, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც აღარ გასჭირვებიათ მშობლიური სოფლის მიტოვება.

**სანიღან იზიღავს მაგნიტი?**

სამტრედიის კომკავშირის რაიკომის პლენუმის მასალებშია ვითხულობთ: «ბევრისათვის მისი სოფელი იმდენად ძვირფასია, რომ ამ სიყვარულს უთქმევინებია: «რაცა მაქვს, ესეც საკმარისია ბოლომდე აქ რომ დავრჩეთ და სიამით ვიცხოვროთ». ო, როგორ შინდა, რომ ასე მსჯელობდეს ჩვენი სოფლის ყველა ახალგაზრდა, ყველა ქაბულე და ქალიშვილი. პლენუმზე ბევრი ასეთი ახალგაზრდა დაასახელეს. ერთ-ერთ მათგანზე კი იო რა იტყვა: «ქეთევან კობრიძემ გასულ წელს 148 კაცდღე გამოიმუშავა და ფულადი ანაზღაურება მიიღო 169 მანეთი. შრომა ქეთევანს კარგად დაუფასეს». მართლაც უშუალოდ შეყვარებული უნდა იყო მშობლიურ სოფელზე, რომ შრომის ამგვარი «დაფასების» შემდეგ კვალდ ასეთ სოფელში დარჩე. დარწმუნებული უნდა იყოთ იანეთის, ბაშის, ნოდისა თუ სხვა სოფლების თავკაცებო, რომ ამ შრომისმოყვარე ახალგაზრდებს, იმავე ქეთევანსა და გივლას, ფატულასა და გიგუცას, რომლებსაც ფართოდ უხსნიან კარს სხვა დაწესებულებებში, ერთ მშვენიერ დღეს დაებადებთ სურვილი გაყენენ თანთან «გაქცეულ» კოლეგებს. გასაქცევა ადგილები კი, იცოცხლოთ, ამ სოფლებს თავზე საყრელი აქვთ.

ისევ ბაშზე მოვახსენებთ. რა მაგნიტმა მიიზიდა ამ სოფლისადმი რწმუნდაკარგული ახალგაზრდები? ესენი ვახლავთ: ქუთაისის აგრო-ქარხანა (დღეს აქ 80-მდე ბაშელი ახალგაზრდა შრომობს), კაჩინიჭა, რომელიც მრავალ მუშახელს საჭიროებს, თუნდაც იმავე ბაშის გაყოლებზე გზის მომსახურებისათვის, სამტრედიის დებო, ძაფსალები, საკონსერვო ქარხნები, ბაშის სართავი ფაბრიკა, ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატი და სხვ.

მოლით, ბაშელი მეგობრებო, სინამდვილეს პირდაპირ შეგხედოთ თვალეში. ვანა თქვენ შეძლებთ იმ ახალგაზრდის შეჩერებას, რომელიც გაეცნო, ვთქვათ, სამტრედიის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის მიერ შემოთავაზებულ პირობებს? ამ კომბინატმა, ახალი ტიპის ნამდვილი კომუნისტური ხელმძღვანელის ვალერიან კოპალეიშვილის, პარტიულ-კომკავშირით ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იდეალური პი-

**ავთანდილ ციხაძე**  
**ბაშელეზო, ბაილმომი!**



რობები შეუქმნა მუშებს. დიდია შრომის ანაზღაურება, შრომის პირობებით ყველა კმაყოფილია, მუშებისათვის აშენდა სამი 60-ბინიანი სახლი, ზანდის მთაზე, სოფელ გამოჩინებულთან მოეწყო დასასვენებელი სახლი მუშებისათვის, იქვე ქარხნის ეზოში აშენდა სპორტული მოედნები, მოეწყო დასასვენებელი ზონა. მოდი და, თქვენს მიერ შექმნილი პირობებით დააკავეთ აქ წასასვლელად აღირილი ახალგაზრდა. თქვენ ზგერელთან გველის ამომყვანი? რუსთაველის ენაც რომ მოიშველიოთ სააგრიკაციოდ, ვერას გააწყობთ!..

დიხს, თქვენ თავისებურ შეჯიბრებაში გამოგწვიათ თქვენმა მეზობელმა დაწესებულებებმა და, მარცხდებით. დასაფიქრებელი კი უფრო ისაა, რომ ნაკლებად განიცდით ამ მარცხს და არც თუ ისე დიდი სპორტული ენით ცდილობთ მეტოქეთა დაძლევას. ამის ნათელსაყოფად კიდევ ერთ მომენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

### სოფელი — ჩემი დიდი სახლია!

საკუთარი ეზო-ყურედან კაცი რომ გადმოვა, ვიღერ შინ მიბრუნდება, სოფელია მისი ოჯახი და თვალ-გულის გამხარებელი. იგი საკუთარ ოჯახით განიცდის სოფლის ავ-კარგს, მის სიკეთესა და ნაკლს, მის მოუწყობლობასა და უწყესრიგობას. მაგრამ ჩვენ რატომღაც მივეჩვიეთ ასეთ პარადოქსებს: საკუთარ ეზოში დამდგარ ტალახს ვიდრე ავიღებთ, ჩვენი გვემართება. სოფლის გზაზე კი თვეობით დამდგარ ჭუჭყიან გუბეებს ვერც ვამჩნევთ; საკუთარი სახლის სახურავს ერთი კრამიტეც რომ გაუტყდება, სახვლიოდ არ გადავდებთ საქმეს, სახლში წვიმა ჩამოვაო, მაგრამ სოფლის „კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში“ რომ წვიმა ჩამოდის, როგორც ამაზე მიუთითა პლენუმმა, ეს ჩვეულებრივ ამაღლ მიგვაჩინა; ჩვენ ვამშვენებთ საკუთარ კარმიდამოს (მართალია, ესეც სოფლის სილამაზეს ემსახურება), მაგრამ გვაფიწყდება სოფლის იმ საზოგადოებრივი ადგილების გამშვენება, სადაც ყოველდღიურად გვიხდება ყოფნა.

მოდით, ერთად გავიაროთ ჩვენი სოფლის ცენტრში. როგორაა იგი მოწყობილი, თამაშობს თუ არა იგი როლს ჩვენი ახალგაზრდობის ადგილზე დაბავრებაში, თუნდაც ნაწილობრივ? თქვენ ყოველდღიურად აქ დაიხიბთ და აღბნობთ შეეჩვიეთ, ვეღარ ამჩნევთ იმას, რაც უცხო კაცს პირველსავე დანახვისას თვალში ხვდება. ჩვენც უცხო კაცის თვალის შეხვედრით სოფლის ცხოვრების სარკეს — მის ცენტრს.

ეკალ-ბარდები — აი, პირველი შთაბეჭდილების შემქმნელი. კლუბის, სოფლსაბჭოს, მალაზონის გარშემო ეკალი და მყარალი ბალახია ამოსული. ეკალ-ბარდის ყურებას კიდევ გაუძლებს კაცი, იქვე, კლუბის უკან ბოსტნეულის მიძღები ბუნჭი რომ არ იყოს მოწყობილი. ხშირად პუნ-

ქტი გროვდება ჩაბარებისათვის გამოუსადეგარ ბოსტნეული და ახლო-მახლო არასასაქმეო მუშაობის დღეს. განა არ შეიძლება პუნქტის სხვა ადგილზე გადატანა? მე თქვენ გეტყვიოთ და, პუნქტი კაპიტალურ შენობაშია მოთავსებული და ვინმეს დაენანება ანდა გაუჭირდება მისი დანერგვა: ყველაფერს თავი რომ დაენებოთ, ეს ზომ დაბლა სცემს სოფლის საზოგადოებრივი ჰიგიენის დონეს? სიტყვამ მოიტანა და აქვე ვგახსენებთ: ორმოციანი წლების ბოლომდე სოფლის ყველა ქუჩას ჩაუღიდა თხილნარისწყლიდან, სარეჩხელადან, ლოღარბადან, ლეღვიდან და სხვა ნაკადულებიდან გადმოგებული წყალი. დიოდა ვაშუღმებით ნაკადულები რიონისაკენ და იწმინდებოდა სოფელი. მოსახლეობამ იცოდა მისი ფასი და ყოველთვის წმენდა, სუფთად ინახავდა ამ მაკოვლებელ გუზისპირა არხებს. ახლარა მოხდა? სად გაქრა ეს სადინარები, რომელთა მიტოვებული კალაპოტები დღეს კოლოების ბუდედა ქცეული, რატომ არავინ ფიქრობს მათს აღდგენაზე?

სოფლის ცენტრთან, ორასიოდე ნაბიჯზე ტყე იყო აქორწილი. ეს იყო ბუნების ნამდვილი საჩუქარი სოფლისათვის. აქ შეიძლება დასვენების შესანიშნავი პარკის მოწყობა. მაგრამ აქაოდა, სოფლის ფართობების გამასივების კომპანია მიმდინარეობსო, ტყე პირწმინდად გაკაფეს და ზედ სიმინდს დათესეს, თუმცა, ამისათვის ადგილები საქმალაო. განა ეს არაა იმ ტოტის მოჭრა, რომელზედაც ვზივართ? განა ეს არ იყო კიდევ ერთი აქტი, რის გამოც სოფლის ცენტრმა დაკარგა თავისი მიმზიდველი ძალა?

გავცდეთ სოფლის ცენტრს. წელან ვთქვი და ისევ ვუბრუნდები უკანასკნელ წლებში მეურნეობაში გატარებულ ღონისძიებას, ე. წ. ფართობების გამასივებას. ვერავინ დამაჩერებს, რომ სოფლის მეურნეობაში ამ აუცილებელი და საჭირო ღონისძიების გატარება ყოველთვის ისე მიმდინარეობს ჩვენს სოფელში, როგორც ამა აგრო-წესები და სოფლის ინტერესები მოითხოვს. ფაქტები? რამდენიც გნებავთ. ერთის შესახებ (საკვერნაძოს ტყის გაჩეხვა) უკვე მოგახსენეთ. გადით სოფლის ფართობებში, რა ხდება აქ? პირწმინდად იძირკვება „საქარებში“ ამოსული თეთვებიც. ნამყენი თუთა, როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ავადმყოფობამ მასობრივად მოსპო და ბაშის მოსახლეობა, რომელიც ყოველწლიურად პირნათლად ასრულებს აბრეშუმის ჩაბარების გეგმას, ძირითადად ამ საქარებში შემორჩენილი თუთის იმედზე იყო. განა გამასივება იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც მოგხვდება, წყალსა და ცეცხლს მისცე? განა გული არ ვიკვებებით, როდესაც ვაივლით „სამაშვი-აში“, სადაც ადრე ტყე-ბუნჭიწარი შრიალებდა, „გამასივების“ შემდეგ კი არაფერი გამოუყენებით და ზედ ბალახიც არ ამოდის?

ზოგჯერ გამასივების საბაბით აშკარა დანაშა-





საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
საბჭოთა  
კავშირის

ულს სწალიოდნენ. ვახსოვთ რა მოხდა რიონის პირზე? გამასივება იწყებოდა, შესასხა მეურნეობის პირველმა ხელმძღვანელმა ტიტე კობალეი-შვილმა, დიდი ხეები კომპლექსური მექანიზაციის გატარებში ხელს შეგვიშლისო, და 1961-63 წლებში ზუთასი ძირი (გვსმით, ზუთასი ძირი) მსხმოიარე კაკლის ხე ამოძირკვეს. შემდეგ დამნაშავეებმა საკადრისი სასჯელი მიიღეს, მაგრამ რაღა დროს.

ახლაც ხომ არ მეორდება მსგავსი რამ? მე მხედველობაში მაქვს ბაშის განთქმული საძოვრები. მაინც რითი ვაიქვით სახელი ამ საძოვრებზე? საკმარისი იყო დილით მისულთავეთი სამპრეტრედის ყველის ბაზაში, სადაც ყველს ანაწილებდნენ მომხმარებელ ორგანიზაციებზე, და ყველაფერი ნათელი ვახდებოდა თქვენთვის. ორგანიზაციების წარმომადგენლები იდგნენ და ბაშის ყველს ელოდებოდნენ, თუმცა სხვა სოფლებიდან შემოზიდული ყველი უხვად იყო ბაზაში. ბაშის წველა ყველს ათას წველაში გამოარჩევდით. და ამაში მშრომელთა მუყაითობასა და პატიოსნებასთან ერთად ვადაძმევებო როლს თამაშობდა ის ბლახი, რომელიც ბაშის საძოვრებზე იზრდება. დადგენილია, რომ იგი შედარებით ყუთიანი, მსუყე და არომატულია. და აი, ახლა ამ საძოვრებსაც მიადგნენ. უკვე გადაიხნა 30 ჰექტარი, თუმცა ზედ არაფერი დაუთესიათ. ასეთი „ღონისძიების“ შედეგად ჩქარა დაცემა ბაშის ყველის ყადრი რაიონში და ისედაც არარენტაბელური მეურნეობას კიდევ ერთი არარენტაბელური ღარგი მიემატება.

არ გეგონოთ ყოველივე ამას უშუალო კავშირი არ ჰქონდეს სოფლად ახალგაზრდობის დამაგრების საკითხთან. ჯერ ერთი, ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს მუშის საერთო შემოსავალზე, რაც ბევრად განაპირობებს ახალგაზრდობის სოფლად დარჩენის სურვილს. მეორე: სოფელს ეკარგება ის სილამაზე, სინაზე და მშვენიერება, რაც თავისებურად სანთლავს იმ ესთეტიკურ თოკს, რომელიც ახალგაზრდას აკაიებს სოფელში. მე ბევრს ვესაუბრე ამასთან დაკავშირებით. აი მათი პასუხები: „რა გამოჩინებს აქ? ხეშსა და თევზივით გალიაოოლ შარავნებს ქალაქშიც ბევრს ვუყურებ“. „ეს, ჩემო ბიძი, სოფლის გამასივება კი არა, გატიტვლებაა. თუ ასე ვაგრძობდა, ჩვენს სოფელში ჩქარა მხოლოდ სახლები და გზები დარჩება“. და გამასხენდა მცენარეების სახელებიდან წარმომდგარი მრავალი სოფლის სახელი, რომლებსაც უკვე არავითარი კავშირი აღარ დარჩათ ნათლიასთან: უმუხებო მუხონი, უთელგებო თელიანი, უნიგვებო ნიგვზიანი, უვაზო ვაზიანი, უკოპიტო კოპიტნარი და სხვანი. მათ ახლა ბაშის ცალკეული ოფიცილების სახელებიც შეემატა: უწიფლებო წიფლნარი, უქილქო ქილქიანი, უტევრო ტეური. მესამე: ეგრძეო თუ საზოგადო საძოვრების მასობ-

რივი გადახენით, მეურნეობის მუშების ფრინველ-პირუტყვის შენახვის პირობების შეზღუდვით იზრდება სოფლიდან წასვლის მსურველთა რიცხვი. აი რას ამბობს მეურნეობის ფოსტალიონი ქეთო ყორყოლიანი: „არასოდეს მივალატა მეურნეობისათვის. ახლა ფოსტალიონობა დამავალეს. მაგრამ მე თუ ძროხა, ქათამი და ინდაური არ ვიყოლიე, თუ მათი შენახვის საშუალება არ მომეცა, ასეთ სოფელს ვანა სოფელი ეთქმის? მეც ავღვები და სხვასავეთ ვადავბარგლები ჩვენებთან ქალაქში“.

მეგობრებო, ჩემს თანამოსაუბრეთა პასუხებში ნუ დაუწყებთ ძებნას მეშჩანურ მიდრეკილებათა გამოძახილს. წავიდა ის დრო, როდესაც პირადი დინტერესების საკითხზე მსჯელობა მეშჩანობად მიჩნდათ. დღეს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისაგან სპირაუ გვეცემის მამა-შვილური დარღვევა იმის თაობაზე, რომ „თანამედროვე პირობებში პირადი მატერიალური დინტერესების პრინციპის განუხრეულად ვატარება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი ფაქტორია“ (იხილეთ მაგალითად „კომუნისტი“, 1973, № 195). რას იზამთ, ჯერჯერობით ასეა; მომავალში კი პირადი დინტერესება თანდათან დაკარგავს თავის მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ მთლიანად მოისპობა, როგორც შრომითი აქტივობის ფაქტორი.

### უწყაითობა სულის საზრდოში

„1939 წლის 3 აგვისტო. პირველი ეწერ-ბაშის სკოლის ეზოში გაიმართება ე. ნინოშვილის „ქრისტიანის“ გმირების ლიტერატურული ვასამართლება. დასაწყისი 7 საათზე. ბილეთის ფასი 2 მანეთი. შემოსული თანხა მოზარდებს სოფლის ქობ-სამკითხველს“. კარგად მახსოვს ასეთი ხუთი აფიშა დაგვირიგეს საზაფხულო არდადეგებზე ბაშში ჩასულ ბავშვებს — სოფლის ხუთივე უბანში გააკართო.

უნდა გენახათ (აღმათ ზოგიერთი თქვენთავანი ესერებოდა კიდევ ამ ღონისძიება) რა ხალისი გამოიწვია ამ სასამართლომ. თითქმის აივსო სკოლის დიდი ეზო. ვისაც სკამები არ ეყო, თვით მოქონდა სახლიდან. ჯერ სცენაზე სამი ახალგაზრდა გამოვიდა, და ერთმანეთზე მიყოლებით წაითხნენ საკუთარი ლექსები... სიყვარულზე, მის დიდ ძალაზე, მისგან მონიკებულ ბედნიერებასა თუ წყენაზე. ეს თავისებურ უფერტიურად გაუთვალისწინებიათ ღონისძიების ორგანიზატორებს. სასამართლოს ხომ ამ საკაცობრიო ლამაზი გრძნობის ირგვლივ უნდა ვაემართა სჯა-ბაასი. მახსოვს, როგორ იცავდა ქრისტიანის ერთი შუბამეული გოგონა; როგორ შეუტია ხალხმა პირველ-ეწერელ ბრიგადირს, რომელმაც იასონის გამართლება სცადა, გვიან დამემდეგ არ

აშთანდილ ციხაძე  
ბაშელეზო, ბაილიბიძე

დაშლილა ხალხი. სჯა-ბაასი სასამართლოს დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა. დარწმუნებულ ვარ იმ დღეს ბევრ ახალგაზრდას შეემატა ზნეობრივად რაღაც ახალი, სასარგებლო და ამამალღებელი. მახსოვს, იმ ზაფხულს ვაასამართლეს ჭონჭაძის „სურამის ციხის“, ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ გმირები. ზაფხულის ბოლოს კი იმავე სკოლის ეზოში (კლუბი მაშინ არ იყო) წარმოადგინეს იმ პერიოდში საკმაოდ პოპულარული პიესა „შეშინებული ანთიმოზი“.

არ იფიქროთ, რომ მაშინ ამ ღონისძიებების ინიციატორებს ვინმე უდგებოდა, ან აძალავდა აღნიშნულ სამუშაოს, არც რაიმე გასამართლოს ელოდა რომელიმე მათგანი. უბრალოდ, მოწინავე ახალგაზრდების ერთი დიდი ჯგუფი — დავით და ქსენია ნაცვლიშვილები, ვოგი და მარიამ ციბაქები, დავით კაშია, ვენერა და ვალოდა მაჩიტაძეები, ილარიონ კობრიძე, ნოე ნუცუბიძე და სხვები, ანგარიშს უწევდა არ სოფლის სულიერ მოთხოვნებს, ყოველთვის ნახულობდა დროს კოლმეურნეობაში მუშაობის შემდეგ.

როგორ დამეციწყდება — სოფელში ხმა, გავარდა ნოე ნუცუბიძე უსასყიდლოდ ცეკვას ასწავლის მსურველებსო. მას თურმე მართლაც შეუტრებია რამოდენიმე ახალგაზრდა, პირველად მოფარებულში ცეკვავდნენ — ზოგიერთმა არ დაგვიცინოსო, შემდეგ კი იყო-ცხელი. მთელ პირველი ეწერა-ბაშის ახალგაზრდები უჩვენებდნენ ამ „ცეკვის წრეში“ მიღებულ ხელოვნებას სხვადასხვა „ჯარიანობაზე“, რომლებიც ყოველ კვირას იმართებოდა სოფლის ხუთივე უბანში.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა, ფუტკარისა არ იყოს, თვითონვე ქმნიდა თავის სულიერ საზრდოს, ცხადია, სოფლის პარტიული და კომპარტული ორგანიზაცია, კოლმეურნეობის გამგეობა ყოველთვის საქმის კურსში იყვნენ და სიამოვნებით უტყუარდნენ მხარს ახალგაზრდობის ყოველ სასარგებლო ინიციატივას.

გავიდა დრო. სოფლის შუაგულში კლუბის შენობა აშენდა. სოფლის ახალგაზრდობის კულტურული მომსახურება საერთო ყურადღების საგანი გახდა, და მოხდა გასაოცარი რამ: სწორედ ამ ნაყოფიერ ნიადაგზე ჩვენი სოფლის კულტურული ცხოვრება ნაზამთრალი ყვაილივითა გამოქვანა.

ჩვენ სოფლის კლუბის გამგის სამსონ კაშიაძის კაბინეტში ვართ. სამსონი მოსკოვის გმირული დაცვისა და კურსკ-თაილის რკაჯის გარღვევის მონაწილეა. მძიმე კრილობებით დაბრუნდა სოფელში. კლუბი ჩააბარეს. ენერგიულად მოკადა საქმეს ხელი. ჩამოაყალიბა ლიტერატურული, მექანიზაციის შემსწავლელი, დრამატული წრე, მომღერალთა გუნდი. ზოგჯერ მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს თბილისიდან და სამტრედიიდან ჩამოსული მხატვ-

რული კოლმეურნეობის გამოსვლებიც ემატებოდა და ომის მძიმე წლების შემდეგ ასე თუ ისე გამოცოცხლდა საქმე.

— მაგრამ, — განაგრძობს სამსონი, — კოლოდენ წლის წინ ყველაფერი უკულმა დატრიალდა. დაიწყო სოფლიდან ახალგაზრდობის მასობრივი წასვლა; მათ შორის ბევრი იყო კლუბის აქტივი, წავიდნენ დრამწირსა და მომღერალთა გუნდის წარმომადგენლებიც, ველარ მოვანხე მათი შემცველი და წლობით ნაყოფიერები წრეები დაიშალა.

— როგორც მე ვიცი, — ვებმები საუბარში, — თქვენი კავშირი დაამყარეთ სოფლიდან წასულ ამხანაგებთან, გადაწყვეტილი გაქვთ ბევრი საინტერესო საქმის გაკეთება, გადადგით პრაქტიკული ნაბიჯები სოფლის კლუბის ტერიტორიის გასამშვენიერებლად. როგორ გეხმარებით მეურნეობის დარეგაცია?

თავი ხალხმა ნათამარხი მოხუცმა, პირდაპირ პასუხს მოვიღია. მისი კაბინეტიდან ეკალბარდით მოფენილ, გვერანებულ სოფლის ცენტრს გავხედე და მიგხვდი, რომ სოფლის თავაკებს ჭერ-ჭერობით ასეთი „წვრილიმანებისათვის“ არ სცალოა.

მაგრამ დაგუბრუნდეთ სამტრედიის კომპარტის რაიკომის პლენუმის მსახლებს; ვნახოთ, სხვაგან როგორაა საქმე: „ზამთრობით არ თბება არც ერთი საკლუბო დაწესებულება“, — აღნიშნა რაიკომის მდივანმა ნ. გულიშვილმა. „კლუბი კეთილმოწყობილია, ზამთრობით არ თბება, №1 კლუბში არ გვაქვს კინოდანდადარი“, — თქვა იანეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ჭვარშიშვილმა. „ჭერ კიდევ სათანადოდ ვერ ვაგმავთივლიდით თანამედროვე ახალგაზრდობის სულიერ მისწრაფებებს, მათს მიდრეკილებებსა და მოთხოვნილებებს კულტურულ და საყოფაცხოვრებო სფეროში“, — განუცხადა დამსწრეებს გომის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. თევზაძემ, „დიდი ჭიხაიშის კლუბი ავარიულ მდგომარეობაშია,“ — აცნობა მათ ამ სოფლის წარმომადგენელმა ს. ხაჯალიამ. როგორც ჩანს, ეს ნაკლი მხოლოდ თქვენთვის არ ყოფილა დამახასიათებელი, მაგრამ ეს თქვენს პასუხისმგებლობას ხომ არ ამცირებს, ბაშელებო?

საღამოს, ეს იყო 12 აგვისტოს, ბიძაშვილებთან ერთად სოფლის კლუბს ვეწვიე, ქართული კინოფილმები „ჩარი-რამა“ და „ნემი ქალაქის ვარსკვლავი“ გადიოდა. მე მივესალმები თქვენს მოთმინებას, ბაშელო ახალგაზრდებო, თუ ყოველთვის ასეთ პირობებში უსურებთ ფილმებს და მაინც არ ტეხთ განგაშს. იმ დღეს ხომ ფაქტიურად არც ერთ ჩვენგანს ფილმი არ უნახავს, არაფერი ისმოდა. ქერის ცული და პროექტების ბრალიაო, განმარტა ზოგიერთმა.

საკითხავია, ბაშელებისათვის კინო არის თუ არა ქვეული მასობრივი ავტატიის ყველაზე სა-



უკეთესო საშუალებად? მე მარტო კინოს ჩვენების ხარისხი არა მაქვს მხედველობაში. საქმე ისაა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი კინოს იშვიათი სტუმრები არიან. თითონ განსაჯეთ: კინოფილში, როგორც წესი, გამოცხადებულხერით საათით გვიან იწყება და შუალაშე გადასულია, როცა თავდება. კლუბი სოფლის ცენტრშია. შიდასაოფლო ტრანსპორტი, ცხადია, არ არსებობს, და მსურველთა დიდმა ნაწილმა ფეხით უნდა დადგაროს 3—4 კილომეტრი. ეს მანძილი კიდევ არაფერი იქნებოდა, შიდასაუბნო გზები რომ გზებს გავდეს და, მასთან რაიმე ნათღებოდეს (ამაზე ჯერ ბაშში არც უფიქრიათ. ის კი არა, სოფლის სრული ელემტროფიკაცია ეს-ესაა დამთავრდა).

საერთოდ, როდესაც აღნიშნულ საკითხზე ვესაუბრე ბაშელ ამხანაგებს, მათ სიამაყით განაცხადეს, რომ სოფელში არის ბავშვთა ბაგა, სპარაიქმანერო, ახლახან გაკეთდა ახანო, არია მალაზია (ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია), მაგრამ აღარ სიამოვნებდათ სკოლარი საავტომოფოზე, რომელიც სამოთხე წლის წინათ გაუქმდა, რადიოზე, რომელიც დღესაც არაა სოფელში. მე არ ვიცო, საქართველოში თუ დარჩა რომელიმე სოფელი რადიოგაყვანილობის გარეშე. პარტორგანიზაციის მდივანი ამაში რაიონის სათანადო ორგანიზაციებს აღნაშაულებს, ასეა თუ ისე, კოსმოსის დაპყრობის ხანაში ჩვენს სოფელში არ არის რადიო, რომელიც საქართველოს უმრავლესი სოფლების კულტურული ცხოვრებისათვის უკვე განვლილი ეტაპია.

არ მინდოდა ფოტოატელეფონ მეთქვა რამე მაგრამ კლუბის გამგის, ი. კაშიძის ერთმა მოწოდებულმა ცნობამ იძულებული გამხადა ორიოდ სიტყვა მომეხსენებინა სოფლის კულტურული ცხოვრების ამ ელემენტალურად აუცილებელ ობიექტზე. როდესაც მან დაიწყო შინ-მოსულებსა სტენდისათვის ფორმირებ დაცემული 225 ვაქაციის სურათების შეგროვება, აღმოჩნდა, რომ ოცამდე შინმოუსვლელს საერთოდ სურათი არც გადაეღო სოფელში. იმ დამეზღვი აღმაინებნის მოსაგონარად მაინც აღმოფხარით ეს ტრადიციად განადღეს პასპორტის სურათის გადასაღებად სამტრედიანში უნდა მიდიოდეს თქვენებური კაცო?

ხო—და, თუ სურათის გადასაღებად, კინოს სანახავად. კოსტუმისა და კაბის შესაყერად კაც-მა დღენიადგ ქალაქში იარა, აღარ უნდა გავიკვირდეთ, თუ ერთ დღეს იგი ბოლოს მოუღებს ამ წინ და უკან სიარულს და სამუდამოდ ქალაქში დარჩენას გადაწყვეტს.

**„ბრიბა, მწერ-ბაშელო ლელოგაშრთელეგოი“**

ერთი ამბავი გამახსენდა. 1940 წლის ერთა ზაფხულის კვირაძალს პირველი ეწერა-ბაშის საფეხურით მინდორზე (მაშინ მას „ჭურის ეზოს“ ვეძახდით) შევიკრიბეთ. ფეხბურთი გაიმარ-

თა. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ხანშიშესულები გამოიწვიეთ. მარტი მოვიგეთ.

— არ გრცხვინია, ვალიყო, თითის სიგარეტ ბავშვებმა მოგვიგეს?!— მოსამხოდნენ ხუმრობის ხასიათის მხოვლი ქალები „მოხუცების“ კაბიტანს.

ვალიყო ლევაშამ ხალხი დააწყინარა, ოფლი მოიწმინდა და ყველას ვასავონად განაცხადა:

— ფეხბურთში თითს ვაკეავთ, ბატონო! მაგნი თუ ბიჭები არიან, მომავალ კვირას ლელობურთში გავევიბირონ!

არ ვაჭარბებ, სოფელი იმ კვირას ლელობურთის მოლოდინით ცხოვრობდა. ჩვენ ლელობურთში არ გვივარჯიშია, მაგრამ ახალგაზრდული შემართების იმედო ვეკონდა.

დაიწყო თამაში და, რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეთი ანგარიშით დავმარცხდით, რაცხვის დასახელება მერცხენინება. დამამახსოვრდა ასეთი მომენტი: „მოხუცები“ ცდილობდნენ ვადამწყვეტ მომენტში ბურთი ვალიკოსათვის გადაეწოდებინათ. ბურთის მიაწოდებდნენ თუ არა, მიაძახებდნენ: „არბიჭ, ვალიყო, შენ იცი აწიო“. თურმე რა ვიციოდით, რომ ჯერ კიდევ ჩვენს დაბადებამდე ჩენი სოფლის ლელობურთელები მთელ ახლო-მახლო სოფლებში იყვნენ ცნობილი, ვალიყო ლევაშა კი (სხვათაშორის, ზემოაღწერილი მატჩის დროს იგი კოლმეურნეობის თავჯდომარედ იყო არჩეული) წამყვან ლელობურთელად ითვლებოდა; მას მხარს უშევენებდნენ ერისტო ნუცუბიძე, ნოე ციბაძე, პოლიკარბე კეიშვილი და სხვები.

ლელობურთის გარდა ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა შეჯიბრებები ცხენოსნობაში, ჭიდაობაში, ველოსიპედებზე ტრიუკების გაკეთებაში. უფრო გვიან სოფელი ფეხბურთშიც გაიტაცა. ხუთივე უბნის საუკეთესო გუნდები ყავდათ. სოფლის ლელები ახალგაზრდების ძალებით მრავლად იყო მოწყობილი საცურაო ადგილები. პირველ-წერლმა ვაყებმა არც გოგონები დაივიწყეს და მათთვისაც ცალკე მოაწყეს საბანაო. სოფელში თითქმის ყველამ იცოდა ცურვა. სიამოვნებით ვიხსენებ, რომ სამუშაოს შემდეგ ახალგაზრდების საბანაოდ წასვლა რაღაც საზეიმო ელფერს იღებდა, გზაზე ისმოდა მათი სიმღერა. გაშაირება, სიცილი.

ერთი სიტყვით, სპორტიც დამატებით სანთელს უსვამდა იმ თოჯნე, რომლითაც ჩენი სოფელი შტატიცად აკავებდა ახალგაზრდაობას.

ვერ ვიტყვით, რომ დღეს ამ მხრივ არაფერი კეთდებოდეს ჩვენს სოფელში. აქ არის ორი საფეხბურთო მოედანი, სახტომი სექტორი, შტანგისტა სავარჯიშო ოთახი. განსაკუთრებით გამოიყოცხდა მუშაობა ახლა, როცა სოფლის ფიკულტურულ მოძრაობას სათავეში ჩაუყენეს ახალგაზრდა ენერგიული სპეციალისტი გ.

**ამთხადლო ციხაძე  
ბაშელეგო, ბადიშვიტი**



ორმოცადე, ახლა ბაშის ფიზკულტურის კოლეჯ-ტივში 157 ფიზკულტურელია, აქაური ფეხბურთელები, ფრენბურთელები, შტანგისტები, მსროლელები, თევზჭერები მოწინავენი არიან რაიონში. წარმატებით ბარდება მშთ კომპლექსი.

მაგრამ დამეთანხმეთ, მეგობრებო, რომ ეს ჯერ კიდევ ცოტაა იმ მოთხოვნებთან შედარებით, რასაც თანამედროვეობა უყენებს ჩვენს საკოლმეურნეო ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. აქ ცალკეული ენთუზიასტები (თუნდაც ჯ. ორმოცაძისთანა ენერგიული და პატიოსანი ინსტრუქტორები) ვერაფერს გახდება, თუ მეურნეობის თავკაცებმა, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მთელი არსებით არ შეიგნეს სპორტის როლი ჩვენი კოლმეურნე ახალგაზრდობის აღზრდის, სოფლის კულტურული დონის ამაღლების საქმეში. აბა, ვნახოთ ამ მხრივ რა პრეტენზიები წაუყენა ხელმძღვანელებს ზემოაღნიშნულმა პლენუმმა: „ამ მიმართებით, — სამართლიანად აღნიშნა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ვაშაქიძემ, — პასუხისმგებლობა პირდაპირ გამეცობის თავმჯდომარეებს აეისრიათ, რომლებიც არავის რჩევას უტრს არ უღებენ, ერთმანეთელურად წყვეტენ საკითხებს, სოფელში გოლიათო მოაქვთ თავი და რაისაბჭოს მიერ გაგზავნილ გეგმებს, მიმართვებს, შეჯიბრებების დებულებებს, სპორტული მოედნების მოწყობას, საწვეროების ტელახდას, ფორმაციების შექმნას შექმნას აინუნშიაც არ ავღებენ“. პლენუმზე ბევრი ითქვა აგრეთვე სოფლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებზეც, რომლებიც „ყოველდღიურად ხედავენ ამ ფაქტების ზეგავლენას ფიზკულტურულ მუშაობაზე და ჩუმად არიან.“

მევეთ ფორმაში გამოთქმული მწარე სიმართლეა. მე მხოლოდ ერთ საპირისპირო ფაქტს დავუმატებდი. სამტრედიის რაიონში, არის მოწინავე საბჭოთა მეურნეობა ვახსუბანში (ჩვენ უკვე ვახსენეთ იგი ერთხელ). ყველა სიყვითლთან ერთად, მეურნეობის ხელმძღვანელების ეკონომიური თუ მორალური დახმარებით, სოფლის ფიზკულტურელთა წინამძღოლმა შოთა კანდლაკმა შესანიშნავი სავარჯიშო ბანები შექმნა. აქ არის ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის რამოდენიმე მოედანი, საჭიდაო და სასროლო სექტორი, პატარა ჩოგბურთის ათი მაგიდა, ასე გასინჯეთ, დიდი ჩოგბურთის კორტიც კი. დიახ, ვახსუბნელ ახალგაზრდებს სამუშაოს შემდეგ ასარჩევად აქვთ სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი ადგილები.

ვფიქრობ, ურიგო არ იქნება თუ მდგომარეობის გასაცნობად და გამოცდილების გასახზობად ამ სოფელში ექსკურსიას მოაწყობთ, ბაშელები!

ვეყოფილვარ ასეთი შემთხვევის შემთხვევაში ლამოხანს, ახალგაზრდობის რომელიმე წევრის აღვიღს, ახალშემომავალს მოიტანდა რაიმე ამბავს. ჩვენ ვახვიადებულად მოგვეჩვენებოდა მისი ნათქვამი, ზოგიერთი დასიცნებდა კიდევ, ეს მონაჭორი როგორ დაიჭერეო.

— როგორ არ დაიჭერებდი, აფრასიონ ბაბუამ თქვა წუხელ ნუცუბიძეების წისქვილზე! — იტყვოდა შეუცნებელი ახალგაზრდა და ყველა ჩვენგანის სახეზე ჭრებოდა დამცინავი ღიმილი. ვათავდა, რადგან აფრასიონ ბაბუამ თქვა, ე. ი. სრული ჭეშმარიტება!

დიახ, სოფელში იყო გარკვეული ჯგუფი დაბრძოლილი, გამოცდილი, ენაწყლიანი და ავტორიტეტის მქონე მოხუცეებმა, რომლებსაც სჯეროდა სოფელი, ახალგაზრდობას. სალამობით, შრომისაგან მოცლილი ადამიანები, მიღიოდნენ წისქვილებთან, რომელთა რიცხვიც ათამდე იყო ჩვენს სოფელში. ასეთ საყვარელ თავშესაყარ ადგილებს წარმოადგენდა აგრეთვე ტილიფობის მინდორი ორი დიდი მუხით, ნუცუბიძეების მინდორი — ისტორიული ძეგლიც, „მობრუმალად“ წოდებულ მინდორი ქვედა ბაშს, ამაღლების მინდორი მეორე ეწერა, დუქნები რიონის პირზე.

საქმე ის გახლდათ, რომ ამ ადგილებში გამართულ სჯა-ბაასს უმთავრესად აფრასიონ ბაბუასთან ბრძენი ბერაკაკები ედგნენ სათავეში და ასეთი სალამობები პირდაპირ მაცოცხლებელ ელექსირს წარმოადგენდა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისათვის. ბიჭი იყო და, რომელიმე ახალგაზრდა რაიმე თავხედობას გაბედავდა. მას აფრასიონის, ბარნაბას, ან ივანე ბაბუას მცირე და გამოხედვა საშვილიშვილოდ ამასოვრდებოდა.

იცით, რატომ გავიხსენე ეს ყოველივე? ამას წინათ ხელახლა ჩამოვიბარე ხსენებული ადგილები და გული მეტყინა; მიუხედავად იმისა, რომ კვირა საღამო იყო, ამ მინდვრებზე სრული სიჩუმე სუფევდა. წისქვილები ხომ ყველგან გაუქმდა.

წარსულზე ტირილი მე სხვისიც მეჭაერება. მაგრამ რასაც დანანებით ვიხსენებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა, სამწუხაროდ, ნაკლებად ვხედავ სოფლის ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის მიზნით მოწყობილ, ძველის შემცვლელ, სისტმატურ, თანმიმდევრულ და ეფექტურ ღონისძიებებს. ცამდე მართალი იყო სამტრედიის კომკავშირის რაიკომის პლენუმის მონაწილე ჯონი ვაშაქიძე, რომელიც ლაპარაკობდა რა იანეთელი ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ღონისძიებების უსუსურობაზე, შენიშნავდა: „ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იქნება ამ სოფლის





ახალგაზრდობა. რა ქნას მან, რითი შეავსოს თავისუფალი დრო? იანქაში რა ხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ ბაშის ამბავს ერთი ფაქტის მოყვანილ მოგახსენებთ: საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ“ სამტრედიოში გამოიმგზავნა ლექციების წასაკითხად. ბუნებრივია, პირველ რიგში ჩემი დელ-მამის მშობლიურ ბაშს ვესტუმრე.

— მერიდება ამის თქმა, მაგრამ დღეს საღამოს გავევირდება ლექციაზე ხალხის შეგროვება, — მითხრა პარტორგანიზაციის მდივანმა, — დღეს ზომ კვირაა. თანაც შეხედეთ, რამდენი ხალხია შარავახზე!

— ეს ხალხი სატირალში მიდის ზედაბაშს.  
— ლექცია ცხრა საათზე იწყება, მანამდე ალბათ დასაფლავების ცერემონიალი მოთავდება კიდევ!

— საქმე ისაა, რომ საღამოს მთელი სოფელი მთვრალი იქნება, — თქვა მდივანმა, მაგრამ ლექციაზე მაინც მოვეწვიეთ ხალხი.

მე თვალს არ ვუჭერებდი. კლუბი ხალხით აივსო და მთელი ეს აუდიტორია ქარგადავლილ ყანასავით ირწყოდა. მადლობა ღმერთს პატივი დამდეს და ბოლომდე მისმინეს.

ალბათ მიხვდით, ყველაზე მეტად რამ დამაღონა ამ ფაქტიდან. ქელესზე (და არა მარტო ქელესზე) ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის გამოთხოვა თავისუფალი დროის შევსების ერთ-ერთ გაბატონებულ, სამარცხენო ფორმად იქცა. და ეს იმიტომ, რომ სხვა ღონისძიებებით გეგმავდებოდა ვერ დავიპყროთ მისი თავისუფალი დრო.

ფაქტების მოყვანა აქაც მრავლად შეიძლება. მაგრამ ეჩქარებთ ორიოდ სიტყვა ვთქვა ერთ მტკივნეულ საკითხზე, რომლის მოგვარებაც, როგორც ყველამ იცით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღხანდელი „პრინციპული“ კურსის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ხელმძღვანელ კადრებზე მოგახსენებთ.

**ხელმძღვანელის „მონოგრაფიის მუღი“**

ალაღად გეტყვით: ვიდრე ბაშს გამოემგზავნებოდნენ, სამტრედიის კომკავშირის რაიკომში შევიარე; მაგრამ მისი არც ერთი მუშაკისათვის არ მივითხავს და არც მითხოვია მოვეტო ბაშის თავკეთა შრომითი დახასიათება. მათ ისედაც არ აკლიათ კონტროლი, მითითება, დახმარება და საჭიროების შემთხვევაში—სასჯელიც. მე ჩემი კონკრეტული ამოცანა გამაჩნდა და სწორად ამ კუთხით მსურდა ბაშელ თავკაცთა საქმიანობის ადგილზევე გაეცნობა. ერთი სიტყვით, მე რაიკომიდან ნაკარნახევი აზრით არ წამოვსულვარ, აზრი თვით ადგილზე ყოფნით, ხელმძღვანელებთან საუბრით, ხალხთან ურთიერთობით თუ „გამომაჩინებელ საქმეთა“ გაცნობით შეიქმნა. მაშ ასე:

**აზრი პირველი:** იგი უშუალოდ მე და კომ-

კავშირის რაიკომის ინსტრუქტორს თამაზ პაპავას დავევებადა მეურნეობის კანტორაში მისვლისთანავე.

— დირექტორი, ამხანავი შოთა კენიკაძე გვიდა! — ვიკითხეთ.

— შევებულემაშია, ბატონო! — მივიღეთ პასუხი.

— მუშაობის თავმჯდომარე, ნელი რობაქიძე?

— ისიც შევებულემაშია!

— კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მეღვია მიმინოშვილი?

— გვეც ბატონო! სამივენი აგვისტოს ბოლოს დაბრუნდებიან.

გამიკვირდა. მეურნეობის სამი წამყვანი ხელმძღვანელი შევებულემაში აგვისტოს თვეში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ფაქტიურად წყდება მოსავლის ბედი სოფლად!

ნუ შემომედავებოთ! ვიცი, რომ საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად ყოველ მუშაკს აქვს დასვენების უფლება მისთვის სასურველ პერიოდში. მაგრამ ამ ოფიციალურად მონიჭებულ უფლებებს გარდა ზომ არსებობს რაღაც დამატებითი მორალური ნორმები, რომლის დაცვა აუცილებელია აღამაინსათვის, რომელმაც მონობისის ქულის დახურვა იყისრა და, როგორც ხელმძღვანელმა, მეორე პლანზე უნდა გადასწიოს პირადი უფლებები, თუ ამას სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესები მოითხოვს. გახსოვთ ერთი გრძნობასაყოლიო ქართველი მეფე, რომელმაც კახეთის ერთ ციხეში ალყა შემორტყულ მტერზე გადაწყვეტი იერიშის წინ მიატოვა ყველაფერი და აჯამეთის ტყეში წავიდა სანადიროდ? ასევე თქვენ ვერ გაამართლებთ, თქვენა, უნივერსიტეტის დეკანს, რომელიც სესიების დროს წავა შევებულემაში, ანდა საბჭოთა ოლიმპიელს, რომელსაც სწორედ სამშობლოს ღირსების დაცვის წინ მოესურვება ხანგრძლივი დასვენება. ასეა თუ ისე, პირველი შთაბეჭდილება იმ აღამაინებზე, რომლებიც სოფლის ახალგაზრდობის ადგილზე დაკავებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე უნდა იდგნენ, არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა.

**აზრი მეორე:** ეს უკვე აღამაინთა დიდი ჯგუფის შეხედულებათა ურთიერთშეჭერების ნიადაგზე მივიღე. „სოფლის მშრომელთა ხელმძღვანელი ადგილობრივი უნდა იყოს, — ამბობენ ისინი, — უფრო მეტად ეტკინება გული, უფრო ახლოს მიიტანს სოფლის ავ-კარგს, სოფლის სიყვარული მეტს გააკეთებინებს.“ ცხადია, ასე „მეორილად“ ამ შეხედულების გამოზიარება შეეცდომა იქნებოდა; ამიტომაც ვეკამათე ზოგიერთს. ბევრმა საკუთარი აზრის დასამტკიცებლად სათანადო არგუმენტო მომიწვლია. აი, ერთი მათგანი: „ზომ გახსოვთ, მეურ-

**აშთაწინააღმდეგობა  
ბაშელმბო, ბანილმძიძი!**

ნეობის ერთი ხელმძღვანელის ბრძანებით რომის პირზე ხუთისი მრავალსაუკუნოვანი კაკლი რომ ამოიბრუნეს და ეს სამოთხისებური ქალაქი გაევირანეს?! მოშკალით და ვერ დამაჯერებთ ერთ რამეში: ამას ვერ გააკეთებდა ის ხელმძღვანელი, რომელიც ბევრგზიდან შეეზარდა ამ ხეებს, თუნდაც ერთხელ დაუსვენია მის ჩრდილში, ვის შამა-პაპასაც ან თვით მას დაურგავს ეს კაკლები და ყოველდღიური მოვლა-პატრონობით გაუხარებია. მშობლიური კოთხისადმი ბევრგზიდან გაღვივებული სიყვარული ბორკავს საეკაცოდ გადასადგმელ ნაბიჯს, რაც კი სოფელს მოუტანს ზიანს. ასეთი კაცი იმ კაკლებსაც შეინარჩუნებდა და გასამასივებლად სხვა ადვილს გამოქვნიდა.“

არ ვიცი ვის ვერწმუნო. ვიცი მხოლოდ, რომ ხელმძღვანელი, პირველ რიგში, ნამდვილი კომუნისტი, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის უანგარო მებრძოლი, პრინციპული, ხალხის მოყვარული უნდა იყოს, და თუ ყოველივე ამას დაემატება ამ სოფელიან ბიოგრაფიული კავშირიც, ხომ მთლად უკეთესი თუ არა და კაცის სადაურობა არაფერ შუაშია.

**ზარი მესამე:** „ხელმძღვანელის გულისხმიერება მუშისადმი მშობლის გულისხმიერებამდე უნდა იყოს ამაღლებული“. როცა ამ თემამზე ესაუბრობდით, ბაშის მეურნეობის ერთ-ერთმა წამყვანმა მუშაკმა ასეთი ეპიზოდი გაიხსენა: „სოკში ჩემთან ერთად ისვენებდა ქარელის რაიონის ბებნისის სამკოთა მეურნეობის ტრაქტორისტი. ერთხელ მოხოვა ბებნისთან დაკავშირება მინდა და ფოსტაში წამომყვიო. დაეუკავშირდით მეურნეობის დირექტორს.—რა ხანა ოჯახს მოეწყვი და ხომ მშვიდობააო, ჰკითხა ტრაქტორისტი. მე კარგად გავიგონე მოპასუხის სიტყვები:

— ჩემო ვაიოხ, რამ შეგაშინა, ბიჭო! შენს ცოლ-შვილს მე პირადად ორჯერ ჩაეკითხე სახლში, შესანიშნავად არიან. ახლა მოისმინე ჩემი ბრძანება: ნუ იღვლეებ და კარგად დაისვენე, ხომ იცი, რომ ჩამოხვალ, ზღვა სამუშაო გეულის. ახლავე გავგზავნი კაცს თებრისთან და შენს კარგად ყოფნას შევატყობინებ. ყოჩაღად იყავი!

დამთავრდა ლაპარაკი. მე ვაიოხის თვლებზე მომდგარი სიხარულის ცრემლებს შეეხედე და სიამოვნებით გავიფიქრე: სოფელს, რომელსაც ასეთი ხელმძღვანელი ყავს, არასოდეს უღალატებს ვაიოხი. დარწმუნებული ვარ შეილებსაც ამ სოფლის სამსახურში ჩააყენებს“.

სხვის ამბავს ასეთი გატაცებით ალბათ იმიტომ იგონებს ეს კაცი, რომ ადგილზე მსგავსი ურთიერთობის მაგალითებს ვერ ხედავს, — გინდ გეწყინოთ, გინდ არა, ასე ვთქვი გულში.

**ზარი მეოთხე:** „ხელმძღვანელი არქიმედით მუდამ დაფიქრებული უნდა იყოს“, — თქვა ერთმა ბაშელმა მასწავლებელმა.

— შეიძლება არქიმედეს უფრო კვიციანი კაცის

სახე მიიღო გარეგნულად, მაგრამ საქმე არ გააკეთო, — შევეკამათე პედაგოგს.

მან განმარტა: „ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელებს ბევრ რამეში ვერ შევედევები. მუშაობენ, როგორც შეუძლიათ. მაგრამ როცა მე არქიმედის ყურადღებასა და დაფიქრებას მოვიხიზვ, შემდეგ ვგულისხმობ: სოფელს დღემდე არა აქვს რაღო, ვინ უნდა იფიქროს ამაზე ყველაზე უფრო? ქუჩები გაუნათებელია, ვინ უნდა იზრუნოს ამის შესახებ უწინარეს გულისსა? ახალგაზრდობა გარბის სოფლიდან, ვის ევლება ღონისძიების ღონისძიებაზე ჩატარება ამ პროცესის ნაწილობრივ შესაჩერებლად მაინც? რომელი ერთი ჩამოვთვლია იცით რა გათხრათ, ხელმძღვანელი მოსახლეობის საჩივრებზე პასუხის გაცემითა და თავის მართლებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ თვით იგი პირველი უნდა ანებდეს ცეცხლს და მშრომლებზე უფრო „კარებს უნდა უმტკრევდეს“ ზემდგომ ორგანოებს სოფლისათვის სასიკეთო ამ ათუ იმ საქმის გადასაწყვეტად“.

**ზარი მეხუთე:** „სოფლის ხელმძღვანელი დამეს სოფელში უნდა ათვედეს“ — ეს უკვე ბევრმა თქვა. ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრის ავტორებს. მართლაც, სოფლის ახალგაზრდობა ხომ უმთავრესად საღამოს ისვენებს და ერთობა. სოფლის ბევრ „გულის ამოძახილს“ მხოლოდ დამით გააგებ კაცი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა თავაკეცი თითონ კურუმ დამეში სისტემატურად ივლიან ბაშის ოღრიოღრიო საუბნო გზებზე და თავს დაიწყებენ, ძალაუნებურად დაგბადებთ ზარი ქუჩების განათების აუცილებლობის შესახებ. მაშინ სოფელსაც ეშველება.

ერთი ჩვენი სასიქადლო მწერალი ამბობს: „ხელმძღვანელი კაცის ბინაში ყველაზე გვიან უნდა ქრებოდეს სინათლეო“. თქვენ კი, სოფლის თავაკაცი, გულითაც რომ მოისურვოთ, ამას ვერ შეძლებთ: ჭერ კიდევ დაღამებამდე ტოვებთ სოფელს და სამტრედიამი მიღიხარს სახელმწიფო მანქანით, სხვის ბინებში სინათლის ჩაქრობას როგორღა-დაელოდებთ?!

### „ახალგაზრდობო, გამოდით გარეთი“

სამტრედიის კომკავშირის რაიკომის პლენუმზე რაიკომის მომავანმა ნ. გელევივილმა უსაყვედურო ნოდელ ახალგაზრდებს: „თქვენ კი, ნოდელუბო, ისიც სხვის მოვალეობად მიგაჩნიათ, რომ საკუთარი ძალებით მოაწყით მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, წესრიგში მოიყვანათ სასოფლო კლბი და კოლმეურნეობის ტერიტორია“. ეს საყვედური უშუალოდ თქვენც გეგებათ, ბაშელო ახალგაზრდებო!

მართალია, ბევრმა დატოვა სოფელი და თქვენი რიგები საგრძნობლად შეთხელდა, მაგრამ ვინც დარჩით, იმათაც ბევრის გაკეთება შეგიძლიათ სოფლისა და საკუთარი თვისათვის.



პირველ რიგში, ძალზე დამაფრთხილებელია თქვენი ინდიფერენტულობა ყოველივე იმისადმი, რაც თქვენს ირგვლივ ხდება. გავასვენოთ ფაქტები? ამ რამოდენიმე ხნის წინ, ქვედა-ბაშელის ახალგაზრდობა, თქვენ შესანიშნავი სპორტული მოედანი გავაჩნდათ. ზაფხულობით მეც ხშირად მიმიღია მონაწილეობა აქ ჩატარებულ სასოფლო ტურნირებში — ფეხბურთში. შემდეგ საიდანღაც მოიტანეს ნებათა და თქვენს მიერ მოწყობილ მოედანზე დასახლდნენ ხაზარაქები, ცხვარაქები, ყორჯოლიანები. თქვენ მაშინ ერთი საპროტესტო სიტყვაც არ დაგვცდინათ. იგივე გააკეთეს პირველი ეწერბაშის ახალგაზრდებმაც, რომლებსაც ცნობილი „ქურის ეზო“ გადაუსწესეს.

არც თქვენი უნიციატეობაა მოსაწონი. არ ვიცი, რომელი თქვენგანი ესწრებოდა ერთ ჩემს ლექციას ბაშის კლუბში, სადაც ასეთი საყვედურნარევი შეკითხვა მომიცეს: პარტიის ახალ პროგრამაში წერია, რომ მოკლე ხანში ყველა საკომლუტურნო სოფელს თავისი მარტივი ტიპის სტადიონი მაინც ექნებაო. რატომ არაა ჩვენს სოფელში ასეთი სტადიონი?

შეგობრებო, ვაივით, როდესაც პარტია ასეთ პროგრამას სახავდა ჩვენი საკომლუტურნო ფიქტურული მოძრაობის წინაშე, მას პირველ რიგში თქვენი ინიციატივა, მონაწილეობა და ენერჯია ჰქონდა მხედველობაში, რა თქმა უნდა, არც ხელმძღვანელთა ეკონომიურ და მორალურ დამხარებას გამოირიცხავდა.

სადაა თქვენთვის ჩვეული შემართება! ვანა სხვისი კარნახია საჭირო იმისათვის, რომ ვაწმინდოთ სოფლის ცენტრში ეკალ-ბარდისაგან, მოაწყოთ საბანაოები სოფლის ღელეებზე, ამოთხაროთ და ნახერხი მოაკაროთ საჭიდაო არენაზე, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა შინ-მოუსვლელთა სტენდის მოწყობაში, მხარში ამოუდგეთ კომკავშირულ ორგანიზაციას სასარგებლო და საინტერესო ღონისძიებების ჩატარებაში?

**სადა ხართ, ბაშელაშვილი!**

და ბოლოს, თქვენ მოგმართათ, ბაშში დაბადებულ, ფეხადგმულ და დავაქაცებულსო, რომლებმაც მუდმივ საცხოვრებლად რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქები აირჩიეთ. ალბათ იცით, რომ თქვენი სახით მშობლიურმა ბაშმა რესპუბლიკის მისცა 700-ზე მეტი იდამიანი, რომლებიც წარმატებით ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განმტკიცების საქმეს. სად არ ნახავთ მათ — თბილისის წარმოება-დაწესებულებებსა თუ რუსთავის ქარხნებში, ქუთაისის ავტოქარბანასა თუ სამტრედიის მსუბუქი მრეწველობის ობიექტებზე, რესპუბლიკის მრავალ სკოლებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენი დედა-ბაში სამართლიანად ამაყობს თქვენით, მაგრამ ახლა თითონ მას უჭირს, ძალიან უჭირს, ახალგაზრდობა ეცლება ხელიდან,

სოფელში მოხუცები ჩიებიან და იმის გაფიქრებაც კი ეშინია, თუ რა იქნება აქ 10-15 წლის შემდეგ, როცა (დამართმა ისინი დიდხანს აცოცხლოს) ესენიც ფარხმალს დაყრიან.

იცით, თუ არა, რომ მეურნეობას ესაპირობა ინიცირა-მექანიზატორები და მშენებლები. და ეს იმ დროს, როდესაც ბაშიდან წასულთა შორის 90-მდე ინიცირია. ამ სოფლის მკვიდრნი — ახლა გამოცდილი აგრონომები და ვეტექნიკები სხვა რაიონებში მუშაობენ, ხოლო ზოგიერთები დიდ საბჭოთა მეურნეობებსაც ხელმძღვანელობენ. მათი აღმზღელი ბაში კი მიტოვებული მშობელივით უიმედოდ იწვიდს მათკენ ხელეხი.

კარგია, ძალიან კარგია, რომ ბევრი თქვენგანი არ წყვეტს სოფელთან საქმიან კავშირს. მოსაწონია, რომ მხარი დაუჭირეთ სოფლის ერთგული ს. კამაძის წამოწყებას სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა სტენდის დადგმის შესახებ და საგრძობად თანხა შეგროვდა თქვენი შემოწირულებით. მაღლობის მეტი რა გვეთქმის ქუთაისის ერთ-ერთი დიდი საწარმოს დირექტორის, ბაშის მკვიდრის შოთა სანიკიძის მიმართ, რომელიც შეფობას უწევს სოფლის კლუბს; დიდი მაღლობა ამ სოფლიდან წასულ ახალგაზრდას, არქიტექტორ შალვა გერაძეს, რომელმაც უსასყიდლოდ დაამუშავა შინმოუსვლელთა სტენდის პროექტი; ქებათა-ქება მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მიხეილ ბაშელიშვილს, რომელიც არ აკლებს ყურადღებას მშობლიური ბაშის სკოლას; მჯერა, რომ ეს კეთილგანწყობა სოფლისადმი ეკლავაც გაგრძელდება; მაგრამ, ვიყოთ პირდაპირნი, ყოველივე ეს მხოლოდ ოდნავ სცილდება კეთილი სურვილების ფარგლებს. სოფელში თითქმის არ ჩანს თქვენი მხარდაჭერისა და დამხარების შედეგი! უნდა ჩანდეს კი..

„ბაშს რომ აქედან წასულთა მეათედი მაინც დაუბრუნდეს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვესო“, — თქვა მეურნეობის დირექტორის მოადგილემ ოთარ ვერულეიშვილმა. ცხადია, მას მხედველობაში არ მყავდა ის სპეციალისტები, რომელთათვისაც სოფელში სამუშაო ვერ გამოიძებნება. იგი ლაბარაკობდა სხვადასხვა ქარხნებში წასულ მუშებზე, ზეინკლებზე, მექანიზატორებზე; სხვათაშორის, მან ერთი საფლას-ხმო მოიმეტოც გაიხსენა. „მე ვესაუბრე სოფლიდან წასულ მექანიზატორებს სოფელში მობრუნების თაობაზე. წარმოვიდგინეთ, ბევრმა მათგანმა აღმოთქვა დაბრუნება, თუ კი ვამუშავებდით არა სახელოსნოებში, არამედ მძლეობადა.“

— მე მივესალმები მათ სურვილს! — ვთქვი გახარებულმა.

ნუ აჩქარდებით, მითხრა ოთარმა, ჩამიყვანა კანტორის პირველ სართულზე და წამაიკითხა

**აშთანდომ ციხაძე  
ბაშელაშვილი, ბაილშიძე**



ერთი ადგილი კედლის გაზეთში მოთავსებული წერილიდან. გაზეთი გამოვიდა 1973 წლის 10 ივლისს. აი, რა ეწერა იქ: „ავტომეურნეობის მოუწესრიგებლობის გამო ხშირია შემთხვევა, როცა სამუშაოს შესრულების საქმეს ხელი ეშლება. ზოგიერთი ავტომძღოლი პირადი გამოჩენის მიზნით ექსპლოატაციას უკეთებს ავტომანქანებს. არ აყენებენ მანქანებს გარეშე. ხოლო ამ გარეშე ხელმძღვანელები ნ. ჭიხაძე და დ. თევდორაძე აღნიშნულ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ“.

— ხომ მიხვდით რა აინტერესებთ ზოგიერთებს, — მკითხა ოთარმა, — ვის სჭირდება ასეთი სურვილებითა და მიზნით დაბრუნებული მუშა?

ნამდვილად, ასეთი სპეციალისტი „ვერარას არგებს სოფელს“, პირიქით, სხვასაც წაუხდნენ პატიოსანი შრომის ხასიათს.

მაგრამ, ბატონო შოთა, ოთარ, ილია, ამირან, სოფლის თავკაცებო, უკან მომბრუნებლებს ნურც დაპირდებით არარსებულს. უთხარიტ პირდაპირ, რომ მათ გამზადებული სამოთხე არ დახვდებათ, სხვებთან ერთად დიდი შრომის გაწევა მოუხდებათ სოფლის გასაძლიერებლად. პირველ ხანებში გაჭირდება, მაგრამ როცა მათ მხარში ამოუდგება სოფელში მობრუნებული ათობით ოჯახი, როცა გაცოცხლდება დასანგრევად გამზადებული ბუდეები, როცა მეურნეობას ხელ-ფეხს აღარ შეუბორკავს მუშახე-

ლის სიმცირე, და ბოლოს, როცა ამის გამო გადავიღდება ზემდგომი ორგანოების მიერ შედგენილი დავალებების შესრულება, ვეღვრები ვეღვრები თვით ხალხის კეთილდღეობის დონის გაზრდას ითვალისწინებს, — მაშინ ისინი უხვად მოიმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს და რესპუბლიკის სხვა მრავალი სოფლის მსგავსად ჩვენს სოფელშიც ხშირად იხილავენ გამარჯვებული შრომის ზეიმს.

ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ერთი დარბაისელი ბაშელი მოხუცის ნაამბობით: „წინა კვირას თბილისში ერთი ჩვენებური კაცი (მან გვარი დამისახელა) გარდაიცვალა. ამ ოცი წლის წინ წავიდა ჩვენი სოფლიდან. სიკვდილის წინ უთქვამს თურმე: ახლა ბაშური მდელის ცვარში დამასვენებია შიშველი ფეხები, ჩემი ჭის წყალი დამალევიან, შემახედა ვანის მთებზე, და მეერ აღარ დავეძებ სიკვდილსო!“ მოხუცმა ცრემლი მოიწმინდა, ახედა ბაშის მოწმენდილ ცას და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მშობლიური სოფელი მხოლოდ სიკვდილის წინ არ უნდა ენატრებოდეს კაცს“.

მე მივხვდი რისი თქმაც გასურდა, მოხუცო, და შენს მაგიერ მთელი ძალით მინდა შევქახო შენი თანასოფლელების, დარჩენილებისა თუ წასულების გასაგონად:

„ბაშელებო, გაიღვიძეთ, რაღადროის ძილია!“



ხელა არღველია

## ლაზეთი... ლაზეთი...

„ღვიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენი ძველი ძმად, — ნათქვამია ერთ ლაზურ ხალხურ ლექსში. ლაზი მთქმელი საყვედურს ეუბნება თავის ქართველ თანამოქმედს. თითქოს შორეული საუკუნეებს ამოკენსა ამ სიტყვებში. მასში ის დარდი და კაეშანი მოისმის, რაც ისტორიის ბედუქელმართობამ მოუტანა ლაზეთის კვიდრთ.

ლაზეთი... ლაზეთი.. ამ სახელის ხსენებას ზღვის ლტრჩი ტალღების შრიალი მოაქვს ჩვენთან, იგი მაღალი, უსაზღვრად მაღალი და ლტრჩი ზეცის მოგონებას იწვევს, იგი ჩვენი ძველი და მოუშუშებელი იარაა და ლევენდარული კოლხეთის გამო სიამაყეაა ამავე დროს. კოლხეთით კი ჩვენი ქვეყნის ისტორია იწყება!

ამ რამდენიმე წლის წინ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მეტად საინტერესო და საყურადღებო წიგნი „ლაზეთი“, რომლის ავტორები არიან სარფელი ლაზება მ. ვანილიში და ა. თანდილავა.

პროფ. სერგი მაკალათია ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“ მიზნად ისახავს მკითხველს გაიცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. ამ მხრავ აღნიშნული ნარკვევი პირველ ცდას წარმოადგენს და ქართულ საისტორიო მწერლობაში წინ გადადგმული ნაბიჯია, ამავე დროს მისასაღმებელია ის მოვლენაც, რომ თითონ ლაზებმა ხელი მოჰკიდეს თავიანთ მშობლიური მხარის შესწავლასა და ვაცნობას, რათა ერთგვარი წვლილი შეიტანონ ლაზების ვათეთიციობიერებაში“.

ხოლო შარშან, ბათუმში გამომცემლობა „საბჭოთა აკარამ“ გამოსცა ახალგაზრდა

ლაზი მეცნიერის ზურაბ თანდილავას „ლაზეური ხალხური პოეზია“.

წერილის დასაწყისში მოტანილი ლექსის ნაწყვეტი ამ წიგნიდანაა ამოღებული.

„გურჯისტანის დიდო რენ არქადაშეფე ჩქინი გურჯისტანის რენა-ი ნოსერი ჭუმა ჩქინი? მჭევეში გურჯიშენ მოხთეს, გიჩქინი, ჭუმა ჩქინი?“

ჩქინ გოქკონდინერი ვორეთ, მჭევეური ჭუმა ჩქინი

ლაზი, გურჯი მეგრელი-თელითი ჭუმა ჩქინი თურქიქ ღომქვეს, ღომხალეს, ამაზი ვარ გიჩქინი.

ჩქინ თქვანი ნამუ ვორეთ, აწიშა ვარ მიჩინთ... დიდო ბგორით მჭევეშეფე, აღანი ვარ ვიჩინთ...“

„საქართველოში ბევრია ჩვენი ამხანაგები! საქართველოში არიან ჩვენი ქვერანი ძმები? ძველ ქართველთა მოღვმა ვართ, თუ იცო, ჩემო ძმად? ღვიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენი ძველი ძმად

ლაზი, ქართველი, მეგრელი, — ჩვენი ძმები ყველანის თურქმა დაგვწვა, დაგვდავა, შენ არ იცი ამაზი? ჩვენ კი თქვენი ვინა ვართ, აქამდე ვერ გვიცანიო... ბევრჭირ ძველნი ვინატრეთ, ახლები ვერ ვიცანიო“.

მეკლევარი ზ. თანდილავა წიგნის შესავალში მართებულად აღნიშნავს: „ლაზეურ ხალხურ პოეზიასა და მუსიკალურ ფოლკლორში დღემდე დაცული ბევრი ნაწარმოები ქართველ ტომთა ფოლკლორული შემოქმედების აღრი-

ნდელი საფეხურების მიჩვენებელ ცოცხალ ნიმუშს წარმოადგენს და თითოეულ მათგანს საერთო ქართული მნიშვნელობა აქვს.

წიგნში მითხილულია შრომის, მეთევზეობა-ნაოსნობის, საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები, საისტორიო ლექსები...

ლაზთა მესსიერებში წმინდად არის დაცული თამარ მეფის სახელი. ერთი ლეგენდის მიხედვით, ლაზეთში ხელოსნობის განვითარების თამარის სახელს უკავშირებენ. ლაზები ოდითგან განთქმული ხელოსნები იყვნენ. ლაზი ოსტატების მიერ ნაგები ოდა-სახლები ასევე ამშვენებს დასავლეთ საქართველოს მრავალ კუთხე-ალაგს. მაგრამ თამარის ეპოქასთან, თამარის სახელთან ლაზების სახელოსნო საქმიანობის დაკავშირება, მიუხედავად ანაქრონიზმისა, ფსიქოლოგიურად სწორი გააზრება გახლავთ.

ზ. თანდილაგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაზთა წარმოდგენაში თამარი არა მარტო ამქვეყნიური მეფე ქალია, არამედ იგი, ამასთანავე, მისწური, ჯადოსნური ძალით აღჭურვილი ზებუნებრივი ადამიანია...

„საუკუნეთა განმავლობაში დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება და თამარის მეფობის დროს ტრამპონის იმპერიის შექმნამ უადრესად დიდი როლი შეასრულა ლაზეთის არა მარტო პოლიტიკური, არამედ, აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ყოფის ამალღების საქმეშიც, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ლაზთა მესსიერებაში ისე როგორც მთელ ქართველ ხალხში, ეს ხანა და თვითონ თამარ მეფე დაუვიწყარი დარჩა. ბუნებრივია ისიც, რომ ლაზები თამარის მიერ დალოცვილად თვლიან თავს და ყოველ ღირსშესანიშნავს მას მიაწერენ. და ბოლოს, სრულიად ლოგიკურია, მაღორე ლაზებს ეფიცათ, ელოცათ თამარის სახელზე, პოეტური სიტყვებით შეემყოთ იგი, მიიჩნიეთ ქვეყნად ერთადერთ ძლიერ ადამიანად...“

ლაზეთი... ზღაბრული, ლეგენდებით მოცული მხარე! ათასწლეულების სიმორიდან მოაქვს მისი დიდება პონტოს ზღვის ტალღებს, გემმა „არგომ“ რომ დაურღვია მყუდროება.

პირველად მაშინ იხილეს ბერძნებმა უჩვეული სილამაზე — ზურმუხტისფერი ქედების საოცარი სიმსუბუქე-შერწყმული ასევე ზურმუხტისფერი ველ-მინდვრებისა და ზღვის უსასრულო სილურჯისთან. ამასთანავე, უცხოელს აქ თვალში ეცემოდა ადგილობრივ მკვიდრთა დახვეწილი, ნატიფი გარეგნობა, ხასიათის სიმკვირხველ და გულადობა, რითაც საუკუნეების მანძილზე იყვნენ განთქმული კოლხეთის მკვიდრნი.

„იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი ისეთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი,

რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას, როგორც ბარაქა-სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა ვალრიცხოვნებით, როგორც ვრცელია მისი უფროსი თა და უხვი მოსავლი, ისე ხასიათის სილამაზითა და სიქვევითი“, — წერდა კოლხეთზე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტაკოსი.

ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზეთში სამხედრო-სტრატეგიული დაეალებით, აღნიშნავს:

„ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და პრეულებრივ ცისფერი თვალები და თფორი პირსახე აქვთ. ამასთანავე ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიითა, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან.“

„ნაოსნობა ათასობით ლაზს აცლიდა სამშობლოს, ვაჭრობა და სილამაზეც ხელს უწყობდა მათ გადასახლებას სამშობლოდან. ლაზები ლამაზი ხალხია: ოსმალური ძალიან მისდევან მათ ნათესაობას. ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობენ“, — წერდა ზაქარია კვიციანიძე.

ხოლო ინგლისელი რობინ ფედენი, რომელმაც დღევანდელი თურქეთის ლაზისტანში იმოგზაურა, აღნიშნავს: „ლაზისტანის პავა ისევე განსაცუფრებელია, როგორც მისი ხალხი...“

გარეგნობით ლაზები სანაპიროს მცხოვრებლებს მოგვაგონებდნენ, მაგრამ ჩანდა, რომ უფრო თხელ-თხელი, გამძლე და წვრილკვლიანი იყვნენ, ვიდრე თურქები და უფრო მოკრძო სახეები ჰქონდათ. ქალების უმრავლესობა ძალიან ლამაზი იყო. თავიანთ ჭრელ, ფერადოვან ტანსაცმელში ისინი სამოთხის ჩიტებს წააგავდნენ. ეტყობოდათ, ნაყოფიერიც იყვნენ: იაილებში უამრავი ბავშვი ტრიალებდა ირგვლივ. ბავშვები ძალიან მკვირცხლები და ჯანმრთელი იყვნენ და ჩვენ აღვირწმუნეთ, რომ იშვიათად სადმე თუ გვინახავს შვეიცარიის გარდა, ასეთი ჯანმრთელი მთიელი გოგონობა... ტრადიციული მუსიკა და ცეკვა ჭერაც არსებობს. როცა მივიღოთ ზევით საძოვრებზე, ჩვენი მეგზურები გვახმენებდნენ თავიანთი გულ-სტრეიტით“.

პირველი კარტოგრაფები, განთქმული მეზღვაურები და გემთმშენებლები, ვაჭრები და გულადი მეომრები, პირველი ქრისტიანები საქართველოში, ხალხი, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ესოდენ ცნობილ გვარსა და დინასტიას, შრომისმოყვარე, თავისი ქვეყნისა და ენის უსაზღვრელ მოყვარული—ასე იცნობდნენ ლაზებს ძველ მსოფლიოში. მაგრამ ამ მამაც და ამაყ ტომს იმთავით





ოვე დაუსრულებელ ტრაგედიად ექცა არსებობა.

ხან ერთი იმპერიის ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ძველი ლაზიკა, ხანაც მერის. ერთ მბრძანებელს მეორე ცვლიდა, კეისარს შაჰი მოჰყვებოდა, შაჰს — ხონთქარი... და ასე, დაუსრულებლავ.

გოლგოთის გზა არგუნა ბედმა ლაზეთს, ისევე როგორც მთელს ძველ საქართველოს.

ლაზეთი... ძველი და მოუშუშებელი იარა ჩვენი ერის სხეულზე, მისი დაცემა-დაკინების უტყუარი საბუთი, მისი დამლა-დაქცევის გულისშემძვარი მავალითი.

აღზევების ეამს ჩვენი დიდი მეფეები გრძნობდნენ ამ იარის სიმწვავეს და ცდილობდნენ გაეწვინათ დახმარების ხელი მოძმეთვის, მაგრამ დროის მცირეოდენი მონაკვეთითა არგუნა ბედმა საქართველოს ამ ისტორიულ. მისიის შესასრულებლად. მერ ისევე აიწვე-დაიწვეა ყველაფერი, ისევე უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი და ნელ-ნელა, ცოტ-ცოტათი ხან ერთი ნაწილი ეკარგებოდა. ხან მეორე მთლიან სხეულს. მერ ამ დარღვეულ სხეულს გულის გადასარჩენად იყო სამკვდრო-სასიცოცხლე ჰქონდა გამართული. ვისდა ეცალა ახლა დანარჩენი ნაწილებისათვის? ან ასსოვდათ კი იგი?

ხსოვნით იქნება ასსოვდათ კიდევ, მაგრამ თანდათანობით ბუნდოვანი, გაურკვეველი ხდება და მოგონება! ისე, რომ დიდი საბასტულხანიც დაახნია საუფუნეთა ბურუსსა.

დაეწყების ვერდო ეყრებოდა წარსულს, ნელ-ნელა, ქრებოდა თანამომეტა ხსოვნა...

ხოლო უზარმაზარ იმპერიათთან მარტო და პირისპირ დარჩენილი ლაზეთი, ოდესღაც დიდებული და სახელოვანი კოლხეთის მემკვიდრე — სულა დაფადა, ამაოდ მოუცედა ხმალი ქნევაში, ან კი რა ძალს შეეძლო მაშინ ვერდღია გარს მომდგარი სიბნელე? ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტიღა შერჩათ ლაზებს, მუსულმანობის ზღვაში ჩაძირულთ.

„დაეწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენი, ძველი ძმია... — ეს საყვედური საქართველოს ისტორიულმა ბედუქვლმართობამ წარმოშვა.

და თითქოს ამ საყვედურის საპასუხოდ შემონათა ჩვენს ლიტერატურაში ლაზი კონსტანტინე არსაკიძის სახემ.

ჩვენმა სასიქადლო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, არსაკიძის ლაზად წარმოჩენით თავისი ეროვნული ეალი მოიხადა ლაზეთის წინაშე. შეუძლებელია აუღილეებლად მოიგონოს ეპიზოდი, როცა ეამიანობის გამო შიშით შეპყრობილ თანამომეებს მიმართავს არსაკიძე:

„ლაზეთო, მართალა ეამიანობა დაიწყო,

მაგრამ, გახსოვდეთ, ეამის საფრთხე ყველას გვიქადის...

რას იტყვიან იბერიელები? შშიშარანი ყოფილანი ლაზეები. იცოდეთ, ყველაზე მეტად მკების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი. აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ გილაღალნით მათთვის? ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ეამმა რომ ვეასწავლოს დალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ევეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საძაგებელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოლაღტი. შშიშარა ვაყავებო...

მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი, — მიძახებს ლაზეთა შორის უხუცესებმა“.

შემდეგ ნოდარ დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია, დედა“ — ახშიანდა მკაფიოდ იგივე პრობლემა, ალი ხორავას კოლორიტული სახელი გამოკვეთა მწერალმა თავისი სატიკვარია.

„რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალთ კოშკზე ალი ხორავა და გაღმა გაუხედავს, ჰოგრიტი გამოწოდებია და არ გამოუთრთმევია — ისედაც კარგა ვხედავო. დიდხანს უტყვროია, მერ მიიმედ ამოუხრებია და წასულა. ვინ იცის, რაზე ოხრავს ალი, გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, შშიბლების საფლავებზე და ძელებზე თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე, მორყეულ დედაბოძებზე, უშინიო სარკნელებზე, დაკერებული შარლებით მოტანტალუ ბაგუეებზე, თუ შინარეთის თავზე დარკობილ ნახეარმთვარეზე. არავინ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავა, იმიტომ რომ არასოდეს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ოხრავს ხოლმე, ალბათ ყველაფერს ერთად ოხრავს ალი“. ხოლო ეს უთქმელი სევდა საცნაური ხდება იმ წარმოსახვით დილოგში, რომანის მთავარ გმირ აეთო ჯაყელსა და გაღმელი მასწავლებლის ცოლს შორის რომ იმართება.

„გიტყვროთ ჩემს და მოგაფერებს და ჭჷმა მოგაფერებს, დაედივარ ყველა ოქახში, დაგვებით ყველგან, თქვენთან ვარ, ჩემს სისხლ და ხორცთან, ნათესაებშია“, — ესიტყვება გაღმელი დობილი თავის გამოღმელ ჭჷმა მოგაფერს...

ცინალ არღაშელია  
ლაზიტი... ლაზიტი...



„სულ ჩვენი იყო ჭაყელო, აქედან ეპეი..  
იქამდე ლაზები ჩვენი ძმებია“...

არის ასეთი მეგრული ძველებური სიმღერა! „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა“ — „ვაიმე ღედა, ნუთუ დავიკარგები ჩემი ცოდეა“?

ერთი მოხუცებული მთქმელიდან გამიგონია ბავშვობაში: ჩვენი ქვეყანა განძის პატარა კუნძულია, იგი აბოხოქრებულ ოკეანეში მოისროლა ღმერთმა და უბრძანა: ებრძოლე აზვეებულ ტალღებს, ებრძოლე გამუდმებით. თუ ბრძოლას შეწყვეტ, ჩაიძირებიო.

და იბრძოდა. ებრძოდა ათასგვარი ჭურის გადამოიღეს და მტაცებელს. ებრძოდა მეხუატებს. და ცოცხლობდა და ქმნიდა. სისხლის

წვიმაში ქმნიდა ოშკსა და გელას, ველსა და ალავერდს. ქმნიდა ხახლის კარედს, თავის იგავმიუწვდენელ ფრესკებსა და მინიატურებს ცოცხლობდა, შრომობდა.

ცოცხლობენ ლაზებიც. ყველას გასაოცრად ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა. მართალია, დაილიენ. ოდესღაც დიდებული და მრავალრიცხოვანი ტომიდან მცირედნიდა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან, არსებობენ, გამოირჩევიან.

„დავიწყებულები ვართ, ჩვენ, ჩვენო ძეგლო ძმაო!“ — ჩიოდა თავის დედასამშობლოს მოწვევითი ლაზი და თანამოამეთა ეს გულსაკლავი ჩივილი მოჰქონდა ჩვენამდე პონტოს ზღვის ტალღებს.



ნოვზარ ნაკრძალი

სოციალისტური მშენებლობის მშენებელი

„შენს ხუთწლიანებში მეც აღმოვეცენდი და შენ არსობის პური მიბოძე“.

ს. ჩიქოვანი

ქუთაისში 1921 წლის ქარიშხლიანი დღეები იდგა. მარტის თვეს სითბო და სიხალე მოჰქონდა. გადახვეწილი მენშევიკური მთავრობა უცხოეთისაკენ მიიღებდა თავშესაფარად. ბოლშევიკები ხელთ იღებდნენ მმართველობას. ქართველი ხალხის ცხოვრებაში უჩვეულო ხანა იწყებოდა. 18 წლის სიმონ ჩიქოვანიც მოუთმენლად ელოდა ახალი ეპოქის დადგომას. ამ დროს იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელს ამთავრებდა და სასწავლებლის მენობაშივე ცხოვრობდა. გარეთ გამოსული ჰაბუჯი თეთრი ხილისაკენ მიდიოდა. ხიდან მისულს საყვარელი მასწავლებელი ნიკო ლორთქიფანიძე შეხვდა. მათი ურთიერთობა ხალხის ხმაურმა და ყიფინამ მიიპყრო, ძლიერი ვაშის ძახილიც გაისმა. მასწავლებელი და მოსწავლე ერთად გაემართნენ იმ ადგილისაკენ, საიდანაც აქამდე უჩვეულო ხმაური ისმოდა. „ორივე მივეშურებოდი პირისპირ მომავალი ახალი ცხოვრების შესახებდრად. ვაშის ძახილი და გამარჯვებულთა ყიფინა თანდათან გვიახლოვდებოდა. ეს ხმაური გულისყურს იპყრობდა და გაზაფხულის დამკვიდრების ნიშანს იძლეოდა“.<sup>1</sup>

რევოლუციის გამარჯვებას ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი სიხარულით, იმედებითა და კეთილი განწყობით შეეგება. მალე იგი ქუთაისს დაემშვიდობა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისს გაემგზავრა. დამწყებმა პოეტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა და მთლიანად ჩაეფლო იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების დღილიში.

„ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს რომ ვადავშლით, — ივანებს უხუცესი საპკოთა პოეტი ნიკოლოზ ტინოწოვი, — დაუეწიყარი ოციანი წლების გახსენებისას, თვალნათლივ

ვნახავს, ყველაფერი როგორ დუღდა, ბორბავდა... შეუძლებელია დღევანდელი ახალგაზრდობა არ განაცვიფროს, მაშინ ერთდროულად არსებული და მოქმედი ლიტერატურული წგუფის სიკრულემ. ყველა ამათი — ფუტურისტების, იმპრინისტების, აკემისტების, სიმბოლისტების, ნეოკლასიკოსების, „ნიჩევიკების“, პრეზანტისტების ნაწარმოებები ზედინედ იბეჭდებოდა, მათი ნაქარევი წიგნები და ბროშურები მთელ ქვეყანას იყო მოდებული. ხმაურიანი ესთეტიკური დეკლარაციებით დაწყებული ლიტერატურული დისკუტები ნამდვილი გაწევი-გამოწევიებითა და შეტაკებებით მთავრდებოდა“.<sup>2</sup>

სიმონ ჩიქოვანი და მისი მეგობრები ფუტურისტების წრეში აღმოჩნდნენ. ამ დროისათვის, — ივანებს პოეტი, — რუსული „ლევის“ გავლენით ჩვენთან ჩამოყალიბდა ლიტერატურული დაჯგუფება „მემარცხენეობა“. ჭკუფი ავრთიანებდა ჩემს ქუთაისელ და თბილისელ მეგობრებს — ლიტერატორებსა და მხატვრებს.

მე გავრდილი ვიყავი ქართულ და რუსულ კლასიკურ პოეზიაზე. ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებით მიტაცებდა ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, რუსი პოეტებიდან კი — ტიუტჩევი, ამიტომ „ლევის“ პოზიციაზე გადასვლა ჩემთვის მოასწავებდა ჩვეულებად ქვეყნული შეხედულებებისა და გემოვნების დიდ წვრცავს“.<sup>3</sup>

„მემარცხენეობის“ დევიზით გაერთიანებულმა ქართველმა ფუტურისტებმა გადმოიღეს ყველაფერი უარყოფითი, რაც ამ შეკოწიწებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას გააჩნდა. ისინი ცდილობდნენ პოეზიაში ვითომდა ახალი გზების მონახვას სიტყვიერი, შინაარსობლივი თუ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, წარსული მემკ-



ვიდრეობის მოლიანად უარყოფას და ახალი ეპოქისათვის შესაფერისი ხერხების დადგენას. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება გარკვეული დაბნეულობითაც იყო გამოწვეული.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიასა თუ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში ცხარე კამათი მიმდინარებდა წარსულ კულტურასთან დაკავშირებით. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ 20-იანი წლების დასაწყისში არსებობდა ორგანიზაცია „პროლეტკულტის“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციის მესვეურები ხშირად აცხადებდნენ, რომ საჭიროა უარყოფილ იქნას წარსულის კულტურული მემკვიდრეობა და შეიქმნას ახალი, ყველაფრისაგან დამოუკიდებელი პროლეტარული კულტურა. ამ ბუნდოვანმა მიმართულებამ ბევრი მორწმუნე აღამაინც დააბნინა.

ქართველი „ფუტურისტების“ მიერ არჩეული არასწორი გზა, იდეური და შემოქმედებითი დაბნეულობა, კარგად გამოჩნდა 1924 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში „სასწრაფო განმარტება ევრონა  $H_2SO_4$  გამოსვლისა“, რომლის ავტორიც იყო 21 წლის სიმონ ჩიქოვანი. თავისი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების სახელით იგი წერდა: „აქ მე შევეხები მხოლოდ საზოგადოებრივ სწრაფვას ქართულ ფუტურისმისას, რომ წამოყენებულ იქნეს თანამედროვე სოციალურ მდგომარეობასთან შეფარებით ხელოვნების გავება... თუ კომუნისტური ეპოქა საჭიროებს ხელოვნების ახალ ფორმებს და ეპოქალურ მოვლენების ფაბულას, მან უნდა მოსაოს ყველა ლიტერატურული გემოვნება და ჩამოყალიბებული ფორმალური მითოი. უკანასკნელი მისაღებაა მეტი სახელით, ეპოქალური დაწმენით აქედან გამოდის პირველი დებულება — ტერიორი, — კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილი ლიტერატურული ნაგავის წინააღმდეგ. აქ იბადება ახალი ხელოვნება პოლიარული კომუნისტური ეპოქის... კომუნისტური სახელმწიფოს პერსპექტივები ხელოვნებაში ყველაზე მეტი სისწორით გამართლებული იქნება ჩვენს მიერ.“<sup>4</sup>

აქვე ახალგაზრდა პოეტი და უკვე ქართველი „ფუტურისტების“ ლიდერად აღიარებული სიმონ ჩიქოვანი აქებს საკუთარ ლექსს „სანაპირო სიმღერა „ხაბო“, იგი აღნიშნავს: „სიმონ ჩიქოვანმა გახსნა აგრეთვე ხალხური ტონის საწყისი ლექსი (ხაბო), სადაც სიტყვა მოსპობილია როგორც წოდება ნივთის და მოცემულია, როგორც უსაგნო მატერიალი აგრეთვე არის ცდა რევოლუციონური პოეზიის და ლექსის კონსტრუქტივისისა.“<sup>5</sup>

მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართველი ფუტურისტების ეს ცდები სიტყვებით უმიზნო ენგლიორობას, ფილოსოფიურ წილადობილას, ლიტერატურულ კოეკტობასა და ექსტრაევანტური ვარჯიშს ვერ გასცილდა. სიმონ ჩიქოვანის

მხრივ ეს იყო ერთგვარი ხარკის მოხდა დეკადენტური პოეზიისადმი, რომელსაც მომხრეები დეკლარაციული განცხადებებით დაპირებულიყვნენ, ფორმის, შინაარსის თუ უიდეობის გამო დიდი დღე არ ეწერა.

ვ. ი. ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ამგვარი ყალბად და ცალმხრივად გავებული პროლეტარული კულტურის მომხრეთა წინააღმდეგ. იგი ამბობდა, რომ შეუძლებელია იყო კომუნისტი, თუ მესხიერებას არ განამტკიცებ, ყველა იმ სახელიდრით, რაც ეკაობრობას დაუგროვებიაო. წარსული კულტურის საუკეთესო ნიმუშები ახლა მშრომელი ხალხის სამსახურს უნდა მოხმარებოდა. რა თქმა უნდა, მისაღებისა თუ უკუ-საგდების თვალსაზრისით სათანადო გარჩევა აუცილებლობას წარმოადგენდა.

ხალხს ბუნების, ნათელი პოეტური ალღოსა და რეალისტური მისწრაფებების ქონე სიმონ ჩიქოვანი დიდხანს ვერ შეძლებდა მოღერწისმის ბუნდოვან პოზიციაზე დგომას, დღითიდღე წინ მიმავალი რევოლუციური ცხოვრება მასზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა. „როგორც მოსაოდინელი იყო, — აღნიშნავს პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში, — სიტყვაზე რამოდენიმე წლის თავისებური მუშაობის შემდეგ, მე და ჩემი მეგობრების უმრავლესობა გავემიჯნეთ „მემარცხენეობას“. ეს მოხდა კიდევ იმიტომაც, რომ თანამედროვე საბჭოთა ცხოვრება იქცა ჩემთვის შემოქმედების მთავარ თემად.“<sup>6</sup>

შემდეგშიც, თავისი ნაყოფიერი ცხოვრების ყველა ეტაპზე, სიმონ ჩიქოვანი უარყოფითად ახასიათებდა დეკადენტური და მოღერწისტული სკოლების საქმიანობას. 1947 წელს, როცა პოეტი — უკვე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე — იგონებდა იმ პერიოდს, წერდა: „მოღერწისტულმა მიმდინარეობამ პოეზიაში დიდი კვალი დასტოვა, პოეტები ამ ხანში ვიწრო პირადულ ნაწუჭში იყვნენ მოქცეულნი; ამიტომ მათ ვერ შექმნეს ნამდვილი ცხოვრების ამსახველი დიდი ეპიკური ნაწარმოებები. სიმბოლოში, აკეიზში, ფუტურისმი და სხვა მრავალი სკოლა მწერლობის სასაფლაო იყო. ვინც ხსენებული სკოლების რჯალს თავი დააღწია, მხოლოდ მან შესძლო ხალხისათვის სასურველი და საყვარელი მწერალი გამხდარიყო.“<sup>7</sup>

აქვე დაბეჯითებით უნდა ითქვას: ფუტურისტული ვატაკების წლებშიც შექმნილი პოეზიითაც კი უტყუარად იგრანობოდა ის ცხოვრებისეული გარდუვალობა, რომ ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი წარმტეხებით დაძლევდა ყოველგვარ არაჯანსაღ დეკადენტობასა თუ მავნე გავლენას და სოციალისტური ყოფის ჭეშმარიტი მომღერალი გახდებოდა. ათი-თხუთმეტი, ასე ვთქვათ, წმინდა ფუტურისტული ლექსების გვერდით იგი ნათელ პოეტურ სტრიქონებსაც ქმნიდა და თავის თავს ახალი ეპოქის პირმშოდ, მშობელი ხალხის წი-

ნაშე მოვალედ და ნიკოლოზ ბარათაშვილის მე-  
მკვიდრედ აცხადებდა. ახალი ცხოვრება პოეტს  
მოქმედებისაკენ, შექმნისაკენ, შენებისაკენ მო-  
უწოდებდა, ს. ჩიქოვანიც განძობდა დროის ძა-  
ხილს და ცდილობდა პოეტური სიტყვა ამ სა-  
სარგებლო გზით წარემართა. ჯერ კიდევ 1924  
წლის ზაფხულზე, კერძოდ ივლისის თვეში და-  
წერილ საკმაოდ შინაარსიან და საყურადღებო  
ლექსში „მყინვარი“ ახალგაზრდა პოეტი გამო-  
ხატავს მოქმედებისაკენ სწრაფვის, თანამედრო-  
ვეობის ფერხულში ჩაბმის სურვილს, თითქოს  
მყინვარს მძიმე ნაკლად უთვლის უმოქმედობას  
და სიმბოლიურად მასაც კი მოუწოდებს შრო-  
მისაკენ:

მე თქვენ მოვანდობთ კოსმიურ ძახილს  
და ნაღველ მუშის მოვაროშვეთ სახელს.  
ამგვარ საქმისთვის თქვენ ვაჭეთ სიმაღლე,  
სხვა მსახაზბარი თქვენ აღარა ხართ,  
ხართ უხვიერი.<sup>5</sup>

ჩვენი აზრის კიდევ უფრო ნათელსაყოფად  
მოვიყვანთ რამოდენიმე ნაწყვეტს 1926-1927  
წლებში დაწერილი ლექსებიდან, სადაც შესა-  
ნიშნავად ჩანს ახალგაზრდა პოეტის წრფელი  
სურვილი, ალალი უმოქმედებითი კრედო და  
ის სწორი გზა, რომლითაც პოეტი სამუდამოდ  
ტოვებდა ფუტურისზს:

— უნდა დაშორდე, შენ დიდი ვაქვს ქვეყნად  
მიზანი:

ძველი შენში სდგას, როგორც ძველი

გამოჩხირული...

დაამხვე ბოლმა და ნაღველით სახვე ფილა,  
ძველ ჩიქოვანის დავანგრეთ გულის ფიცარი  
და დროის დროშა სიხარულით ავაფრიალე<sup>6</sup>  
(„სიმონ ჩიქოვანის ნახტომი.“)

მე გავიარე გზები, რომელიც  
ქონდა კომუნის ჩემთვის შექმნილი.

მე ფუტურისში, ბრძოლა, კივილი,

რევოლუციის ძარღვების ნაშთი;

ძირს ჩამოსული მგონის კბიდან

შემქმნელ მუშების სიღრმეში გავჩნდი.<sup>10</sup>

(„გაბაასება ახალ მკითხველთან“).

მიეცით თქვენ თავს, თქვენ ანგარიში

როგორ გიშველათ საბჭოთა ხანამ;

გვაჩვენეთ პურიც, ცხოველის გიში

და დაეხმარეთ ახალ ქვეყნას.

ყოველ წლის ბოლოს საკითხი ისმის

რა გააკეთეთ კომუნისთვის.<sup>11</sup>

(„მოსავლის დღესასწაული“).

... გზები მე უკან არ მეგულება

და პოეტი ვარ დღევანდლობის.<sup>12</sup>

(ოქტომბრიდან ოცდაშვიდამდე“).

ექვს გარეშეა, რომ სხვადასხვა ლექსებიდან  
თუნდაც ასე მშრალად და უჟომენტარებოდ  
მოტანილი ნაწყვეტები კარგად გაიჩვენებენ თუ  
რა დიდი და საფუძვლიანი სიმღერის სათქმელად

ემზადებოდა ახალგაზრდა პოეტი, როგორ გლად-  
ილიდა მის ძარღვებში ეპოქის სუნთქვა და რო-  
გორ აესებდა მის მარქსობრივ ბუნებას მუსიკალ-  
გლვებური სიამაყე. ამ პოეტური ვარდასახვის  
რთული დღეებიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყა-  
ნაში მიმდინარე პროცესები, სოციალისტური  
აღმშენებლობის ტემპები, ყოველივე ახალი და  
პროგრესული სიმონ ჩიქოვანის უმოქმედების  
ძირითად თემად იქცა და იგი ბუნებრივად,  
თვითშეგნებით, ყოველგვარი ძალდატანების ვა-  
რეშე გახდა ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული  
საყოველთაო-სახალხო სოციალისტური მშენებ-  
ლობის მეზობტე და მისი მაღალნიჭიერი მემბატი-  
ანე.

„შენს ხუთწილვებში მეც აღმოვცენდი“, —  
ტყვილუბრალოდ როდი წერდა პოეტი. ეს იყო  
მთელი არსებით განცდილი მართალი სიტყვები,  
რადგან სწორედ ლენინური ხუთწილვების მან-  
ძილზე შეიქმნა სიმონ ჩიქოვანის უმოქმედება.  
ხალხის, სამშობლოს წინსვლა მძლავრი სტიმული  
იყო მისი ანალიტიკური აზროვნებისათვის. პო-  
ეტის თითქმის ყველა პერიოდის არაერთ ლექს-  
ში ხუთწილვების საქმე და სახელი ისე ორგა-  
ნულად არის შესული, რომ იგი დღევანდელ  
ეტაპზეც სამაგალითოდ და სანიმუშოდ გვეჩვენ-  
ება ჩვენი უმოქმედებითი ინტელიგენციის  
მრავალრიცხოვანი არმიის უმრავლესობისათვის.

1929 წლის ზაფხულზე დაწერილ ლექსში  
„ბარათი უცხოეთში“, ახალგაზრდა პოეტი თით-  
ქოს უდარებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ,  
— „ლექსების გიშს გზებს სოციალისტურ შე-  
ჯიბრებისას“. მის უკვე მთელი არსებით იტაცებს  
ხუთწილიანი გეგმის საკითხები და სურს ისინი  
მკიდროდ დაუკავშიროს მწერლობას, რომ იერ-  
ძნობოდეს სიტყვის და საქმის ერთიანობა:

და მწერლობაში ხუთწილიან გეგმას  
მე საზრიაანთ ჩაგხვედ ძროში... 13

1930 წელს განეკუთვნება ერთგვარად საპროგ-  
რამო ლექსი „პოეტის საქმე“. ნაწარმოები კო-  
ლექტივიზაციის გამარჯვებისა და წინსვლისადმი  
არის მიძღვნილი. პოეტი ხედავს „სოფელს  
ახალ ხანაში“, „კოლექტივის გამწვანებულ ყანას“  
არსებით მთუყვება, „თანო ადგეს მამაპაპისაგან  
დარჩენილ სახნისს“, ყველაფერს მოძრაობისა და  
განახლების დაღ აზის. პოეტი გულწრფელად  
მიმართავს „გლეხს, მუშას, დამკერველ ბრიგა-  
დელს“, აგრეთვე „სიტყვაჯამული მრეწველო-  
ბის ფართობის“ ყველა წარმომადგენელს: „პო-  
ეტის საქმე სად ვეძიო თქვენს საქმის იქით“ და  
ბრწყინვალედ წერს ლექსის, პოეზიის მაღალ  
დანიშნულებაზე, მის მიქალაქობრივ მრწამსზე:  
მე ახლა მინდა იარაღად ლექსიც გამოდგეს;  
რეცხავდეს სიტყვა საუფუნეს მიჩრენილ ლაქებს;

საუზარა წმინთილი

სოციალისტური მშენებლობის მემბტიანი

ობროდეს ლექსი ხუთწლიანებში გამუდმებულად როგორც დამკვერელი და მოკლავს. 14

1931 წელს დაწერილ ნაწარმოებში, რომლის სათაურია „ლექსი ბრძოლაში“, პოეტური სიტყვა-დამკვერელი და ცხოვრების აქტიურ გარდამქმნელად არის გამოცხადებული: „და დგას დაზვასთან ლექსი დამკვერელი“. ლექსმა გამოვლო სამოქალაქო ომი, ქუხდა „აღდგენის ხანაში“ და ახლა მხარში უდგას არსახული რევოლუციური ეპოქის. მაგრამ პოეტს ისიც ესმის, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის, მიღწევების გვერდით გარღვევებსაც აქვს ადგილი, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია „კოლუნისის კედლის“ ასაშენებლად.

დაქარ ხუთწლიანში მომხდარ გარღვევებს და ნახტომებიც აზრით გახედვ. 15

1931 წელსვე განეუთუნება ლექსი „გვირის დაბადება“. აქ უკვე პოეტი ინდუსტრიალიზაციის თემას ეხება. ლექსში კონკრეტულად გამოჩნდა ადამიანი, მოქალაქე და ეპიურმა თხრობამ იჩინა თავი. ეს ადამიანი ჭერ ზარმაცო იყო, „ზანტი ხარატი“ ხშირად იდგა „მოშლილ დაზვასთან“, მაგრამ ახალმა დრომ, აღმშენებლობის მძლავრმა ტემპმა, შრომის ნაყოფიერების ზრდამ, შეგენების ამაღლებამ, კოლექტიურობის გრძობამ, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ვაძლიერებამ იგი სასახლო დამკვერელთა რიგებში გადაიყვანა. ახლა მისთვის „გვემის ლატი“ აღარ არსებობს, საქმით პასუხობს დროის მოთხოვნებს და მის ბოლშევიკურ დაზვავზე ხორცშესხმული ორთქლავლები „ლიანდაგებს სერავენ ჩეენი სამშობლოს ყველა კუთხეში“.

გვირი ხუთწლიანის ხედას და ქადაგებს არა სიტყვები, არამედ ქლიბით. 16

1932 წელს დაწერილი ლექსი „საამქროების გვირს“ კვლავ ინდუსტრიალურ თემას ეხება. მოწინავე მუშა საკუთარი გარჯით ქმნის საამურ ცხოვრებას, მისი შრომის მაღლი „ხუთწლიდით შექმნილ გარემოს ხურავს“. ამავალმა ეპოქამ და თავისუფალმა შრომამ უბრალო მუშა გვირად აქცია. ახლა იგი უკვე ხარისხსა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვაქაცურად გამარჯვებაზე ფიქრობს. პოეტიც მის გვერდით დგას, ინაწილებს ამ საპატიო საქმიანობას და ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას:

გასწი სიმტკიცით და გავიტანოთ ხუთწლიანის ლელო ოთხწლიანის ბოლოს. 17

ლექსი უშუალოდაა შექმნილი „სტალინის სახელობის ორთქლავლის შემკეთებელ მთავარ-სახელოსნოებში“ და იგი საოცარი იდენტურობით ეხმარება ჩვენ დღეებს, ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებას, ვინც სახელოვნად აგრძელებს პირველი ხუთწლიანების შრომით ესტაფეტას და მას ახალ დირსებებს უმატებს.

ინდუსტრიული თემა, მართალია, სოფლის მეურნეობის შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც საკმარისობლად იჩენს თავს პოეტის შემოქმედებაში. პოეტს მუშა მხოლოდ ქარხანაში, დაზვასთან ან ღუმელთან როდი ყავს ნაჩვენები. იგი სხვადასხვა ვითარებაში გვიხატავს მშრომელ ადამიანს. ამას აღასტურებს თუნდაც ლექსი „ქარხნის მუშები ისვენებენ ზღვის პირად“. აქ ორივე მუშა ფოლადისა თუ ფერომარგანცის მიღობლებაში არიან. თავდადებული შრომის შემდეგ ისინი დამასხურებულად ისვენებენ და ენერჯის იღდგენენ. პოეტი ყოველ წუთს მზადაა მათთან იყოს, სანამ „მწყობრში ჩადგებიან“ მისი ძმები, რათა „მამულს ბევრი ფოლადი ჰქონდეს! დასვენებულის და ჯანგაუტეხავი მუშები

ხუთწლიან გეგმას ასწვევენ მხრებით და ტალღებივით დაყრიან ლითონს. 18

ლენინური ხუთწლიანების ასოციაცია პოეტს ბევრ ლექსში საინტერესოდ აქვს წარმოადგინილი. მისთვის სიტყვა ხუთწლიანი რაღაც ხელშეხება, ნაღდ ელერადობას იძენს, ძალზე ბუნებრივად ისმის. ლექსში „როინის ნაპირებზე“ სიმონ ჩიქოვანი იხსენებს ყრბობის დღეებს, მდინარის აბოზოქრებას, იმ დღეთა გაუნელებელ სიყვარულს. თითქოს ლექსში ერთგვარი მინორული განწყობილების გარდა არაფერი არ უნდა იყოს მოსალოდნელი, მაგრამ პოეტის ფანტაზია უსაზღვროა, მდინარეშიც ხედავს ხუთწლიანისთვის მებრძოლსა და ხელისშემწყობს, სწორედ ამიტომ იგი უფრო მახლობელია მისი სულიერი განცდებისათვის:

მხრებზე ასწვი ქვეყნის ხუთწლიანი, ყელზე მომხვი წვიმის ღრუბელი. ისევ ლალი ხარ, მე კი ვხუცდები, როგორ გავწიო შენთან უღელი. 18ა.

მომამე სომხეთში სტუმრად მყოფ პოეტს შრომა და შენება უხარებს გულს. იგი ფერმასაც ათვალთვრებს, მაღლიერების სტრიქონებს უძღვნის თვემჯდომარე ქალს — ნაზანს, რომელიც შესანიშნავად უძღვება საქმეს და დღესვე ფიქრობს ზეალბოდ დღეზე, საუფუცელს უყრის მომავალ მიღწევებს:

უბის წიგნში აქვს გეგმა გაისის, როგორც ხუთწლიანის ერთი ნაწილი. 19

საზღვარგარეთ, კერძოდ პოლონეთში მეგობრობის მისიით მყოფ პოეტს ხუთწლიანი, შრომა და წინსვლა არ ავიწყდება. ლექსი „გზაზე თქმული“ კარგად გვიჩვენებს პოეტის განწყობილებას. მას სულს უკაუბებს „მის წარმატება“, გულში „დიდი ქვეყნის ტრფილი“ ეტევა „ყველა მშრომელი დვილად“ და მახლობლად მიაჩნია. პოეტისათვის შრომა ყველა სიკეთის სათავეა, შრომა და შენება კი მის არსებაში განუყრელადაა დაკავშირებული ლენინურ ხუთწლი-





დებთან, რომლებიც კვლავაც ელოდებიან წინ და მას თითქოს სიჭაბუკეს უბრუნებენ:

**როგორც განვლიე ოთხი ხუთწლიანი,  
მინდა განვლიო კიდევ ხუთამდე...  
და მე ხუთწლიდში ისე შევდივარ,  
როგორც შედიან სიჭაბუკეში.<sup>20</sup>**

როგორც ვთქვით, პოეტისათვის ორგანული იყო ლენინური ხუთწლიელების თემა, რადგან ეს მისთვის არ იყო მშრალი და აბსტრაქტული რამ. ხუთწლიელები უკავშირდებოდნენ მისი სამშობლოს ძლიერებას, აყვავებას, შრომის სუფევას, სიკეთესა და სიძლიერეს. ხუთწლიელების პოეტური გამოჩატულება დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა სიმონ ჩიქოვანს, რადგან ის იყო ეპოქის მოწინავე შეილი, ძალზე პროგრესული პიროვნება და ყველაფერი ახალი, ეპოქალური, მშობელი ხალხისათვის სისარგებლო მისთვისაც მისაღები, განუყოფელი იყო. ლექსში „თიბათე“ პოეტი შრომისა და მარადი მშობრობისაკენ მოუწოდებს საკუთარ თავს და, რაღა თქმა უნდა, ზოგადად ყველასაც:

...და შინ მიმყვება, როგორც სიმღერა  
ჩემი მეთე ხულის ხუთწლიანი...  
თუ ჩამეთვლიმა, უნდა მიყვირო,  
ძილი დამიფრთხო თვალის უკეში,  
რომ ამ ხუთწლიდის ბოლოს ვიხილო,  
როგორც ვიხილე სიჭაბუკეში.<sup>21</sup>

ახლის მოტრფილად პოეტი ბუნებრივად და კანონზომიერად ყალიბდებოდა სოციალისტური ყოფის მეხოტბედ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე ათწლეულში სიმონ ჩიქოვანი მოწინავე საბჭოთა პოეტების ავანგარდში ჩადა. როგორც ტაბიქე ამბობდა — მასზე ატმოსფერული ზეგავლენა მოახდინა სამშობლოს წინსვლამ, აყვავებამ, აღორძინებამ. 1931 წლის დასაწყისში ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სიმონ ჩიქოვანის ნაქლებად ცნობილი ლექსი „პოეტის სიტყვა საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე“. ადრეული პერიოდის ეს საკმაოდ საინტერესო ლექსი შემდეგ თითქმის არც ერთ გამოცემაში არ გვეხვდება. აქ სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ მისი აზროვნება უკვე დროის მოთხოვნებს ეფარდება და მშრომელი ადამიანის მსგავსად ისიც „მისილევს გეგმებს შრომაში ცნობილს“. პოეტი გულწრფელად წერს: „დიდო დროებავ, მე შენ გამზარდო“ და პირობას დებს იყოს დროის მემატიანი, იყოს ღირსეული წევრი „მებრძოლი კლასის“, ერთი წუთითაც არ გამოეთიშოს ნათელი მომავლის მშენებელ მასებს:

... ეს გმირი იყო ამდგარი მასსა,  
ჩვენ დავრჩით მასთან, მას შევეზარდეთ.  
შევემნით ყოფა-ფოლადის სიბრძნით  
და ჩემი ლექსიც ათი წლის თავზე  
სოციალისტურად გაწვრთნილი იბრძვის.<sup>22</sup>

სიმონ ჩიქოვანი ყოველთვის ცდილობდა უშუალოდ გაეცნო ცხოვრება, ეტრიალა ხალხში, ფეხებზე დასდებოდა, ვისებურად შეეგრძნო ის, რისთვისაც მომავალში მხატვრულად უნდა შეესხა ხორცი. პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში მან საქართველოს ყველა კუთხე საგულდაგულოდ შემოიარა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მძლავრი პოეტური აღმავლობა, მისი თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევები სწორედ მაღალმოთინა სვანეთისა და ხევისურეთისადმი მიძღვნილი შესანიშნავი პოეტური ციკლებით დაიწყო.

მეტისმეტად საინტერესოდ გვეჩვენება ამ ვითარებასთან დაკავშირებით თვით სიმონ ჩიქოვანის მოგონება, რასაც ციხისუბოთ წერილებისა და მავონებების რუსული გამოცემის წინასიტყვაობად წამოძვარებულ ავტობიოგრაფიაში.

„ჩემი პოეტური მუშაობის დასაწყისში ძირითადად შემოფარგლული ვიყავა ინტიმური და სატრფილო ლირიკის სფეროთი. რასაკვირველია, ეცდილობდი ახალი ცხოვრების თემის განსახიერებასაც, მაგრამ ჩემი ეს ცდები არ იყო მთლიანად საუკეთესო. ლექსებს დაღად აჩნდათ ერთგვარი განყენებული დეკლარაციულობა. ამიტომ მე შეიძლება ახალი გზის ძებნა, იმ პოეტური რაკურსის მიგნება, რომელიც უფლებას მომცემდა რაც შეიძლება ნათლად და გასაგებად ამესახა ახალი თემა. მე უნდა მიმეღწია იმისათვის, რომ რეალური ყოფილიყო არა მარტო ჩემი პოეტური ნახატი, არამედ ამ ნახატის შინაარსიც. სრულიად შემთხვევით ერთი გარემოება დამეხმარა შეზოვა ეს ახალი ხედვითი პოეტური კუთხე.

როგორც უკვე ვთქვი, მე ბავშვობიდანვე მიზიდულდნენ და მიძახდნენ შორეული ზღაპრული შოები. შემდეგში შოებს შეხვდი ქუთაისში, თბილისში და საქართველოს ბევრ სხვა კუთხეში, მაგრამ ესენი იყვნენ როგორცაღ მთავანულებული, საოჯახო გორები. ჩემს წარმოდგენაში კი აგრძელებდნენ ცხოვრებას ჭერ კიდევ ბავშვობაში ზმანებულნი რომანტული შარავანდელით შემკული მთარგეილები და მე, პოეზიაში უკვე მყარად ფეხსდგმული, ხეცნობილი მენახა მაღალმოთინა სეანეთი და ვეცხურეთი, რომ ცხადად დამეხანა, როგორ შეიჭრა ახალი ცხოვრება ამ მიუვალ მხარეში, როგორ მოაღწია სიხალემ ამ ზღაპრულ მწვერვალზემდე. და მე მოვხვდი ამ სანატრელ მხარეში — დაუუმეგობრდი მის ადამიანებს, გავიცანი მათი ყოფა და შრომითი ცხოვრება, მოვისმინე და ჩავიწყრე ბევრი სახალხი, თქმულება და სიამღერა. ეს იყო დაახლოებით 1929 — 1930 წლებში. მაშინ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა მიკარნახეს მე ისეთი ლექსები, როგორიცაა „უშუალოს კომკავშირი“, „შე-

**წუგზარ წარამელი**  
სოციალისტური მშენებლობის მემბრანა

მოლაშქრე ხანაშკაში, „ხევისურული ძროხა“ „სვანური ივენანა“, „წერილი მთებიდან“ და სხვა.

ამგვარად, სწორედ ამ მაღალპოეტურ ატმოსფეროში, საქართველოს ყველაზე რომანტიკულ კუთხეში დაიბადა ჩემი რეალიზმი.

მაგრამ „გასაგებია“, ეს რეალიზმი მთებში არ ჩარჩენილა, იგი „ბარადაც“ დაეშვა და მას შემდეგ მე უკვე ვცდილობდი მეფლე ჩემს მიერ ნაპოვნი შემოქმედების გზით“. 23.

როგორც ვხედავთ, სვანეთსა და ხევისურეთში პოეტის ყოფნა ოდნავადაც არ იყო ეგზოტიკური გასეირნება და ერთგვარი რომანტიკული ცდუნებებით გატაცება. მუნიციპალიტეტში, კომუნებით, ვიწრო სარკმელებით და სათოფურებით პირქუშად გამოზარალი სვანეთი, ასევე საუკუნეობრივი არტახებით, სინელითა და უგზობით დატანჯული ხევისურეთი იზიდავდა მის პოეტურ შთაგონებას მხოლოდ ახალი ცხოვრების სურვილით. ზოგიერთების მსგავსად იგი არ გაჰყვია იაფლანაიანი ეფექტების გზას. ამის სანაცვლოდ პოეტის მახვილმა თვალმა დაინახა ის წინსვლა და საოცარი ძეგლები, რაც საქართველოს ამ მიუვალ მაღალმთიან კუთხეებში მიმდინარეობდა.

როგორც ვთქვით, ლექსების ამ საუცხოო ციკლში გამოიყვითა ის სიმბოლურ და საინტელექტუალურად გამოწონდა სიმონ ჩიქოვანის ნიჭი და შესაძლებლობა. აქ თითქმის ვაჭრა განყენებული, აბსტრაქტული პოეტური აზროვნება, რაც წინა წლებისათვის თვალსაჩინოდ იყო დამახასიათებელი და მისი ადვილი დაიკავა კონკრეტული მხატვრული სახეებით აზროვნებისაყენ მიღრეკილებამ, პოეზიაში ეპიკურობის, დინჯი ტონის, ფერწერის, პროზის ელემენტების შეტანამ, რის უნარიანად გამოყენებასაც პოეტი თითქმის არასოდეს არ უარყოფდა. 1956 წელს სიმონ ჩიქოვანი სწორედ ამგვარ საკითხზე მსჯელობისას წერდა: „მაგრამ მე მასწინვე ვიჭრობდი და ახლაც მგონია, რომ ფერწერის თუ მუსიკის თვისებების ზომიერი შექრა პოეზიაში დიდი ცოდვა არ არის. მე ყოველთვის მომხრე ვიყავი ლირიკული პოეზიის ჩარჩოების გაფართოებისა და ვიცავდი ლირიკულ ლექსშიც მაღალი პროზის ელემენტების შექრის აუცილებლობას. მაღალი პროზის თვისებები ლირიკულ პოეზიას ამდიდრებს და მისი საშუალებით იგი ახალ მწვერვალზეს ეუფლება, მისი პორიზონტი ფართოვდება. პოეზია დიდ პოეტურ განზოგადებას და ფართოდ გაგებულ მხატვრულ აზროვნებას ეჩვენა... მაღალ საფეხურზე ასული ლირიკული პოეზია არ ერიდება არც აღწერას და არც პოეტურ თხრობას. თუ ზომიერება და მაღალი გემოვნება დაეკუთვნა, მაშინ ხსენებული თვისებები პოეტური კულტურის სიმალის მანვენებელია და არა მისი გადაგვარებისა“. 24

ამავე საკითხს შეეხებოდა სიმონ ჩიქოვანი 1947 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე წაითხულ დი-

დი ლიტერატურული ღირებულების მქონე მოხსენებაში „ქართული საბჭოთა ლიტერატურა ქურონალების „ხევისურული“ და „ლენინური“ შესახებ საკურონო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“:

„მწერლობა მხოლოდ მაშინ ხდება სრულყოფილი, როდესაც იგი ნამდვილი ცხოვრების ამსახველ დიდ ეპიკურ ტილოებს ქმნის. თვით პოეტობა მაშინ ხდება მრავალსახოვანი და დიდ ტევადობის შემცველი, როდესაც იგი ვიწრო სასიმღერო კილოდან გადადის მაღალ პოეტურ განზოგადებაზე და მხატვრული პროზის თვისებებით ამდიდრდება, როდესაც იგი წმინდა ლირიკული აზროვნების გარდა, თხრობით ელემენტსაც იძენს და უფრო მრავალფეროვანი ხდება“. 24.

სწორედ ასეთი მაღალი რანგის პოეზია, სტრიქონის სიმდიდრისათვის გამოყენებული პროზის ელემენტები, თანამედროვეობის სენაისტური ფერებით ხატვა გვიზიდავს ჩვენს რეალისტურ ხევისურეთისა თუ საქართველოს სხვა კუთხეებისადმი მიძღვნილი ლექსების რკალებში.

1929 წელსაა დაწერილი ლექსი „გადასვლა გორაკაშზე“. ეს შეიძლება ითქვას, სვანეთზე საინტელექტუალური ლექსების ერთგვარი პრელუდიაა.

ახალგაზრდა პოეტი პირველად მიდის სვანეთში. სვანეთთან ერთად მიჰყვება ციციბო ბილიყებს, „ციცი ქარი ძვალ-რბილში ატანს“, მთაგრებილთა ქანლითაა დაფარული. სვანეთთან ერთად, როგორც ახალი ცხოვრების სიმბოლო, როგორც განათლებისა და იმედის გამოხატულება, უკვე ახალგაზრდა სვანი ექიმიც მიდის. მუხლმავარი ახალგაზრდა სვანი გასაქირს არ უშინდება და სასურველ სტუმარს მეგზურობით მიუძღვის წინ:

ზრდილი ექიმი მოგვყვება სვანი,  
ებრძვის აღმართს და ნაპარკებს უხვევს,  
მოაქვს პარტიის აზრი და ჩანი  
და უბრუნდება მშობლიურ ციხეს. 25

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: ეს სტროფი ლექსიდან „გადასვლა გორაკაშზე“ მოტანილია 1933 წელს გამოცემული ლექსების წიგნიდან. როგორც ცნობილია, სიმონ ჩიქოვანი საოცარი სიყვარულითა და გულმოდგინებით მუშაობდა ყველა ლექსზე, ასწორებდა, აშალავდა ნებდა, ხეწვდა და არცთუ იშვიათად თითქმის ძირფესვიანადაც კი ცვლიდა. ცვლილება განიცადა ამ ლექსშიც. 1960 წელს გამოცემაში „ლექსები, პოემა“ ამ ახლებურ ინტონაციით ჩასწორებულ ლექსს თარიღად ამიტომაც უხსნის 1929-1939 წ. ჩვენს მიერ მოტანილი სტროფი აღარ გვხვდება ბოლო წლების გამოცემებში, მაგრამ მაინც ის მოვიტანეთ მაგალითად, რათა უფრო კარგად გვეგრძნო ის უშუალოდ, ის პირველყოფილი განცდა, რაც უფრო მეტ ინტერესს იწვევს და რაც ახასიათებდა იმ წლებში ახალგაზრდა პოეტს.



1929 წელს სვანეთზე დაწერილი ლექსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი ლექსი „უშგული“, რომელსაც 1933 წლის გამოცემაში „უშგულის კომპოზიცი“ ერქვა. პოეტი დიდი ზემოქმედების ძალით ავგიწერს სვანეთის რევოლუციამდელ მძიმე წარსულს. აქ ჯერ კიდევ ბატონობდნენ მანვე ადამ-წესები, არსად ჩანდა ფოსტა და ტელეგრაფი, ვახუთი და ვიგნი, ასე საჭირო ნათი და მარილი. გრძელი ზამთარი, უქმად ჭოდმა და უგზოობა ტანჯავდა მოსახლეობას, მიუხედავად „უშგულს ქვეყნიდან მოწყვეტა ერგო“. ამგვარი უიმედო სურათის შემდეგ პოეტი ნათელ სტრიქონებზე გადადის, როცა აღწერს თუ როგორ იჭრება სოციალისტური მშენებლობის ხმები მიუხედავ სვანეთში, როგორ იცვლება, ინგრევა ძველი საძირკველი. უკვე დამკვრელ და გარდამქმნელ ძალად მოსულა კომპოზიცი, რომელიც სვანეთს უხსნის და უჩვენებს სიმონ ჩიქოვანს. პოეტს სჯერა რომ შრომა და განათლება დაამზობს საუკუნო სიბნელეს:

**კომპოზიციონო პირბე და რაუდენ,  
უშგულს შრომა და სინათლე იხსნის,  
თვენი ფაქრები მთით აირიკაუდენენ,  
მოსპეთ სიბნელე, ჭანდი და ნისლი.**<sup>26</sup>

სოციალისტური შრომა და ბრძოლა ყოველგვარი ჩამორჩენის გარდაქმნის საფუძველია. მან უნდა მოუტანოს განახლება სვანეთსაც, ეს სამყაროს მოწყვეტილივით მღვარი კუთხეც უნდა შეუერთდეს სოციალისტური მშენებლობის მძლავრ დინებას. სწორედ ამიტომ მიმართავს პოეტი სვანეთში ახალი ცხოვრების მშენებლებს:

**რობინზონებო, კლდეთა კუნძულზე,  
სოციალისტურად იბრძოლეთ მთებში**<sup>27</sup>

მაღალნიკიერი პოეტისა და მემატანის მახვილი თვალით აღწერს სიმონ ჩიქოვანი თუ როგორ იჭრება სოციალისტური ყოფა-ცხოვრება საუკუნო სიბნელითა და მამა-პაპური არტახებით შებოჭულ ხევსურეთში. ის შთაბეჭდავი თხრობითი ელემენტები, რაც სვანეთისადმი სიყვარულით მიძღვნილ ლექსებში შეინიშნებოდა, აქ კიდევ უფრო ძლიერად და ხატოვნად არის გამოყენებული. პოეტს ვრცელ ლექსებში უკვე შემოჰყავს გმირები და გვიჩვენებს მათ, ვინც აშენებს ახალ სოციალისტურ ცხოვრებას, ვინც ნათელ მომავალს უყრის საფუძველს.

1930 წელს განეკუთვნება ლექსი „შემოღანება ხანმატში“.

შეგინდებამ ხანმატში მოუსწრო პოეტს, დამის გასათევად იგი დარჩა ხევსურ ყუდია ალუდაურის სახლში. სტუმრები და მასპინძელი, აგრეთვე მეზობელი ხევსურები, ბანზე სხედენ ყუდის ზარის ამბები აინტერესებს, მას უკვე აღარ იზიდავს „უფართო და ტყვიით“ გამოზრ-

დილი „ხევსური სოფელი“. კუთხებსა და ბილიკებზე წაწალი მოსწყინდა ხევსურს, „სოციალისტურ ფელში დარდი ეზრდება საწყაოს“, თენებდა უკვე ახალ ქალაქს დასტრიალებს თავს.

**და მწვერვალებზე გამოზრდილ ხევსურს  
სწყურია ბარში გახდეს შოფერი.**<sup>28</sup>

მის განზრახვას წინ აღუდგებიან მთის ადამთის ბრმა მიმდევრები. მაგრამ მტკიცეა ყუდია ალუდაურის გადაწყვეტილება. მის სურს მოძრაობა, სწავლა, აქტიურობა, აუცილებლობად მიაჩნია განათლების მიღება და ძველი რელიგიურ-მისტიური ცხოვრების ნაცვლად ახალი გზებისაკენ სწრაფვა. ეს ახალი გზა კი არის სოციალისტური მშენებლობის მძლავრი არტი, რომელიც ქვეყნის ყველა კუთხე-კუნძულს ეღება:

**...მერე უმატებს ავაგოთ სკოლა,  
ყოველდღე გავშლით საქვეუნი გაზეთს,  
თუ ვარგის მუდამ ხატის წინ წოლა,  
იპყრე ვავაულოთ სამხედრო გზაზეც.**<sup>29</sup>

1930 წელსვე დაწერილი ვრცელი და შინაარსიანი ლექსი „ხევსურული ძროხა“. ლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დახატულია რევოლუციამდელი ხევსურეთის დუხჭირი ყოფა, როცა ძროხა იყო ხევსურის ერთადერთი მარჩენალი. „ტანმორჩილ ძროხას“ იყო იგი მინდობილი. ხშირად ჯოგს თავს ეს-სმოდნენ ქისტები და იმართებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ძნელი იყო „ოჯახის მსხნელის“ დაკარგვა. ამიტომ ბრუნდებოდნენ ალიონზე დაჭირილი ჩოხებით“ და მარჩენალი ძროხა ისევ და ისევ „ღარიბ სოფელს აწვდიდა ერბოს“. შემდეგ პოეტი აღწერს ცივ და ხანგრძლივ ზამთარს, იმ საოცრად მოსაწყენ ცხოვრებას, რომლის ერთფეროვნებას მხოლოდ სიყვარული და ქურანას ჰიხვიანი თუ არღვევდა.

ახლა კი პოეტი „უშგურის გამარჯვ სოფლებს“. ახალი სოფლის შეეღივით თუ ჭეირანივით ქალიწვილები ბედნიერ ცხოვრებას შეჰხარია. ცოდნა მძლავრი ნაბიჯებით შეჭრილა მივარდნილ კუთხეში, დამკვიდრებულა არახული სიახლე; „ძროხა ფერდობზე ავრთნომს უცდის...“, მწყემსი მიდის ალბიური ზონისაკენ „და მთაზე გამოვს ვახუთის ფურცელს“, „არავინ რჩება სოფელში უქმად“, დოინჯმომოყრილი „ხევსური უსმენს სეპარატორის საამურ ლიკლას“. ხალხი უცდის და ამრავლებს „მსოფლიო ჭიშის“ ხევსურულ ძროხას. სოფლამდე უკვე ფართო გზაა გაუყვანილი და ამ გზით მოიწეებს ქალაქი, მოიწეებს სოციალისტური მშენებლობის გუგუნი, რაც მთლიანად გარდაქმნის ისედაც შეცვლილ და დამშენებულ სოფელს.

**წლებიარ წარმთაილი  
სოციალისტური მშენებლობის მემატანია**



მსუყვე ერთობი იხებმა გობი,  
ხოვლად ისობა ძველი ღრვი ააც,  
და ხევსურეთში მწყემსების შრომით  
შეკავდება სოფლის მეურნეობა.<sup>30</sup>

როგორც თარიღი გვემცნობს, ცოტა მოგვიანებით, კერძოდ: 1940-1943 წლებშია დაწერილი (აღბათ შემდეგ ჩვეულებისამებრ ჩასწორებულ) ახალი ხევსურეთისადმი მიძღვნილი ლექსი „როშკელი ძილა“, მაგრამ იგი ძალზე მოხდენილად და ორგანულად არის შესული ხევსურეთზე დაწერილი ლექსების რკალში. აქ პოეტი გვიხატავს სოფელ როშკის მოთავე ხევსურ ქალს, კომუნისტური პარტიის წევრს, მხედარსა და მოწინავე მშრომელს. როშკელი ძილა ახალი ხევსურეთის სახეა. როგორც საუკეთესოა შორის საუკეთესო იგი მოსკოვშიაც იყო ვაგზაინალი ვაიმოდენაზე. ახალ ცხოვრებას საბოლოოდ მინდობილმა გოგონამ „ჯვრებით შემკული ქვისფერი კაბა“ მოიშორა და ახლა ეს „ძველი სამოსი“ წარსულის წყლული ვით კილია კართან.

როგორ შეცვლილხარ, გაზრდილხარ

როგორ,

ამბებს მიყვები ხევსურულ რადით,  
მოსკოვს რომ წახველ როშკელი გოგო  
და ტურფა ხელით ნაქარგებს შლიდი.<sup>31</sup>

ქვეყნად გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმული გმირის სამაგალითო სახეს პოეტი განსაკუთრებული გულისყურით ძერწყვდა 30-იან წლებში შემქმნელ პოეტურ ნაწარმოებებში. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ მიმართულებას, რაც გამოიხატებოდა პოეტის მიერ ეპიკური თხრობის გაძლიერებაში, ამ პერიოდისათვის მრავალჯერ ვხვდებით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის ძირითადი და მნიშვნელოვანი. მთავარია ის, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, რომ პოეტი წერს უკვე მთლიანად სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე. იგი უმღერის ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლებს: კოლმურხლების, ტრაქტორისტებს, თავმჯდომარეებს, კომკავშირელებს, მწყემსებსა თუ ყოფილ მოჭამაჯირეებს, მუშებს, მეფოლადეებს, ხარატებს, ბრიგადირებს, სტახანოველებს თუ შრომის დამკრედეებს. ეს პოეტის შემოქმედების ორგანულ თემად იქცა და გულმოდგინედ ცდილობს კიდევ საქართველოს ყველა კუთხეში ასეთ ადამიანებს შეხედეს, რომ პოეტური სიტყვით ასახაოს მათი სამაგალითო ცხოვრება.

კახეთში მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის პროცესებს პოეტმა არა ერთი ლექსი მიუძღვნა. ჩვენს განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება 1932 წელს დაწერილი „ალაზნის ველზე“. ეს თარიღი მინიშნებულია 1965 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით, თუმცა 1933

წელს გამოცემულ წიგნში „ლექსები“ ზუსტად იგივე ლექსი ოლონდ სხვა სათაურით — „ალაზნის ბაშმა“ დაწერის თარიღად უნის მითითებულია „შემოდგომა. ტფილისი“. ჩვენის აზრით, ლექსის დაწერის თარიღად სწორედ 1931 წელი უნდა მივიჩნიოთ.

პოეტს ახარებს ალაზნის ველის, ვრცელი და მსუყვე კახეთის ნახეა. იგი არც აქ დასაბუთებს ნაცად პოეტურ ხერხს და პირველ რიგში წარსულ ვეებას აღწერს. სიბნელე იყო დასადგურებული ირგვლივ, „ქოხის სინათლე არ ჩანდა არსად“, ბობოლას მიერ დაქარავებული მწყემსი მძიმე შრომას ეწეოდა, გამშრალ და ურწყავ მიწაზე ვარა ძლივს ძოვდა. საინილი იყო მოჭამაჯირის ბედი. მოჭამაჯირე იყო ბაიდოშვილიც, მისი ცხოვრება „ცხვარით, კომბლით და ჭოგის ძაღლებით“ განსახლდებოდა. მაგრამ დაღვა სანატრელი თავისუფლება. ალაზნის ველზე სოციალისტური მშენებლობის ტალღამ გადაიარა.

და ამ სივრცეზე წამოღვა გმირი,  
გმირი, ყოფილი მოჭამაჯირე,  
უბრძანა ველს და გლეხკაცის შრომით  
ბაღად აქცა ძველი საკივი. 32

„მაშველ გმირს“ ბაიდოშვილს მხარში უღვანან აგრონომი და კოლმურხრენი. ტრაქტორები დღე-ღამეში „ოცდაათს საათს“ მუშაობენ, ტეხვენ ყამირს და აპზიერებენ მიწას. სოციალისტურ გარდაქმნას ხელმძღვანელობს „უწინ მწყემსი და დღეს მოწინავე“. პოეტს სჯერა ახალი გმირის — მუხლმოუღლეო ბაიდოშვილის, სჯერა რომ ხალხის თავიკი შესძლებს ყველა გვემის განადგებას და სოციალისტური ყოფის დამკვიდრებას:

გწამს აასრულე დასახულ გეგმებს,  
ხალხის კარნახით ფერს უცვლით მიწებს,  
სოციალისტური მინდორი შექმენ.<sup>33</sup>

1927 წელს დაწერილ ლექსში „სოფელი მაგონდება ქალაქში“ სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავდა: „და გლეხებიდან მე ვღებულობ შრომის მაგალითსო“. 20-იან, 30-იან და შემდგომ წლებშიც პოეტი გულმოდგინედ უმღეროდა კოლმურხნე გლეხობას, რომლებიც სოფელს სოციალისტური ყაიდაზე ქმნიდნენ.

1930 წელს დაწერილი ლექსი „სავაზაფხულო თესვა“ უკვე სამეგრელოში კოლექტივიზაციის გამარჯვებას ეხება. პოეტი აქაც გვიჩვენებს განკვილ დღეებს, როცა კულაკი ტანჯავდა „მოჭამაჯირეს უმიწოს, ღარიბს“, მხატვრულად აღწერს კულაკობის განადგურებას, კერძო საკუთრების მოსპობას და კოლექტიური შრომის დიდ სიყვთეს, როცა კოლექტიურათ იწყებენ თესვას და თესვის ღროსაც ქმნიან კომუნიზმს“. პოეტმა იცის რომ დიდი და რთული ამოცანებია დასახული, მაგრამ მათი გადაჭრა გარდუვალ სინამდვილედ მიანიძა:

**ჩვენ ამოცანა დავსახეთ რთული;  
სოციალისტურ სექტორის გავრდა.<sup>34</sup>**

საინტერესო ლექსია ამავე პერიოდის ვრცელი და უკვე გამოქვეყნებული მანერით დაწერილი ლექსი „გმირის ძიება ნატაჩიოში“. პოეტი სტუმრადაა „ტეხურის პირას, სენაკის ახლოს“ მდებარე სოფელ ნატაჩიოს კოლმეურნეობაში. კოლმეურნენი ველზე არიან გასულნი, „ქუღზე კაცი“ ამდგარა და აგებენ სოფელ „ძმულ საფუძველზე“. მათ შორის გამოირჩევა ერთი „თითით საჩვენებელი“ გმირი. ამ ენთუზიასტს, დამკვირვლს შეიზბრში ყველა უკან ჩამოუტოვებია. „დამკვირვლ არის გვარად ბოჭგუა“. პოეტი სოფლის თავკაცთან ერთად დაიქმნენ ნატაჩიოელ გმირს, რომ შეხედეს, გაიცნოს და რამე დასწეროს მასზე, მაგრამ გამარჯვებულმეურნე ერთი უბნინად მეორეზე ვადადის, ვერ მოახერხებს შეხვედრა და ამიტომ სოფლის თავკაცი ურჩევს პოეტს: „სახის მაგიერ, საქმე დახატეთ“. სიმონ ჩიქოვანი კარგად გრძნობს, რა საოცარი სისწრაფით მიიწევს წინ სოციალისტური მშენებლობის ტემპები, რომ მწერლის ნამდვილი გმირობა მხარდამხარ მიყვებს ამ ტემპებს, არ ჩამორჩეს მშრომელ ადამიანებს. თითქმის ერთგვარად გულდაწყვეტილი პოეტი წერს:

**თქვენ უნდა მიხედეთ ამ მაგალითით,  
რომ გმირს მწერალი ვერ დაუწია.<sup>35</sup>**

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ საბატიო უნდად პოეტს კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობა და ადამიანის მიერ ბუნების ძალთაგან გამოხსნის მიწაზე ახალი ცხოვრების დაფუძნება მიაჩნდა. კოლხეთის თემას არა ერთი და ორი ლექსი და პოემა ეკ მიუძღვნა.

„ახალ კოლხიდაშია“ დაწერილი ლექსი „ოქროს საფშისი“, რომელსაც 1939 წლის გამოცემის მიხედვით „ტბაზე“ ერქვა და შემდეგ ჩვეულებისამებრ დიდი ცვლილება განიცადა.

მიწყარებულ ტბაზე ნავით მიჭრის პოეტი. ტბამ მას ბევრგზა გაახსენა. სამეგრელოს ხასხასა კონდრით დაფარულ ეზოში, უკსთან, პატარა ტბორი იყო, იქ ქალღმერთს გემს აცურებდა ბავშვი და თავი კოლუმბის ტოლად მფაჩნდა. მისი ოცნება უკვე „შორეთში ჰქროდა“, ისტორიის სავალალო დღეებზეც ჰქონდა წარმოდგენა. რადგან მწიგნობარი, თავის დროისათვის საკმაოდ განსწავლული მამა და ბებია აღრეული ბავშვობიდან უნერგავდნენ მამულის სიყვარულს. მოზარდის განვითარებული ოცნება „წყალში ჩაძირულ ფაზისს და კოლხიდაში დაკარგულ საფშისს“ დასტრიალებდა. ახლაც ტბაზე მიმჭრობავი პოეტი თითქმის ხელშეუსახებლ იბრუნებს იმ შორეულ განცდებს და მათ კიდევ უფრო მეტი ტრაგეზმით ამძიმებს. ეს ტრაგეზმი საქართველოს ისტორიის რთული პერიოდებისათა გამოწვეული, როცა დაეცა ერთ

დროს ძლიერი მხარე, მუღმივმა მტრობამ და ქიშობამ, შინაგანმა დაქუცმაცებამ და განაგანმა ხელყოფამ განადგურების პირამდე მიტყვევანა ქვეყანა:

**ქაობის სენი მოედო მამულს,  
გახდა უმწეო კოლხეთის მხარე,  
ჩვენი ტურფები ვაჭარმა შემდეგ  
გემით მიგვარა ბოსფორის კარებს.<sup>37</sup>**

ჭაობადაქუცეული კოლხეთის უმწეო მავლობარეობა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრითაა წარმოსახული 1937 წელს დაწერილ ლექსში „ბავშვობის მოგონება“. ეს ლექსი შემდეგ გამოცემებში, კერძოდ 1960 წელს გამოცემულ ერთტომეულში, აღარ გვხვდება. „ბავშვობის მოგონება“ როგორც სათაურიც მივგანინებებს, იგივე განწყობილებითაა დაწერილი რითაც წინა ლექსი. პოეტს ახსენდება „დავრდომილი კოლხიდის ელი“, ურუმბის ქრიალი, ციების შიში და ყოვლისმძღველი ქიანჯინის ძებნა, კოლოებით დაბინდული ეზოები, „ზაფრანისფერი“ ზეცა, ჭაობებიდან გულისგამაწვრილებელი ყუიანი და „წრიალი“, „ნაჭრიანი საბნის ჩიოვები“, ლაფში ნაწოლილი კამეჩები, ავღრიანი და უსიხარულო დღეები.

**ყვავის მსგავს ქალის თვალების ბნედა  
და შელოცვები ჭვარტლივით ბნელი.  
გრძელ ნეშოებით მწერების უღეტა  
და ბაყაყების ვალობა მწველი.<sup>38</sup>**

ასეთი მძიმე და უსიხარულო სურათების ხატვა პოეტს იმ მიზნისათვის სჭირდება, რომ დაპირისპირების საშუალებით კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენოს, რა მოუტანა ხალხს რევოლუციამ, ბორკილახსნისმა შრომამ, სოციალისტრმა მშენებლობამ.

მართალია, წარსულის ეს მწვევი განცდა პოეტს 1937 წელს ეწვია, მაგრამ გაცილებით ადრე, კერძოდ, 1934 წელს, მას უკვე მოეპოვება განახლებული კოლხეთისადმი მიძღვნილი პოეტური სტიქიონები, სადაც დიდი სიხარულით განიცდის ციებით დაბეჩავებული მხარის განახლებას. ასეთია ლირიკული პოემა „პალიასტომის ტბა“.

პალიასტომის „ტბის ტალღებზე მოჭრის ტივი“. ტივიტ ფოთისსაყენ მიდიან ახალი ცხოვრების სამი წარმომადგენელი გახუ, მისი ფევი სარდი და მშა სოვრატა. ობმოვითულ დაბლობს მთვარე დასცქერის, კამეჩივით თვლემს ჭაობი. „გახუ იგონებს წარსულ დღეებს, იგონებს გადმოცემას, თითქმის ამ ჭაობიან ადგილებში ხალხის განძია ჩაღლული. უბრალო მშრომელ ადამიანებს მიანიშნავთ, რომ აქ განძი მართლაც არის შენახული. „სარდი იტყვის: მე კი მჭერა ჭაობს შიგნით რომ განძია“. ამ განძის ამოღება და

**ნუგზარ ვარციელი**  
სოციალისტური მშენებლობის მემბტრანი

ხალხისათვის მხიზარება მხოლოდ შრომას ძალედს. ასევე ხდება: სოციალისტური მშენებლობის ტალღა გადაუარა უდაბურ ველებს, დაიძრა მშრომელთა ლაშქარი. „შრომს ჭაობს ხალხი მარჯვე, და ვანძს ართმევს მსუყე მიწას“. თანდათანობით ისპობა მიწის ხინჯი, იმარჯვებს სიცოცხლე, ჩნდება თურინჯებისა და ნარინჯების პირველი პლანტაციები. წარსულს ბარდება წყული ციება, მის ადგილს ახალი ცხოვრება იყავებს:

...წინ აქროლებს ტივს ცხოვრება,  
ღვას მტევნე და ციებით  
ძველ ჭაობებს ეთხოვება.<sup>39</sup>

1935 წელს დაწერილ ლექსში „კოლხიდის ვმირებს“ პოეტი სიხარულით აღნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე „მოწამული და ჭიანჭი“ დაბლობის ვდასარჩენად, ტანჯული ხალხის ვადასარჩენად „სამშობლოს გარეშე ადგნენ, ჭაობს აღუდგა ადამიანი“. კუნთებმავარმა თაობამ გოლიათ რიონსაც შეუცვალა ცალაოტი, ჭაობებიდან განდევნა წყევარამი ღამე, დაუნების მშვიდი სურნელით“ დასამარა ჭაობების დამხამველი სუნის, ღარიბულმა ფაცებმა თვალში გამოიხედეს, ამწვანებულ მიწაზე მშენებლობა გაჩაღდა, სიხარულმა დაისადგურა სოციალისტური ყოფა-ცხოვრების მშენებელი ადამიანების გულგზში.

ათასი წლებით მთველმარე მიწა  
გააცოცხლეს და შთაბერეს სული  
და დაწერა დროების ფიცარს,  
სიმწვანე, სუნთქვა და სიხარული.<sup>40</sup>

1937 წელს ფოთში დაწერილ ლექსში „მიდროლანი და მეზალე“ პოეტი ხალხისიანი განწყობილებით, ნათელი ფერებით, თავისებური ოსტატობით გვიხატავს ახალ კოლხეთს, გაცოცხლებულ მიდამოს, ხილით დახუნძლულ ხეებს, ვეფხის ტყავივით აფერადებულ საღამოს და აცხადებს:

ამაღლებული მეჩვენეა მიწა,  
ამომშრალიყო ჭაობის წყული.<sup>41</sup>

პოეტის განსაკუთრებული სიხარულის მიზეზია ის, რომ მოტაცებული თუ ვანადგურებული სიმდიდრე კვლავ დაუბრუნდა მშრომელ ხალხს და ახლა „ბაღში ჰკიდია ხეზე საწმისი“,

განახლებული მიდამო პოეტს მიიღობს და ბედნიერი მხოლოდ ადამიანთ ეყვს წარმოდგენილი. იგი გვიხატავს შესანიშნავ, გამარჯვებულ მანებს, რომლებიც გულმოდგინედ იბრძვიან სოფლად სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის. ახლა კოლხიდის დაბლობზე „საამო სით ქრის“. კოლმეფურნებმა ბრუნდებიან ყანებიდან და პლანტაციებიდან. მაღლა აწეულია ყველა ოჯახის ქერი, იგრძნობა დოვლათის სიუხვე, ჭანსალი ბავშვების ყიფინი ავსებს მიღა-

მოს. ხალხს საბოლოოდ დაუმოჩილებია პოეტის ჭეშმე ჭაობი და დაუმოშინებია მარბდიული ქაოსი.

მაღალ ურემზე, სოფლის იმედო,  
ყრია დოვლათი მტრების ჭინაზე,  
და თამეჯდომარე ველოხიბედით  
მშველდად მოხრილი მამქრის სილაზე.<sup>42</sup>

წერს პოეტი „ლექსში ჭირანხულის შემოსვლა სოფლად“. მის არსებას სამშობლოსადმი სიყვარული, პატრიოტიზმის ცხოველყოფილი გრძნობა ავსებს და იგი ხმაშალა მოუწოდებს თანამოქმედებს, ვისი მარჯვენაც სასწაულებს ახდენს: „ეოქვათ ჩვენ სამშობლოს სადიდებელი და ვადღეგრძელოთ მარად და მარადო“.

დამკერელები და სტახანოველები მომრავლდნენ სოფლად. ახლა ადამიანი თავის უბრავლეს ღირსებად და მოვალეობად შრომას მიიჩნევს, რადგან შრომამ იხსნა იგი ციებ-ცხელების არტახებისაგან, რადგან შრომამ მოიტანა ეს სილამაზე, ბარაქა, მიზანი. ახლა მშრომელი ვაქცაი მარტო მიწას კი არ სჭირდება, არამედ სულიერი სარდოსაც ეძებს, წიგნებს ეწაფება, რადიოს უსმენს, განხეის კიბუხულოს, ქვეყნის ამბები აინტერესებს და უყვე სოციალისტური მშენებლობის ძლევაშისილი გამარჯვებით აღზევებული საბჭოთა ადამიანის ტიპური წარმომადგენელია. იგი ვაქცათა სხვაგვარ სარბიელზე — სპორტშიც არ ჩამორჩება სხვებს. ახლაც ფოთისაკენ მიეშურება ცხენით, რომ იქაც დაიკავს საკუთარი სოფლის, კოლმეურნეობის ღირსება:

მიქრის ტოლებში ვაფი ქებული,  
ცხენის ნაღებით ვარსკვლავთ მთოველი  
და მწამს, ჩამოვა ვამარჯვებული  
კოლხეთის ბადის სტახანოველი.<sup>43</sup>

როდესაც სიმონ ჩიჭოვანის — შემოქმედებაში კოლხიდის თემის ვეხებით, შეუძლებელია არ ვავიხსენოთ მისი შესანიშნავი, გულთბილი სტრიქონები ტრეიან ტობაშის მიმართ. პოეტი ისეთი ნაღდი განცლით აღწერს ტრეიანის დამოკიდებულებას განახლებულ კოლხეთთან, რომ დარწმუნებულნი ვართ, საკუთარი სულთიერი ბიოგრაფიის ნაწილსაც აქსოვს მასში და ჩვენ ვხედავთ ეს ორი დიდი შემოქმედი როგორ ერთნაირად განიცდიდა სოციალისტური მშენებლობის ამ დიდ სიკეთეს, თვალსაჩინო მიღწევასა და გამარჯვებას: „როცა პოეტი ახალ, ვარდაქმნილ კოლხიდას პოეტურად აღწერდა, სოციალისტური მშენებლობის ამ უნების მატკერულ სურათში თავისი ბავშვობის მოგონება შემოქმედი, ამ მოგონებების მეშვეობით სოციალისტურ მშენებლობას საკუთარ ბიოგრაფიას უკავშირებდა და ეს ბავშვობაც თითქო ჩვენი მშენებლობის მოწმე ხდებოდა... ახალი კოლხიდა თითქო პოეტის ბიოგრაფიაში შესული სო-





ცილისტური მშენებლობის უბანი იყო და ამ უბნის შესახებ ნათქვამ პოეტურ სიტყვას განსაკუთრებული დანიტერესება და აღფრთოვანება ეტყობოდა, ეს სიცოცხლის შემცველი ხმა და ხალისი, რომელიც ტიციან ტაბიძის პოეზიაში შეიჭრა, საბჭოთა საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინების შედეგი იყო.<sup>44</sup>

1934 წლის გაზაფხულზეა დაწერილი პოემა „თქმულება ამირანზე“. („ძველი ამბავი“). ასეა იგი შესული 1939 წლის გამოცემაში. 1965 წელს გამოცემულ თხზულებათა II ტომში პოემას „წყალდიდობა“ ჰქვია და ძველი ამბავის წოდებაც მოხსნილი აქვს. ვფიქრობთ, პოემა სინეტერესია იმით, რომ ერთგვარად ეხმაურება იმ მოტივსა და ახლებურ განწყობილებას, რაც უკვე იყო დასმული დრამაშიანარსიან ლექსში „შემოღამება ხანმატში“ ჯერ კიდევ 1930 წელს. აქაც აღწერილია რევოლუციამდელი წარსულის ნიდუხშირე და სიღარიბე. ათასგვარ უბედურებას ბუნების სტიქიური მოვლენებიც ემატებოდა, აღიდებული მდინარე ყველაფერს მიღუკავდა. არსათ ჩანდა საშველი, სოფელი დუმოლსა და უიმედობას მოეცა. ვნახუი ამირანის მამა-პაპა შეგუებული იყვნენ ამ ვებას და ვაობის პატივით იხუთებოდნენ. „ამირანს კი სურს ბედი გაკეთოს, გარბის სოფლიდან, ოცნების ჭზირი“... მაგრამ ეს არ არის მხდალი, ლარტული ის უბრალო გაქცევა. პოემის გმირი მიელტვის უკუვთს მომავალს, რაც მისთვის ახალ დროს მოაქვს. მას სურს შეიგრძნოს ეს სახლები, ისწავლოს, მიაღწიოს, ცოდნა შეიძინოს და ალბათ შემდეგში სათანადოდ შეიარაღებული შეეცდება მშობლიური სოფლის შველას.

ამირანის წინ, ფოლადის რაში  
კეცავდა ხივრცებს, კვადლის თმინი,  
და მას მისდევდა ოცნების ვაჟი —  
პირველყოფილი ადამიანი.

ახალი, სოციალისტური მშენებლობის გარდამქმნელი ძალით დამშვენებული თბილისი სიმონ ჩიქოვანისათვის ოცნებასა და სიყვარულს განასახიერებდა. პოეტს თბილისის წვიმაც ახარებდა, უეცრად მოსული „წყვიმა ქლურტულა“, როცა ქალაქს ხასხასა სიმწვანე ედუნება, როცა ტოტებს იშმუშინან ახოვანი ხეები და სახურავებს კრიალი ემატებათ; ისეთი ნათელია ხილვა, რომ ამ დროს ლურჯად გადაგრეხილი მთებიც უფრო მკაფიოდ ჩანან. ნაწივმარ ქალაქს რომელსაც კვლავ გადმოხვდაც თბილისის ცხელი მზე, ემზი და ელფერი ემატება. ბუნების თავისებური ელვარე მეტაფორებით აღწერა პოეტს თათოს იმისთვის სჭირდება, რომ ლამაზი ფონი შეუქმნას ახალი ცხოვრების მშენებლებს და მტკაღმოდელი ორიგინალური შედარებით გეჩვენოს მშობლიური ქალაქის ზრდა:

ბაღში დარჩება ცვარი მრავალი,  
მზე ესალმება ქვეყნას მშენებელს.

და მთაწმინდაზე სახლნი მავალნი  
მთამხველვლებივით შეიცვენებენ.<sup>45</sup>

რკალი ლექსებისა „თბილისის ჩუქურთმები“ საქართველოს უძველესი დედაქალაქისადმი უსასღღროს ლტოლვიანთა გამსჭვალული. პოეტს თბილისის ყოველი სიახლე ახარებს. აპრილის სურნელოვან დღეს იგი სიამოვნებით მიდის ახალი სოციალისტური თბილისის მშენებლებთან, რომ ახლოს ნახოს როგორ ჩამდგარან მტკვარში „გამარჯე მუშები და უსწორებენ დამტვრეულ ნაპირს“. მტკვარი აღარ არის უბრალოდ მარბენალი და მობუტბუტე მდინარე, რომ მასთან მხოლოდ „ფიქრთ გასართველად“ მივიდნენ. იგი უკვე სინაღლის ძლიერი წყაროა და თეთრი ნახშირით აფერმკრთალებს ქალაქის ღამეს. აქ მარადისობა უერთდება დღევანდელობას და ამ შეერთებაში უდიდესი პრობრტეტი მიეკუთვნება ამ უქანასკნელს:

და თბილისელი ხტახანოველი  
უტკერის მტკვარს და მარადისობას.<sup>46</sup>

თბილისის ყველა უბანი ძვირფასია და მახლობელი პოეტისათვის. მათ ახლებურ გამოხედვაში „ხვალინდელი დღე ნივთიერდება“. „მიყვარს უებრო შენი უბნებით“, — მიმართავს პოეტი ქალაქს, რომელთანაც დაკავშირებულია მისი სიჭაბუკის, მისი კაცობის, პოეტუნ მიღწევების ყველა დღე. სიმონ ჩიქოვანს განსაკუთრებით ახალი თბილისი ოზიდავს. „ვაკის მშენებლებს ეაშა გავძახეო“, როცა წერს პოეტი ეს არის დიდი მოწონების და გულითადობის გამოხატულება. მას აღაფრთოვანებს ის გარემოება, რომ ხევისა და დაღერაული ფერდობების ადგილას ფაბრიკა, თანამედროვე ქუჩა გაჩნდა. სწორედ ამ ადგილს ემთხვევა პოეტის სტუდენტობის წლები, ახლა იგი დგას, „ქვეყნის ფიქრებს უერთდება“ და შუახანს მიღწეულ პოეტს (ლექსი „ქუჩის დაბადება“ 1959 წელსაა დაწერილი) კვლავაც სურს იყოს მშრომელი, მკლავმოუღლედი მშენებელი მშობლიური ქალაქისა, რომ აქაც უჩვენოს მაგალითი ახალგაზრდობას:

მინდა ვიყო ქვისმთლედი და ხური,  
ქვას ვრანდავდე ან ვარდვევდე ზღუდეს,  
ლუკმა ღრუბლით სული დავაპური,  
ცალი ფხებით წინ გავუსწრო ხტუდენტს.<sup>47</sup>

სტუდენტობის განცდა პოეტის არსებაში ორგანულად უკავშირდება სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი გამარჯვების თემას. რევოლუციამდელ საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელიც კი არ იყო. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ძლიერ მოხერხდა ქართული უნივერსიტეტის

ნუგზარ შირთიელი  
სოციალისტური მშენებლობის მემბრინანი

გახსნა. პოეტის მამა, მწიგნობარი და სწავლავანათლებლის მოტრფილად ივანე ჩიქოვანი, ოცნებობდა შვილს უმაღლესი განათლება მიეღო, რადგან მას „სტუდენტის წმინდა თარსება სწამდა“ და ხშირად ოცნებათ უერთდებოდა „ნევის ნაპირზე აპართულ ქალაქს“, სადაც ფართო სარბიელი იყო ვალაშვილი უმაღლესი განათლების მიღებისათვის. სოციალიზმის გამარჯვებას უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი მოჰყვა. ახლა პოეტი სტუდენტთა მთელ ქალაქს გასცქერის, სადაც ცხოვრობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალ-გაენი, რომ სწავლა-განათლებით აღკურვილები დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს და უფრო ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში: სიჭაბუკე, სტუდენტობა კი პოეტის ღრმა რწმენით ქვეყნის მომავალია, რომელთაც მეტი შემოქმედებითი გაქანებით უნდა განავრტონ მამების დაწყებული დიადი მისია. 1940 წელს დაწერილ ლექსში „სტუდენტთა ქალაქი“ პოეტი აღნიშნავს:

მოხსნელია თუ მეცხვარე კუშით,  
ან მოკენწლაზე ფიცხელი ვაჟი,  
შინ მიბრუნდება მოსული გუშინ,  
რომ ხვალ იზრომოს შორეულ მთაში.<sup>48</sup>

ისევე როგორც ტიციან ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანი ყველა პოეტს, ვინც კი საკუთარ შემოქმედებაში შეძლო მთელი სივრცე-სივრცით, მთელი მონდომებით აესახა ჩვენს თვალწინდელ სამშობლოში მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის მრავალმხრივი პროცესები, ამას უდიდესი ღირსების საქმედ უთვლიდა. ამ შეძილება გაეცხსნათ სიმონ ჩიქოვანის მოსაზრებები დიდი საბჭოთა პოეტის ნიკოლოზ ზაბოლოცისადმი მიძღვნილი წერილიდან: „ნიკოლოზ ზაბოლოცის პოეტური მონუმენტურობის განცდა ძლიერ მკაფიოდ გამოქმდებოდა სოციალისტური მშენებლობის თემებზე დაწერილ ლექსებში. ამ ნაწარმოებებში პოეტმა შეძლო სოციალისტური შრომის გამოსახატავად შესაფერი საღებავი ეპოვნა და ერთგვარი სახეიმო ინტონაციის მეშვეობით აემალღებინა გმირული ცხოვრების სურათები, ეჩვენებინა ტიპიკუმი და უსივრცე ტრამალებში ჩვენნი ხალხის მარჯვენით დაწერგვილი სიკაცხლე. პოეტმა შეძლო სრულყოფილად აესახა შორეული გზების მშენებლობა, ურალის ხუთწოდების სიდიადე და ციმბირის სივრცეების სოციალისტური ვარაქმნი... ასე სრულყოფილად პოეზიაში იშვიათად თუ ვინმეს აუხსავს სოციალისტური მშენებლობის მიღწევები საბჭოთა ვაჭირის შორეულ კუთხეებში.“<sup>49</sup>

სოციალისტური მშენებლობისათვის შესაფერისი ლიტერატურის შექმნის რთულ და ხანგრძლივ პროცესში სიმონ ჩიქოვანს ერთ-ერთ საბასუხისმგებლო პრობლემად ესახებოდა დადებითი გმირის შექმნისათვის გულმოდგინე მუ-

შაობა. როგორც ზემოთაც დავინახეთ, 20-იანი 30-იანი წლების პოეზიაში სიმონ ჩიქოვანი დადებითი გმირის პორტრეტის გამოქმედებას ვერცხვართული. იგი სულიან-ხორციანად იყო დაკავშირებული ამ სამავალითო გმირთან, რომელიც მოვიდა ახალ ცხოვრებასთან ერთად, თავის კლასთან ერთად და მოიტანა საკუთარი ფოლკლისებური შემართება. 1932 წელს დაწერილ ლექსში „გმირი და წინ“ სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავს:

უამს ქილიზისას მოვიდა იგი  
დაზგასათან, მინდვრად, მთებში და სულთან,  
ჩადგა ცხოვრების თვალების შიგნით,  
აზრით მჭრელი, გულვით სუფთა.<sup>50</sup>

ასეთ მოწინავე აღამიანთან ურთიერთობა, სიხალფე, ძმური დამოკიდებულება პოეტს თითქოს მოწოდებდა დაუსახავს. მისი მიზანია გმირს მხარში ედგეს და მართალ ცხოვრებისეულ სურათებს ქმნიდეს მასზე, ვინც უშუალოდ ქმნის ახალ ცხოვრებას, მატერიალურ დოვლათს, სიკეთეს და ბედნიერებას; იგივე ლექსში პოეტი შესანიშნავად წერს ამ ერთიანობისა და ურთიერთკავშირის შესახებ:

მომეცი ხელი, გავსწიოთ ძმურად,  
გულს გული იცნობს და გმირს მწერალი.  
შენ ცხოვრებას ქმნი, მე შენზე სურათს,  
დავჭრათ, გავფრინდეთ რკინის მერაწით.<sup>51</sup>

დადებითი გმირის სახის შექმნისათან დაკავშირებით პოეტი ბევრ საყურადღესო საკითხს აყენებდა თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებსა თუ ლიტერატურულ წერილებში. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ისინი კვლავ აქტუალურად ელერებს და ინტერესს მოკლებული არ იქნება, ვრცელდ მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი.

1947 წელს მოხსენებაში „საბჭოთა საბჭოთა ლიტერატურა ეურნალების „ხვეწისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. ბ. ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“ სიმონ ჩიქოვანი მკაფიოდ აღნიშნავდა: „...ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი მაღალხარისხიანი მოქმედი მწერლობა, საბჭოთა მწერლის მიერ შექმნილი ნაწარმოები სიკაცხლთ სავსე უნდა იყოს და საბჭოთა სინამდვილეს ელვარე პოეტური სახეებით უნდა უმღეროდეს. იგი საბჭოთა წყობილების, საბჭოთა სინამდვილის უპირატესობას სიტყვის არტისტული ელვარებით და მკაფიო სახეებით უნდა გვიხატავდეს. საბჭოთა მწერლობაზე ზედმიწევნით მკაფიოდ უნდა ასახოს საბჭოთა წყობილება და ამ წყობილების სულს მატარებელი აღამიანის სახე. ამ მხატვრული ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა მწერლობაში მთავარი უზრუნველდება მიექცეს დადებითი გმირის სრულყოფილი განვითარების საკითხს... დადებითი გმირის მხატვრული წარმო-



სახვა ჯერჯერობით ვერ არის მაღალ დონეზე დაყენებული...<sup>52</sup>

სხვა ადგილას, კერძოდ იმავე წელს გაკეთებულ საინტერესო მოხსენებაში „ახალგაზრდა მწერლობის შემოქმედების საკითხები“ სიმონ ჩიქოვანი კიდევ უფრო კრიტიკულად განიხილავს დადებითი გმირის პრობლემას ქართულ ლიტერატურაში, უპირისპირებს მას რუსულ ლიტერატურის აღიარებულ მიღწევებს და ამ შედარებით ფონზე თითქოს უფრო ნათლად გვიჩვენებს ნაკლოვანებათა სურათს:

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი გმირის სამდელი გამოაქრწვა სრულყოფილად ვერ მიხერხდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში თუ რუსმა მწერლებმა მ. შოლოხოვმა, ალ. ფადეევმა, ლ. ლეონოვმა, ვს. ივანოვმა და სხვებმა წარსულში შექმნილ გმირ დადებითი სახე, სამამული ომის შემდეგ კიდევ უფრო გამრავლდნენ საბჭოთა გმირები და პირველი, ვინც მათი სახეები აღბეჭდა და განაზოგავდა — იყო ფადეევი. უნდა ვთქვა, რომ რუსი მწერლები უფრო დაახლოებული არიან სამამდელი სიბრძნისა და უფრო ღრმად სწვდებიან გმირის მდიდარ ფსიქოლოგიურ სამყაროს...<sup>53</sup>

სიმონ ჩიქოვანი პოეზიას ხალხის, ქვეყნისა და საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილად მიიხსენებდა. მისი აზრით რამდენად უფრო იდეური, განათლებული და მომზადებულია პოეტი, იმდენად მაღალია მისი პოეტური სამყაროც და უპირველესი მიზანიც — სოციალისტური ურთიერთობის, ახალი ადამიანის ჩვენების საკითხი. „ჩვენი პოეზია, — აღნიშნავდა სიმონ ჩიქოვანი ჯერ კიდევ 1936 წელს კიევში ჩატარებულ უკრაინულ პოეტთა რესპუბლიკურ თათბირზე, — ესაა ბიოგრაფია ქვეყნისა და ამჟვე დროს პოეტისა, რომელიც საკუთარი ლირიკული სახის გახსნით თანამედროვე ადამიანს გვიჩვენებს...<sup>54</sup>

პოეზია მეტისმეტად ახლოს უნდა იყოს ცხოვრებასთან. ეს ასეც არის, რადგან უძველესი დროიდანვე ქართველ კაცს ლექსი ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი, ცხოვრების დამამუწვენებლად და სულიერ საზრდოდ მიაჩნდა. საბჭოთა სინამდვილე უდიდეს ასპარეზს უსახავს პოეზიას. სიმონ ჩიქოვანს იმედი აქვს, რომ ქართული პოეზიაც უფრო მეტად ეპიკური გახდება, რთაც მკვეთრად შეეწყობა ხელი დადებითი გმირების განზოგადებულ სახეთა შექმნას:

„საბჭოთა სინამდვილეში პოეზია ხალხის ცხოვრებას ორგანიულად უკავშირდება, ამიტომ იგი შეძლებს ჩვენი სინამდვილის ეპიკურ წარმოსახვას. საბჭოთა სინამდვილეში, ახალი გმირების ქვეყანაში უნდა შეიქმნას მძლავრი პოეტური ეპოსი, რომელმაც უნდა გამოაქვეყნოს გმირთა მონუმენტური სახეები...<sup>55</sup>

სიმონ ჩიქოვანი წერს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა მწერლის მიერ

შექმნილი ნაწარმოები, რომელსაც ევალება ხალხის სულიერი ზრახვების, ფიქრების, მისწრაზებების გადმოცემა, დადებითი გმირის შექმნაც და ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუკი საბჭოთა მწერალი შთაგონებულად არ ფლობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მთლიანად არ ეყრდნობა მის პრინციპებს, მაშინ შემოქმედებით ჩაყარდნაც და მხატრული სისუსტეც გარდაუვლია. ზემოთ აღნიშნულ მოხსენებაში ჟურნალების „ზეზუნდასა“ და „ლენინგრადათან“ დაკავშირებით სიმონ ჩიქოვანი წერდა დასახული ამოცანებისა და ზოგიერთი მიუღებელი ტენდენციის შესახებ:

„ყოველი საბჭოთა ხელოვანის ნაწარმოები აქტიური სულის მატარებელი უნდა იყოს და ესთეტიური შემოქმედების გზით იგი უნდა აღსრულებდეს მეთიხველში მოვლადობისა და შემოქმედების წყურვილს. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ზოგიერთი ქართველი მწერლის ნაწარმოებს — მასში ჩვენ ვერ ვგოვებთ საბჭოთა ხალხის სულიერ დინამიკას, საბჭოთა ადამიანის ხასიათის განვითარებას, ვერ ვიხილავთ, თუ როგორ იზრდება საბჭოთა მოქალაქე სულიერად და როგორია იგი ყოველდღიურად. მრავალი საბჭოთა მწერლის ნაწარმოები უმთავრესად ცხოვრებაში მოხდარ შემთხვევითა ილუსტრაციულ ვაზრებას ისახავს მიზნად და სოციალისტური რეალიზმის მხატრულ კონცეფციას არ ექვემდებარება...<sup>56</sup>

სოციალისტური რეალიზმის ყოვლის მოცეული მეთოდის პრინციპების დაცვა და რაც მთავარია, ცხოვრებაში, მხატრულ შემოქმედებაში მისი მაღალ დონეზე გატარება სიმონ ჩიქოვანს თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნდა. იგი საქმით ამტკიცებდა იმ ეპოქალურ დებულებების სისწორეს, რასაც აყენებდა ამხანაგი ქდნაოვი ცნობილ მოხსენებაში ჟურნალების „ზეზუნდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ. სიმონ ჩიქოვანი იცავდა და თავისებურად აწვითარებდა იმ აზრს, რომ სოციალისტური რეალიზმი საშუალებას აძლევს საბჭოთა მწერალს სრულად გამოთავისუფლოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობა, ჩააყენოს იგი ნათელი მოამალის მშენებელი ადამიანების სამსახურში. „სოციალისტური რეალიზმი, — აღნიშნავდა სიმონ ჩიქოვანი, — გულისხმობს კლასიკური მეგვიდრეობის საუკეთესო მხარეების შეთვისებას და ახალი სინამდვილის მაღალი მხატვრული სახეებით გახსნას. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ სოციალისტური რეალიზმის მეოხებით მწერლობა ერთფეროვანი ხდება და მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალობა იკარგება. ამგვარი შეხედულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. სოციალისტური რეალიზმი ფართო ცენ-

**ნუზზარ ვარამიელი**  
სოციალისტური მშენებლობის მემკვიდრე



ბაა და იგი ყველაზე მეტად უწყობს ხელს მწერლის თავისებურების გაფურჩქვნის და მხატვრული წერის მრავალფეროვნების დამკვიდრებას. სოციალისტური რეალობის აერთიანებს სულ სხვა და სხვა სტილის და სხვა და სხვა პოეტური გაქანების მწერლებს, მხოლოდ ყოველი საბჭოთა ნაწარმოების შინაარსის განმსაზღვრელი უნდა იყოს სოციალისტური სინამდვილე და ამ სინამდვილის განვითარება.<sup>57</sup>

სოციალისტური რეალობის აქტუალური პრინციპებიდან გამომდინარე განიხილავდა სიმონ ჩიქოვანი ქართული დრამატურგიის, ქართული მხატვრობის, ფერწერის საკითხებსაც. სოციალისტური რეალობის მეთოდის უნარიანი გამოყენების გარეშე მას ვერ წარმოედგინა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში რაიმე ახლებური, მნიშვნელოვანი, ნაწარმოების შექმნა, სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩამბული ხალხის გაზრდილი გემოვნების დაქაყაფილება.

1948 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის VI პლენუმზე მოხსენებაში „თანამედროვეობა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში“ სიმონ ჩიქოვანი ამბობდა: „ჩვენმა დღევანდელმა დრამატურგიამ უნდა განაგრძოს და გააღრმავოს წარსულის საუკეთესო ტრადიციები და სოციალისტური რეალობის მეთოდით გვიჩვენოს ახალი, საბჭოთა ეპოქის ადამიანის ხასიათი, თვისებანი“.<sup>58</sup>

გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ, 1933 წელს დაწერილ ვრცელ წერილში „ქართული მხატვრობის გამოყენება“, სიმონ ჩიქოვანი წინა პლანზე აყენებდა სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური რეალობის საკითხებს ქართულ მხატვრობაში. „ქართული მხატვრობის უთანასკნელი გამოყენება, როგორც გამოყენის საათური გვეუბნება, მიძღვნილია პირველი ხუთწლეულის მშენებლობისადმი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის თემატიკით შემორკალულია ჩვენი მხატვრების ფერებით და ხაზებით ამეტყველებული ტილოები“.<sup>59</sup>

საინტერესო, პროფესიული მიმოხილვითი წერილის შემდეგ ნაწილში სიმონ ჩიქოვანი მკაცრად აკრიტიკებს ჩვენი მხატვრების თემატურ სიღარიბეს, ჩამორჩენილობას, მკერე მას-შტაბებით შეზღუდვას და მოუწოდებს მათ სოციალისტური რეალობის მეთოდით აუცილებელი შეიარაღებისკენ, რომ თანამედროვეობის თემებმა უფრო ფართო და სათანადო ასახვა პპოვნ: „პირველი დიდი ნაკლია თემატური სიღარიბე, — წერს გამოყენის შესახებ პოეტი. პირველი ხუთწლეულის თემატკა, სახალხო მეურნეობის ფართო მასშტაბები არ შეიძლება, ვთქვათ, მხოლოდ ჩაის კრეფის ამსახველი სურათებით ამოიწუროს. მხატვრები არ უნდა გამოვიდნენ შრომითი პროცესების ილუსტრატორთა რიგში... სოციალისტური რეალობის

მისაკენ ლტოვა მხატვრებისა ნიშნავს ახალი წარმოა ურთიერთობისათვის ახალი მხატვრული ფორმის მონახვას და ახალი მხატვრული მით დღევანდელი შინაარსის გამოთქმას“.<sup>60</sup>

სიმონ ჩიქოვანი ბუნებით მშრომელი ადამიანი იყო. მის ლექსებში, პოემებში, მოხსენებებსა თუ ლიტერატურულ წერილებში ნათლად ჩანს უზარმაზარი შრომისმოყვარეობა. შრომა პოეტს ცხოვრების საფუძვლად მიანდა და, — და თქმა უნდა, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებაც შრომის გარეშე ვერ წარმოედგინა. 1950 წლის გაზაფხულზე დაწერილ ლექსში „სამგორის ველზე“ შესანიშნავად ამბობდა სიმონ ჩიქოვანი:

სამშობლოში შრომამ შექმნა ხილამაზე,  
შემკობილი ღირსებით და ძლიერებით.<sup>61</sup>

„შრომა და შრომისადმი განსაკუთრებული სიყვარული, — ხაზგასმით აღნიშნავდა პოეტი 1947 წელს, — საბჭოთა ხალხის მთავარი ადამიანისათვის თვისებებია. შრომა ჩვენს სინამდვილეში ადამიანის მთავარ მოთხოვნილებად სახელისა და ღირსების საქმედ იქცა; შრომისადმი ახალი დამოკიდებულება სცვლის საბჭოთა ადამიანის ოჯახურ ცხოვრებასაც. საბჭოთა ადამიანი განუწყვეტლად ახლებური განცხადებით მდიდრდება და შეუწელებლივ მდიდრდება, მრავალფეროვნდება საბჭოთა საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრებაც. იბადება საბჭოთა ადამიანის ახალი და ახალი თვისებები“.<sup>62</sup>

საბჭოთა ეპოქა შრომის არნახული აღზევების ასპარეზად იქცა. თავდადებული, პატრიოტული შრომითი საქმიანობის გარეშე წამოუდგენელი იყო სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება. ეს ეპოქალური მოთხოვნილება სიმონ ჩიქოვანმა თავიდანვე იგრძნო. 1924 წლის სექტემბერში, ფუტურისტული გატაცების პერიოდში, როცა ახალგაზრდა პოეტს 21 წელიც კი არ შესრულებოდა, იგი წერს ლექსს „მოსკოვი ოქტომბერში“. აქ ზოგიერთი ბუნდოვანი სტრაქონების გვერდით ასეთ ნათელ სტრაქონებსაც ვხვდებით:

თვითონ ქარხნები აქ მოდიან ხაარჩვენო გრძელ  
ნაბიჯებით...

პროლეტარებში ლენინივით ხდებდა ტრიბუნა...  
ემოსი გრძელი, დაწერილი მუშის ქარხნიდან...<sup>63</sup>

1927 წელს კვლავ საბჭოეთის დედაქალაქისადმი მიძღვნილ ლექსში „მოსკოვი“ სიმონ ჩიქოვანი უფრო ნათლად ხედავს ქარხნების, მუშების მძლავრი ნაბიჯებით წინ მავალი ინდუსტრიალიზაციის პირველ თვალსაჩინო შედეგებს, სწორედ შრომის მეისეხათ მიღწეულ დიდ წარმატებებს:

ხალხი მოძრაობს და ნიცოცხლე ირგვლივ  
ქმუხარებს,  
მთელი ქალაქი დატვირთულია შრომის  
ნაყოფით...



**მირბის დროება რეინასა და შრომას  
ავრცელებს...<sup>64</sup>**

შრომის სუფევა რევოლუციის გამარჯვებას მოჰყვა, მანამდე იგი ჩავერისა და ექსპლოატაციის საშუალება იყო. რევოლუციის გამარჯვების, მის შიგნით მოტანილ ყველა სიკეთეს პოეტო-ორიგინალურად უკეთესობის რუს ხალხს, მოსკოვს, კრემლს—რევოლუციის სიმბოლოს. სწორედ ამ მიზნით 1952 წელს დაწერილ ლექსში „პურის მკა“, როდესაც პოეტი მხატვრულად აღწერს მკაში როგორ „შრომობს მთელი მხარე“, როგორ ცვივა ბუნკერებიდან ქარვასავით ხორბალი, ქარავენებად გაბმული მანქანებით როგორ მიდის პური საშობლოს ბეღელში ჩასაბარებლად, იგი წერს:

**კომბაინზე დგანან ძმები  
და მგონია, მაღლიდან ჩანს კრემლი.<sup>65</sup>**

შრომა კაცობრიობის სანუკვარი ოცნებაა, იგი საფუძველია ქვეყნის ძლიერების, წინსვლის, მშვიდობის. სწორედ აქტივობა მიგვანიშნებს პოეტი „მოამკვლს შეაქვს მშვიდობისთვის წვლილი“.

შრომისთვის ჰიშინი გაისმის ლექსების საუტყობო ციკლში „ქართლის საღამოები“. პოეტს ქართლის შუაგული—გორი გაუნელებელი სიყვარულით უყვარდა, ისევე როგორც უყვარდა საქართველოს ყველა კუთხე—კუნძულო. 1947 წელს ეწვია იგი ატენის ხეობას, კიდევ ერთხელ ნახა მშრომელი ადამიანების გარჯა, აკადემიკოსი შრომა ხუთწუღის დავალებათა შესრულებისათვის. ხეობაში მოგზაურობისას თანამედროვეობის დიდი მიღწევების გვერდით, მისი პოეტური ფანტაზია წარმოსახავდა იმ დაუფიქრებელ ადამიანებსაც, რომლებიც თავის დროზე ქანცვასაწყვეტი შრომით საშობლოს დიდებას და ამიდლებას უწყობდნენ ხელს. ეს შრომა თაობათა განუწყვეტელი ესტაფეტისათვის გრძობდება. ლექსში „ატენის ხეობაში“ პოეტი წერს:

**ვეხოტბები მე მშრომელთა ხაქმეს,  
გამარჯე მელავი ამ ხეობას ამშვენებდა,  
წრფელი სიტყვით ვადიდებ და ვაქებ,  
ვინც ქვეყანას აშენებს და აშენებდა.<sup>66</sup>**

შრომა სიმონ ჩიქოვანისათვის სიკბაუკისა და ერთგვარი სულიერი გაუმაწვილებების საშუალება იყო, მთელი არსებით განცდიდა შრომის დიდ გარდაქმნელ ძალას. 1949 წელს იგი კვლავ ეწვია ატენის ხეობას, კვლავ ნახა „ხორბლის ხეაღი კოლმეურნის აივანზე“ და სახალხო ენთუზიაზმით ვლესკაცივით თავით-ფეხამდე გაქდენილიმა თატონისტურად განაცხადა:

**მიფიქრია, აწ არასდროს დავბერდები,  
რადგან შრომით გამოვწაფე გული.<sup>67</sup>**

პოეტს ღრმად ჯერა, რომ საქართველოს უკვლავება სწორედ ამგვარ შრომასა და შენე-

ბაშია გუთნის დედებისა თუ მეციხოვნეების ვმირული სული ახალი სოციალისტური ყოფისკრეინაში მშენებლებს გაღმოვით, უღრესად ხელსკრეინაში ყველ პირობებში იგი გაათკეცდა და ახალასაწაულებს ახდენს. 1948 წლის შემოდგომაზე ლექსში „კოლმეურნის აივანზე“ ემზიანი ლიბნით ანთებული პოეტი გამარჯე მარჯვენით აყვავებული მამულის სადღეგრძელის სეამს და ყველას მოუწოდებს „ავადღეგრძელოთ დღე-ღანდელი საქართველო“.

**მახინძელო, შენს მარჯვენას ვაშა,  
საქართველოს უკვდავებას გაუშარჯავს.<sup>68</sup>**

შრომისა თუ მშრომელი ხალხისადმი სიყვარულს სიმონ ჩიქოვანი ყველა ტემპირიტი შემოქმედების უღიდეს ღირსებად თვლიდა. ეს თვისება თუ ხაზი მას განსაკუთრებით მოსწონდა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. „პოეტს სწამდა,—ადნიშნავდა სიმონ ჩიქოვანი,—რომ საქართველოს მომავალი უნდა გამოეკვდა მშრომელ ხალხს და ეს მშრომელი ხალხი ანიჭებდა მას ბრძოლის დაუშრეტელ უნარს ისტორიულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებში აკაკი წერეთელმა ქართველი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებების გამომსახველად ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ბაში-აჩუკი, კიკოლა, გელა და ცირა გამოიყვანა, ხოლო ლირიკაში დიდი სიყვარულითა და შთაგონებით აამღერა პრლეტარი და ყანის მუშა, მომეკელი და გამარჯელი ქართველი დედა, მეომარი გლეხი და, საერთოდ, სიცოცხლით სავსე ქართველი მშრომელი ადამიანი.“<sup>69</sup>

სიმონ ჩიქოვანის მაღალი რწმენით, ყველა მიღწევათა სულის ჩამდგმელი და წინამძლოი, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ორგანიზატორი არის კომუნისტური პარტია და მისი შემქმნელი უკვდავი ლენინი. ჯერ კიდევ 1930 წლის იანვარში ვ. ი. ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ გაუნელებელ ტკივილს მიუძღვნა მან ლექსი „ოცდაერთი იანვარი“. პოეტი ფიცს აძლევს დიდ მასწავლებელს, ვინც შეასწავლა კაცობრიობას „გონიერული ჰერეტა მყოფადის“, ვინც დასახა კომუნისმის აშენების გზები, რომ ბოლომდე მიიყვანენ გენიალურ ნააზრევს და მიადწვენენ დასახულ მიზანს:

**მოღის ცხოვრება და მშრომელი მიწას იბეებს,  
გავშალეთ შრომა და გაიხსნა ქვეყნის ციხარია  
ყოფას ვაშენებთ; კომუნისმის ახალ კიბეებს  
დღითი-დღე ვაგებთ და მივდივართ  
სოციალიზმისაკენ.<sup>70</sup>**

პატრიოტ პოეტს გულწრფელად აზარებდა სოციალისტური მშენებლობის ყველა მიღწევა, დადებითი დაფუძნება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არც არსებულ ნაკლოვანე-

**წმუზარ წარმთელი  
სოციალისტური მშენებლობის მიგაბიანი**

ბებს უვლიდა გვერდს, არც შემორჩენილი მანკირებების გამოშვებებს თაყილობდა და ამითაც ადასტურებდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის არსებობას გამოყენებას. საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება უკვე ჩანს 1927 წლის გაზაფხულზე დაწერილ ლექსში „მუშათა კლუბი საფრთხეშია“, რომელიც 1933 წლის შემდეგ არც ერთ გამოცემაში აღარ გვხვდება. აქ იგი აკრიტიკებს ჩამორჩენილ ადამიანებს, რომელთაც არ ესმით ღრობის გაზრდილი მოთხოვნებისა და მუშანური ყოფის სფეროს ვერ ცილდებიან:

რა გვეჩქარება კომუნისმადღე,  
იყავ მშვიდად და კლუბში დაქვეი.<sup>71</sup>

1928 წელს განეკუთვნება ლექსი „ბიუროკრატის შესახებ“, რომელიც ასევე შემდეგ გამოცემებში აღარ არის შეტანილი. აქ იგი მკაცრად, ზიზღით აკრიტიკებს ახალგაზრდა კაცს, რომელიც თანამდებობრივმა მდგომარეობამ დააბა, გააყოლოჩინა და ბიუროკრატად აქცია.

ის უკვე აღროს მიეკრა ზედმეტ ხორცივით“ და ქაბა—სმას, მლიქვნელობას, ცოლის ტრფილის გადაყოლოოს, კრიტიკასაც აღარ ერიდება. პოეტის სურვილია მოწინავე შშრომელთა რიგებიდან ასეთი ახალგაზრდების—თუნდაც ერთფულების განდევნა და საბოლოო მხილება, რომ შეწყდეს მათი მიუღებელი მოქმედება:

მას ყველა ზედავს (და ჭერ ვერ იჭერს)  
კომისარადან — კურიერამდე.<sup>72</sup>

ამ წლებში ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი დაუნდობლად აკრიტიკებდა იმ პოეტებსაც, რომლებიც ჩაიყეტნენ საყუთარ ნაქუქში, ვერ გაერკვენ ეპოქის მოთხოვნებში და მყუდრო ოთახით შემოზღუდეს ვრცელი სამყარო. ეს იმ დროს, როცა „სავარძლებს ებრძვის ახალ აზრთა მშობი დაზგები“, როცა გარეთ ფრთებს ხვლის სოციალისტური მშენებლობა და იწყება სწავლის ძლიერად გარდაქმნა.

რევოლუცია არ მოხვდესო ოთახის ცისკარს  
და ნუ ხარჯავთო კადნიერნი უშარავ მელანს.  
მემკვიდრეობა ვაღმოვცევა მამა-პაპისგან  
ვიყოთ ნაქუქში ჩვეულებრივ და  
გარდუქმენლათ.

ეს კრიტიკული სული, პრინციპული დამოკიდებულება ცხოვრების მახინჯი მოვლენებისადმი პოეტს ბოლომდე ვაკყვა და არაერთხელ გამოვილინა მის ლექსებსა, წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის განსაკვირებელ წარმატებებს სიმონ ჩიქოვანი ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა სამშობლოს პატრიოტის მაღალი პოზიციებიდან ვანიხილავდა. იგი ცხადად ხელდავდა, რომ ხალხთა ძმურ ოჯახში საქართვე-

ლომ ისეთ გრანდიოზულ გარდაქმნებს მიიღწეოდა, რის შესახებ უგრძობი საუკუნეების მანძილზე ოცნებაც კი არავის შეეძლო. ჩიქოვანი ამიტომ აფასებს და აღიბებს სიმონ ჩიქოვანის უანგარო, ძმურ მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, მეზობელ აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა მოძვე ხალხთან, სოციალიზმის ბანაკის ყველა ხალხებთან მეგობრობის ცხოველყოფილ განცდა მთელი—სიგანით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დღეებშიც, როდესაც ვერაგი ფაშინი შეეცადა ფეხქვეშ გაეთელა სოციალიზმის დიდი მონაპოვარი, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულროვნად აღსდგნენ ოქტომბრის მონაპოვრების მკერდით დასაცავად, სისხლის უქანასენელ წვეთამდე საბრძოლველად. ამ მძიმე და გაღამწვეტ დღეებში, კერძოდ, 1941 წლის დეკემბერში, პოეტი ძმური გრძობით გაედუნელო მუქს უგზავნდა დიდ გამოცდისა და განსაცდელის წინაშე მდგარ მოსკოველ მეგობრებს. იგი სულით და გულით მითთან იყო, ვინც საძულველ ფაშინს საყუთარი სიცოცხლის ფსად უღობავდა გზას, რათა ჩვენი სამშობლო დღეიქალაქის წმინდა მიწაზე არ დაედგა ფეხი. ლექსში „მოსკოველი მეგობრისადმი“, რომელიც შესულია სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, პოეტი შესანიშნავად წერს:

ვირა, ვერ შესძლოს დაძლევა კრულმა,  
კრემლთან დაიშხებრა მტარავლთა ძვლები,  
ჩვენ შევეყურთა პარტიის ვულმა  
და განუყრელად დავრჩებით ძმები.<sup>73</sup>

ეს ძმისა და ერთგულად მხარში მდგომის განცდა სიმონ ჩიქოვანის მთელ მრავალფეროვან შემოქმედებას შარავანდედად ადგას და სიღამაზეს მატებს. იგი ყოველთვის გრძობას საქართველოსადმი მხარდაჭერას, თანაგრძობას, სულიერ სიახლოვესა თუ ეკონომიურ დახმარებას; იცის, რომ ასეთი მახლობლური, ძმური დამოკიდებულების გარეშე აყვავებულ რესპუბლიკა ვერაფერს მიაღწევდა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაგვარგვინებზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. 1953 წლით დათარიღებულ ლექსში „მეგობრები“ პოეტი წერს:

მომემე გასკრა ვოლგა—დონი  
და თბილისთან მოაქროლა იორი  
ძმა ზელს მიწვდის დნუპრის არხით,  
მელოდება და კაშხალთან ვეყრები...<sup>74</sup>

ასეთი ძმური ურთიერთობით აღფრთოვანებულ პოეტს სურვილი აქვს ყველას ვალი გადაუხადოს, რომელიც გარეშეც მას „ანეკის სროლაც“ ვერ წარმოუღებინა: „და მივადწევ, მწმამ თვითველ კარაბი.“

პოეტს შემოქმედებით ძალებს მატებს ის





საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
საბჭოთაო  
კავშირის  
საბჭოთაო

სასიციოცხოლო ვარემოვბა, რომ საბჭოთა ერების დიდ ოჯახში განუხრებლად ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, რომ მომძე ხალხები ცდილობენ ერთმანეთს გაუზიარონ მიღწევები კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ლექსში „შინ მინაწერი“, რომელიც პროლოგად აქვს წამძვარებული დემოკრატიული გერმანიისადმი მიძღვნილი ღრმა-შინაარსიან ლექსების ციკლს „გოეთეს ცაცხვე-ბთან“, სიმონ ჩიქოვანი წერს:

მე მუდმავად მტკვართან ვსახლობ, ცა—ფირუშის მიადგას ჭერი, თხუთმეტი ძმა ცხოვრობს ახლო და შინ ქართულ ხმაზე ვმდერა.<sup>75</sup>

მთლიანად ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობას ეძღვნება ლექსების ციკლი „მეგობრული ფურცლები“. ლექსი „სომხეთის მთებში“ ამ ციკლის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. პოეტი გონების თვალთ იგონებს წარსულს, როცა „ქირდა მთაში შრომა“; ახლა კი შრომა და მისი სიმბოლო შემოდგომა შეების, ხალისის მომტანია. პოეტი სომეხ ქალებს თუ მამაკაცებს მახლობლებად და მოყვრებად იგულებს, მას უხარია, რომ მომე სომხეთში სილამაზე და ბარაჟა დამკვიდრებულა, რაც ხელს უწყობს ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას:

გზაზე მღერის ქვეყნის დილა, ხორბლის ხევთან და სევანთან ჩაივილი, მშვიდობის ხმა აფრენილა, როგორც დილა და სიციოცხლის ყვაილი.<sup>76</sup>

სოციალისტური მშენებლობის დიდი წარმატება საბჭოთა კავშირში სამავალითოდ და გზის გამკაფვად იქცა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. პოლონეთში ყოფნისას, 1952 წელს „პოეტ-ენტობი მეშახტესთან შეხვედრას დაესწრო. უსმენდა გმირის გამოცვლას, გონების თვალთ კი „ეიგონებდი ჩემს დონასს და ტყვარჩელსო“, წერს პოეტი. პოლონელი მეშახტე გამოცილებას იღებს „და დონასის სტახანოველს ბაჟავ“. იგი უსაუკეთესოთა შორის საუკეთესოა და თავისი მიღწევების ვასამრავლებლად ცდილობს საბჭოთა მეგობრების მიერ განვილი სახელოვანი გზის ათვისებას:

ვგრძნობ მეშახტის ხელზე აბელს, მუშის თვალი მეგობრის ხელს არჩევს, ვისლის პირას შვავგრემან ქვას აფენს და უსწორებს თვალს დონასს და ტყვარჩელს.<sup>77</sup>

სიმონ ჩიქოვანი უდიდესი პატრიოტი იყო. სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება მის ყველს პატრიოტიზმის ახალი ნაყალი აესტემა. „სად არის ჩემი სამშობლოს ტოლიო“, — ხმამალა აცხადებდა პოეტი. (ლექსი „კრაკოვი“).

ეს იყო კანონიერი სიამაყის ვოხობა. რაც საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისმომცველობას გამოხატავდა. მხოლოდ დიდ პატრიოტსა და მოქალაქეს, მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის მებოტბესა და სოციალისტური მშენებლობის მაღალნიჭიერ მემატინეს შეეძლო ეთქვა ასეთი გულწრფელი სტრიქონები, რაც მან თქვა 1938 წელს დაწერილ ლექსში „კომკავშირული“:

ჩემი მიწა, თუნდ მტკაველიც არის მშობლის დასადარი. საბჭოეთზე საყვარელი სხვა ქვეყანა არხად არი.<sup>78</sup>

როგორც ცნობილია, მეცხრე ხუთწულის სასახლო საქმეებისა და მიღწევების აღსანუსხავად დიდი ყურადღება დაეთმო პუბლიცისტიკის რომელიც მოწოდებულა ყოველდღიურად, ნათლად, მართლად და ოპერატიულად ასახოს ხუთწულის გმირების შრომა, მშრომელი ადამიანების სამავალითო ცხოვრება. ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მსჯელობა გიმართა მხატვრული ნარკვევის ირგვლივ, რომელმაც თავის მაღალ დანიშნულებასთან ერთად საფუძველი უნდა მოამზადოს მომავალში თვლსაჩინო ნაწარმოებების შესაქმნელად. საკავშირო მწერალთა კავშირმა დღეიზით „მწერალი და ხუთწუდი“ სპეციალური პუნქტშიც კი ჩაატარა მიმდინარე წლის მარტის თვეში, სადაც საქმიანი სჯაბაასი იყო გამართული ამ დიდმნიშვნელოვან საქითებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს სიმონ ჩიქოვანის მოსახრებანი ნარკვევის შესახებ, რომელიც გამოთქვა 1947 წელს მოხსენებაში „ქართული საბჭოთა ლიტერატურა ყურანლებში „ხეუბდას“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კმ ქმ ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შემდეგ.“

„რა ამოცანა ეკისრება საბჭოთა მწერლის მიერ დაწერილ ნარკვევს? მან ყოველ მხრავ უნდა დაგვიხატოს მწერლის მიერ აღებული ობიექტი, ისე განასახიეროს საბჭოთა ადამიანები, რომ ტიპური სიციოცხლე შეუწარჩუნოს ყოველ მითვანს, ნარკვევმა უნდა გადმოგვეცეს საბჭოთა ადამიანები, გვიჩვენოს ის პირობები, რომელშიაც მათ უხდებათ შრომა, თავისი საქმიანობით ბუნების დამორჩილება.“

ცხადია, მოთხრობა და ნარკვევი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ნარკვევი არ უნდა განსხვავდებოდეს მოთხრობისაგან მხატვრული ოსტატობის თვლსაჩინოთ. ამ მხრივ კარგი მოხრობა და კარგი ნარკვევი ერთ სიმალღებე უნდა იდგნენ... ნარკვევის ამოცანა ცხოვრებაში მოქმედი ადამიანის მხატვრული აღდგენაა. ნარკვევის გმირი ავტორმა სინამდვილეს, ლოკალურ

**ნუგზარ წიკრიძე**  
სოციალისტური მშენებლობის მემატინაო

გარემოს არ უნდა დააშოროს და ამავე დროს მის სახეში ჩვენი ეპოქის ადამიანის ტიპური თვისებებიც უნდა გამოავლინოს.<sup>79</sup> ვფიქრობთ, შესანიშნავი შეხედულებებია მხატვრულ ნაწევებზე, რაც ამჟამადაც უდავოდ საყურადღებოა.

ჩვენი აზრით უდიდეს ინტერესს იწვევს და დღესათვისაც აქტიურად ეღერადობას ინარჩუნებს სიმონ ჩიქოვანის აზრები იმის შესახებ თუ როგორ უნდა მუშაობდეს საბჭოთა მწერალი, რომ ასახოს სოციალისტური ეპოქის ადამიანის სისხლსავე ცხოვრება, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები და კომუნისტური ყოფის დამკვიდრება. ეს შეხედულებები მან ჯერ კიდევ 1947 წელს ჩამოაყალიბა მოხსენებაში „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების საკითხები“:

„ყოველი საბჭოთა მწერალი ვალდებულია სოციალისტური ეპოქის ადამიანის მხატვრული ჩვენებით უშუალო მონაწილეობა მიიღოს კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩვენი მწერალი ყოველდღიურად აკვირდებოდეს და სწავლობდეს საბჭოთა სინამდვილეს, დაუახლოვდეს საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და ხალხს დაეხმაროს მომავალი თაობის იდეურ აღზრდაში; ეს იგი, საჭიროა მწერალმა იცხოვროს ნამდვილი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებით...“<sup>80</sup>

და შემდეგ გაისმის დიდი პოეტისა და მოქალაქის ნამდვილი მოწოდება, რომლის კითხვის დროსაც გგონია, რომ ეს სულ ახლახანს არის ნათქვამი და ნაკარნახევია დღევანდელი ამოცანების მძალი პასუხისმგებლობის ღრმა გაგებით:

„სოციალისტური მშენებლობა უნდა გახდეს მწერლის ბიოგრაფიის ორგანული ნაწილი, როგორც ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მწერლისათვის სამამულო ომი ბიოგრაფიის ორგანული ნაწილი იყო, ისე სოციალისტური მშენებლობა უნდა გახდეს მწერლის ცხოვრებაში შეკრიბლ სინამდვილედ, როგორც ბრძოლის

ველეზე ჩადენილი გმირობა, ისე სოციალისტურ მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე თანამშრომლობის ჩვენს საფუძვლად უდევს სოციალისტური სარწმუნოების და მშრომელი ხალხის სიყვარული.“<sup>81</sup> ეს საკითხის ძალზე სწორი, პარტიული საჭირო დაყენება, სადაც გაისმის ნამდვილი მოწოდება ყველა ქართველი მწერლისადმი, შესაფერისი მხატვრულ-იდეური კრიტერიუმით ასახონ თანამედროვეობა და მხარი აუბან შუქსავე მომავლის მშენებელ მშრომელ ხალხს. ამგვარი შეხედულებები ამჟამადაც აქტიურ ეღერადობას ინარჩუნებენ.

და დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი თავდადებით იბრძვის მეცხრე ხუთწლედის მესამე გადაწყვეტი წლის წარმატებით დამთავრებისათვის, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ტიტანურ მუშაობას ატარებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, როდესაც ხუთწლედის ფრონტებზე — ცეხებსა და პლანტაციებში, მშენებლობებსა და საკოლმეურნეო მიწნდვრებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, ზერებსა და ფერმებში გულმოდგინე შრომაა გაჩაღებული, როდესაც ხუთწლედის წიაღში ჩნდებიან შრომის გმირების ახალი სახელები, სიმონ ჩიქოვანის დიდი შემოქმედების მომხდენი მაღალიდგური და მაღალმხატვრული პოეზია კვლავ ჩვენთან არის, მხარს უბამს მშრომელ ხალხს და ბრძნულად ეხმარება, ეხმარება, ესადაგება ყველა პოზიტიურ მოვლენას, რაც დღეს ჩვენი გარემო ასე უხვად ხდება.

ეს არის პოეტის უმადლესი დანიშნულებისა, და სამშობლოს მიერ ნაბოძები „არსობის პურის“ სწორად გამოყენების დიდებული მავალითი, ეს არის პოეტის, მხატვრული სიტყვის მოვალეობის გამართლება და მყარ ნიადაგზე მისი მარადიული დაფუძნება.

ამით არის საჭირო, სასარგებლო და სამავალითი ჩვენი ხალხის წინსვლისა და მისწრაფებების წინაშე აღბეჭდილი სიმონ ჩიქოვანის უკვდავი პოეზია.

### გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ს. ჩიქოვანი — „ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები“, თხზულებანი, ტომი III, გვ. 335, თბილისი, 1967 წელი.
2. ნ. ტიხონოვი — „დიდი შემოქმედებით მკვობრობა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 7/VI-1972 წ.
3. С. Чиковани — «Мысли, впечатления, воспоминания», стр. 4, Москва, «Советский писатель», 1968 г.
4. ს. ჩიქოვანი — „სასწრაფო განმარტება ეურნალ H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> გამოსვლის“, ეურნალი „მნათობი“, 1924 წლის № 4, გვ. 215, 217, 218.
5. იგივე, გვ. 220.
6. С. Чиковани — «Мысли, впечатления,

- воспоминания», стр. 4, Москва, «Советский писатель», 1968 г.
7. ს. ჩიქოვანი — „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების საკითხები“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 23, 14/VI — 1947 წ.
8. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, 1933 წელი, გვ. 175.
9. იგივე, გვ. 143—144.
10. იგივე, გვ. 35.
11. იგივე, გვ. 41.
12. იგივე, გვ. 70.
13. იგივე, გვ. 199.
14. იგივე, გვ. 79.
15. იგივე, გვ. 83.



16. იგივე, გვ. 91.  
 17. იგივე, გვ. 94.  
 18. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 262, 1960 წ.  
 18ა. იგივე, გვ. 274.  
 19. იგივე, გვ. 386.  
 20. იგივე, გვ. 419.  
 21. იგივე, გვ. 172.  
 22. ეურნალი „მნათობი“, 1931 წელი, № 1-2, გვ. 4.  
 23. С. Чиковани — «Мысли, впечатления, воспоминания», стр. 4—5, Москва, «Советский писатель», 1968 г.  
 24. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი 111, გვ. 389, თბილისი, 1967 წ.  
 24ა. ს. ჩიქოვანი — მიხსენება, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 35, 20/IX — 1947 წ.  
 25. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 261, თბილისი, 1933 წ.  
 26. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 274, თბილისი, 1933 წ.  
 27. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 284, თბილისი, 1960 წელი.  
 28. იგივე, გვ. 304.  
 29. იგივე, გვ. 304.  
 30. იგივე, გვ. 311.  
 31. იგივე, გვ. 313.  
 32. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი 11, გვ. 92, თბილისი, 1966.  
 33. იგივე, გვ. 93.  
 34. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 227, თბილისი, 1933 წელი.  
 35. იგივე, გვ. 236.  
 36. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 242, თბილისი, 1960 წ.  
 37. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 137, თბილისი, 1939 წ.  
 38. იგივე, გვ. 124.  
 39. იგივე, გვ. 126.  
 40. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 243, თბილისი, 1960 წ.  
 41. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 141, თბილისი, 1939 წ.  
 42. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 239; თბილისი, 1960 წ.  
 43. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი 111, გვ. 392—393, თბილისი, 1967.  
 44. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 216, თბილისი, 1939 წ.  
 45. იგივე, გვ. 36, ლექსი „ნაწივიმარი“.  
 46. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 122, თბილისი, 1960 წ.  
 47. იგივე, გვ. 142.  
 47ა. იგივე, გვ. 156.

48. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი IV, გვ. 450, თბილისი, 1967 წ.  
 49. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 14, თბილისი, 1933 წ.  
 50. იგივე, გვ. 15—16.  
 51. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 28/IX — 1947 წ.  
 52. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 23, 14/VI — 1947 წ.  
 53. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 47, 19/XI — 1971 წ.  
 54. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 28/IX — 1947 წ.  
 55. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 20/IX — 1947 წ.  
 56. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 28/IX — 1947 წ.  
 57. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 51, 14/XII — 1948 წელი.  
 58. ეურნალი „მნათობი“, გვ. 224, 1933 წელი, № 8—9.  
 59. იგივე, გვ. 227.  
 60. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი 11, გვ. 116, თბილისი, 1965.  
 61. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 23, 14/VI — 1947 წ.  
 62. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 63, თბილისი, 1933 წ.  
 63. იგივე, გვ. 106.  
 64. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემა“, გვ. 41, თბილისი, 1960 წ.  
 65. იგივე, გვ. 98.  
 66. იგივე, გვ. 99, ლექსი „როფელში“.  
 67. იგივე, გვ. 103.  
 68. ს. ჩიქოვანი — თხზულებანი, ტომი 111, გვ. 217, თბილისი, 1967 წ.  
 69. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 87, თბილისი, 1933 წ.  
 70. იგივე, გვ. 46.  
 71. იგივე, გვ. 60.  
 71ა. იგივე, გვ. 206.  
 72. ს. ჩიქოვანი — „ლექსები, პოემები“, გვ. 47, თბილისი, 1960 წ.  
 73. იგივე, გვ. 392.  
 74. იგივე, გვ. 446.  
 75. იგივე, გვ. 380.  
 76. იგივე, გვ. 402.  
 77. ს. ჩიქოვანი — „ლექსები“, გვ. 84, თბილისი, 1939 წ.  
 78. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 28/IX — 1947 წ.  
 79. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 23, 14/VI — 1977 წ.  
 80. იგივე, გვ. 2.



თანმიმდევრული

თავაზი ჭილაკის მოთხრობები

შარშანწინ ერთმანეთს მოჰყვა ორი კრებული თ. ჭილაკის მოთხრობებისა. ერთი მათგანი „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა, მეორე — „პოსეიდონის სასახლედ“ დასათარებელი — „ნაკადულმა“. ამ მოთხრობების მოქმედ პირობები ბიოგრაფია ძირითადად მოიცავს პერიოდს 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვიდრე 60-იანი წლების გასრულებამდე და, ბუნებრივია, ამავე პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგი თავისებურებებაცაა აღბეჭდილი. რეტროსპექტულად ნაჩვენებია ესა თუ ის ეპიზოდი უფრო ადრინდელი ხანისაც, განსაკუთრებით — ომიანობის დროისა. მოთხრობებში თანამედროვე მკითხველისთვის საინტერესო საკითხებია აღძრული და მხატვრულად დამუშავებული. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ამგვარ საკითხსა თუ მოტივს გვინდა შევეხოთ. რაკი ეს რამდენიმე საკითხი თუ მოტივი მწერლის პირველსავე პროზაულ ქმნილებაში — „გასეირნება პონის ეტლით“ მოთხრობაში — წარმოჩინდა და შემდგომ ეტორმა ზოგ სხვა ნაწარმოებშიც განავითარა, ამიტომ თავდაპირველად სწორედ ამ მოთხრობაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

I

ყოველი ლიტერატურული თაობა, თუ იგი რამდენ ღირს, თავისივე თაობის სულიერი ბიოგრაფიის მართალ სურათს გვიხატავს. ამგვარი ლიტერატურული თაობის კეთილსინდისიერი, საუკეთესო წარმომადგენელი ავგისახავენ (ან უმღერიათ) არა მარტო საქმეს, მისწრაფებას, ოცნებას ახალგაზრდა კაცისას, არამედ ამჩნევენ და გამოგვიმზეტებენ ხოლმე (ანდა მიგვანიშნებენ) მისივე საწუხარსაც, სატკივარსაც. თ. ჭილაკისეული მოთხრობათა მკითხველს ესაძინებდა სულიერი პრობლემების წინ წამოწევა. ეს კანონზომიერიცაა. თუ, ვთქვათ, მეტი

გაშაქიძისათვის მთავარი პრობლემა იყო ცხოვრების, სიყვარულისა და განსწავლის უფლებების მოპოვება, საბოლოოდ — „ადამიანად ქცევა“ (ქ. იმედაშვილი), მის შთამომავალთ უკვე იმ აზრის ჩავონებით ზრდიდნენ, მართალი ხართ ამა ქვეყნისა, ბედნიერებისთვის გაჩენილხართ, წინაც ყოველი სიკეთე მიგვლით, ოღონდ განისწავლეთ და შრომის ყადრი იცოდეთო. მეტი ვაშაქიძეს უპირატესად გარეგან, საჩინო წინააღმდეგობათა დაძლევა უხდებოდა; იმის დანახვა არ გაუჭირდებოდა, რა უნდა დაეძლია, მოწინააღმდეგე ვინ ჰყავდა. თანაც, გარეგანი ცხოვრების რაიმე ფაქტი (ვთქვათ, ტრაქტორის შემოყვანა-ვერშემოყვანა სოფელში) უშუალო ზეგავლენას ახდენდა მთელ მის ფსიქიკაზე, თვალნათლივ ახლოებდა ან აშორებდა სანატრელ მიზანს, მოასწავებდა მარჯს ან მარცხს მთელი მისი მეობისა. მექის შემკვიდრეთა ლტოლვა, მისწრაფება, ზრახვა შეიქნა უფრო რთული და ნაირგვარი, უფრო სათუთი და ხშირად უფრო ღრმად დაფარულიც. პირობული ზედღრის განმსაზღვრელი მიზეზები საძიებელი შეიქნა არა მარტო არსებობის გარეგან პირობებში, არამედ ინდივიდუალური, ანდა უპირატესად ინდივიდუალური.

რას მისტირის, მავალითად, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ზემოთ ნახსენები მოთხრობისა, მარინე, ეს ახალგაზრდა, განათლებული ქალი, ახალგაზრდავე, სიმშაბითური ქმრის პატრონი, თითქოს ყველაფერი რომ აქვს, რათა სიამით ცხოვრობდეს? რა ეგულდება ისეთი, რის დაკარგვასაც ვერა და ვერ შერეგებია? ბავშვობის დროინდელი გრძნობა ეგულდება, გრძნობა, რაიც მოიცავდა მის არსებას, როცა კვირადღეს დედამისი ბაღში წაყვანდა და იქ მალალი, ქაღალა კაცი პონის ეტლით გაასეირნებდა ტოლებთან ერთად. ეს კაცი მუდამ უღიმოდა ბავ-



საქართველოს  
წიგნების  
კავშირები

შეებს. ირგვლივ ყოველივე უთქმელი სინაზით სუნთქავდა: თვითონაც, ყვავილის გვირგვინებით თავმორთული თანატოლებიც, ჭალარა კაცი, სანახებიც. ისეთი მთლიანი, გაუზნარავი იყო ეს გრძნობა, რომ ერთხელ, როცა ის ჭალარა კაცი მოწყენილი დახვდა და არც კი მოხედა მარინეს, გოგონა კინაღამ ატირდა. პონის ეტლი აქ, რა თქმა უნდა, სიმბოლური მნიშვნელობის მქონეა, საერთოდ ბავშვობისდროინდელ სანუქვარ პარზონის მიახლოება. რამ დღეურღვია მარინეს ეს პარზონია? ვიდრე ამას გავადევნებდეთ თვალს, უნდა წარმოვიდგინოთ, მაინც რას უნდა ესაზრდოებიან ის მისი ბავშვობისდროინდელი გრძნობა. სულ ცოტა, ორ რამე უნდა ესაზრდოებიან: ჭერ ერთი, ბედნიერ, გასულბურველი რწმენას, გონით უწვდომელ შეგრძნობას იმისა, რომ არა მარტო თვითონ უყვარდა მთელი ქვეყანა, არამედ მთელ ქვეყანასაც ასევე უყვარდა იგი; და, მეორეც, რომ ეს ურთიერთსიყვარული ვახლად დაუსაბამო, მარადისი ურთიერთსიყვარულის ამგვარი გრძნობა, თავის მხრივ, უნდა დამყარებოდა ბავშვის მიახლოებისასვე წარმოდგენას საკუთარი თავის განუსაზღვრელ, აბსოლუტურ მნიშვნელობაზე, ერთადერთობაზე, თავისი არსებობის უნიკალური ღირებულებაზე. აქ არ არის ნაგლისსაზევი რაიმე ფოტოცენტრში, ადამიანს რომ დედამიწის ქიპად წარმოდგენილებს თავის თავს. მარინე სიყვარულს ზიარებული ბუნების მქონეა; მგრძნობიარობა, სხვისი ალალი თანაგრძნობა, სიბრალული ბავშვობიდანვე მოსდგამს. მის ამ თვისებას მწერალი იმთავითვე მივანიშნებს: უმწეო პაპის ამარა დარჩენილი მეზობლის ბიჭუნა — ზურაიკო — ავადაა, სიცხიანი წვეს. მარინე და ნიკა (მოთხრობის გმირი) არ შორდებიან მის საწოლს, თავს დასტრიალებენ. ორივენი გულით განიცდიან ამ ამბავს. პირველად სწორედ აქ, ამავე მიზნით აღძვრით კიდევ ურთიერთსიახლოების, უფრო მეტი, ურთიერთსიყვარულის გრძნობა.

მაინც რისი რწმენა შეერა მარინეს, საკუთარი „მე“ მნიშვნელობის თუ მარადისობისა? წარმავლობის შეგრძნობა, მით უმეტეს, ფიქრი წარმავლობაზე მისთვის უცხოა (ან უცხო ჭეჭერობით). ამ მხრივ რაიმე ცვლილება არ შეიმჩნევა. იგივეს ვერ ვიტყვით საკუთარი „მე“ მნიშვნელობაზე. დათოსთან დაქორწინებამ, მასთან თანაცხოვრებამ მალევე მკვეთრად შეცვალა ვითარება. საქმე ისაა, რომ მარინე და დათო სხვადასხვაგვარი ფსიქიკური წყობის ადამიანები არიან, მათ არ აკავშირებთ ის, რასაც სულთა ნათესაობას უწოდებენ. დათო პრაქტიკოსია და, როგორც პრაქტიკოს ადამიანს შეუფერის, ორივე ფეხზე მკვიდრად დას მისწავს. პრაქტიკოსი მშენებელია და თავის საქმიანობაში სრულ კმაყოფილებას პოულობს. მარინე, მგრძნობიარე ბუნების ქალიშვილი, ოცნებებს მიეღობის, ამა-

ღლებულისა და მშვენიერის ფაქიზ განცდას. ეს მისი შინაგანი არსების განუყოფელი ნაწილია, ჭეჭერობისა და შეუღლებელი. მაგრამ დათოს არამითუ არ აინტერესებს საყვარელი ქალის შინა არსების ეს ინტიმური მხარე, არცა ცნობს მას. „შენ ოცნებობ მხოლოდ“, — ეტყვის ხოლმე მარინეს და ამით სამდღურაც კი არ გამოთქვამს, უაპელაციო დამოკიდებულებას ამტკიცებს ოცნებისადმი, როგორც ზედმეტი, უკუსაგდები რამისადმი. რაზეც უცხოა მათ შორის ინტიმი, შემდეგი დეტალიდანაც ჩანს: მარინე მოკონებაში გადასულა, დათოს თუ თავის თავს (თუ ორივეს ერთად) ესიტყვება — ნუთუ, ნუთუ მართლაც არ გინახავს პონის ეტლი? დათო უბოდიშოდ ვააწყვეტინებს — ჩააქრე სინათლე, ოთახი ხოჭოებიანი გაივსო. ქალისთვის გაუგებარია ვაჟის სიყვარული, ავრე ფაქრობს: თუ კაცს ვუყვარვართ, ნუთუ შეიძლება, ყველაფერი არ უყვარდეს ჩემი, ერთიანად არ ვუყვარდეთ. რაკი მარინეს შინა არსების იღვმალ, უხილავ მხარეს ხელი ჰკრებს, მას ყოველდღიური, ხილული არსებობის არცთუ სხაბრბილო ფორმალა შერჩა ხელთ: დილიდან საღამომდე შინ უსაქმოდ ჯდომა, ხანდახან — წიგნი, ხანდახან — ფორტეპიანო. დიასახლისის საზრუნავიც კი არ აწევს. ხელუკარბლობა კი არ მოსწონს, უბრალოდ დათო არ აკარებინებს არაფერზე ხელს. ამგვარი მდგომარეობისაგან თუნდაც ნაწილობრივ თავდასახსნელად ერთი გზაცა აქვს: საზოგადოებისაგან უნდა მოიქცეს, რაიმე საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი. პანისტომა ეოცნებება. შევებს იგრძნობდა, თავისი დავკრით თუ ვარშემო მყოფთ აღტაცებას მოჰკვრდა ძველებურად. იგემებდა მათი საპასუხო თაყვანისცემის სიხარულს. მაგრამ დაჰყლიდა კი საამისო ნიქი? შინაგანი სიმტკიცე და პირდაპირობა ჰყოფნის, თავის თავს გამოუტყდეს: მრავალნი არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ, ხოლო შენ იმ მცირედთა რიცხვს არ განეკუთვნებიო (ერთ-ერთ ამხანაგს ეტყვის გულახდილად — „არა, ლევან, არ ვუკრავდი კარგად... მეგონა, რომ ვუკრავდი...“) მასწავლებლობას დააპირებს. მაგრამ აქ დედამისი, ქალბატონი ეკა, დუქარგავს ამის ხალისს. არაფრის გულსითვისო, შეიცხადებს, როცა ამ განზრახვას შეიტყობს; შენ საკუთარი კონცერტები უნდა გაპართო; დათომ კეთილი ინებოს და პედაგოგები დაგაყენოსო თავზე. თანაც ასე „მიმიზიდულად“ დაუხატავს მომავალ პროფესიას: აბა, წარმოიდგინე მთელ დღეს ვიღაც გამოშტერებული ბავშვის გვერდით ჯდომა და „დო, რე, მი, ფას“ ძახილი. მარინე უმწეოდაა და თავის თავზე ბრაზობს; ვერ ვარკვეულა, რისი მაქნისილა შექნია, თუ დათოსაც არ სჭირდება. დათო მისთვის იქცე-

თენგიზ ჩხაიძე  
თამაზ ბილაძის მოთხრობები

სარკელ და იმ სარკეში თავისი თავის მნიშვნელობა დამცრობილი, დაკნინებული იხილა; დიონახა, რომ მისეულ „მეს“ აბსოლუტური კი არა, ფრიალ და ფრიალ შეფარდებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ საქმე ამითაც არ მთავრდება. როგორც ცოლმწრულ ურთიერთობას მეტწილად სჩვევია, იმართება ჩუმი, შინაგანი ჰიდილი: ვინ-ვის. სჯობნის დათო. იგი ეწევა მარინეს ასიმილაციას. ეუბნება კიდეც მარინე:

„...ბევრს გიყვარებ, გიყვარებ და ვგრძობ, რომ რაღაცას ვყარავ, თანაც ისეთს, რაც ძალიან მიყვარდა“. მაგრამ იმის დათობა, რაც „ძალიან გიყვარს“, იოლი როდია; ყოველი დონით ცდილობ, როგორმე შეინარჩუნოს და, აი, ასეთ ვითარებაში ნიკა ახსენდება, ნიკას ვუყვარდიო, გულში ფიქრობს. ეს სიყვარული ესახება ხსნად, ახლად იფებს ამ სიყვარულის ფასს (მათს შეერთებას ორივე მათგანის ინერტულობამ, ხოლო მარინეს დედის, ქალბატონ ეკას, აქტიურმა წინააღმდეგობამ შეუშალა თავის დროზე ხელი). შინაგანად უკვე სავსებით მომწიფებულია, დათოსთან კავშირი დაარღვიოს. ბიძგილა ავლია. ამ საბოლოო ბიძგს მწერალი ჩინებულ მოტივირებას უძებნის, იშველიებს ფაქტს მხატვრულ ხერხს. მარინე დაეწრება სიმფონიური მუსიკის კონცერტს. მუსიკის მოსმენა იარას განუახლებს, კვლავ მივლენ ექვირფასება, აღუძრავს ბუნდოვან სურვილებს, ლტოლვას უკეთესი ზედრისაკენ, აუშლის რთულ ასოციაციებს. ასოციაცია-მოგონებაში გაილანდება სიმბოლური სახე გოგონასი. გაილანდება და ახსენდება — რაც უნდა გიმეფიქრებო, რაც უნდა ეთქვა ამ გოგონას, მაშინვე გაიგონებდა:

„— ფრთხილად, ფრთხილად!

და გოგონაც გადაეჩვივა რკინიგზაზე სირბილს, ქალაქის გარეთ მინდროში ხეტიალს, თავის მეგობარ პატარა ბიჭთან ერთად თამაშს. პატარა ბიჭს პატარა ჩიუტი თვალები და არაფრის არ ეშინოდა. იგი ერთხელ ჩაქდა მატარებელში და წავიდა შორს... გოგონამ დააკვირდა. ახლა დგას ჩაკეტილ შლაგბუთთან და მატარებელს უყურებს.

„ნუთუ ისიც უნდა წასულიყო ამ მატარებლით? — ფიქრობს ის“.

ეს გოგონა თეთონაა. საჭიროა, აწ მინც დაწყვიტოს შემოკუჭვი არტახები, მოიქცეს ისე, როგორც თვითონ უნდა, და არა ისე, როგორც სურს მპრატანელური ბუნების. მეშინურ შეხედულებათა მქონე დედამის. „მეორე დღეს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“; მარინემ ბოლოს და ბოლოს გაბედა და უთხრა დათოს, ასე ცხოვრება აღარ შემძლიაო (ხედიშეწეებით აზრით — შენთან ცხოვრება აღარ შემძლიაო), გაბედა-მეთქი იმიტომაც ვამბობ, რომ სხვა ყოველივეს გარდა, ისიც ეფიქრება,

ამგვარი გადაწყვეტილების შემტყობა თო რას დააწეეს. არტახები კვლავ წევიტა, მაგრამ ბოლომდე მინც ვეცხუნავეს სუფლად, საიმილოდ აღარ გაწედა ძალი, გაკაპებული დღის ნებას უნ აღდგომოდ: მარინე მშობლიურ წილსავე უბრუნდება. ნიკას მივრედი იმედის ამარაღა ტოვებს. მართალი იყო ეს უქანასწევი, დათოს რომ უთხრა — ორივეს გვაჯობებს.

ოლონდ არ არის საფიქრებელი, ვინციობა ნიკა და მარინე შეერთებულავენენ, თითქოს ეს იქნებოდა სრული და უცილობელი „ბუნდოვი დასასრული“ შემდგომი პერსპექტივის თვალსაზრისით. უსაფუძვლო როდია ნიკას ყოყმანი, განსჯა — მივიღო თუ არ მივიღო მარინე (როცა ეს უქანასწევი დათოს მიატრებებს და მესთან მივა). აგრე მწეკლობს: მაქვს კი საიმილო ძალი, უნარი, ეს „აფრასავით აწევეტილი, მშფოთავარე სული“ დავამშვიდო და კალაპოტში ჩაეყენო; მაქვს თუ არა უფლება მოთეტუო აღამიანი, რომელიც ჩემგან შევლას მოითხოვსო. განსჯით, ფიქრით ამ დიდიმას ვერ გადაჭრის. „მიღებას“ გულის კარნახი გადააწყვეტილებს, ემოციის აყოლა. მაგრამ ეს ცალკე საკითხია. ამ საკითხს ქვემოთ შეეგებებით სხვა მოთხრობასთან დაეკავშირებით.

თავის ზედრს ვერ დაეჭვრებია და უკეთესს ესწრაფვის მეორე პერსონაჟი მოთხრობისა, მიაი, რომელსაც დამხარავ სიუჟეტური ხაზის წარმართვა აკისრია. შეუფერებლობა მიაიას და მისი ქმრის — „რკინიგზელისა“ (პერსონაჟს ამ სახელით ვეცნობით), უკვე აშკარად თვალშისაცემია. ეს შეუფერებლობა ჩანს მათი გარეგნული პორტრეტების ზერელე შეპირისპირებითაც. მიაი ახალგაზრდა, მოხდენილი, თანადროული გემოვნების მქონე ქალია. რკინიგზელი ხანმყოფლად გამოეყურება, ამასთანავე, „მაილი და მსუქანია“; სტუმრებთან თავშესაქცევედ კარტის თამაშისას ბედი თუ გაუღიმებებს, „წერილი ხმით კიკინებს“. მთელი კეთილ სადღაც მიდის, მეგრე გალიებით წიწილები ჩამოკყავს და მთელ დღეს იმ წიწილებზეა გადაგებული. ცოლს უზარდლებას არ აქცევს თუ ვერ აქცევს. მიაი ამ დროს „სველიანად“ უშვრებს. თითქმის ესაა და ეს, რასაც ვივებთ ამ კაცის პორტრეტისას და ცოლთან მისი დამოკიდებულებისას. მაგრამ ამ რამდენიმე ხაზგასმული ეპითეტოთა თუ დეტალითაც ვვენისწევა, რომ ამ ორ აღამიანს ბევრი არაფერი აქვს საერთო და არც შეიძლება ჰქონდეს. გასაკვირი თითქოს აღარ უნდა იყოს, ასეთ ვითარებაში მიაის გულისსწორი მოეჭია. ეს არის ქაბუკი „მფრინავი“ (ამ სახელით ვეცნობით). იგი უპირისპირდება პროზაულ „რკინიგზელს“ უპირისპირდება პროფესიითაც (რაცი მფრინავია, უნდა ვიგულისხმობ: რომანტიკულთან, ამაღლებულთან წილნაკარია) მფრინავი ბედნიერების მომლოდინე კაცის იერით ესტუმრება





ხოლმე მიახვ ვეიან სადმოს და ბედნიერი კაციის იერიო ბრუნდებო მისგან (ნიკა შეასწრებს რამდენჯერმე თვალს და იქიდან ვიტყობო. მიახ და „რკინიგზელი“ ნიკას მეზობლად ცხოვრობენ). მიახ გადაწყვეტს (ზოგიერთი დეტალის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ: მარიანის ანალოგიური ნაბიჯის წაქეზებითაც) განერიდოს რკინიგზელს და ბედს ეწვიოს. ბოლო დრამატულია: ერთ საღამოს „რკინიგზელის“ ოთახიდან გამოიხსნის ხმაძალაი ლაბარაკი, მისი „მკაცრი“ და „ცივი“ ხმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვერობილთან „რკინიგზელი“ შევიარდება, მიახს უშველეთო, ამოიხრიალებს: გახელებულს სასიკვდილოდ ვაუშვებო მიახ. მიახს საავადმყოფოსაკენ გააქანებო ოპერაციის გასაკეთებლად. ვადარჩება თუ არა, სათუთო. ასე მოთვრდება ეს გვერდითი სიუჟეტური ხაზი. მაგრამ აქ ერთი კანონიერი კითხვა ებადება მკითხველს. რას ვანუბირებო მიახ ამ ორი, ერთმანეთისათვის ესოდენ აშკარად შეუფერებელი, ადამიანის შეუღლება? მიახს გათხოვებისა მხოლოდ და მხოლოდ ის ვიცით, რომ „მაჰანკელი გათხოვილა“ (თუ ვაუთხოვებოთ: არ ჩანს), ხოლო მისი წარსულისა მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ უპატრონო ბავშვთა სახლიდან გამოუყვანიათ. მაგრამ რაკი ჩვენს დროში „მაჰანკელი გათხოვილა“ სოციალური საფუძველი გამოსტლია, საჭიროა მკითხველმა ზუსტად იცოდეს, რაკონკრეტული შინაარსი დევს ამ ფრაზაში, სახელდობრ რაკ იმალბა მის მიღმა: კერძობითი, შემთხვევითი თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რამ მიხვნი? ამის უოდენლობა ანელცხე მთლიანად სიუჟეტური ხაზით აღძრული შემოქმედების ძალას, შესაბამისი პერსონაჟებისადმი მკითხველის დამოკიდებულების აქტიურობას. ცოტაკ აგრეთვე, ზოგადად, განყენებული თვალსაზრისით თუ შეხედავთ, „რკინიგზელის“ საქციელში თვისთავად შეუძლებელი არ დანუჭრებელი რამ არათვრია, ვარკვეული არ არის, სახელდობრ, რამ გამოიწვიო მისი უვიდურესი რეაქცია—თავმოყვარეობის შელახვამ, დესპოტურ-მესაკუთრულმა ბუნებამ, მეტისმეტმა სიყვარულმა, რაკოკ ამკობინებენ, მოსონო სიყვარულის სავანი, ვიდრე დათმონ, აფეტქმა თუ კიდევ სხვა რამემ, რისი მიკვლევაკ და წარმოჩენაკ დააკონკრეტებდა „რკინიგზელის“ ხასიათს. ამგვარი გორდიასული კვანძის გამოხსნაკ მწერალს ხელეწიფება ხოლმე და მანვე უნდა იტვირთოს. მწერლის ვალი ხომ ისიც არის, „დაშალოს განუყოფელი“ და კვლავ აღადგინოს. იმას როდი ვაშობოთ, ყოველი მესამეხარისსობიანი პერსონაჟი მთელი სივრცისიგანიო წარმოგვიდგინონ, „ახლო პლანიო“ დაკვანახონ. მაგრამ ოდენ კონტურის მოხაზვაც, ისიც პორტრეტისაკ, არ კვარაკ, რაკოკ პერსონაჟის მოქმედებაკ მკაცრი, აუცილებლობით განსაზღვრული გვეჩვენოს, თანაკ დრამატულ სიტუა-

ციამი მოქცეული პერსონაჟისაკ. შესაძლოაკ, წკთავს იჩენდეს გარკვეული ლიტერატურული პრინციპი, რომლის მიხედვით მთავარია შექმნულად წინ წამოიწიოს შედეგი მიხვებში ჩაკუძებლად, რაკოკ შეიქმნას აკ შედეგის ზოგადობისაკ ჩვეულებრიობის, ყოფითობის შთაბეჭდილება. ოდონდ ამ მიხვნის მიდწევა არ უნდაკ მოხდეს მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი სხვა ძვირვასი თვისების შეწირვის ხარჯზე. ძირითადად ამ პრინციპითევა ნაჩვენები მეწინაური ყოფის სურათიკ. ეპიზოდო მარინეს მშობლების სახლში გამართული წვეულებისაკ, საცაკ მეწინაური კეთილდღეობისაკ და მეწინაური სულის ანარკელი გავიფლევებს თვალწინ, თითქმის არ სცილდება ფელეტონური ზედაპირულობის ფარგლებს. ადრე აქ არის ანალოზის, ვანხრეტის, მოვლენაში უფრო ღრმად ჩახვდის ცდა. მკითხველის სურვილიაკ, სხვა რამ არაკ იყოს რაკ, ფესვი მოეხსნაკოს თუნდაც ქალბატონ ეკას მედღურობასაკ, ანუ მის გრანობას უპირატესობისაკ სხვა ადამიანების მიმართ. რას ემყარება ეს უპირატესობის გრძობაკ, ზემოდან ცქერის ჩვეულება? ვინმე უკანასკნელი მოპიკანთავანია იგი ძველი არისტოკრატული გვარისაკ და ჩამომავლობითი ყიფი მოსდგამს ინერციით, თუ ახლამაინოჩიკილი მატაკოცაკ, მარტოოდენ ბროლითაკ და ავევით რამ ეზომება კაცის ღირსება? ჭერ მხოლოდ მანერად, გარეგანი ქვევის ნიშნად რჩება მისი ყიფი, თუ უფრო ღრმად ვაუდგამს ფესვი — უნებურ მრწამსად, ცხოვრებისეულ პოზიციად ქვეულაკ? და თუ ასეაკ, ვანსხვადედა თუ არაკ, ან რით ვანსხვადედა მისი შეხედულება (გინდაც ეს შეხედულება იმსტიკტური იყოს, ქვეცნობიერად დომლამოდეს) ძველი დროის მქონებელთაკ შეხედულებებისაკ, ამ მქონებელისაკ, რომელსაკც ყოველი არმქონე იმავე დროს, ჩვეულებრივ, „მდამიოდ“ და მდამიოსავე შესაფერისი ხვედრის ღირსად მიანდა? თუმიკ ამგვარი კითხვები, აქ გამოთქმულიაკ და გამოთქმულიკ, მკითხველის სურვილთაკ არეს მიანიშნებს-მეთქი, აღწნოწწე. ხოლო სამართლიანობაკ მოიფხოვს შევიხსენოთ, რამ მოთხრობაკ ჭერ კიდევ 1961 წელს გამოქვეყნდა, შევიხსენოთ, რაკ იყო ამ მხრივ თქმული უშუალოდ წინარე პერიოდის ქართულ სიტყუაკაზმულ მწერლობაში და გავითვალისწინოთ, რამ ეს იყო ერთ-ერთი პირველი სივანალი, ჩვენში შემდგომ ასე მოძალეული საზოგადოებრივი სენის მავწყებელი.

მოთხრობაში გათვალსაჩინოებელი, წინაკ პლანზე წამოწყულიაკ გვირისეული აღქმა, შთაკბეჭდილება (უპირატესად იქ, საცაკ გარემოს მხატვარ ნიკას თვლით ვუყურებთ), რაკ საერ-

თენანიკ ჩხბიკმ  
თამაზ ბილაძის მოთხრობები



თოდ ნიშანდობლივია თ. ჭილაძის, აგრეთვე მისი თაობის მწერლების, ხელწერისათვის და ამავე თაობის ერთ-ერთი ღირსსაცნობი მონაპოვითა. წინარე პერიოდის ლიტერატურაში ხომ არცთუ იშვიათად ვსაგავალი ჰქონდა ისეთ ნაწარმოებს, საცა მოქმედებდა გმირი, მოკლებული მკაფიო ინდივიდუალურ იერსახეს, მოკლებული საკუთარ მსოფლალქმას, ხედვას; გაიგვიგებული თუ გათანაბრებული შრომითს საქმიანობასთან და შრომითს (წარმოებითს) ურთიერთობებთან. აღქმა, შთაბეჭდილება პიროვნების შინაგანი სამყაროს ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია და ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს. მხოლოდ ეს კია, რომ მოთხრობის გმირისეული აღქმის, შთაბეჭდილების ესოდენ ფაქიზად გადმოცემისას გრძნობადი შინაარსი საკმარისი ინტენსიურობით არ ვადაიზრდება ხოლმე აზრობრივ შინაარსად. ამიტომ მსოფლზედა გმირისა მკრთალად აღბეჭდილი გამოდის. შედარებას თუ მივმართავთ, საგულდაგულად გავლუბულ აღქმისმეორ მრულს შეესატყვისება არა აზრისმეორი მრულდი, არამედ აქა-იქად დაჩნეული პუნქტირი. ამიტომაც თუ იყო, ქართულ კრიტიკაში თავის დროზე აზრი რომ გამოიჩნევა ამგვარ გმირთა ვაშო: თუმცა მათი ფსიქიკის ნიუანსებს ვწვდებით, შთაბეჭდილება მაინც ისეთია, თითქოს თავად ისინი შეუცნობელნი არებიათ.

11

რინდულ-სამიწურთო ეპოსში თუ რომანში მოყმე მრავალ ჰერს ნახავს, ვიდრე სატრფოს თავისად დაგვულებდეს. საწადელის მიღწევა არამიწირი ნეტარებას უქადის; ამდენად, ბედნიერების სრულსაყოფად აღმტრულა. ნეტარების შესაძლებლობა ოღნავადაც არ ეგუევაბა. ამიტომ შეუძლია, სატრფოს უყოყმანოდ და გულდაყრებით შეჭვიცოს სამუდამო ერთგულება — „შენი ვიყო, სადამდისცა დამაყოფდეს მიწა პირსათ“. საწადელს რა მიაღწევს, „ბედნიერი ბოლოც“ ხელთა, განუყოფელ ნეტარებას აღარაფერი შებღალავს. სატრფოსთან შერწყმა-ვერშერწყმის, ტრფობაში განზავება-ვერგანზავების საკითხი არამცთუ არ წამოიჭრება, წარმოუდგენელიც კია წამოიჭრას. ასევეა ხალხურ ზღაპარშიაც. ჰაბუთი ვინმე ტურფა ასულს გულს მოიგებს, ცოლად შეირთავს; მერმე ორივენი „ტკბილად და ბედნიერად“ ცხოვრობენ სიკვილამდე.

რომანტიკული (ნაწილობრივ აგრეთვე სანტიმენტალისტური) ქმნილების გმირის თვალში, გმირისა, რომელსაც აწუხებს საზოგადოებასთან და, ამის კვალობაზე, საერთოდ ცხოვრებასთან შეუგუებლობა, სიყვარულს ეკისრება ამ შეუგუებლობის კომპენსირების ფუნქციაც. ამიტომ, ამგვარ მეტრფეს სიყვარული სულერი სიმარტოვის ფარადაც ესახება. შემდგომ, კრ-

ტიკული რეალიზმიდან მოყოლებული, მისი გეიტება საკუთარ თავთან მიმართების პრაქტიკულ უკმაყოფილება საკუთარი თავით, მასმს უსამსხმობება თუ კონფლიქტი. ამრიგად, სიყვარული გარკვეულ იდეებთან ასოცირებული გვევლინება. გვევლინება იმედებუბა და უშინაგანეს მისწრაფებათა საკმაოდ რთულ კომპლექსთან დაკავშირებული (ცნობიერად თუ ქვეცნობიერად).

მეორეს მხრად, შეუბღალავად დაცვა, შენარჩუნება თვით ტრფივლების გრძნობისა თავისთავადი საზრუნევა ხდება და ზოგჯერ საკმაოდ უჩვეულოდ ვლანდება ხოლმე. კნუტ ჰამსუნი „შიმშილიში“ ასეთ ეპიზოდს აგვიწერს: ნაწარმოების მთავარი გმირი, ყარბი მეოცნებე, ერთ მიზნიდევლ, უცნობ ბანოვანს შეეყრება და გამოეცნაურება. ბუნდოვანი გულისთქმა გაუჩნდება, ოღონდ ამ გულისთქმას პოეტურის, მშენიერის მაღლიც ცხვია. მოხდება ისე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ სტუმრადა ამ ბანოვანთან. მარტონი არიან. გულისთქმა წასძლევეთ და ზღვარს მიაღებდნენ. ბოლო წამს კაცი, თითქოს შთავანება რამ ეწევიდა, მოულოდნელად გარდაისახება, სასწრაფოდ გაეცლება ასპარეზს. მკითხველი, ერთი პირობა, დაბნეულია; ერთბაშად ალღო ვერ აურთმევიდა, რა უნდა მომხდარიყო. თანდთან აიღებს გუემანს: აჰა, ესა და ეს მიზეზი თუ იქნებოდაო. „ეიქტორიაში“ მეწისქვილის ვევი და ვიქტორია ამჯობინებდა, ულომბლად აწამონ ერთმანეთი, ოღონდ სურვილს არ მინებდნენ და თავიანთი ბედი ერთმანეთისას არ დაუკავშირონ. სიყვარულის ამ ორთაბრძოლაში ქალიცა და ვევიც შესაშურ სიამაყეს, სიყვარებს იჩენენ. ჯერ გვგონება, ქალი სხვისთვის ურთვებნობათ, ახალგაზრდა მდლდარ საქმრის ეკუთვნისო მისი თავი. მდლდარ საქმროსთან ექორწინება ქალს იმადაც სჭირდება, ეგებ დღუბავს გადაარჩინოს წარჩინებული გვარის მქონე მამის ოდესმე ძლიერი, აწი კი ფუქემორეული ოჟახი. საბოლოოდ აგრე ჩანს, რომ გადამწყვეტი ყოფილა „შორით დავის“ დაუძლევე; ლამის მოწამებობრივი სურვილი. იგივე ხდება, არსებობად, „ნანშიცა“. იბსენისეული მიწურნი, სვანჰილი და პოეტი ფალიკი (პოესა „კომედილა სიყვარულისა“) უფრო შორსაც მიიღეს. აქადაც, ფილისტერული ცოლქმრული ურთიერთობის საფრთხე ავირიდოთ, ნებით, ასე გასინჯეთ, ერთგვარი აღტყინებობაც შორდება ერთმანეთს, რათა ქალი შემდგომ სხვას, პროზაულ ნეგოციანტს გაკყვეს და უფერულად გალიოს დღენი. რა გაეწყობა, სამაფეროდ ორივეს მარად ეყვარება ერთმანეთი, სიყვარული „წმილად“ შეენახებათ. ეს კია: რასაც იბსენისეული მიწურნი ზმამალა. ცოტა არ იყოს, დეკლარაციულად წართქემენ, ჰამსუნისეული გმირები იმას ინტუიციით გზნობენ და მორჩილებენ. ამდაგვარი სწრაფეა, გრძნობა ტრფი-



ალებსა ხელუხლებლად შეინახონ, მოგვეგონებს ჩვენებურ ხეესტრულ სწორფერობას. ოლონდ, რაც აქ ადათით განსაზღვრულა, ის იქ ანდივიდუალური ნებითა და ძალისხმევით მიღწევა.

„ოფთორი კვამლის“ გმირებს, რეზოსა და მათას, წრფელი გრძნობით უყვართ ერთმანეთი. შეუღლდებიან. ეყოლებათ შვილი. დაახლოებით ერთ წელიწადს თითქოს ყველაფერი რიგზეა. მერმე? მათი გზა გაიყრება. მიზნეს აგრერივად ვერც გამოარჩე. მათა ამგვარ სინანულს გვიმხელს (თავისებურ აღსარებაში, რეზოს რომ ეუბნება წარმოდგენით): „თვისება, რომელიც ბუნებამ მიანიჭა ქალს — ერთი წამით მაინც ვახდეს მეორე ადამიანის სავანე — მე, გამოუცდელს, სიყვარული მეგონა. ნეტავი არასოდეს მივხვედრილიყავი, რომ თავს ვიტყვებდი. ის გრძნობა ხელუხლებლად შემარჩინოდა“. გვიმხელს მეტსაც: როცა ჯერ ისევ შეყვარებული ფიქრში რეზოს დინახავდა სადმე, იმ ადგილისკენ ვარბოდა, იწყებდა ლოდინს და თურმე ის გრძნობა, რომ საყვარელი ადამიანი არ მოვიდოდა, უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, რადგან თავის თავს მაშინ მიტოვებულ, უიმედოდ შეყვარებულ გოგოდ წარმიოდგენდა ხოლმე. ამრიგად, ბედნიერების წუთებში შიშიც სჩვევია. ბედნიერებისტოლი სიახლოვე იგრძნობ რეზოსთან, როცა დედის საფლავის სანახავად ახლდა ვაქს. მკითხველის ცნობიერებაში იბეჭდვის მშვენივრად მიგნებული მიზანსკენა: მათის დილით დედის საფლავის სანახავად მისული ვაჟი, დანთქმული დედის წმიდა სიყვარულის მოგონებაში, გვერდით — ისააშენიანი სატრფო, რომელსაც თითქოს ამ სიყვარულის ათინათი აღვას. ქალი ფიქრობს: რაც უნდა ეთქვა, რაც უნდა გაეკეთებინა ვაქს ჩემი სიყვარულის დასამტკიცებლად, ამაზე ვარჯ ვერ მოიგონებდაო. და სწორედ ამის შემდეგ, როცა რეზო შინ დაურეკავს, თან უზომოდ გახარებული და თან დაბნეული უნებურად ჩასძახებს ყურმილში — მოდი, დავეზორდეთ ერთმანეთს, ჯობს ნულარასოდეს შევხვდებითო. თავადვე გვიხსნის ამგვარ საქციელს: ყოველთვის ასე შემართებოდა, მეშინოდა, როცა ის მისრულდებოდა, რასაც ვნატრობდითო. ეს შიში კი მძაფრი ბავშვობისდროინდელი განცდიდან მომყვება. ერთხელ, პატარობისას, ავად შექმნილა. სიცხის ბავშვს ერთთავად ახოვდებდა — მამა მინდა, მამა მინდაო. უწინაც ენატრებოდა, მაგრამ დედის რილით თუ შიშით ვერ ამხელდა (მათა უშპაოდ იზრდებოდა, მშობლები გაყრილნი იყვნენ). დილით თავის საწოლთან ჩამოქვარდა მამა დანახა. წამოვარდა და ყელზე მოეხვია. უცებ საშინლად შეშინდა, ეგონა, ესეც თუ მესაზმრება და ვაიეთუ უცარიე ვაქრისო. მამის მკერდზე თავმდებელი და უსაზღვროდ ბედნიერი ფიქ-

რობდა, ეს დღე არასოდეს გათავდებოდა. ის იყო და ის, მას მერე მამა აღარ უნახავს. და მაინც, ვადამწყვეტ ნაბიჯს რომ ვადალაგამს და თავის ბედს რეზოს დაუკავშირებს, მათა სავსებით შეგნებულად მოიქცევა. ოლონდ ამ შეგნებამდე ერთბაშად არ მისულა. თავდაპირველად მას კარლო უყვარდა ან, უფრო სწორად, ეგონა, რომ უყვარდა, რადგან ბედნიერება მაშინ სხვაგვარად წარმოედგინა. თუ გული, ინსტინქტური გრძნობა რეზოსკენ ეწეოდა, სიამოვნებოდ ვანსკა, ასე ვთქვათ, სალი აზრი უკარნახებდა, კარლო გავიხსენებოდა (ნაწილობრივ დედის დასტურები ხელს უწყობდა ამ არჩევანს). კარლო მეცნიერულ სარბიელზე იღვწის; პროფესორის, ცნობილი ფიზიკოსის ასპირანტია ვანათლებლები, სერიოზული, ენაწელიანი კაცი ჩანს. ეტყობა, ე. წ. „რესპექტაბელური“ წრის წარმომადგენელია. აქვს საკუთარი ავტომანქანაც (ამ მხრივ, საქმროს პირობაზე, აშკარად სჯაბნის რეზოს). მათას თავიდანვე იმ უყურებს, როგორც თავის საციულს. ამ საციულს ასეთი ლამაზი და გულსამართლებელი სიტყვებით მოძღვრავს: „კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა ყოველი შეგნებული ადამიანისაგან ენერჯის მასქისმალურ დახარჯვას მოითხოვს... ჩვენს საუკუნე ტექნიკის საუკუნეა და ტექნიკა მოწოდებულია უშეგლოს ადამიანს. ამდენად, ის ყველაზე უფრო ჰუმანური მოვლენაა დღეს. პირველი მეცნიერების ასექტივში ახლა ასევე საჭირო ვახდა და ბედნიერი ვიქნება, თუ შენ ამას გამოიგებ. სხვა, ქარაფშუტა გავგობივით არ ვაივინებ და მომეხმარებები, ჩემი საქმე კეთილსინდისიერად შევასრულო“. მაგრამ ზოვიერთი მისი მანერა თუ ქცევა წინდაწინვე მიგვანიშნებს, რომ ვაივინებული წესიერების, თავზიანობის, ყურადღებობის მიღმა უნდა იმალოდეს კაცი, რომელიც პირფერობა, კარიერიზმი და თვითრეკლამა ცხოვრებაში წარმატების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ საწინდრად მიუჩნევია და მტკიცედ შეუთვისებია. იმ ჯურის ადამიანია, არცთუ იშვიათად რომ აქვთ ვეღვათ და ყველაფერი წინასწარვე რომ აჩვენა ვანგარიშებულ-ვანგომილი ცხოვრებაში. იმთავითვე იცინა, როდის დაიცავენ კანდიდატის ხარისხს, როდის დაიცავენ დოქტორის ხარისხს, როდის ვაგლენ პენსიაში, რამდენი დენიშნებთ პენსია და სხვა მისთანა. მაგრამ, თუ ამასთან ერთად, კაცობრიობისთვის წამებულ მსარავანდ გემოსავსო, არ დაივრგეს და სხვებიც არ დაავრგეს, ისე როგორ იქნება. რაკი კარლოს სხვა ყოველივე აწყობილი და მოგვარებული აქვს, ლამაზი, მიმნდობი ცოლიდა აკლია — ოჯახსმოკიდებული, სავსებით უნაკლო რეპუტაციის მქონე კაცის სახელიც ხომ სჭირდება, და აჰა, ახ-

**თენგივ ჩხაიძე**  
**თავაზ ბილაძის მოთხრობები**



ლა ამ საქმისთვისაც უნდა მოიცილოს. ამთავითვე ცდილობს, საცოლე თავის ყაიდაზე გამოწეროს, თავისთავადღა შეუზღუდოს, გავლენის ქვეშ მოიქცოს. ერთი სიტყვით, მიიშვავსოს. თუ ქალი ზოგჯერ გაუბედავად შეეკამათება, ღმილით ეტყვის: „შენ ბავშვი ხარ, დიდი ბავშვი!“ ქალიც გულუბრყვილოდ მინდობია, ბავშვური მიაშიტობით სჯრას მისი. წინ ნათელი, შინაარსიანი, ბედნიერი და კომფორტული ცხოვრების პერსპექტივა ესახება. მაგრამ ამ ილუზიას ერთი შემთხვევა გაუფანტავს. ეს შემთხვევა კარლოს კუშმარბიტ სახეს გამოუთავიარაგებს და თვალს აუხელს. ასეთი რამ მოხდება: კარლო თავისი გაუფრთხილებლობით მინქანას დააჯახებს მაიას სახლის საღარბზოსთან მღვარეზოს. დააჯახებს და მძიმედ დააშავებს. თვითონ კი გაიქცევა. გონდაკარგულ რეზოს საავადმყოფოში წაიყვანენ. როცა კარლო შეიტყობს, რეზო გადარჩენილია, ერთი საფექრალიდა აწუხებს — ვაითუ გამთქვას და უსიამოვნება შეემთხვესო. ამიტომ მაიას დაიყოლებს და მასთან ერთად საავადმყოფოში წაი დაშავებულის სინახავად (ოღონდ წასვლის ნამდვილ მიზეზს ქალს, ცხადია, არ გაუხელს. იმასაც დაუმალავს, რომ თავისივე გაუფრთხილებლობით მოუტედა მარცხი. ამ მარცხს ყინული გადააბრალებს, ყინულზე დამცურდა მანქანაო. რაც მთავარია, დაუშალავს იმასაც, გაქცევით რომ უშველა თავს). საავადმყოფოში რეზოს დაიხინებთ უხდის მადლობა თავისი და მაიას სახელით, უხდის „სამაგალითო დიდებულებოვანებისთვის“. ქალს ექვი ვაკენწლავს, მაგრამ ფიქრს უშალ განიშორებს. კარლო თუმცა ხედავს, დაზარალებული არ გამამხელსო (არ გამხელს თუნდაც მაიას ხაირით, ტუტილად ხომ არ იახლა), ზედმეტ სივრთხილეს აყოლილი მაინც ექამდე მიდის, ფულით დაუბრებს მომადლიერებას. ეუბნება — გავიდე, თურმე გიჭირთ... ეს არაფერია, ამის გამოსწორება ადვილად შეიძლება... ადამიანები ვართო... და უბეში ჩაიყოფს ხელს. ამ სურათის მზილვესა და უამისოდაც ავი წინათვრანობით შეგვირობდა მაიას თავზარი დაეცემა, ლამის გულშედონებული წაიქცევა. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, უარესი ელდა წინ ელის. კარლო, მართალია, დარწმუნდა რეზოს „დიდებულებოვანებაში“, მაგრამ ახლა მაიას ეფიქრება, ხომ შეიძლება მაიამ გამხილოს (უკვე ნანობს კიდევ, ნეტავ ქალისთვის სულაც არ გამენდო ეს საიდუმლო). ამიტომ მეორე დღესვე დაურეკავს ვითარების გამოსარკვევად. ვითომც აქ არაფერიაო, ისე მოიკითხავს. რაკი შეატყობს, ქალი კვლავ მირისხდებაო, მთელ გუმინდელ ამბავს გაუგებრობას დააბრალებს, პასკალის ავტორიტეტთ ვაუტრანზავ-გაუბრაბრებებს — პასკალმა ადამიანს მთავროვნე ლერწმი აწყოლია. მეორე უფრო შთამავრნებლად გაუმეორებს, ადამიანი

სუსტიყო, მაია. ცოტათი გამოღმაც შემიქცევა, არ უნდა წამეგვანე საავადმყოფოში. შინ ისეთი გულჩვილი, მგრძობიარე ხარე, მძილოდ მოვეჩვენაო. რაკი ვერას ვახლება, ქალის სიფიქრეს ვერ მოდრებს და წინანდელი კეთილგანწყობილების დაბრუნების იმედს დაკარავს, ბოლოს და ბოლოს ჰკითხავს იმას, რაც ასე აინტერესებს — ხომ მეგობრებად დავრჩებითო? მაიასთვის ყველაფერი აშკარა შეიქნა, ამ დარეკვის ცუდად დაფარული მიზანიც, კარლოს მთელი ყოფაქცევეც. აშკარა შეიქნა გულნამცევა ადამიანის სრულყოფილი გეოზში და სიმფრთხლე... კაცმა შეიძლება სისუსტე გამოიჩინოს, მაგრამ სინდისის ქენჯამ შეაწუხოს, სინანულმა გიტანაფსო, იმის სურველი მაინც აღეპრას, თავის თავს შეებრძოლოს ან, ყოველ შემთხვევაში, ზიზლი მაინც იგრძნოს თავისი თავისადმი. კარლოს ბუზიც არ აუფრენია თავზე, კვლავინდებურად მაღალ შედესტალზე წამოსკუბებულა საკუთარსავე თვალში. ეპვიც არ გამბარება, რომ მსვავს შემთხვევაში ისევე ისე მოიქცეოდა. იგი, ასე ვთქვათ, მთელი „მსოფლმხედველობით“ შეჯავშნულა. მართებულად აქვს შენიშნული და წარმოიჩინილი მწერალს ეს თვისება ამგვარი პერსონაჟისა. ე. წ. „უარყოფითი“ ადამიანი (ლამარჯია უკვე ჩამოყალიბებულ, ფორმირებამომთავრებულ ადამიანზე) არა მარტო სჩადის აუგ საქციელს, ჩვეულებრივ იმნაირი „შეხედვლებითაც“ აღიჭურვება, ამ საქციელს რომ გაამართლებდა მისსავე თვალში. იმასაც ცდილობს, სხვებაც გამიშვალოს ამ „შეხედვლებით“, თანამოაზრენი დიდიულოს (რად თქმა უნდა, ისე კი არა, საამკაროზე გამოვიდეს). ტოლსტოი უნდა გამოთქვამდეს სადღაც ამდგვარ აზრს (გვონებ, „ადღგომამში“): ქურდი რომ ქურდა, ისიც კი თავს ირწმუნებს, ჩემი ხელობა დიად საპატიო არ არისო; ლამოს, სხვებიც აზროს ამ რწმენას. უარწმუნოდ ამ თავის „ხელობას“ ვერც მისდევს.

მაიამ მძიმე სულიერი ტრავმა განიცადა. იმ ლამარჯის შემდეგ ისე ცუდად ვაბდა, ორ კვირას ლოგინიდან ვერ ადგა. იქნა სიციხით ვათანგული და უემერ სიზმრებს ხედავდა. სხვათა შორის, როგორც ერთ-ერთ სიზმარში სვევის, მისი სიყვარული თითქოს მამის უფაქიზეს სიყვარულთანაც იყო ასოციირებული. ამას უნდა მიანიშნებდეს სიზმარში ნახაი წითლად აყვავებული ხე, რომელიც იმავ დროს ვითომც მამისიციდა. ამ ხეს რაღაც ბანჯგვლიანი არსება წარსტაცებს.

ავადმყოფობის გადატანამ თითქოს რაღაცისგან ვათავისუფლა კიდევ. ფიქრობს, წარსული დაიწყებებს მისცეს, ამიერიდან სხვ იცვალოს ადრინდელი ცხოვრებისეული პრიციპები გადაფასოს. გუნენაში ავტე ბქოს: „რომ იტხოვრო, ყველაფერი ზედმეტი უნდა მოიშოროს, თუ სწრაფად გინდა სიბილი, მაშინ ფეხებიდან



წისქვილის დოლაბები მოიხსენი. მოიხსენი და გადავადე, დაიფიყე. ვისაც ეს არ შეუძლია, ის სიმარტოვის მსხვერპლი ხდება“. ამ ახლებური თვალსაზრისის გამოცდად მოველინება კაფემი ვინმე ვაგისთან შემოხვევით გამბული ნაცნობობა. ვაგი, თვალტანადი ბიჭი, სპორტსმენია, გამორჩეული ფელომბროლი. თავდაყვერებული გახლავთ და თვამომწონე. მისი აზრით, „სპორტი ყველაფერია“. მარტივი და ცხადი „სახბუთი“ ხელთა აქვს: „ახა, სხვა ვინც გინდა გამოიყვანე მოვლანზე — გინდა მწერალი, გინდა მათემატიკოსი, გინდა მხატვარი, ასო ათასი კაცი მოვა!“ — ეუბნება მაის. მისთვის საცხებით გარკვეულია, რას შეიძლება საერთოდ გამოელოდ გოვოსაგან. რა უნდა ისურვოს მაიმ, ვაგიმ ვერ აუსრულოსი რაო? მაისს სურს მთვარეზე იყოს? მაგაზე ადვილი რა არის, წყაიყვანს რითი? ევლისიამედი ავერ არა აქვს! ევლისიამედი წყაიყვანს და ვაისერნებს მთვარეზე, ძალიან ადვილია, დაუჭეროს. მაისს ისიცა სურს, ადვილად გახდეს ბედნიერი. მერე შავას რა უნდა ახლა სიყვარულის გულსთვის ვინ იკლავს თვის, მანქანის ქვეშ ვინ ვარდება... ამის თქმა იყო და მაია უცებ წამოადგა.

ასოციაციით რეზო დაუდგა თვალწინ. უკვე მტკიცედ იცის, რა უნდა, რა გადაწყვეტილებას დაადგეს. ფესვეულმა გრძობებმა მაინც იმძლეზრა მის არსებაში. რეზოს სიყვარულს სამაგიერო სურს მიაგოს.

ამრიგად, ქალის ნაბიჯი დამაჯერებლად მოტივობებული შინაგანი მოთხოვნების გამოვლენა, არსებითი შინაგანი სწრაფვის შედეგია. ვაგის ოცნებაც ხომ ეს ქალი იყო, ამ ქალს მივლტეოდა სტიქიური ძალით. და, აი, აუცხადდით კიდევ ნატვრა. მაშ, რაღა ემართება?

ხდება ხოლმე: ვისაც ვერტოსი, ვაგი ნაირგვარ ღირსებას, სათნო თვისებას მიაწერს, წარმოსახვით განამშვენებებს (ხდება ის, რასაც სტენდალმა „კრისტალიზაცია“ უწოდა). მერმე, თანაცხობებისას, დინახავს — ერთი ჩვეულებრივი, წვერილმანი სულით გაეღმთილი, უღიმღამო არსება შერჩენია ხელთ. კაცს გული გაუცივდება ან სულაც აეყრება (ვაგისხენით ამ თვალსაზრისით, მაგალითად, თანამედროვე ინგლისელი მწერლის სტ. ბარსტოუს რომანი „სიყვარული... სიყვარული“). მაგრამ მაიასა და რეზოს გამო ვერ იტყვი ამას.

ერთგვარად ხელს უშლით საკუთრივ ყოფაცხოვრებითი მხარის მოუგვარებლობა. რეზო არ ინდომებს სიღედრთან სამოთახიან ბინაში გადასვლის (სიღედრი ვერ უყურებს მაინცდამაინც მწყალობელი თვალთ, ისედაც ეთაჯილები); თავად კი ერთი რაღაც სენაქოსმავგარი, ღარიბული (ოლონი წიგნებით გამოტენილი) ოთახი აქვს, ბავშვიანი ოჯახის საცხოვრებლად ნაკლებ მოსახერხებელი. ამიტომ იძულებულნი შეიქნებიან, ცალკე იქირაონ ოთახი. მაგრამ ეს

საკითხი, თავისთავად დახაც მნიშვნელოვანი, აქ არ არის მთავარი. თ. ჭილაძე საკითხს, აქვე ეთქვამთ, უფრო მაღალ სიბრტყეზე სვამს, იმ სიბრტყეზე, უშუალოდ რომ ესაზღვრება ადამიანის, მისი არსებობის ფილოსოფიური პრობლემის სფეროს.

რეზოს არსებობის ზოგადი მიზნის სიცხადე აკლია. კარლსთვის, მაგალითად, ცხოვრების მიზანი გარკვეულია. თავისი მეცნიერული საქმიანობა იმევე დროს საზოგადოებრივი იდეალისადმი ერთგულ სამსახურთან გაუიგეებია, თუმცა მყარ ზნეობრივ საყრდენს თავადვეა მოუღებული. ამდენად, სინამდვილეში, მისი მეცნიერული თუ ფსევდომეცნიერული საქმიანობა (ისევე, როგორც რომელიმე ვაგისთვის — სპორტი), ეს არის, იასპერსისეული ტერმინი რომ ვინმართ, „გეპოზიზ“, თავისებური ნაქუთი, სადაც ამაოებისა და წარმავლობის არაკნობიერი შიშს განრღმებული შეხიზნულა. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ მიზანი, მიუხედავად იმისა, ნამდვილია იგი თუ სუროგატული, სრული ზნეობრივი ემყოფილების მიწიქეხელია. რეზოს კი ზნეობრივი დაუქყოფილებლობის გრძობა აწუხებს. ოლონი ნიშნობილი ისაა, რით ევლენს ამ წუხილს. იმით ავლენს, რომ სხვა ქალის, მიტოვებული ქალის ბავშვი ცირკში დაჰყავს ხოლმე. ამ საქციელს მისსავე ბავშვობაში გაუდგამს ფესვი. პატარა ბიჭობაში თავადაც განუტედა ამგვარსავე ბედში მყოფი ბავშვის დამცირებულობის სიმწარე. ახლა კი ქვისტი თავისებური „მოსარჩლისა“ წამიერ ემყოფილებას მაინც ვერის. თუმცა ძვირად კი დაუჭდება. ამ ამბავს მაიას შეატყობნებენ, ქალიც თავისი თვალთ დარწმუნდება „ფაქტის“ სიმართლესა. ვიდრე მაიას სწამდა, რეზოს ვუყვარავრო, ბედს უდრტვიველად სჭირდებოდა, შეერყა თუ არა რწმენა, განშორება გარდუეული შეიქნა. რეზოს უქყოფილებას საკუთარი თავით შემდეგი დეტალიც გვიძღვანებს: მაია „ინტურისტში“ მოექცეობა თარქიმნად. ერთ დღეს სტუმრად ჩამოსული ალყირელ მწერალს გააყოფილ ქალაქის დასათვალიერებლად. იმ მწერალს თერმე თავისუფლებისათვის ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, თერმეტქერ დაუჭრიათ. საღამოს მაია იმდღევანდელ თავგადასავლს მოუყვება რეზოს. სხვათა შორის დასძენს, წარმოიღმდგენია, იმ ალყირელ მწერალს თერმეტის ჭრილობა აქვსო. მეორე დღეს, გამგზავრების წინ, ალყირელი მწერალი სახლამდე მიაცილებს მაიას. რეზო მათ ჭიშკართან დახვდება, ასე გამოთაყურება: ცალ ხელში ჩვილი ბავშვი უჭირავს, მეორე ხელის იღიაში ცოცხი ამოურჩია. ძველი, დავლჯილი შარვალი ჩაუცვამს, შიშველი ფეხები ფლოსტებში წაუყვია. სტუმარი რომ გა-

**თენგიზ ჩხბიძე**  
თამაზ შილაძის მოთხრობები

მოეთხოვებოდა და ოთახისკენ შებრუნდებოდა, მაის ეტყვის — მაგას თერთმეტი ჰრილობა აქვს, მე კი — აი, ეს ცოცხლი! ასე აშკარა ირონიით მიმართავს თავისსავე თავს. აქ უნდა გავითვალისწინოთ იმეამინდელი მისი ჩვეული ყოფაც. თუმცა გარკვევით ნათქვამი არ არის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახლადმიღებული უნდა ჰქონდეს უმადლესი განათლება; ოღონდ ცხოვრებაში ზვირვანად ფეხი ჭრს არ მოუყვიადა თუ ვერ მოუყვიადა. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მათა სამსახურშია, შინ ყოფნა და ბავშვის მიხედვა ავალა.

დაახლოებით იმავედროინდელი ერთი ეპიზოდი იმასაც გვიჩვენებს, რომ რეზოს მათას გულისთვის თავი არ ეხოვება, საჭიროება რომ მითხოვდეს, მისთვის მსხვერპლის გადგმასაც არ დაეარდებოდა. ერთხელ მათა ნახვარად ხუმრობით ეტყვის, მინდა ჩემი გულისთვის რამე გააკეთო, თუნდაც... ამ სიტყვებში მტკვარში გადახტო. რეზო, არც აცივებს, არც აცხელებს, გადაევლება მოაჩირს და მტკვარში გადაეშვება. თუმცე, როცა მათა მერვე ქლასში ყოფილა, ერთი მისა ამხანაგიც ასე მოქცეულა. მაგრამ რაც მერვექლასელის თავმოყვარობას საცხებით დაამეცდა, ცხოვრებაში შესული თუ შესვლის მოსურნე მოწიფული ადამიანისთვის, ცხადია, აღარ ემარა. რეზო და მათა იქენენ „ერთობრივ“, „ერთსულ“ კი — ვეღარა. მათს ურთიერთობას გაუცხოების ავბედითი დაღი დაესვა.

სამი წლის განშორების შემდეგ რეზო ბაკურიანში შეხვდება მათას, რომელსაც შეილიც თან ახლავს. ერთმაც და მეორემაც საკეთარი გამოკიდლებით კარგად იციან, რას ნიშნავს დაჩაგრულობის გრძნობა იმ ბავშვისა, ვისი შრომებზე განქორწინებულან, იციან და გაუბედავად, მაგრამ მაინც ცდიან ერთმანეთს დაუბრუნდნენ. სურათი გზაზე მამა-შვილის შეხვედრისა (მათა და დედამისი ამ დროს მოშორებით დადგებიან), როცა მამა გამოვსახუბრება შეილს, შეილი მხოლოდ სახელით ასხენებს მამას, ცნობით კი ვერა ცნობს, მომენტი, როცა მამა თავის ბიჭუნას იმავე იდუმალ სევდას შენახავს, ბავშვობაში თავად მასვე რომ დაუსტეკვა გული, დღი ადამიანური ტკივილითაა გამსჭვალული. ამავე საუბარში ბიჭუნა ისეთ რამეს „გაამხელს“, რაც იმ უკანასკნელ, სუსტ ძაფსაც გაწყვეტს, მის დედ-მამას რომ აკავშირებდა. გულუბრყვილოდ მოიწონებს თავს, „ძია თემური“ მე და დედას „ვოლგით“ გვასვირნებს ხოლმეო (თბილისში). მათა და რეზო უძღურნი აღმოჩნდნენ, რაიმე ელონათ.

ზოგი პრობლემა, მწერალი მთავარ აქცენტს მის გადაწყვეტაზე კი არა, დასმავს გადაიტანს და საზოგადოების გულისხმიერი ყურადღების სიგნალ აქცევს ხოლმე. „თეთრ კვამლში“ აღძ-

რული პრობლემაც ერთ-ერთ ასეთ პრობლემაზე მივყავართ.

მოთხრობა „წეროს“ მთავარ პერსონაჟს, როცა, ოცნება სჩვევია. ოცნება ადამიანის ცხოვრებას სილამაზით მოსავს, ეხმარება, „შეივლ“, ემპირიულ ყოფაზე ამაღლდეს. ეს თვისება მიმზიდველად წარმოგვიჩენს ნაწარმოების მთავარ პერსონაჟსაც, მით უმეტეს, რომ თვით მოთხრობა ნატიფი პოეტური ქმნილებაა, თანაც ამდენად პოეტური, მკითხველს შესაძლოა შეეჭმნას მთაბეჭდილება, შიგ ჩატეული განწყობილება, აზრი ლექსსადაც გამოითქმოდან. ეს ასეა, ოღონდ ოცნებაცაა და ოცნებაც. ცირას ბუნდოვანი ლტოლვა არ არის საუმაწვილის ხანის ოცნება, როცა ადამიანს ნატყა შედარებით იოლად მისაწვდომი ეჩვენება, ან როცა გულში რაიმე მიზანს ამოიჭრის და მერმე იმ მიზანს მიესწრაფება. ცირას ლტოლვა თუ ოცნება ეს არის ლტოლვა და ოცნება უკვე ასაკსრული, გათხოვილი, მოსიყვარულე ქმრის ბატონი და თავადაც ქმრის მოყვარული ქალისა. არცთუ ის ითქმის, ოცნება ისე, სხვათაშორის სჩვევიაო. არა. ოცნება არსებობის გარკვეულ ნორმად ქცევა. უფრო მეტიც. შეშფოთებული კილოთი წარმოთქმული კითხვები, რითაც ქმრის მიმართ თავს ზოგჯერ, გვიმედავენებს, რომ არ ასვენებს სურვილი თავისი არსებობის საზრისის წყდომისა. მაგრამ როგორია მაინც მისი ოცნება თუ ლტოლვა? ამას ერთი მაგალითი ცხადყოფს. ცირა აეროდრომისკენ ისწრაფვის ხოლმე (ზღვისპირა დაბაში ცხოვრობს, აეროდრომი სამიოდე კილომეტრის დაშორებით ეგულობება). იქ მოყვარულ პარიშუტისტთა კლუბია გამართული. ცირა ღვას ხოლმე მინდორში და უცქერის, როგორ აიჭრება ცაში თვითმფრინავი, როგორ დაეშვება, ან პარიშუტით როგორ ბტებოან. ამ თავისი ქცევათაშორის კიდევაც აყვრევებს. როცა ადამიანს სხვისი რამ ნაწილმედარი ხიბლავს, ჩვეულებრივ, სურვილი უჩნდება, მოდი, მეცა ეფდიო, ანდა გული წყდება, ნეტა მეც შემეძლოსო. ცირას ქცევაში მსგავსი რამ არ შეიშინება. მისი სწრაფვა იწყება „ჰერბით“ და მთავრდება „ჰერბითვე“. მას, ასე თქვათ, აბსტრაქტულად მოსწონს ეს სანახაობა. ამგვარი მისი ლტოლვა მოთხრობის დასასრულს უკვე პრინციპის რანგშია აყვანილი. უნეტარეს მიზნად ესახება, განუსაზღვრელ, დაუსრულებელ ოცნებებს მიეღობოდეს მარად. ამრიგად, მისთვის მთავარია ოცნება — ოცნებისთვის, მთავარია საკუთრივ ოცნება კი არა — მეოცნებეობა, როცა თავისთავად ნატყრას თვითმიზნური და თვითკმარი მნიშვნელობა მიეწყვის. მაგრამ საკითხავია, სადამდე შეძლებს ადამიანი განუსაზღვრელი, აბსტრაქტული ლტოლვითა თუ ოცნებით ისარდლოს (ცხადია, თუ ნორმალური, სალად მოსწოროვნე ადამიანია)? ამგვარი შემთხვევაში ორში ერთია საგულწებელი — ან რეალურ





ცხოვრებაში უფრო ღრმად შესაღწევია გზა უნდა იპოვოს, ანდა, თუ ამას ვერ შეძლებს, გაცუცობების საფრთხე მოეღოს.

III

თუ თ. ჭილაძისეულ მოთხრობათა გმირების ერთი ნაწილი, ოცნების, სწრაფვის, უკეთესი ხედვების ძიების ენით აღძრულა, სამავიროდ „პოსეიდონის სასახლის“ მთავარი გმირი, გიგა, ამ მიჯნის ვადაღმა დამდგარა — ობიექტული კეთილდღეობისა და კმაყოფილების, გულგრილობის (სხეებისადმი გულგრილობის) საყუდარში ჩაყუდრულა. აქ საყურადღებოდ ის მიგვაჩინა, რომ გიგა მწერალია, თანაც აღიარებული, პოპულარული მწერალი. მართალია, „პოსეიდონის სასახლე“ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე მოთხრობაა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სიმბოლურია, მარტოდენ გადატანითი კი არა, პირდაპირი მნიშვნელობითაც უნდა ვაფიქსოთ. ასე რომ ჩვენს წინაშე ისმის ერთობ საკუთის-ხმო საკითხი, თუ რა მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, შემოქმედის, ხელოვანის პიროვნების რაობას მისივე შემოქმედებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორია თვით ამ ხელოვანის დამოკიდებულება თავისსავე შემოქმედებასთან.

გიგას დამოკიდებულებაში როგორც საკუთარ თავთან, ისე საკუთარსავე შემოქმედებასთან, დამოკიდებულება კილო ფლერს, ეს დამოკიდებულება ირონიულია. სწორედ ეს თვითირონია, ჩვენს აზრით, ერთ-ერთი საყურადღებო თვისება მოთხრობის მთავარი გმირისა. საყურადღებო იმედნადაა, რამდენადაც გვიმტკიცებს თვითგანწყობის თემცადა სუსტ სურვილსა და ცდას, მაგრამ მაინც სურვილსა და ცდას. ხოლო აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა თუნდაც ამ სუსტ სურვილსა და ცდას, სინდისის ქენჯნის მანიშნებელს, თვალსაჩინო ვახდება, თუ გავითვალისწინებთ თ. ჭილაძისავე მოთხრობაში, „თეთრ კვამლში“, დახატულ ერთ სურათს. რაკი ეს სურათი არცთუ მაინცდამაინც ვრცელია და თანაც საკმაოდ მჭევრმეტყველურია, მთლიანად ამოციწვრთ. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, მაია, გვიამბობს ერთი აღვირელი მწერლის საბატეციემულოდ გამართული ეახშმის ამბავს:

„ჩვენი მწერლებიც დათვრენ და წასვლი-სას ერთმა მიჩურჩულა: „მაია, შეიძლება თქვენი სახლის ტელეფონის ნომერი რომ მარქქოთ?“ — და სასწრაფოდ გვერღზე ვახიხედა, ვითომ ჩემთვის არაფერი უთქვამს. მისი მეგობრები და ბატონი ქანი (აღვირელი მწერალი — თ. ჩ.) გამოთხოვებასა და კონცაში იყენენ ვართულნი და აქეთ არც კი იხედებოდნენ.

მეც საიდუმლო კილოთი გადავუბურჩულე: — ვერ ვაჩუქებთ! მწერალი ბატონი ქანი უდიდოდა, ჩემსკენ არც გამოუხედავს, ტურებში გამოიტრა: — რატომ? და ბატონი ქანისკენ ხელგამილილი გაქანდა,

რადგან ის სხეებს უკვე გამოთხოვა და ესლადარჩა.

— მაია, მაია, მოდი თქ! — დამიძახა მწიკნი მივლეო.

— მინდა ბატონ ქანს წიგნი ვაჩუქო, გადაუთარგმნეთ. — თან ამხანაგებს ვახედა, შევტყვევე, არ უნდოდა იმათ გავგოთ, ჭიბიდან პატარა წიგნი ამოიღო.

ბატონმა ქანმა თქვა: — ძალიან მაღლობელი ვარ, უსათუოდ ვთარგმნი რამდენიმე ლექსს!

წიგნს დაგხედა, რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებული იყო.

— ბატონმა ქანმა რუსული არ იცის, — ველხარი მწერალს.

— მაგან არც ქართული იცის, — მიპასუხა მწერალმა და რატომღაც ძალიან მკაცრად დაუშაბა, — გვაცალე!

იმდენი მოახერხა, რომ ბატონ ქანს წიგნი ჭიბში ჩაუდო, ასე რომ, როცა მისი ამხანაგები მოგვიახლოდნენ, წიგნი უკვე გამქრალი იყო.“

როგორც ხედავთ, ეს ხელოვნებისეული „კვა-ქიკო“ ეროდროულად ორ კურდღელს დასდევნება. იქით თავისი საქმე უნდა „ვიამასქანს“, აქეთ კიდევ იმის ცდაშია, „ხობობი“ არ გამოფრინდესო. მეტივე რა ვუყოთ, რომ ეს, ცოტა არ იყოს, უზნეო საქციელია. სამავიროდ ლექსში, როგორც ქართველი პოეტი — ქართველ ქალს, თამარ დედოფლის საკადრის ქებას შეასახამს, ხოლო თუ დასჭირდა, საჯაროდ პათეტიკურად განაცხადებს (ან თავისი ამქარის წვერის პირით განაცხადებს) — ჩემი პოეზია ჩვენს ახალგაზრდობას იდეურ-გმირულ-პატრიოტულ-ზნეობრივ-მოქალაქეობრივი სულისკვეთებით ზრდისო (ალბათ, ზედმეტია. უხერხულიც იქნება შეგონებით, ზოგიერთი ზემოხსენებული ყაიღის პოეტი როდი განსაზღვრავს ჩვენი სასიქადულო მწერლების ნამდვილ იერსო).

რად ვასაკლვირია, გიგა ერთგვარ ზნეობრივ უპირატესობასაც გრძნობდეს ზოგი კოლეგის მიმართ. ხანდახან, როცა სინდისის ქენჯნა შეაწუხებს, თავს იმით ინუგეშებს, თანამდებობას მაინც არ ვეჭმებ, ჩემთვისა ვარ, კარტს არავის ვუწყობო.

გიგას სახის შექმნა თ. ჭილაძის მწერლობრივ კეთილსინდისიერების მაჩვენებელ ერთ-ერთ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ქართულ კრიტიკაში იმდროითვე ითქვა, რომ თ. ჭილაძემ, ზოგ სხვა იმპროვირდულ ახალგაზრდა პროზაიკოსთან ერთად, მოიმარჯვა ახალი გამომსახველობითი საშუალებანი — ასოციაცია, ქვეტექსტი, მინიშნების ზერხი და სხვა. ეს სიახლე ფორმისეულ ძიებათა და მიღწევათა სფეროში საყურადღებო სწორად და სამართლიანად

თენგიზ ჩხიპიძე  
თაბაგ ზილაძის მოთხრობები

იქნა აღნიშნული. კამათი იმის გამო, თავისთავად რაოდენ სახარბიელოა, ვთქვათ, ასოციაციური აზროვნება, ფუჭი იქნებოდა. რაკილა ასოციაციური აზროვნება თანამედროვე ადამიანის გართლებულ ფსიქიკის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გამხდარა. ვერადი აღარ აველებია, მწერლობამაც სათანადო ადგილი უნდა მიუჩინოს სტილურ საშუალებათა შორის. ოღონდ კრიტიკამ ისიც იმათივე შენიშნა, რომ მწერალი ასოციაციას ზოგჯერ უადგილო ადგილას იყენებდა, იქ, სადაც პერსონაჟის ფსიქიკას კონკრეტულ ვითარებაში არ შეესაბამებოდა. ნიმუშად მოტანილი და განხილული იყო თებროსა და პავლეს სიახლოვის ტენია (მოთხრობა „შუადღე“. თებროს სტიქიური გრძნობის დასახასიათებლად ავტორი ასოციაციას იშველიებს: ქაღალის ცნობიერებაში ჩნდება აღმოღებულ თივის ზვინი („თივის ზვინი იწვის, იწვის... — კიოლა ვიდაც“. ბავშვობისას სოფლად ნანახი სურათი). ასოციაცია ჩვეულებრივ მაშინ აღიჭვრის, როცა რაიმე შეგრძნება, განცდა, შთაბეჭდილება თავისთავად ნაკლებია, უკმარია და ასურვილი სისავსის, სრულყოფის მიღწევისა შემგრძობს თუ შთაბეჭდილების განმცდელს მიეზიდება „შთაბეჭდილების ძირებისაკენ“, პირველშივე ზისაკენ. მაგრამ რაკი თებრო შერწყმია პავლეს და სისავსის გრძნობა არ აკლია, ასოციაციაც არ უნდა აღძვროდა.

ავტორი ზოგჯერ მინიშნების ზერხს სკერდება, როცა მოვლენის უფრო ღრმად ასახვა საჭირო. ზემოდ ვაკვირთ კიდევაც აღვნიშნეთ ეს ერთი მაგალითი მოვლენათ. ენეუბროუნდეთ „პოსეიდონის სასახლე“. რატომ არის გიგა მოთავისე, რატომ გაბატონებულა მასში მოთავისე კაცის ინტინქტი? ამის მიზეზს მიგვანიშნებს მოკლე ეპიზოდი, სადაც ნაჩვენებია გიგას შეხვედრა მამამისთან წყნეში, მამამისისავე აგარაკზე. ამ ეპიზოდში მამამისი წაპირვლივდება ენოკიკად, თავკერძობას ყოველ ქვევავში, ყოველ წვრილმანში რომ ამვლავნებს. ამრიგად, პასუხი თორქოს ნათელია, გიგა მამისეული „გენებიითა“ სავსე. ხოლო ამ ამბავს თითქოს რაღა უნდა ეშველოს. მაგრამ ნუთუ ასე შეუვალა გიგასეული „გენები“, ნუთუ არ იბოვება ისეთი ბერკეტი, ამ მისი „მემკვიდრეობით“ თვისებისთვის „ცვალებადობის“ უნარი დეპირისპირებინა? გიგას მეობა ეყრდნობა საზოგადოების ნაწილის მხრივ აღიარების, დაფასების გარეგნულ გამოხატულებას, ეს შველის, ასე თუ ისე შეინარჩუნოს საკუთარი ღირსების გრძნობა. იგი არა მარტო კომფორტული ბინის, საკუთარი აგარაკის, ავტომანქანის მფლობელი გამხდარა, — ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების მხრივაც ფრიად განვითარებულა, მათი ყურადღება არ აკლია. ერთი ეს არის, იუბილუს ვერ უხდიან. მაგრამ ვგეც მისივე „ბრალია“. ჯერ მხოლოდ ორმოცი წლისაა, ასაკი არ უწყობს

ხელს. არადა, საკმარისია ეს საკრდნი წილიწილი, წყლიდან ამოღებული თევზივითი შეიქნება. აქ უკვე მისი სულიერი მტკიცე მტკიცე უღლე ლაიც, ვერას უშველის, რადგან ილუზიის ციხე-კოშკი თავადაც ჩამოვქცევა. მერამე თვით გიგასაც უღვევის სურვილი, თავის ობიექტულ ბუნებას აუმხედრდეს. ზემოთაც ხომ ვთქვეთ, თეითრონია სჩვევია-თქო (ამგვარივე შეფარული ირონიით ეკიდება მის მიმართ ოფიციალური პატრიისციმის გამოვლინებასაც. მაგრამ ეს ვასაგება: როცა კაცი თავის თავს არ ინდობს, სხვებს მით უფრო არ მოვობიშება). საინტერესოა, რატომ ამვლავნებს გიგა ირონიულ მიმართებას თავისი შემოქმედებისადმი, გულის სიღრმეში რატომ არ მიანჩნა თავისი თავი ნამდვილ თუ სერიოზულ მწერლად. იგი თხზავს დანტასტიკურს და დეტექტიურ რომანებს თუ მოთხრობებს. ამ ქანრში დასპეციალებულა. უკვე ოცდაათი წიგნის გამოქვეყნება მოუსწრია. მისი მოთხრობების მიხედვით გადაღებულია კინოსურათები, ტელეფილმები, იდგება სპექტაკლები. მისი დაწერილი წიგნები სოკოებივით გამარავლებულა. მერედა, რა სულიერ საზრდოს აწვდიან ისინი მკითხველ საზოგადოებას? მათ, ჩვეულებრივ, გზაში, მეტროში თუ აეროდრომზე კითხულობენ თავშესაქცევად, წითიერი თავდაიწყების მოსაპოვებლად. როცა უთვალ გიგა შენიშნავს ხატოვანად, „ვიგონის თაროზე მყუდროდ მოკალათებულნი, ყლაპვენ მას, როგორც ძილის წამალს, ანდა ნარკოტიკს“. „ეინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ლევანი, ავრთვე მწერალი, რომელიც გიგას ერთგვარ წინამორბედ სახედ უნდა ჩაითვალოს, ჯერ კიდევ ცდილობს, ახლოს იყოს ცხოვრებასთან, ყოფის შუაგულიდან ამოკრიბოს მასალა. ხოლო სივლიან იღებს მასალას გიგა? როგორც თავიდევეუბნებს, სამუშაო მაგიდაზე უწყევია საშუალო სკოლის ფიზიკის სახელმძღვანელოები და იქიდან „ამოწერილი ფორმულეზით რაღაცას თითხნის“. შემდგომ ეს „თითხნა“ აღარ სჭირდება, იმიტოა ვართული, რომ თავისივე წიგნებიდან ამოწერილ გვერდებს სუფთა ფურცლებზე აწებებს, რათა ხელახლა გამოსტოს. ასე რომ, შეუძლია არჩენინდ იჯდეს და ერთ წელიწადს ხელი არ გაანძობოს.

საზოგადოებას, უწინარესად, ლიტერატურული კრიტიკის სახით, შეეძლო საკაროდ სიმართლე ეთქვა პირში გიგასთვის; მისი, როგორც მწერლის, ღირსების ფახი გამოვლავიარებინა. მაშინ ის იძულებული შეიქნებოდა, თავისი სულიერი ენერჯის, ნიჭისა და დროის მაქსიმუმს მოეხმარა ნამდვილი ღირებულებების მქონე ნაწარმოებთა შესაქმნელად. სულიერი ძალების ამ მობოლიზების თავდადვითი გარდაქმნა უნებობრეად. მაგრამ ამას არაფერ ხელს. ვერც იმას ეიტყვიო, მისი ღირსების აკრძალვა



ვინ ხედავდეს. მოთხრობაში ვხვდებით ვინმე „ცნობილ კრიტიკოსს“, რომელიც სუფრაზე, სადღეგატელოს წარმოქმნისას, გიგას ხობტას ასახსნა, სახელგანთქმულ მწერლად იხსენიებს. მაგრამ როცა შესთავაზებენ, გიგას შემოქმედებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში მიიღოს მონაწილეობა, საჭაროდ გამოსვლას თავს აარიდებს. გიგა რომ „თანამდებობის მქონე“ პირი იყოს, „ცნობილი კრიტიკოსის“ რიგს, ასე თუ ისე, კიდევ ადვილად ახსნიდა კაცი. როგორც აღვნიშნეთ, მას არავითარი თანამდებობა არ უკავია, არც მიესწრაფვის თანამდებობას. მაშ, რაშია საქმე? რას შეუქმნია ასეთი ატმოსფერო? რა ფენისა თუ ჯგუფების რა განწყობილებებს ასახავს ამგვარი მათემბლოგი ურთიერთდამოკიდებულება? სამწუხაროდ, მოთხრობაში არ არის ყოველდღე ამის ანალიზის, მოვლენის უფრო ღრმად ასახვის, ახსნის ცდა. საკმაოდ მკაფიოდაა დახატული შედეგი, მიზეზობრივი კავშირი კი სუსტადაა ნაჩვენები. ამიტომ სინამდვილის სურათიც, უპირატესად, „სტატიკურია“. სინამდვილის რეაქტული (ან მეცნიერულ) შემეცნების გარკვეულ საფეხურზე ასახვის ამგვარი პრინციპი გასაუბრია და, როგორც ცნობილია, თავისებურად ვამართლებულვითაა. ცხოვრების, საზოგადოების, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, გამოსახვისას თავდაპირველად ცალკეულ ნაწილებზე მახვილდება ყურადღება. ამასთანავე, უწინარესად იმას წარმოვაჩინო, რაც შედარებით მკვიდრი და უცვლელია ამ ნაწილებში. ნაწილთა ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას ნაკლებ ყურადღება ექცევა. ოღონდ სინამდვილის წყდომაც ამ საფეხურზე იმავე ღრის შედარებით მარტვე მთლიანობას, მარტვე სინთეზს წარმოვიდგინო. მერე და მერე საჭირო ხდება მოვლენების ჩვენება უშუალოდ ცვლისა და განვითარების, პროცესში, მრავალმხრივსა და რთულ ურთიერთკავშირში. ერთი სიტყვით, საჭირო ხდება ჩვენება უმთავრესად „დინამიკაში“, რათა ვწვდეთ სინამდვილის უფრო რთულ მთლიანობას, რთულ სინთეზს.

აღმაიანს რთული შინაგანი სამყაროს გამოსახვა ამვე ღრის მოითხოვს ამ აღმაიანის ცოცხალ ცხოვრებასთან კავშირში ჩვენებასაც. ამ თვალსაზრისით მეტი ყურადღება სჭირდება პერსონაჟის შრომით კოლექტირებულ ურთიერთობაში დახატვას. მართალია, აღმაიანი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ის, შრომითი საქმიანობა, რასაც ეწევა, და ის შრომითი ურთიერთობაში, სადაც ჩამბულა. მაგრამ ამ სფეროში იგი არა მარტო საკუთარ თავს შეიძინებს გარკვეულწილად, არამედ — სხვებსაც, შეიძინებს მათს ზნეობრივ სახეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ავ-კარგს. მისი ფორმირების აგენება ამ სფეროს გარეშე ცალმხრივი იქნებოდა. ამას იმიტომ შევნიშნავთ, რომ, თუ წი-

ნათ, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ლიტერატურაში ასახული აღმაიანი არცთუ ვსწევს ათად წარმოებასა თუ წარმოებითს ურთიერთობაში გათქვეფილიყო თუ ჩაყარულიყო, ახლა ზოგჯერ ღამის მეორე უკიდურესობამ იანიოს თავი.

თანამედროვე აღმაიანის გართლებული ფსიქიკის, იღუმელი ფიქრებისა თუ გრძნობების წვდომისა და გამოსახვის ახალ სტილურ საშუალებათა, ახალ სტატურულ ხერხთა ათვისება და მონარჯეება სჭირდება. ამიტომ, მწერლის სტილის საკითხს ფაქტრი მიდგომა უნდა. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მცირე წილისგა.

ერთ საგანგებო-მიმოხილვით სტატიაში აღნიშნული იყო, თ. კილაძე ბოლო ნაწარმოებებში „ცნობიერების ნაქაღს“ მიმართავს. რაიმე განმარტება არ ხლებია, არცთუ კონკრეტული მაგალითი ყოფილა მოტანილი. კონტექსტიდან ერთ რასმე დასკვნიდა კაცი, ეს მხატვრული ხერხი მიუღებელიაო. მაგრამ „ცნობიერების ნაქაღს“ უგულვებლყოფა ან ხელაღებით უარყოფა დღესდღეობით უმართებულთა ორი მიზეზისა გამო მანიც. პირველი მიზეზი „ცნობიერების ნაქაღს“ ემყარება ე. წ. „თავისუფალ ასოციაციას“. „თავისუფალი ასოციაცია“ კი მიზნულთა იმ სიმბოლურ ენად (სიმბოლთან ერთად), რომელზედაც ვარდათქმის არაცნობიერის წილში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები. ამრიგად „ცნობიერების ნაქაღს“ დაკავშირებულია არაცნობიერის პრობლემასთან. ხოლო არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილი სერიოზული შრომები საბჭოელი მეცნიერებისა გამსჭვალულია ამ პრობლემის უარყოფის, მოხსნის კი არა, მისი ბუნებისა და შინაარსის შესწავლის, გამოკვლევის პათოსით. მეტიც. არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად ითვლება არა მარტო ფსიქოლოგიისა, არამედ ფილოსოფიისაც. ასე, სამამულო ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი, ა. შეროზია, წერს: «Проблема бессознательного, как и проблема сознания, — одна из центральных проблем не только психологии, но и философии»<sup>1</sup>. კიდევ მეტი. ხსენებული მეცნიერი შემდგომ ასეთ აზრს აფორმულეს: «...Теория бессознательного имеет огромное значение не только для оправдания человека, каков он есть, но и для его воспитания таким, каким он должен быть»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> А. Е. Шерозия. «К проблеме сознания и бессознательного психического». П. изд. «Мещинереба». Тбилиси, 1973, გვ. 9.

<sup>2</sup> დასახელებული ნაშრომი. გვ. 31.

თენგიზ ჩხიძე  
თამაზ ზილნარის მოთხრობები





აკი მოთხაც იყენებდნენ კაცთმოძულეობითი იდეოლოგიის გასამარებლად. მაგრამ ჰუმანისტმა თომას მანმა ჰუმანისტურსავე მიზნებს დაუქვემდებარა მითი, როცა შექმნა განთქმული რომანი „იოსებ და მისი ძმები“. თავადვე ბრძანა ამის თაობაზე: მტერს მისივე იარაღი გამოეტაცე ხელიდან და იქითვე მივუშარკვეო. მართალია, მითი უკვე ფიქსირებული, წერილობით მოცემული რამ არის, ხოლო არაცნობიერის სფერო ძნელი მოსახელთებელია და თანაც მისი შინაარსი ჯერაც საბოლოოდ დაუდგენელია, მაგრამ საქმის არსი ამით არ იცვლება, რამდენადაც ლაპარაკია საკითხისადმი პრინციპულ მიდგომაზე. „ცნობიერების ნაკადი“ არ გულისხმობს, ვთქვათ, უშეველად „ოიდიპოსის კომპლექსს“; მით უმეტეს, რომ ხსენებული კომპლექსი თვით ფსიქოანალიზის თეორიაშიც არ არის მთავარი, თუ გავითვალისწინებთ იმ სახეცვლილებებს, ამ თეორიამ რომ განიცადა ფროიდთან მოყოლებული ვიდრე ფრომამდე. გააჩნია, როგორ უყურებს მწერალი ადამიანს, უმთავრესად ქვენა გრძნობათა თუ ლტოლვათა ბუდედ ესახება იგი, თუ ისეთ ვინმედ, რომლის არსებაშიც „ბოროტი“ საწყისის გარდა „კეთილი“ საწყისიც ჩანერგილა და თანაც ეს „კეთილი“ საწყისი სუსტი, უმწეო მოპირდაპირე კი არ არის „ბოროტისა“, არამედ, ასე ვთქვათ, ღირსეული მეტოქეობის შემძლეა. მთავარი მწერლის მსოფლმხედველობაა, როგორ ესმის მას ადამიანის რაობა, როგორია მისეული „კონცეფცია პიროვნებისა“. ამიტომ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, თუ რომელიმე მწერალი სადმე მართლაც ბრმა მიბაძვით იყენებს „ცნობიერების ნაკადს“, თვით ხერხი, ტექნიკური შეაღება კი არ უნდა დავადანაშაულოთ და

დავგვით განუკითხავად, ავტორის ესა თუ ის უმწიფარი შეხედულება უნდა გამოვავლინოთ გულდასმითი ანალიზით.

გარდა ზემოთქმულისა, მხედველობაში კიდევ ის არის მისაღები, რომ თვალსაჩინო საბჭოელი ლიტერატურისმცოდნენი—მაგ. ტ. მოტილოვა, ვ. დნებროვი — დადებითად ეკიდებიან „ცნობიერების ნაკადის“ გამოყენების საკითხს. პირველი მათგანი „ცნობიერების ნაკადს“ შინაგანი მონოლოგის ნაირსახეობად მიიჩნევს. საგულისხმოა, რომ ორივე ლიტერატურისმცოდნეს ნიმუშები მოაქვს ჰუმანისტურ ცნობილი რომანიდან „ვისთვის რეკს ზარი“. „ცნობიერების ნაკადი“ რომანის გმირის რობერტ ჯორდანისა გვეხმარება, უკეთ დავიხაზოთ რესპუბლიკური ესპანეთისათვის თავდადებული ამ ადამიანის ღიღი შინაგანი ღირსება, დავინახოთ გონების უპირატესობა ინსტიქტის წინაშე.

იმ საზოგადოებას, რომელსაც არსებით და არა ფორმალურ მიზნად დაუსახავს ადამიანის შეგნების, მისი ფსიქიკის გარდაქმნა, რაც შეიძლება სრული და ზუსტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ამ ფსიქიკის შესახებ საერთოდ, სიღრმისეული ფსიქიკის შესახებ კერძოდ. ამ ინფორმაციის, ცოდნის მოწოდება სპეციალურ მეცნიერულ დისციპლინებთან ერთად მხატვრული ლიტერატურის ვალიცაა. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ხომ სწორედ შემეცნებითი მნიშვნელობაა.

თ. კილაძე თავის მოთხრობებში გულისხმობდა და სიწრფელით ეკიდება თანამედროვე მკითხველის ინტერესთა სფეროს. მკითხველიც სიმპათიის გრძნობითაა გამსჭვალული მწერლისადმი მისი კეთილსინდისიერებისა და ნატიფი ნიჭის გამო.



## საპარტიო რეპრეზენტაცია

# სსპის მემბრების მემბრების რეპრეზენტაცია

ისტორიამ, დრომ, ტერიტორიულმა სიბ-  
ლოვემ, კულტურამ, ყოფა-ცხოვრებამ და-  
მოყვრა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი  
ხალხები. საუკუნეების მანძილზე ისინი იყოფ-  
ნენ პურსა და მარისს, ჭირსა და ლხინს, რო-  
ცა ქართველს ოჯახში ყერა უქრებოდა, იგი  
ცეცხლისათვის ჩრდილოკავკასიელ მეგობრებ-  
თან ან, როგორც რაქში ამბობენ, ყერაქებთან  
მიდიოდა, რადგან იცოდა ყერამოყეთე მუღამ  
მოუშართავდა ხელს. ასევე ჩვენი იმედი ამხე-  
ვებდა მათ.

არ არსებობდა მთის რაქში ისეთი მამა-  
ცი ან ოჯახი, რომ მოსაზღვრე მთიელებში:  
ჩრდ. ოსეთში, დიგორში, დვალეთში, მალყარ-  
ში, ყარაბაი-ჩერქეზეთში ყერა არ ჰყო-  
ლოდა. ყერაომიური სიღუბნიერე და ცხოვრე-  
ბის სხვა პირობები უქარახებდა რაქველებს  
გადაელახათ კავკასიონის მწელადავალი საუ-  
ელტეხილო ვზები და იქ ერთვული კაცები  
გაეჩინათ, რომლებთანაც შეეძლოთ მისელო,  
ღამის გათევა და მოსევენება. ასეთები კიდე-  
ვაც გაუჩენიათ ყერაქების სახით და ყერამო-  
კეთობის ეს კარგი ტრადიცია საუკუნეების  
განმელონაში გრძელდებოდა.

ყერამოკეთობა ფიცით მტკიცდებოდა. და-  
ყერაქებულ ოჯახებს შორის ასე იქმნებოდა ხე-  
ლოენური ნათესაობა, რომელიც შემდგომ  
შთამომავლობით გადაეცემოდა. ყერამო-  
კეთების განენას ღრმე ყერაომიური საფუძველი  
გაანდა. დაყერაქებულ ოჯახებს ერთმანეთში  
ინტენსიური მისელო-მოსელო ჰქონდათ და ჰ-  
არბი პროდუქტების გაცელო-გამოცელოს ეწე-  
ოდნენ.

მეზობელი ხალხების ან თემების — აღ-  
რე დაყერაქებული ცალკეული ოჯახები მათ  
შორის ნათესაობა რომ უფრო განმტკიცებუ-  
ლიყო ერთმანეთს უმეგობრდებოდნენ ტრ-  
ადიციული სტუმარ-მასპინძლობის, დამბობილე-  
ბის, სხვისშეილობის ჩვეულებების საშუა-  
ლებით.

ყერამოკეთობას დიღად აფახებდა ხალხი,  
ამიტომ ცდილობდნენ ერთმანეთში ხელო-  
ენური ნათესაობის განმტკიცებას. ამ შემთხვე-  
ვაში მთავარი, რაც მათ ანათესავებდა, იყო  
ღედა, ღედის რქე და მასთან დაკავშირებუ-  
ლი აღათ-წესები, რომელიც საქართველოში  
„გაძიქავების“ სახელითაა ცნობილი, კავკა-  
სიელ მთიელებში კი — ატალიოხად წო-  
ლებული. მთის რაქში ამ ჩვეულების აღმნი-  
შენელად „სხვისშეილობას“ იტყვიან, რაც  
გულისხმობს გაშეილებას, მხოლოდ საქართვე-  
ლოს საზღვრებს გარეთ, ყერაოდ, ჩრდილო  
კავკასიელ მთიელებში.

კავკასიური ჩვეულებით, ვისაც ბავშვი აღ-  
საზრდელად აჰყავდა, იმ ოჯახის უფროსი  
მამაკაცი ითვლებოდა ატალიოხად (ეს ტერმინი  
თურქულია, ატა — მამას ნიშნავს). ამრი-  
გად, ატალიოხა იგივე უნდა იყოს, რაც «Отцов-  
ство». ატალიოხა ჩვეულების ზოგადი სახე-  
ლია. ჩრდილო კავკასიელ მთიელებში ყველას  
თავისი აღმზრდელის საკუთარი სახელი ჰქონდა.  
ირონ ოსებში და ყაბარდოელებში — ჰან  
(თურქული სიტყვაა, სისხლს ნიშნავს), დიგო-  
რელ ოსებში ეჩჩე (თურქული სიტყვაა, დე-  
დის ძუძუს, ღედის მეკრდს, ძუძუმწოვარ  
ბავშვს გულისხმობს, ჩერქეზეთში — ჰურ  
(От пух «воспитывать»). ასევე საქართვე-  
ლოში. აღზარებში მამას „აბრასა“, ხოლო  
ღედას „ახუხასა“ ეძახიან, ეს იგივეა, რაც  
«Замена дочери», სიტყვა „ძიქა“ მეგობრულად  
ძუძუს ნიშნავს, აქედან „გაძიქავება“, აღსა-  
ზრდელს სამეგრელოში „მორდილი“. ძიქას  
მეუღლეს კი „მორდუს“ უწოდებენ. ეს გა-  
მოთქმა „რდულადან“ (გაზარდე, აღზარდე)

უნდა იყოს წარმომდგარი, წერს ს. მაკალათა.

კერძოკეთებელ შორის ნათესაური კავშირი რომ უფრო განმტკიცებულიყო, უძველესი ჩვეულებით, დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კერძთან წინასწარი შეთანხმებით, თუ მას ოჯახში ახალი მშობიარე მეტძუბერი ქალი ჰყავდა, ხდებოდა მთის რაქიდან ძუძუთა ზავშეგების (ვაეების) გაშვილება ან, როგორც რაქაში ამბობენ, „სხვისშვილად“ გაბარება.

მთისრაქული ჩვეულებით, ვისთანაც ბავშვი აღსაზრდელად მიჰყავდათ, იმ ოჯახს უფროსი მამაკაცი კერძად იწოდებოდა, ბავშვის აღმზრდელი დედაცაი კი დიდდედა იყო და ნანას ეძახდნენ.

თვით ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ატალიკობა, როგორც გვაროვნული საზოგადოებიდან მომდინარე ხელოვნური დანათესავების ფორმა, თავდაპირველად მოსახლეობის ყველა ფენაში ფართოდ გავრცელებულა. ბავშვებს აღსაზრდელად აძლევდნენ როგორც მეზობელ, ისე სხვა საზოგადოების უცხო ოჯახებს, ხდებოდა ისიც, რომ აღმზრდელები ღედის მუცელითვე შეიპირებდნენ ხოლმე აღსაზრდელს, რომელსაც უკვე დაბადებიდან, მესამე დღეს წაიყვანდნენ შინ. გაშვილების ანალოგიურ ჩვეულებას ქართველ ხალხშიც ღრმად ჰქონდა ფესვები ვადგმული აკაცი წერეთელი წერს: „ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, გაშვილების მთისრაქული წესი მკვლევართათვის სრულიად უცნობი ყოფილა, ამიტომ მასზე მეტად ძუნწი წერილობითი ცნობები მოგვეპოვება. გაშვილების მთისრაქული ჩვეულება ორიგინალობითა და თავისებურებით გამოირჩევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოდან გაშვილება ხდებოდა მთას იქით კერძებთან: ბაბუსაგან გამიგონიაო, ამბობს ნესტორ (ყაყენი) ჩეხვიასვილი (სოფ. ჭიორა), რომ წარსულში ჩვენი სოფლიდან ძუძუთა ბავშვები (ვაეები) მთას იქით კერძებთან აღსაზრდელად და ენის სასწავლად გუდით გადაჰყავდათო. ჯერ ბაბუს მამა სენხო, შემდეგ თვით ბაბუა გიგია, ძუძუძმწვარა ბავშვები, დიგორელ კერძებთან ვადაუყვანიათ და იქ თულანიან ოჯახში აღზრდილანო.

წყაენის წინ ბავშვს შუბლზე ნახშირით ჯვარს დაუსვამდნენ, ავი თვალს ან ეცესო, თერთ მიტკალში ვახევედნენ, საგზლად თხის რქეს ვაყოლებდნენ, გულში ჩასვამდნენ, მამაკაცს მხრებზე აკიდებდნენ და გზას დაულოცავდნენ, ამ წესით სოფლიდან მამაკაცების ქარავანს მათს იქით კერძებთან აღსაზრდელად რამდენიმე ბავშვი ერთდღაროულად მიჰყავდა. ასე გაუცილებიათ შინიდან მალყარში აღსაზრდელად პატარა პავლე (სეხნოენი) რეხეიასვილი, რომელიც შუბლზე ჯვარდასმუ-

ლი გუდით თვით მალყარელ კერძს ხასალურიანთს (აული მუხოლ) პავლე მალყარელის ოჯახში წეს-ჩვეულებებზე აღზრდილა, არავად შეუსწავლია მათი ენა და 12 წლის ყმაწვილი დაბრუნებულა შინ. მას შემდეგ პავლეს და მის ოჯახს კერძებთან ურთიერთობა და მისგლამოსელა არ შეუწყვეტიათ.

ხასალურიანთ ოჯახში აღსაზრდელად მთე (სეხნოენი) რეხეიასვილს ორი ვაჟი — ტუჩა და გოგია წაუყვანია.

კერძები სიხარულით ხედებოდნენ ქართველ ყონალებს, როცა მათთან ბავშვები მიჰყავდათ. ოჯახში წვეულებას იხიდიდნენ, სიმღერისა და სტუმრების მზიარულ შეძახილებს თოფის გასროლის ხმაც ერთვოდა და წესის შესრულების მეტად სიანტერესო ელფერი ეძლეოდა. ქართველი ყონალი შეილს თოფის მეშვიდე გასროლაზე ვადასცემდა კერძს, რომელსაც ბავშვი აყვანილი მიჰყავდა აღმზრდელი დედაცაცისაკენ, მას გოგონების გუნდი მიაცილებდა იავნანს ტკბილი სიმღერით, კერძი ბავშვს იატაკზე დაწვენდა, შუბლზე და ტუჩზე რამდენჯერმე თაფლის წმინდა სანთელს შეახებდა, ყელზე წინასწარ გამზადებულ ამულეტს შეიბამდა და ლოცვას დაიწყებდა: ღმერთო და ჩვენო გამჩენო, ჩვენი სიცოცხლის დამცველო, შენ გვაძლევ პურს, მამაცობას და გამბედაობას, გვიფარავ მტრის ტყვისსაგან და მახვილისაგან, დაგვეხმარე გოჭირევაში, ვავგზარდვ ეს ყმაწვილი, დაიფარე მოსიხლურ მტრისაგან, მიეც ძალა, რომ მის იარაღზე გვენახოს შენი და ჩვენი მოშურნის სისხლი. გვაშორე შურისძიების ღრს შენი ნების საწინააღმდეგო ცოდვის ჩადენისაგან. ლოცვის ასეთი ფორმულა ჩრდილოკავკასიელ მთიელებში აგრეთვე დამოწმებული აქვს ნ. დუბროვინს.

აღნიშნული ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ატალიცი ბავშვს ვადასცემდა აღმზრდელ დედაცაცს, რომელიც აყვანისთანავე ბავშვს ეტყოდა: „ჩემო თვალს, ჩემო სულს“, მერე მკერდში ჩაიკრავდა და ძუძუს აწოვებდა. „სხვისშვილი“ აღმზრდელი დედაცაი ძუძუს თავს კბილით შეეხებოდა თუ არა, იმ წუთიდან კერძის ოჯახის შვილად და მთელი მათი საგვარეულოს ნათესავად ითვლებოდა, ამ დღიდან ბავშვი კერძის უფლებებში რჩებოდა. ასევე ხდებოდა ატალიკობის დროს „სხვისშვილს“ ნანა 3-5 წელი აწოვებდა ძუძუს, თან მზრუნველობით უვლიდა სრულასაკონობამდე. თუ ბავშვი მთას იქით სახელმწიფოეული მიჰყავდათ, მამის სახელს დედაცაი კერძი, კერძი არქმევდა მამასთან თანმობით, ასე სცოდნიათ ჩერქეზებსაცაც. კერძი, რომელიც ბავშვს სახელს დაარქმევდა, როგორც წესი, მის სახელზე საჩუქრად ვადასცემ-



და კვიცს, მას შამა ეპატრონებოდა და ბავშვ-ვისათვის ზრდიდა.

დიდ პატივისცემად ითვლებოდა ბავშვისათვის კერძის ან მათი ოჯახის რომელიმე უფროსი წევრისა ან წინაპრის სახლის დარქმევა. ეს ჩვეულება ქართულ და კავკასიელ მთიელებში უძველესი დროიდანაა ცნობილი. ასე ვრცელდებოდა კავკასიელ მთიელებში ქართული სახელები. მთის რაქაშიც ვხვდებით კერძების დარქმულ კავკასიელ მთიელთა სახელებს, როგორცაა: ლოყმანე, შამილა, ჯამალა, აზამეთა, ზურყანა, ოსმანა, ისმაილა, ზემლიხანა, ალიხანა, აბაია, ოყა, მურთა, ციოყა და სხვ.

მას შემდეგ, რაც „სხვისშვილი“ აღმზრდელის ძუძუს თავს კბილი შეეხებოდა, ოჯახის წევრები და მთელი მათი ნათესაობა ბავშვს „ძუძუთ მამათ“ სთვლიდნენ. „ემჩეკს“ ეძახდნენ. გოგონები საკუთარ მამასავით იფიცავდნენ მის სახელს, მეტად ახლო შეგობრობას აწყობდნენ შეჭენილ მძისთან, ერთად თამაშობდნენ და როცა სრულწლოვანი შეიქმნებოდნენ, ერთად მწყემსავდნენ პირუტყვს, ერთად შრომობდნენ.

ძუძუთ მშობისა და ამ ხერხით ოჯახების დანათესავების ჩვეულება, თუმცა უფრო გვიანდელი ფორმით, საქართველოშიც ცნობილი ყოფილა, კერძოდ გურია-სამეგრელოში, სადა აღნიშნული წესი იმდენად ფართოდ ვავრცელებულა, რომ ამის შესახებ ჯერ კიდევ დღებრივინი წერდა: არსად ძუძუთ-მამა ან და არ სარგებლობდა ისეთი უფლებით, როგორც გურიაშიო. ქართული ჩვეულებით, აჯაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა თუ ძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, არამედ მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაეღვათ გაზრდილის გულისათვის, და გაზრდილიც მარად ექომავებოდა ამ ხალხს“.

ვაშლებების ქართული და კავკასიური ჩვეულებები კრძალავდა ქორწინებას კერძისა და მისი აღზრდილის ოჯახის წევრებს და მთელ მათ ნათესაობას შორის. ძუძუთ მშობა — ნათესაობის სიმტკიცე იმითაც იყო გაპიროვნებული, რომ რძე უთანაბრდებოდა სისხლს. ასეთი გამოთქმა კი არსებობდა: „რძე უფრო შორს მიდის, ვიდრე სისხლი“.

დედის რძე, დედის ძუძუ ოდითგანვე ქართველების სათაყვანებელი ყოფილა იმდენად, რომ იგი ჩამშობლოს სიყვარულთან გაუთანაბრებიათ. რ. ერისთავი ქართველი ხალხის გულისთქმას გამოხატავდა, როცა წერდა:

სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცელების  
სხვახედა.

ორი ტბილია, მშობილო, მიჩრქუნის ორსაც  
თვალებდა.

ძველად მთიელი ვეჯაკი თუ მოწინააღმდეგის დამცირებას მოინდომებდა, დედის ძუძუს შეავინებდა. მთის რაქაში მოჩხუბარ მამაწმინდის შვილებს როცა ვერავითარი საშუალებით ვერ ახადებდნენ საქმეში ერეოდა სოფლის ვინმე ამაგდარი დედაკათავანი, რომელიც მეგრდებოდა წარსდგებოდა ვახულებული მამაკაცების წინაშე, თან ასე ეტყოდა: თუ გწამთ ამ ძუძუების მაღლი და დედაშვილობა, ნუ ჩხუბობთო. იმდენად მომპატიოებელ გავლენას ახდენდა დედის ასეთი მოქმედება მოჩხუბრებულზე, რომ აქამდე სასიკვდილოდ შემბული მამაკაციები მოულოდელად ფარ-ხმალს ჰყრიდნენ და ზავდებოდნენ. ამის შემდეგ ჩხუბის ატეხვა ვეჯაკის დიდ შურადაცხუფად და დამცირებელ იოვლებოდა, დედის ძუძუების შელანძღვა იქნებოდა წესის დარღვევა, რასაც იმ დროს ვერავინ გაბედავდა, ამიტომ მოჩხუბრებს შორის სამუდამო მშვიდობა შეარდებოდა. შეირებების მსგავსი წესი ჩერქეზებსაც ჰქონიათ.

ძუძუთ მშობისა და რძით ფიცის დადების ჩვეულება უძველესი დროიდან მომდინარეობს. ხელშეკრულების დამდები სკითი მოფიცრებო, წერს ავად. ვ. ჩიტაია, თასში ჩასხმულ რძეში ჩააწვეთებდნენ თავიანთ სისხლს და ამის შემდეგ ორივე მხარე თასიდან სვამდა რძეს. ამ შემთხვევაში საქმის არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლით ფიცი თავისი წარმოშობით ემთხვევა იმ ხანას, როცა სისხლი საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთ მაკავშირებელ ფერმეტად იყო წარმოდგენილი. ფ. ენგელსის მიხედვით, ამგვარი საზოგადოება ცნობილია გვაროვნული წყობილების სახით და ის, რაც გვაროვნულ საზოგადოებას კრავდა, გვარებს აკავშირებდა, იყო სისხლი. ამიტომ, რომ ძუძუთ მშობით ნათესაობა არ განირჩეოდა სისხლით მშობით ნათესაობისაგან. ვოგია რეხიაშვილის გადმოცემით, როცა ის და მისი მამა ტუჩა ხასალურთან იზრდებოდნენ, იმ დროს ოჯახის უფროსი გოლო ყოფილა, მის მერე ბიძაშვილი ტრამა, ტრამას დედა ასაკით ყველაზე უფროსი, ოჯახში იმ დროს სადიაცო საქმეებს განაგებდაო, ჭალაბის ბავშვები მათ ზამობითა და დედობით მიმართავდნენ, უფროს დედაკაცს ნანას ეძახდნენ, დანარჩენებს საკუთარი სახელებითა და ბიძა-ბიცოლობით მოიხსენიებდნენ. თუ რა თბილი და მშობლიური ყოფილა ნანას მზრუნველობა „სხვისშვილისადმი“, ნათლად წარმოსადგენია თვით ვოგია და ტუჩა რეხიაშვილების გადმოცემებიდან, რომელთა დასტურით ნანა მათ თურმე გვერდში იწევდა, ყმაწვილები არ შემოიციოდნენ, ან არ შემა-

სააბნავა ბავშვისადმი  
სხვისშვილობა მთის რაქაში

შინდენო, თან მოფერებოთა და აღერსით ძილის წინ მუდამ ასე ეუბნებოდა: „ჯანმ“ (ჩემო სულო), „ქოზუმ“ (ჩემო თვალო). ნანას ასეთი გულთბილობა და სინაზე „სხვისშვილისადმი“ გამოხატული საალერსო სიტყვებით, საერთოდ, გაკაცოვლ დედათა დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ჩერქეზი ატალიკის ოჯახში დედა თავის აღსაზრდელ ვაჟს ასე მიმართავდა: «Зусхан», ამით გამოთქვამდნენ, შენთვის მტკიცე მე გული, შენთვის ვიწვიო». ერთი საალერსო სიტყვა იყო «Нафши», ე. ი. ჩემო თვალის სინათლეო.

დედის ტკბილი აღერსი თავისი აღსაზრდელისადმი ექვს წლამდე არ ნელდებოდა, ამ დრომდე ყმაწვილი თავისუფლად იზრდებოდა, ნანას მუდამო კალთაში ნებივრობდა. ამ პერიოდში ატალიკის მზრუნველობა აღსაზრდელისადმი არ ჩამოუვარდებოდა შვილისადმი ნამდვილი მამის ზრუნვას, ხოლო მისი ერთგულება და გულუხვობა „სხვისშვილისადმი“ დედის სათუთ სიყვარულს შეედრებოდა. მეშვიდე წლიდან აღსაზრდელისადმი აღმზრდელეების დამოკიდებულება და თვით აღზრდის წესები მკვეთრად იცვლებოდა. კერძო თუ ატალიკი ბავშვის ფიზიკურ და ზნეობრივ წვრთნას მთელი სისასტიკით ჰქიედებდა ხელს და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ატალიკის დიდ შრომა-გარჯას მოითხოვდა, იგი ძალღონეს არ იშურებდა ბავშვი დროებისა და გარემოს შესაფერად ღირსეულად აღეზარდა. ბავშვის წვრთნას ატალიკი ადვილიდან თანდათან როულ ფიზიკურ საქმიანობაზე გადასვლით იწყებდა. იმუვიდე წლის პირველ დამესვე ატალიკი მძინარე ბავშვს სურნელოვანი თივის რბილსაგებლიდან ნაბაღვამლილ მავარ საწოლზე ვადაიყვანდა. დილით საწოლგამოცვლილი ბავშვი გაეკირვებოდა რომ იკითხავდა, ეს რა მოხდაო?— ატალიკი უპასუხებდა, დღეიდან შენ უნდა დაემშვიდობო ნებივრობასა და თივის რბილსაგებს, შენ უკვე ექვსი წლისა ხარ, მეშვიდე წელი მთივის ცხოვრების დასაწყისია. ამიერიდან დაიწყო შენი მოთმინებითი ცხოვრება, შრომა, სიძინელები ატანა, დაუღალავი წვრთნა და უძილო დამეების გადატანა. დღეს შენ ჩემთან ერთად პირველად გაისერი თოფს. პირველად გაივონებ სახეღარი ცხენის კიბივინსო.

მკაცრი ბუნება და იმდროინდელი ცხოვრების დუხჭირი პირობები, მტრების თავდასხმის მუდმივი შიში მომავალი თაობის ყოველმხრივ გაკაცებას მოითხოვდა, რომ პატარაობიდანვე სიძინელებს შეგუებულ განსაცდელი ვეჟაკურად გადაეტანათ. ამიტომ იყო, რომ „სხვისშვილობის“ ჩვეულებით, მთავარი ყურადღება ბავშვის ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას ექცეოდა. ხალხური აღზრდის პირობებიდან გამომდინარეობდა ისიც, რომ

კერძის ოჯახში შვილის გაზარების შემდეგ მაშა არ შეწყვეტდა სიარულს მათთან, მტრების მთილის ეთიკის თანახმად, შვილის მოტყუებულობა უფლება ყმაწვილის სრულწლოვანობამდე მას არ ჰქონდა. სხვა რომ არაფერი, ეს ვაჟკაცის სუსტი ხასიათის გამოხატულებად და დიდ დამცირებად ითვლებოდა. მამამ იცოდა შვილს როდის შეუსრულდებოდა ექვსი წელი და ნიშნად ფიზიკური წვრთნის დაწყებისა, მისთვის საჩუქრად მიჰქონდა თოფი და ქაშარი-ხანჯალი. კერძო ბავშვს ასწავლიდა თოფის სროლას, მშვილდ-ისრის, ფარ-ხმალის მარჯველ ხმარებას, ჯრიოთს. აღმზრდელი ყმაწვილს გვერდიდან არ იშორებდა, მიჰყავდა სათიბში, სახვეტში, სამწყესურში, ვახევზე და არჩევნულ სანადაროდ, აჩვევდა დილით აღერდგომას, დამე ტყეში და მთაში უშიშარ სიარულს, ავარჯიშებდა ჰიდაობაში, კონის გდებაში, ცურვაში, სიმძიმეების აწევში, შიმშილია და სიცოცხის ატანაში. ზნეობრივი აღზრდის მიზნით ბავშვს ხშირად უამბობდნენ მთიელთა გმირულ თავგადასავალს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ხალხურ ლექსებსა და მოთხრობებს. ვარდა ამისა, აღსაზრდელისაგან მოითხოვდნენ მამაბაბური ადათ-ჩვევების, საზოგადოების, შრომობებისა და მათი აზლოლების, მოხუცებისა და ავადმყოფების, სტუმრებისა და უცხო მგზავრების განსაკუთრებულ პატივისცემა-დაფასებას. „სხვისშვილობა“ აგრეთვე მიზნად ისახავდა კავკასიელ მთიელთა ენების შესწავლას, ხალხთან დაახლოებას, რომ შემდგომ მომავალი თაობას გაადვილებოდა კერძოთან ურთიერთობა, მთას იქითა აულდეში სავაჭრო-სახელისნო საქმიანობის წარმოება. ამრთავად, „სხვისშვილობას“, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიელ მთიელებთან ნათესაური კავშირის განმტკიცებას, საუფქლად ელო მატერიალური დაინტერესება. ასევე ხდებოდა ატალიკობის დროს, დასტურად ამისა, ა. ჩუცოვსკი წერს: ჩვეულებას, ბავშვები აღსაზრდელად გადაეცათ სხვისთვის, ზოგჯერ შორეულ კუთხეებშიც კი ასაზრდოებდა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკა, აღმზრდელი ამყარებდა რა ზელოვნურ ნათესაობას აღსაზრდელთან, ამით მოიპოვებდა მის მიმართ მამის უფლებას, თან მათ ოჯახებს შორის მყარდებოდა ახლო ურთიერთობა. როგორც ხალხებს, ისე ცალკეულ პირებს თავი რომ დაეცათ შინაური და გარეშე მტრების თარიშისაგან, ესაკირობოდად შორეული მეზობლების დახმარება, ამ შემთხვევაში ხალხთა დაახლოების საუკეთესო საშუალება იყო ატალიკობაო.

იმ დროს რაჟაში კავკასიური ენების მცოდნე დიდად დაფასებულნი ყოფილა. „გარეთ გასული“ კაციაო, ამბობდნენ მასზე. ეს კულტურისა და საერთო განათლებების ნიშნად იყო

მიჩნეული. ამ თვალსაზრისითაც „სხვისშვილობა“ საამაყო იყო. ვინც მთას იქით აღსაზრდელად და ენის სასწავლად შეიღს „სხვისშვილობა“ არ გააბარებდა, ეს ოჯახის ჩამორჩენად, სირცხვილად და დამცირებად ითვლებოდა, მათზე ამბობდნენ, „გარეთ გაუსვებოდა, ხალხში გაურევალნი არიანო“. ოთხმოც წელს გადაცილებული ნესტორ (ყაყენთი) რუხვიამვილი დღესაც ძველებური საამაყოთი წარმოთქვამს, ბაბუაზემი გვიგია დიგორელი კერძების თოდნივანი ოჯახში აღზრდილი. ასევე დიგორელი თავადები შვილებს აღსაზრდელად და ენის სასწავლად ყაბარდოელ თავადებს აბარებდნენ, რადგან ეს ფეოდალური საგვარეულოებისათვის დიდ პატივად ითვლებოდა.

მთის რაჭაში იშვიათად შეხვდებოდით ისეთ მამაკაცს, რომ კერძებთან „სხვისშვილობა“ არ აღზრდილიყო. მათმა უმრავლესობამ კავკასიულ მთიელთა ორი-სამი ენა იცოდა. ეს უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზი კავკასიულ მთიელებთან შეხების ზოლში მცხოვრებ რაჭის მოსახლეობის მეტყველებაში კავკასიური ენების ზოგიერთი სიტყვების შედარება-დამკვიდრებისა. აქ დღესაც შეხვდებით „სხვისშვილობა“ აღზრდილ მამაკაცებს, რომლებსაც კერძების ენა და ადათ-წესები არ დაიწუნიათ.

იმდენად მასიური ხასიათი ჰქონია რაჭველების მიერ კერძებთან აღსაზრდელად შვილების გაბარებას, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში მალყარისა და ყარაჩაის აულებში მოგზაურობის დროს მ. ყიფიანი აულ უჩქულანში თვითმხილველი გამხდარა ყარაჩაველ კერძებთან აღზრდილი რაჭველი ბიჭუნებისა და, თუმცა იგი გვიანდელ ამბავს გადმოგვიცემს, როცა წერს: რაჭველები ბავშვებს მოჭამავირედ აბარებენ კავკასიულ მთიელებში, განსაკუთრებით ყარაჩაველებში უფროსად არა-ხელსაყრელ პირობებში, მაგალითად, 10 წლის ბავშვი 7 წლის სამსახურისათვის იღებს 20 თხას და ვალის ვასვლის შემდეგ ამით დასყოფილი ბრუნდება შინო, ჩერქეზული გამოთქმა ამბობს? „ძუძუთ ნათესავეისათვის არაფერი და-იშურო, არც ცხენი, არც იარაღი, არც თავი შენო“.

ამრიგად, მ. ყიფიანისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო „სხვისშვილობის“ ისტორია, მისთვის ნათელი იქნებოდა, რომ მის მიერ აულ უჩქულანში ნახული ქართული მწვემსები მოჭამავირეები კი არა, „სხვისშვილები“ იყვნენ, ყარაჩაველი დედის ძუძუთი აღზრდილნი, მათი „ძუძუთმძებნი“ (ემზეები), რომლებიც ხალხური ტრადიციით კერძის ოჯახში აღსაზრდელად 10-14 წელი რჩებოდნენ, ან სანამ საცოლოები გახდებოდნენ. კლაროტის ცნობით, აღსაზრდელის საცოლე ატალიცს უნდა შეერჩია. დიუბუა-დე-მონაერეს სიტყვით, ჩერქეზი მამა გავილების შემდეგ შეიღს პირვე-

ლად მამის ნახავდა, როცა ცოლს შეერთავდა. კერძი თავის აღზრდილს შინ რომ გააციდებოდა, იმ დღიდან ის აღზრდის მოვალეობას განათვისუფლებდებოდა, მაგრამ „სხვისშვილი“ აღზრდილთან კავშირს არ წყვეტდა. მშობლები, ნათესავეები და მეფილი მათი საგვარეულო დიდი სიხარულით ხვდებოდნენ კერძსა და შინ დაბრუნებულ უკვე სრულწლოვან შეიღს. იხდიდნენ წვეულებას, მეგრე კერძს საუფქრებოთა და პატივისცემით გაისტუმრებდნენ. კერძის ოჯახი, ნათესაობა, ტოლმანახავებში ვატარებული ბავშვობა, აქაური ყოფა-ცხოვრება იმდენად დიდ გავლენას ახდენდა აღსაზრდელზე, რომ თავის ოჯახს ამჯობინებდა, ყოფილა შემთხვევა „სხვისშვილად“ აღზრდილთა დავაში აღზრდილების მხარე დიუქერიით მშობლების წინააღმდეგ.

მ. ყიფიანის ცნობა მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ რაჭულ „სხვისშვილობაზე“ ვერცხრობით ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ წერილობით საბუთად, მეორე მხრივ, ავტორი აღნიშნული ჩვეულებების ისტორიულ მნიშვნელობას და მის მთავარ მიზანდანიშნულებას გვიდასტურებს, როცა წერს: „სხვისშვილობის“ მთავარი ინტერესი ამ შემთხვევაში ყმაწვილების მიერ კავკასიულ მთიელთა ენის შესწავლისა და ყარაჩაველებთან ნათესაური კავშირის განმტკიცებაში გამოიხატებოდა, რამდენადაც რაჭველებს ყარაჩაველების მფარველობითა და ხელშეწყობით შესაძლებლობა ეძლეოდათ ფართოდ გავსალათ ვაჭრობა-ხელოსნობაო.

ქართველ ხალხთან მოსაზრებე კავკასიული მთიელების მუდმივი კონტაქტები, პოლიტიკური და ეკონომიური მიზნით მათი ხშირი მიმოსვლა საქართველოს ცალკეულ ადგილებში, მოითხოვდა აგრეთვე ქართული ენის ცოდნას, ამიტომ ქართული ენის შესწავლით კერძო-მოკეთებებიც დიდად დაინტერესებულან, განსაკუთრებულად მამაკაცები, ნამეტნავად ისინი, ვისაც ქართველ ყონადებთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ, მრავალი მათგანი კარგად ფლობდა ქართულ ენას, რასაც დაასტურებს ვახუშტის ცნობა: „ყოფითა მოთავეთა და ქართლისა და რაჭის მსგეულთა უწყყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსგეულთა უწყყიან ჩერქეზული და თათრული ჩადათა სი“. მამაჩემი — ამბობს ბეზენველი ადილ ჩახავეი, ქართულად ლაპარაკობდა, აულში სხვა მამაკაცებმაც იცოდნენ ქართული ენაო.

ჩრდილო კავკასიის აულებში დღესაც შეხვდებით ქართულ ენაზე მოლაპარაკე მამაკაცებს.

ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მომიჯ-

სსპრბაპ რეპრეზენტაციის

სხვისშვილობა მთის რაჭაში



ნავე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა რივ რაიონებში მამაკაცთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას. მაგალითად, დაღესტნელი აწუხელები და ყაფუჩინელები, დიდოელებსა და ხუნძების, ნაწილი და სხვ. მოხვედრებისა და ხევსურების მოსაზღვრე ქისტებსა და ოსებს კარგად სცოდნიათ ქართული ენა, მოხვედრე და ხევსურ მამაკაცებს კი ქისტური და ოსური. აღნიშნულ მთიელებს შორის ენის შესწავლისა და მეგობრობის განმტკიცების მიზნით ბავშვთა გამვილების ჩვეულებაც დასტურდება. მოხვედრე ანდრო ქუქიშვილის (სოფ. სოთნი) გადმოცემით, მათ ოჯახს ოსების აულ ულგორსკში ჰყლია კერი — ძამასევის გვარისა, ერთმანეთში კარგე მეგობრობა ჰქონიათ, ანდროს ბიძას თედო ქუქიშვილს უმცროსი ძმა, 9 წლის ილია, ოსური ენის სასწავლად ძამასეეების ოჯახში მიუბარებია, აქ ყმაწვილს ოთხი წელი დაუყვია. ოსებსა და ქისტებსაც მოჰყავდათ ხევში ბავშვები ქართული ენის შესასწავლად.

ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის გადმოცემით, დაღესტნის მოსაზღვრე კახეთის სოფლებში მე თვითონ მინახავს ლეკის ბავშვები, რომლებიც ქართველი ყონალების ოჯახებში იზრდებოდნენ.

ყარააიში დღესაც არიან ქალები, რომლებსაც „სხვისშვილები“ თავიანთი ძუძული უყვებიათ და აღზრდიან. ზულიხატ ბაიჩუროვის (აული ზემო თებერდა) თქმით, მათი ბაღალ ყონალი ყოფილა შიო (ციოყ) რეხვიამვილი (ყაყენეთი), რომელსაც მათ ბინაში დექანია ჰქონია გამართული და ვაჭრობდა, თან აქვე ცხოვრობდაო. ბაიჩუროვისა და შიო რეხვიამვილის ოჯახი ყარააიში განუყოფელი ყოფილა, მათ დიდი ხნის კრძმოყოფეობა აკავშირებდათ. შიოს ორი ვაჟი კოსტა და გიორგი იმ ოჯახში აღზრდილან, ზულიხატს მათთვის ძუძუ უწოვებია. აი, რა მიამბო ზულიხატ ბაიჩუროვი: კოსტას და გიორგის ჩემს შვილებთან ერთად ვზრდიდი, დედურ სიტყვობსა და ალერსს არ ვაკლებდი. ბავშვებსაც ნამდვილი დამასაკეთი უყვარდათ ერთმანეთი. მე ჩემს შვილებთან ერთად ღამების მათ სიცოცხლესა და ბედნიერებას შევთხოვდი, დღესაც ისევე ვლოცავ ჩემ აღზრდლებსო.

არა ერთი მაგალითი შემონახულა ქართველ და კავკასიელ მთიელებში სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ოჯახებს შორის შვილების აღზრდა-ვაზარებისა. მეტწილად მაღალი წოდების მდიდარი ოჯახები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ყაბარდოელ თავადს სო თავადთან

მიჰყავდა შვილი აღსაზრდელად, ჩერქეზ ატალიკად ჩდილოკავკასიელი სომხები (სხველი Кецо ვაებ) აჰყავდათ, აფხაზები საშველეს თავადების ბავშვებს ეპატრონებოდნენ და პირიქით. ხშირად აფხაზი თავადები, თავიანთი გავლენა რომ გვეფართოებინათ მეზობლებზე, შვილებს აღსაზრდელად აძლევდნენ სამურხა-ყანოში, რათა ვაჭირების ყაშს მათგან მიეღოთ დახმარება. აფხაზი ხაშუდბეი (მიხიელ) შერვაშიძე ჩერქეზებში აღზრდილა, თავად თარსყან ანხაბიძეს კი კვიქეთში გაატარებია ბავშვობა. მეგრელი თავადი ბექო საბაგარი აფხაზეთში დავაჟკაცებულა.

გამვილების აღნიშნული ჩვეულებებიდან მხოლოდ მთის რაქას შემოუნახავს უძველესი ფორმა „სხვისშვილობის“ სახით, რომლის მიხედვით არა მარტო მდიდარი ოჯახები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, არამედ მდამბო ქართველი და კავკასიელი მთიელები ამ საშუალებით ნათესაურ კავშირს ამტკიცებდნენ. ქრისტიანი ქართველს მამაზიად კერძთან მიჰყავდა შვილი აღსაზრდელად.

კერძები მეტად სათუთად ეპყრობოდნენ „სხვისშვილებს“, შინ და ვარეთ ვანსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდნენ მათდამო, საკუთარ შვილებში არ არჩევდნენ. მათ თუ ვინმე შეურაცხყოფდა „სხვისშვილს“, ეს ოჯახისა და მთელი საგვარეულოს დამიკრებად მიიჩნეოდა და ამაყი მთიელები ამას არავის აბატებდნენ.

ერთხელ, პატარა გოგია რეხვიამვილს საიდანაც უყრანი ჩაეარდნია ხელში, ბავშვი ქებაზე ჩამოქდარა და ცნობისმოყვარეობით დაუწყია მისი ფურცელა. ამ დროს იქ გამსულელ მუსლიმან ფანტიკოს მახმუთ ასალარიანს ქრისტიანი ბავშვის ხელში უყრანი რომ შეუნიშნავს, ეს რჯულის შელახვად მიუჩნევია და გამწყრალა. ბავშვისთვის უყრანი ხელიდან დაუთხლევია, ერთი-ორი სილაც გაუწნავს ყბაში და ატირებულ „სხვისშვილი“ გაუშვია სახლში, თან ასე მიუძახანია: ვიარო, ვინ მოგცა უყრანის ხელში დაჭერის ნებაო.

გოლოს ოჯახი, მათი საგვარეულო და მთელი აული ძალზე აღუშფოთებია ამ ამბავს. ლოყმან ეფენდისთვის შეურჩილიათ, — თავს საფი დამგვასხა, სტუმარმასპინძლობის მამაპაპული წესი შეგვირცხვინა, „სხვისშვილი“ გვიცემა მახმუთ ასალარიანმაო. დაუბარებიათ მახმუთი. ლოყმან ეფენდინ წყრომით უკითხავს, რას ერჩიოდე „სხვისშვილს“, რა დავიბო? მახმუთს თავის მართლებად დაუწყია — ვინ მისცა გიორგის უყრანის ხელში დაჭერის უფლებაო. ამაზე ლოყმან ეფენდის უთქვამს: მე რე რა, რომ ბავშვს უყრანი ხელში ეჭიარა, რჯულს ხომ არ ვართმევდა. ბავშვის მშობლები ჩვენს მამაპაპული ჯულუმ ყონალები არიან, ქართველ ხალხთან საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავში-

<sup>1</sup> ბაღალ ყონალ-ყარააიელები — ასე უწოდებდნენ ვანსაკუთრებით საპატიეცემლო სტუმრებსა და ახლო მეგობრებს, რომლებთანაც მამაპაპული მეგობრობა აკავშირებდათ.



რებს, მათ ნახელავს მეტ პატივს ვცემთ, ვიდრე შენსთანა რეგვენი კაცისათ. მთიელთა საზოგადოების ამ თავყრილობას მახშუთი გაუკიხავს და შერაცხენილი გაუშვითა შინ.

ეგრისს ოჯახი ზეგაგლეწის არ ახდენდა „სხვის-სშვილზე“, დაევიწყებინა თავისი რაჯული, ენა, ზნე-ჩვეულებანი და სხვისი შეეთვისებინა. მათ ბავშვი არ მიჰყავდათ მეჩეთში სალოცავად, არ ისწავლიდნენ ლოცვებს, უადრეს სიფრთხილეს იჩენდნენ, ქართველი ყონდა არ გაენაწყვენებინათ. ამიტომ იყო, რომ მრავალსაუტუნოვან ურთიერთობაში არ ყოფილა შემთხვევა, „სხვის-შვილს“ რწმენა ან ეროვნება შეეცვალოს, ან მშობლობური ენა დაევიწყებინოს. ქრისტიანი და მამამადონი ოჯახების ანალოგიური ურთიერთობა აფხაზი და მათი მეზობელი ხალხების ძველ ყოფაშიც დასტურდება.

მთის რაქაში არსებობდა „სხვისშვილობის“ სამი წესი: 1. ძუძუთა ბავშვების გაშვილება, 2. — „მაგიერი“, 3. მოზარდების „სხვისშვილად“ გაბარება. აქედან ძუძუთა ბავშვების ჩვეულება იმ დროის გადმონაშთია, როცა ყოველი ღვინა თვითონ კი არ ზრდიდა შვილს, არამედ სხვას აძლევდა აღსაზრდელად. თავის მხრივ იგი სხვის შვილს ზრდიდა. ასევე ყოფილა ჩრქულებშიც. მთიელები გაშვილებს დადებით შედეგს ასე ხსნიდნენ: ბავშვი რომ არ გაიზარდოს თვითნება და უზნეო, ზარმაცი, მშიშარა და უნებისყოფო, ფიზიკურად სუსტი, რაც მშობლების სათუთი მოპყრობით ზდება, საბუნ შვილი სხვას მისცე აღსაზრდელად. საყურადღებოა, რომ კავკასიელ მთიელებში ატალიკობის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად მეცნიერებაში აღნიშნულ მოსაზრებას სთვლიან. ხალხური აღზრდის კეთილშობილი გავლენა ბავშვის შემდგომ ბედზე აკაკი წერეთელმა ასე გამოხატა: „არ შემშიშარა არ გამოეცდენ, რომ, თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდიო“. ალბათ, ამიტომ ძველ საქართველოში გაშვილების ჩვეულება ფართოდ გავრცელებულა.

ქართველ და კავკასიელ მთიელთა ურთიერთობაში კიდევ ერთი საინტერესო წესია — დაღუბული შვილის მაგიერ აყვანა-გაზრდა „სხვისშვილისა“, რომელიც საქართველოში „მაგიერის“ სახელწოდებითაა ცნობილი. „სხვის-სშვილობის“ ჩვეულება იმდენად ძლიერი ყოფილა მტრად გადაკიდებული ოჯახებისათვის, საგვარეულოების შერიგება-დანათესავებისათვის, მაგიერის აყვანა ნებით თუ არა, ზოგჯერ იძულებით, გატაცებით სცოდნიათ.

სოფელ ღებში ერთ-ერთი საგვარეულო კომლური სახელია „ანჯიეთი“. ამასთან დაკავშირებით იქ საინტერესო ამბავს ჰყვებიან: ღებზე თავდასხმის დროს დამარცხებულ დიგორელ მებატონეებს სოფლიდან ორი ძუძუთა

ბავშვი (ვაჟები) გაუტაცნიათ. ბრძოლაში დღებულებს მოუკლავთ დიგორელი ურუსის ცენტრალური თადართი ვაჟი, რომელსაც თურმე მამა ზოგად ღებულებთან საომარად არ უშვებდა, მაგრამ მებატონეებს იძულებით წაუყვანიათ. მთიელთა ჩვეულებით, ურუსის ოჯახში დაღუპული შვილის მაგიერად ორი ტყვე ვაჟი მიუყვანიათ, თან გულის გასამხნეველად მამისათვის ასე უთქვამთ: „ერთი შვილი წაგართეთ, მაგიერი ორი მოგვგარეთო“. შვილის დაღუპვას დიდი გლოვა და მწუხარება გამოუწვევია, მაგრამ სამაგიეროდ ტყვე ბავშვებს გაუხარებია ოჯახი. ბავშვები მზრუნველობით იზრდებოდნენ, მთელი საგვარეულო და აული იცავდა და მფარველობდა პატარებს. ამასობაში გავიდა ცხრა წელი, მთის ადათით ეს ბავშვების მშობლებთან დაბრუნების ასაკად ითვლებოდა, დადგა მათი შინ წაყვანის დრო, წესის დარღვევა არ შეიძლებოდა, ღვთის კოვლად და დიდ სირცხვილად მიიჩნდათ, ამიტომ ამას ვერაინ გაბედავდა, ჯერ ერთი, იმიტომაც, რომ აღმზრდელისა და აღსაზრდელის ოჯახებს შორის ამის შემდეგ ნათესაური კავშირი მყარდებოდა. მეორე მხრივ „მაგიერი“ შინ დაბრუნების შემდეგაც არ წყვეტდა ურთიერთობას აღმზრდელთან.

ურუსების ბავშვები მშობლებთან წაუყვანია, როცა სოფელში მისულა; „ციხიკარის“ უზნის ამალგებული ადგილიდან ვადაუძახია:

სოფელ გუეურებოდეს,  
დიდება ბრძანეთ ღმერთისა,  
ტყვე ბავშვები მოვაბრძანე,  
ცხრა წლისა არა ერთისა,  
მოდიო, იცანოთ ვისია,  
ეგრძობა შემეფიციო.

ამ ძახილზე მთელ სოფელს „ციხიკარის“ უბანში მოუყრია თავი, მშობლებს უცნინათ ცხრა წლის წინათ ტყვეთ გატაცებული თათვის შვილები და სიხარულით ცას სწვევინ; კეთილი ბერიკაცი შინ მიუწვევიათ, ლხინი გაუმართავთ, აღმზრდელთან სახალხოდ ეგრამოკეთობის ფიცი დაუღვიათ, საუბარში ურუსის უთქვამს: „ანჯიეთი“, ე. ი. ცხრა წელი მშობლობით მზრუნველობით ვზრდიდი თქვენს შვილებსო. ამის შემდეგ გავაშლიშვილების საგვარეულო კომლური სახელი „ანჯიეთი“ გამხდარა და დღემდე საგვარეულოს ამ სახელით მოიხსენიებენ. ამბობენ, ღებზე გავაშლიშვილებს და სტურდიგორელ ურუსის შთამომავალს ეგრამოკეთობა ამ ბოლო დროამდე არ შეუწყვეტიათო.

ოჯახების დამეგობრებისა და დანათესავების ანალოგიური ჩვეულება სამეგრელოს სინამდვილეშიც

**სპარტა რხვიანშილი**  
სმინსშვილობა მთის რაზაში



ლემიც დასტურდება, მხოლოდ გაშვილების ნებაყოფლობითი წესით. პროფ. ნ. რეხვიაშვილის გადმოცემით, იმ შემთხვევაში, როდესაც დას ძმა, ან დედას შვილი დააკვებოდა, ორმოცი შემდეგ მამად ან შვილად შერჩეულს ქალიშვილი მიპართავდა სიტყვებით: მამად მინდა, მამის მაგიეროდ. დედა კი ასე ეტყობა: შვილად მინდახარ, შვილის მაგიეროდ. თუ მამად ან შვილად შერჩეული სურვილს გამოთქვამდა, მაშინ ის მგლოვითად დედას ან დამს მკარტლით საფეთქლის ძირში შეპყრდა სამ ღერ თმას, რომელსაც ნაქერში შეხვეულს საგულდაგულოდ შეინახავდა ნიშნად მათ შორის მტკიცე ნათესაური კავშირის შეკრა-დამყარებისა. „მაგიერი“ შეიღებ აჩანალები სიყვარულითა და პატივისცემით საჩვევლობდა ოჯახში, მათ ნათესავეებსა და საერთოდ მთელ საგვარეულოში. მთარბევი ნიკო რეხვიაშვილი თვით ყოფილა მეგრული გოგონების შვილის „მაგიერი“, ნიკო მათ ოჯახში აღზრდილი, დღესაც მას შვილად თვლიან და გოგონას შთამომავალთან დამყური კავშირი აქვს, ქირისა და ლხინის მოხიარენი არიან. საგვარეულოში და აფხაზეთში დღესაც გაიგონებთ, „მაგიერი“ შვილზე უფრო ტყბილია“.

ატალიკობის ჩვეულებითაც ხდებოდა ბავშვების გატაცება. ამ შემთხვევაში ბავშვის შშობლების შეუტყობინებლად მეორე დღეს გამტაცებელი თავს ბავშვის ატალიკად აცხადებდა. წესით, თუ ბავშვი გამტაცებლის ოჯახში დამეს გაათედდა, მისი წაყვანის უფლება სრულწლოვანობამდე აღარაქვს ჰქონდა. ბავშვთა გატაცებით ქართველ მთიელებთან დანათესაებებით განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. დღემდე მრავალი აქვეყნდება შემონახულ საგვარეულოდან ბავშვთა გატაცებით ატალიკობისა და ამ ჩვეულების წყალობით იქ ქართული გვარებისა და საგვარეულების გაჩენის შესახებ.

ყოფილყოფელ ადიღერ ხაჩიშვას ძე სოტრავის გადმოცემით, მათი საგვარეულო სვანი ყოფიანისაგან წარმომდგარა. სვან ყოფიანებს თავისი ერთადერთი ვაჟი ლევანი მალყარელ თავად ბარაზბიეეების ოჯახში გაუძიძვევებიათ, შემდეგ თავად აბაეეების ოჯახში გადაუყვანიათ, აქედან ბავშვი ყაბარდოელ თავად ატაყუფერის ოჯახში მომხდარა, ერთხანს აზნაურ ეტეზოვებთანაც უცხოვრია, აქ ლევანი ერთ მალყარელ გოგოს დაახლოვებია, რომელთანაც უკანონო ვაჟი შესქენია. ბავშვისთვის ბერიუჯა (მგელია) დაურქმევიათ, მშობლებს ქალიშვილი თავისი უკანონო შვილით ოჯახიდან გაუტყვევებიათ, ქალი ყარაჩაის ერთ-ერთ აულში დასახლებულა და მისი ვაჟის შთამომავალი ბერიუჯარი დღესაც ასე იწერებიან.

ლევან ყიფიანისათვის აღმზრდელ ატაყუჯის

აულ ყაზილყოში მიწა უჩქენია და იქვე სახლებია. ლევანს შეუერთავს მალყარელი სოტრა, რომელთანაც სამი ვაჟი შეეძინა. ლევანი ადრე გარდაცვლილა, თბლები დედას გაუზრდა, დედის საპატეცემოდ და ძველი მალყარული ჩვეულებით ვაჟებს სოტრას შეიღებდად მოიხსენიებდნენ. დროთა ვითარებაში დედის სახელი გვარად გადაქცეულა და ვაჟები სოტრავებად დაწერილან და ასე ლევან ყიფიანის შთამომავალი მალყარში დღესაც სოტრავეებად მოიხსენიებიან.

მალყარული გვარი ყაიგერმაზლარ თავს ქართველის შთამომავლად თვლისო, ამბობს ადგილგერ სოტაევი. ძველი ჩვეულებით ყაიღები ტყეში მოხერხებულ ადგილზე ნაბადს ვაშლიდნენ და შემდეგ ვაჭიდოდნენ საძარცვად, ნადავლი ყველას იქ უნდა მიეტანა და ნაბადზე დაეყარა, ბოლოს თავს შეიყრიდნენ იმ ადგილზე და ნაძარცვე ქონებას გაყოფდნენ თანაბარწილად. სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია ყაიღის, გუნეთის ერთ-ერთი სოფლიდან ბავშვი გაუტაცონა და ნაბადზე დაუყვანეს — აი, ჩემი ნადავლიო, უთქვამს ამხანაგებისათვის ბავშვის მოწყვან ყაიღის, ძალიან კარგი ნადავლიაო, მალყარულად ასე ითქმის — ყაიგერმაზ, აქედან წარმომდგარა ბავშვის გვარი — ყაიგერმაზლარ.

ბავშვს იტაცებდნენ აგრეთვე მკვლელობასთან დაკავშირებით. მკვლელი ცდილობდა დაზარალებულის ოჯახიდან გაეტაცა ბავშვი და შინ აღეზარდა, რადგან ამის შემდეგ მათი ოჯახების შერიგება ხდებოდა, მტრობა მოყვრობით იცვლებოდა. დაზარალებულის ოჯახს უფლება აღარ ჰქონდა ატალიკის ოჯახთან მტრობა-შურისძიებისა, ამის გამო ატალიკობის სისხლის აღების ჩვეულებას უბირისპირებდნენ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება მტრად გადაკიდებულ ოჯახებისა და საგვარეულოების შერიგება-დანათესაეებისა და მათ შორის ქიშპობა-სისხლის აღების შეწყვეტისა. ეს წესი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ მეცნიერებამა ატალიკობის წარმოშობის მეორე მიზეზად მიიჩნევა.

დროთა ვითარებაში ეპოქის შესაფერად, განსაკუთრებით კავკასიაში, ცარიზმის პოზიციების განმტკიცების შემდეგ, გაძიძვევა, სხვის-შვილობა და ატალიკობა თანდათან ჰკარგავენ თავიანთ თავდაპირველ მნიშვნელობას, მაგრამ თვით ჩვეულებანი არ გამქარაან, აფხაზეთში ოქტომბრის რევოლუციამდე, ხოლო სხვისშვილობა XIX საუკუნის 21-იან წლებამდე.

ასევე, თავდაპირველად კავკასიელი მოსახლეობის ყველა ფენაში ფართოდ გავრცელებულ ატალიკობას ფეოდალიზმის პირობებში მკვეთრად გამოსახული კლასობრივი ხასიათი მიუღია და მეზობრობებისა და ფეოდალების ხელ-



ში მღაბით მთიელებზე ზეგავლენის შენარჩუნების მნიშვნელოვანი იარაღი გამხდარა. რაც უფრო მდიდარი და სახელგანთქმული იყო ოჯახი, მით უფრო მრავალი მსურველი ჰყავდათ ატალიკად მოცილებისა. ეს ხდებოდა, ერთი მხრივ, მატერიალური დანატრეგებით, მეორე მხრივ, თავდაცვისა და მფარველობის მიღების ინტერესით. ყველა ცდილობდა ძლიერი მოკავშირე გაეჩინა, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ბავშვი გატაცებით ზოგჯერ ატალიკის თანხმობითაც ერთი ოჯახიდან მეორეში მიჰყავდათ.

მაღაყრელი და ყარაჩაველი მთის თავდაზნაურები, ვისაც მფარველობდნენ ისინი, მათი ყონალები ხდებოდნენ და უფლება ეძლეოდათ თავის სასარგებლოდ აეღოთ ჭარბები მათგან, ვინც მათ ყონალებს შეურაცხყოფდა. თავის მხრივ, მღაბით მთიელებიც საარგებელს ხედავდნენ თავადებთან ასეთი კავშირით, რადგან მათი სახით ისინი იძენდნენ საიმედო დამცველთა და მოკავშირეებს, ამიტომ იყო, რომ რაჰველი „ემჩეკები“ მათ საჩუქრებს მიართმევდნენ, სამაგიეროდ ტაუბიები თავიანთ მიწა-წყალზე ისე იცავდნენ და მფარველობდნენ ქართველ ემჩეკებს, რომ ისინი სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს და უშიშრად მოქმედებდნენ მთას იქითა აუღებში, დაცული იყვნენ ბოროტთა ხელყოფისაგან. ასეთი დამოკიდებულება ქართველ და კავკასიელ მთიელებს შორის XIX საუკუნის 70-იან წლებამდე შემორჩაო, წერს მ. აბაგი. ასევე, ე. კოვალევისი კავკასიელი მებრძოლების მიერ შვილების მთიელი გლეხკაცების ოჯახებში აღსაზრდელად გაბარების წესს XIX საუკუნის მოვლენად მიიჩნევს.

დღის რძის ღვთიური ძალა, სისხლით არამონათესავე, ზოგჯერ ერთმანეთისაღმე მტრულად განწყობილ არა თუ მოქიშპე პიროვნებებს, ან ოჯახებს, არამედ მთელ საგვარეულოებს, თემებსა და ხალხებს შორის მეგობრობა-ნათესაობის თესლს აღვივებდა. ამიტომაც, რომ ატალიკობას წარსულში დიდი როლი შეუხრატებია დაქსაქსულ და ერთმანეთისაღმე მტრულად განწყობილ ადიდელების შეკავშირება-გაერთიანებისა და მსხვილ ძუძუნათესაურ კავშირების შექმნაში, რომელიც ავალდებულებდათ დაეცვათ ერთმანეთი შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვეულების ეს ნიშან-თვისება მეცნიერებაში მიჩნეულია ატალიკობის წარმოშობის მესამე მიზეზად, რომლის წყალობით ადიდელებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუნარჩუნებიათ თვითყოფილა და დამოუკიდებლობა. ასევე, აფხაზების ძველ ყოფაში დიდი ყოფილა ატალიკობის როლი და მნიშვნელობა. ამრიგად, ფ. ლეონტოვიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეგობარი ოჯახის თუ საგვარეულოს თანასწორუფლებიანი წევრი ხდებოდა არა ყონალობის,

არამედ გავილების ჩვეულებით, რომელიც საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ხეყონაობის ხეხს შორის ხელოვნური ნათესაობის დამყარებისა. აღმათ აღნიშნული დადებითი როლის გამო გავილების ქართულ წესს აკაკი წერეთელი „გონივრულ ჩვეულებად“ მიიჩნევს.

XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს სხვისშვილობის მესამე წესი. ამ პერიოდში ჩვეულებამ წმინდა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი მიიღო. ხდება არა ძუძუნთა ბავშვების გაშვილება ოჯახებისა და საგვარეულოების დანათესაება-დაახლოების მიზნით, არამედ ღარიბ-ღატაკ მთიელებს შრომისუნარიანი 10-12 წლის ყმაწვილები მიჰყავდათ მდიდარ მეჯოგე მთიელებთან სხვისშვილად, რომლებიც იქ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, რისთვისაც მცირე გასამრჯელოს იღებდნენ, პირუტყვის ან მარცვლეულის სახით. ღარიბი მთიელებიც ავრძელებდნენ ერთმანეთში მისვლა-მოსვლას და ურთიერთობას, მაგრამ „სხვისშვილს“, როგორც დაქირაებულ მუშახელს, ისე იყენებდნენ. თუმცა ჩვეულებრივ ოჯახში ცხოვრობდა. გავილების ეს გვიანდელი ფორმა მოკავშირეობის სახეს იღებდა, უძველესს ტრადიციით ამ ჩვეულების აღმნიშვნელად „სხვისშვილობა“ შემორჩა, წინასწარ არ ურიგებდნენ — ეგრძე თავის შეხედულებით წლის ბოლოს „სხვისშვილს“ გასამრჯელოდ პირუტყვის აძლევდა. ამ დროის „სხვისშვილობის“ გაქირავებული მღვდმარეობა და ჩვეულების კლასობრივი არსი ხალხს ასე გამოუჩნატვეს:

ზვიადუკეან „სხვისშვილი“,  
იქნა ჩემი მტრის შვილი,  
გარეთ გავალ — სიცივე მკლავს,  
შინ შემოვალ — შიმშილი.

კავკასიელ მთიელებში და აკრეთვე მის ფარგლებს გარეთ ფართოდ გავრცელებულმა ატალიკობის ინსტიტუტმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. არსებობს მთელი რიგი თეორიები, რომლებიც მხოლოდ ცალმხრივად განიხილავენ ატალიკობის წარმოშობასა და მნიშვნელობას ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური თეორიებისათვის.

ატალიკობის ისედაც მცირე ლიტერატურულ ცნობებში, მდიდარი ქართული ეთნოგრაფიული მასალებიდან უნიშვნელო ნაწილის გამოყენება, კერძობისა და სხვისშვილობის შესახებ მასალების საერთოდ გაუთვალისწინებლობა, ყონალობისა და ატალიკობის შესწავლის სრულ სურათს არ იძლეოდა, რაც აღნიშნული ჩვეულებების ცალმხრივ გაგებას იწვევდა. ამიტომ მკვლევართა უმეტესობა გაკვირებული

სპარტბა რბხვიაშვილი  
სამისმომილობა მთის რაბაში



კითხულობდა: ატალიკობა ადგილობრივი, კავკასიური წარმოშობისა თუ თურქულ მონგოლური ჩვეულებებისაგან ნასესხებო? გაუგებრობის მიზეზი იყო თურქული სიტყვები: ატა, კხან, ემჩეე და მასთან მ. კოსვენის მტკიცება ატალიკობის თურქ და მონგოლ ხალხებში არარსებობის შესახებ. ამ დებულებას ეგარდანივი დღეისათვის მიუღებლად მიიჩნევს. იგი წერს: აღნიშნულ ხალხებში ატალიკობის ინსტიტუტი შესწავლის საგანი არ იყო, ამის შედეგად შეიქმნა მცდარი მოსაზრება, სინამდვილეში კი, როგორც დასტურდება, თურქ და მონგოლ ხალხებში ატალიკობის ჩვეულება გაერცელებული ყოფილა. ცნობილია, რომ წარსულში გაშვილების ჩვეულება, ვარდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიისა, ფართოდ გაერცელებულა სკანდინავიის ხალხებში, ისლანდიელებში, კელტებში, ირლანდიელებში, უელსში, შოტლანდიელებში, პოლონეზიელებში, ძველ ბერძნებსა და რომელებში.

საინტერესოა, რომ კავკასიური ატალიკობის ზოგიერთი წესის მსგავსება შეიმჩნევა პოლინეზიელი ტომების ყოფაში, სადაც, მ. კოვალევიკის მიხედვით, დღეით ნათესაეები ითვლებოდნენ დედად და ძმებად და იმავე ეჭოვამიურ აკრძალვას ახდენდნენ, როგორც ჩრქეზები. შიორის ტომის ჩვეულებით კი ბავშვებს, როგორც წესი, არასოდეს არ ტოვებდნენ დედასთან, ისინი დაბადებისთანავე მიჰყავდათ აღმზრდელებთან. სენეკასა და იროკეზების ტომების შვილად აყვანის ჩვეულების შესახებ ე. ენველსი წერს: „გვარს შეუძლია ვარემე პირები იშვილოს და ამ გზით ისინი მთელი ტომის წევრებად გახადოს“. ამ შემთხვევაში შვილად აყვანა ხდებოდა არა ძუძუმწოვარა ბავშვისა ან მოზარდისა, არამედ უკვე ზრდადასრულებული ქაბუკისა, რომელიც ტომს ტყვედ ჩაუვარდებოდა. შვილად აყვანის ეს ჩვეულება

მიზნად არ ისახავდა \*ნაშვილევის მოშორებას და მათ ახლობლებთან ნათესაური კავშირების მტკიცებას, მათ შორის საეპრო ან სახელოსნო საქმიანობის გამლა-გაფართოებას, როგორც ეს ატალიკობისა და სხვის შვილობის დროს ხდებოდა. ამ მხრივ თავისი ორიგინალობითა და სპეციფიკური ნიშნებით ყველა ხალხთა ჩვეულებებისაგან გამოირჩეოდა გაშვილების ქართულ-კავკასიური ჩვეულებები.

აღნიშნული თავისებურებებისა და სპეციფიკური ნიშნების გამო ა. ჩუცოვსკი ატალიკობას საერთო კავკასიურ მოკლევად მიიჩნევს. ნ. დანილევსკი გაშვილების კავკასიურ ჩვეულებას ევროპული და აზიური გაშვილების ჩვეულებებისაგან სრულიად განსხვავებულად თვლის. ყოველივე ზემოთ თქმულის, კერძობისა და „სხვის შვილობის“ სახით ახალი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ვფიქრობ, ატალიკობა, ვაჟიძეობა, სხვის შვილობა ერთი ძირიდან მომდინარე ქართულ-კავკასიური წარმოშობის ჩვეულებები უნდა იყოს და არა თურქულ-მონგოლურიდან ნასესხები, მეტადრე გ. კოციევის დასტურით ცნობილია, რომ თვით თურქ-მონგოლური მოდგმის მალყარელ და ყარაჩაველ მთიელებსაც კი ატალიკობა მეზობელი ხალხებისაგან მიღებული და შეთვისებული ჰქონიათ, თურქების გავლენით ჩვეულებას მხოლოდ სახელი ატალიკობა შემორჩენია, თვით ჩვეულება ბოლო დრომდე წმინდა კავკასიური სახით შემონახულა. უნდა ვფიქრობ, რომ ოდესღაც გაშვილების ქართულ-კავკასიურ ჩვეულებას ერთი საერთო სახელი ერქმეოდა, შესაძლებელია კერძობა.

ქართველი ხალხი წმინდად იცავს და ინახავს მეზობელ კავკასიელ ხალხებთან კერძო მოკეთობით განმტკიცებულ ტრადიციულ მეგობრობას, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.



შოთა რაიკვილი

# ჰაპელი და საქართველო

XVII საუკუნის ვერძელ მწერალთა შორის, რომელნიც საქართველოთი და ქართველობით იყვნენ დაინტერესებულნი, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ებერჰარდ ვერნერ ჰაპელი (Hap-pel). გერმანული პრეციოზული, ნატიფი ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი, ჰაპელი თავის დროზე მეტად ცნობილი იყო საკაირო-გალანტური რომანებითა და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შრომებით.

სოფლელი მღვდლის ოჯახში 1647 წელს დაბადებული ჰაპელი თექვსმეტი წლიდან სწავლობდა მარბურგის უნივერსიტეტში ჯერ მედიცინას და მათემატიკას, ხოლო შემდეგ — სამართალს. ნივთიერი ხელმოკლეობის გამო შეწყვეტილი სწავლა მან განაახლა 1673 წლიდან კილის უნივერსიტეტში. ერთი პოლშტაინელი აზნაურის სახლში ჰაპელმა ჰოფმაისტერის, ოჯახის მასწავლებლის დამამკირებელი თანამდებობაც კი მიიღო, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1679 წელს იქორწილა ჰამბურგელი მდიდარი ვაჭრის ქალიშვილზე, ცოლის მზითვით წელში გამართლმა, ხელი მიჰყო თავისუფალი შემოქმედის ცხოვრებას და დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობის შედეგად დაწერა 21 სახელწოდების 32 მოზრდილი ტომი და 9 მეცნიერული ნაშრომი. ჰაპელი გარდაიცვალა 1690 წელს, 43 წლის ასაკში.

როგორც მწერალს, ჰაპელს გააჩნდა ჯეროვანი ერთდროეობა და განსწავლულობა, გამომგონებლობის დიდი უნარი და მხატვრული დახელოვნება; ჰქონდა დაუღვგარი ფანტაზია, ნამდვილად მომხდარი ფაქტების გვერდით ძნელად დასაჯერებელი და თვით ზღაპრული ამბების თხრობის უნარი. ჰაპელის რომანებში ურთიერთს ერწყმის შორეულ გეოგრაფიულ ადგილთა მოხდენილი აღწერა, წარსული დროის მოუღენების ოსტა-

ტური გადმოცემა და ისტორიული პირობების გაცოცხლება. მოგვიანო ბაროკოს სტილით დაწერილ რომანებში ჰაპელი აღწერს საგმირო და სატრფიალო თავგადასავლების, სახმელეთო და საზღვაო ბრძოლების მრავალნაირ ეპიზოდს.

ჰაპელის „აურაცხელ“ (ვოლფგანგ საიეოკი) რომანთა შორის პირველია „აზიელი ონოგამბო“ (1673), რომელსაც მოჰყვა სამი, ოთხი და თვით ექვსტომიანი რომანების მთელი სერია; სწორედ, მათი წყალობითაც იქცა ჰაპელი თანამედროვეთათვის უაღრესად საყვარელ და მოდურ მწერლად, რომლის თხზულებანი მკითხველებს ერთდროულად ართობდა, ანათლებდა და იღუერად ზრდიდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის გერმანიაში ვილანდის და, განსაკუთრებით გოეთეს, მეცადინეობით დიდი ევოლუცია განიცადა რომანის ეანრმა, საკაირო-გალანტური რომანები აღმოჩნდა განწირული დაიწყებისათვის და ეს საჯალლო ხედრი არც ჰაპელის წიგნებს ასცდათ. მომდევნო საუკუნეებში მისი არც ერთი წიგნი — მხატვრული თუ მეცნიერული — განმეორებით აღარ გამოსულა გარდა საუნივერსიტეტო ცხოვრების თემაზე დაწერილი „აკადემიური რომანისა“, რომელშიც საბეჭდი დაზგა განმეორებით მხოლოდ 1913 წელს იხილა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჰაპელის თხზულებანი დღეს წარმოადგენენ დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას და ერთნაირად ძნელია როგორც მათი მოძიება, ასევე კითხვა და თვით გაგება.

დღესდღეობით ლიტერატურულ ცნობარება და ისტორიულში ყოველთვისაა მოხსენებული ჰაპელის მხატვრული ნაწერები. მისი ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები კი სამწუხაროდ აღარსად იხსენიება. და ეს მაშინ, როცა თავის დროზე ჰაპელის წიგნები იყო მკა-



თხველთა ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი ერთგვარი ენციკლოპედია, რომელშიც მეცნიერული პასუხია გაცემული მრავალ ცხოვრებისეულ პრობლემაზე; როცა ამ წიგნებს კიდევაც გააჩნიათ ჭეროვანი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა.

ჰაპელის თხზულებებში განსაკუთრებულ ადგილს ეკავებს ოსმალთა სახელმწიფოს თემა და ეს სრულიად ბუნებრივია. ევროპის ტერიტორიაზე ფეხმოკიდებული ოსმალეთი XVII საუკუნის დასაწყისისათვის მართალია აღარ იყო ძველბურად მრისხანე, მაგრამ მაინც იყო საშიში ძალა, რომელმაც ეენის მისადგომებამდე მაღწია და რომელსაც სურდა სულ ახალი, შეუბღალავი და გაუპარტახებელი ტერიტორიების დაპყრობა. ოსმალთა იმპერია უტყვევდა აღმოსავლურსა და ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებს, რომლებიც მასთან შედარებით საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ. და როცა 60-70-იან წლებში სულთანმა განახლა საომარი ოპერაციები უკრაინასა, პოლონეთსა და ცენტრალურ ევროპაში, მან განიცადა დიდი წარუმატებლობა; ხოლო 1683 წელს ოსმალთა იმპერიის მრავალრიცხოვანი ლაშქარი მთლიანად დაიშლენა და განადგურდა ეენასთან ბრძოლების დროს. პოლონელმა და საქონელმა ჩარებმა პოლონეთის მეფის იან სობესკის მეთაურობით საბოლოოდ შეაჩერეს ოსმალების წინსვლა ყველა მიმართულებით, ჩამალეს ევროპაში მათი მეუღების გაფართოების მუხანათური სურვილები.

ჰაპელი არ იყო ამ ბრძოლათა მხოლოდ თანამედროვე. როგორც ნამდვილი მამულიშვილი, იგი ფიქრობდა თავის სამშობლოზე, რომელსაც მეტად აწუხებდა ოსმალეთის დამპყრობლური გეგმები. ამ დროისათვის გერმანია იყო მეტად დასუსტებული და იავრქმნილი 30-წლიანი ომის გამანადგურებელი შედეგებით. ვესტფალიის ზავის შემდეგ იგი ოფიციალურად იქნა აღიარებული დამოუკიდებელ ქონდრისკაცულ სახელმწიფოთა კონფედერატად. ჰაპელმა კარგად იცოდა, რომ ეენის აღების შემთხვევაში ოსმალები გადავიდოდნენ დაუძლურებული გერმანიის ტერიტორიაზე, სადაც ადვილად მიალყდნენ ყოველგვარ წარმატებას; სადაც მათი გამოჩენა მწერლის თანამემამულეებისათვის ახალი და საშინელი უბედურება იქნებოდა.

ოსმალეთის საომარი ოპერაციებით შემოფოთებული ჰაპელი იმედიანი თვალთ შესცქერდა ანტითურქულ ორიენტაციის სახელმწიფო ძალების მოქმედებას. ასეთ ძალად კი მას გეგულებოდა ცენტრალურ ევროპაში ავსტრიასთან ერთად უნგრეთი, ხოლო მცირე აზიაში — საქართველო. აი, ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება გავიგოთ ამ ორი ქვეყნის წარსულისა და აწინყოთი ჰაპელის დიდი დანეტრერსების მიზეზი, დაეინახოთ საფუძველი ქართველებისადმი მწერ-

ლის დაუფარავი და უსაზღვრო სიმპათიებისა, რისი ფესვებიც, სამწუხაროდ, ... უცნობაა.

თავისი მეცნიერული თუ მხატვრული თხზულებების წერისას ჰაპელი მაქსიმალურად იყენებდა იმეამად საქართველოსა და ქართველობასთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციას. ეს ცნობები მწერალს, თავისი მხრივ, გაბნეული აქვს სხვადასხვა შრომაში, და ვიდრე გავაანალიზებდეთ მათ, საჭიროა თვით ამ შრომების აღნიშვნა:

I. განაძი გზამკვლევი, ანუ მცირე შენიშვნები აზიის, აფრიკის და ამერიკის ერებსა და სახელმწიფოებზე, ჰამბურგი, 16882. ამ დიდ წიგნში შეტანილია ადრე სხვადასხვა დროს დაწერილი ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, სახელწოდებ:

II. მთელი თურქეთის მოკლე აღწერილობა და ყველა სულთანის სურათი.

III. უნგრეთის სახელმწიფოს დაწერილებითი აღწერა.<sup>4</sup>

IV. ამეამად სახელოვნად მბრძანებელი რომაელი (აგრეთვე გერმანელი) კეისარის, უნგრეთისა და ბოჰემიელთა მეფე ლეოპოლდ I<sup>5</sup>

V. მუსულმანთა და თურქთა საგანგებო აღწერა.<sup>6</sup>

VI. თანამედროვე ევროპის ისტორიული აღწერა, ულმი, 1692<sup>7</sup>

VII. უნგრეთის ომის რომანი, ტ. 1—2, ულმი, 1695.<sup>8</sup>

VIII. განახლებული ევროპული თორიანი, ფრანკფურტი, 1689.<sup>9</sup>

IX. გერმანელი კარლი, ტომი 1-4, ულმი, 1960.<sup>10</sup>

X. აზიელი ონოგამბო, ულმი, 1673.<sup>11</sup>

XI. სამწილიანი საოცარი ქვეყანა, ანუ მშვენიერი სამყარო წარმოდგენილი მოკლე კოსმოგრაფიის სახით, ულმი, ტ. I (1687); ტ. 2 (1688); ტ. 3 (1689).<sup>12</sup>

XII. ოსმალთა ბიაზეთი, ტ. 1-4, ულმი, 1688-89.<sup>13</sup>

როგორც დასათურებიდანვე ჩანს, ამ შრომებში გაშუქებულია მსოფლიოს ქვეყნების, კერძოდ ევროპისა და მცირე აზიის სახელმწიფოთა ყოფა; მათი ისტორიის უმთავრესი მომენტები; მიმოხილულია უმთავრესი სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა და საომარი ოპერაციები. მათში განსაკუთრებით ჰარბობს მასალა მამუდიანთა ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის სფეროდან. ამავე თხზულებებში იშვიათად არაა ლაბარაკი საქართველოსა და ქართველობაზე; ხან უშუალოდ და ზოგჯერ ოსმალეთის ან სპარსეთის საკითხებთან დაკავშირებით. ავტორის საგანგებო ქვეთავებიც კი აქვს გამოყოფილი ცალკე: „საქართველო“ (Georgien) — გვხვდება სამ (II, VII და XI) ნაშრომში; ასევე „სამეგრელო“ (Mingrelieu);



იგი მსჯელობის საგნადა ქვეული იმავე სამ თხზულ. ქაში; იბერიაზე (Jberia) საუბარია მხოლოდ ერთ ადგილას (II); ქვეთვე „ქართული საჩაკი“ (Georgische Tribut) შეტანილია ორ (II და XI) ნაშრომში; ხოლო ისევ ცალკე ქვეთავი „ქართველების თაობაზე“ (Von den Georgicern) შეტანილია ორ (V და XIII) ნაშრომში. დაბოლოს ერთ-ერთი წიგნის (XI), მეორე ტომის დასასრულს, დამატების სახით (№ 46) დართული აქვს ლათინური ტრანსკრიპციით დაწერილი „მამია ჩვენს“ ქართული ტექსტის რვა ფრაზა; ერთ ნაშრომში წარმოდგენილია სურათი, რომელზედაც ხატია გრძელი შუბით და ოთხკუთხა ფართი შეიარაღებული, თავზე დიდი ჩაღმინი, ფართო შარვალში და გრძელ წამოსასხამში გამოწყობილი მეგრძოლი. ავტორი აქვე საგულდაგულოდ გვარწმუნებს, რომ ეს ნახატი გვიჩვენებს ქართველი ქრისტიანი მხედრის შესახებდაბას და საომარ აღჭურვილობას (V, გვ. 197).

ყველა ამ ქვეთავში ჰაველი ლაპარაკობს თავისთავად საქართველოზე, მის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობაზე, აგრეთვე სპარსეთისა და ოსმალეთისაში ურთიერთობაზე; მიმოიხილავს ქართული სამართლის ნორმებს, დანაშაულებათა ნაირობასა და მისდაგებული სასჯელის ხასიათს, წიაღისეული სიმდიდრის დამუშავების მდგომარეობას, ტყვეებად ქართველების გაყიდვისა და სოციალური უსამართლობის სხვა ფაქტებს. სამწუხაროდ ჰაველი არც საქართველოში და არც თურქეთში არასოდეს ყოფილა და, ამდენად, მისი ცნობები არა აგებულე უშუალოდ ნახულისა და განცდილის საფუძველზე; მაგრამ გერმანელი მწერალი შეძლებისდაგვარად კეთილსინდისიერად იმარჯვებს მისთვის ხელმისაწვდომ მეცნიერულ და ლიტერატურულ წყაროს ვერობის თითქმის ყველა უტყუარეს ვნაზე, მათ შორის, პირველ რიგში, ფრანგი ჟან შარდენისა, იტალიელი პიეტრო დელა ვალეს, გერმანელი ადამ ოლენარიუსისა და სხვათა შრომებს.

მართალია ჰაველი დროდადრო სცილდავს ისტორიისა და გეოგრაფიის წინაშე, მაგრამ თავის კარგთხველებს ძირითადად მიიწევს მართებულ ინფორმაციას აწვდის. რამდენიმე საუკუნის წინათ, აღნიშნავს ჰაველი, საქართველო ერთიანი ქვეყანა იყო. ოდიოვანვე არსებული კოლხეთი, იბერია და ალბანეთი დღეს ცნობილია საერთო სახელით — „გეორგია“, ანუ „გურჯისტან“ და მდებარეობს აზიაში, კასპიისა და შავ ზღვას შორის. „გეორგიას“ ცნებაში ჰაველს შეაქვს აგრეთვე ჩერქეზეთი („ცირკასიე“) და „ტურიე“ (Zuirie,??).

უკანასკნელ ხანებში, სახელდობრ, XVII საუკუნეში, ავტორის თანახმად, ოსმალეთისა და სპარსეთის შორეი ვერაგული თავდასხმების შედეგად, საქართველო გაიყო ორ ნაწილად. საქარ-

თველოს დაქაქაქაშა ვანი კტრებით სახელსწერო მნიშვნელობა აქონა სპარსეთის მეფე შაჰ-აბასმა. მას შემდეგ ეს ქვეყანა იყოფანდა მისავლეთ საქართველოდ — იბერიადა, ანუ საკუთრივ „გეორგიად“ — და დასავლეთ საქართველოდ, კოლხის ანუ სამეგრელოდ, „მინგრელიენ“ (VIII, გვ. 795). მათ შორის მიჯნა მთიანი მასივი. „გეორგია“ სპარსეთის მეფემ აქცია თავის პროვინციად და იქ მისთვის „სასურველი მმართველი“ (beliedene Gouverneurs) დასვა (XI, ტომი პირველი, გვ. 116). მმართველები საერთოდ საქართველოს მკვიდრნი არიან და თუ სურთ ეღობონ ასეთ დიდ პატივს, მაჰმადიანობა უნდა მიიღონ.

„მინგრელიენ“, ჰაველის წარმოდგენით, მოქცეულია თურქეთის გავლენის ქვეშ. მწერალს მხედველობაში აქვს თურქი სულთანების იბრაჰიმ I (1640—1648) და მეჰმედ IV (1648—1687) მეუფების ხანა, როდესაც დასავლეთ საქართველო ფორმალურად ითვლებოდა ოსმალეთის სამფლობელოდ, როცა სულთანები თავიანთ ჯარებს დროდადრო აგზავნიდნენ „მეგრელიენში“. აღსანიშნავია, რომ სამცხეს ჰაველი არ ახსენებს გამოცალკეებით; როგორც ჩანს, ეს კუთხე მათ უკვე ოსმალთა იმპერიის ოდიოვანდელ მიწად მიიჩნია იქ თურქების დიდი ხნის პატონობის გამო.

თავისთავად „გეორგია“ და „მეგრელიენ“ იყოფა ცალკე კუთხეებად. ამათვან პირველი შედგება ქართლისა და ჩერქეზეთის, ალბანეთისა „ტურიესა“ (??) და სხვა კუთხეებისაგან. ხოლო მეორეში მოქცეულია იმერეთი<sup>14</sup>, გურია და საყურველ სამეგრელო. სამეგრელოს სათავეში უდვას დადიანი, გურიას — გურიელი. იმერეთის მეფე მბრძანებლობს ორ დანარჩენ სხვა კუთხეზედაც, რის გამოც მათ შორის ზშირად იმართება სისხლიანი ომები (II, გვ. 32; XI, ტომი პირველი, გვ. 717).

საერთოდ საქართველო ლამაზი და კარგი ქვეყანაა, საუცხოო თავისი ბუნებით და გარემოცული ცამდე აზიდული მთებით (VIII, გვ. 459—460). თბილისი და გორი ორი საუკეთესო ციხე სიმაგრეა (V, გვ. 197). თბილისი საკმაოდ დიდია, კარგ ადგილას მდებარე და მტკიცედ ნაშენი ქალაქია, რომელშიც გაჩაღებულია აბრეშუმით ვაჭრობა და ქართველებიც ცნობილნი არიან, როგორც დიდებული ვაჭრები და კარგი მოგზაურები (VII, გვ. 410; II, გვ. 31).

ქართველები, ჰაველის ცნობით, წარჩინებული ცენონისები არიან და მთელს აზიაში სახელი აქვთ განთქმული, როგორც საუკეთესო მებრძოლებს. სპარსეთის სამეფო ცენოსანთა ჯარი ნაწილობრივ მათგან შედგება და შაჰსაც ყოველთვის თავის კარზე ჰყავს მამაცი ქართვე-

**შოთა რაჰიშვილი**  
ჰაპედი და სპარტიველი

ლები, რომელთაც იგი დიდად ენდობა. ქართველი მხედრები საიმპოვნებით ჰყავს აგრეთვე მოსლს, რადგანაც ისინი თავიანთ საგუშაგოებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავენ (VII, გვ. 410); აგრეთვე (II, გვ. 31). გურულები და მეგრელები არიან კარგი მებრძოლები (II, გვ. 32). იბერიელები არიან კარგი ჯარისკაცები (II, გვ. 58); საქართველოს მკვიდრნი არიან მამაცი (tapfer) მეომრები (VIII, გვ. 460); ქართველები საუკეთესო მებრძოლები არიან და ერთს შეუძლია ბრძოლაში გაუმკლავდეს ოც თურქს (V, გვ. 197).

ქართველებს „თავისუფლად უყვართ და ყველა განას ურჩევენიათ“ (V, გვ. 197). თურქეთის მონობაში ყოფნის მიუხედავად, ქართველები რჩებიან ქრისტიანებად და სულაშქროდ მიდიან გამოწყობილნი ეროვნულ ტანისამოსში და აღჭურვილნი თავიანთი სმბრძოლო იარაღით: ფარით, შუბითა და ხმლით. ამიტომაც მთელ თურქეთში ქართველები სარგებლობენ დიდი თავისუფლებით, იხდიან მეტად მცირე ხარკს და შეუძლიათ იერუსალიმში მოლიანად შეიარაღებულები გაემგზავრონ (V, გვ. 197).

ჰაველი ბეგერს ლაპარაკობს ქართველების სილამაზეზე. ამ ქვეყნის მკვიდრნი არიან ლამაზები, წარმოსადგენნი და კარგი აგებულებისანი; მათ ქალებს აქვთ უპირატესობა მთელს აზიაში. სპარსეთის მეფეს თავისი ცოლების უმეტესობა ამ ქვეყნიდან მოჰყავს. საქართველოს მშობრებებში ათობით ულამაზესი ქალი ვაღვტავნონ მას. სპარსეთის მეფე მათ თავის ქვეყანაში ტოვებს და სხვაგან არსად არ აგზავნის. სილამაზესთან ერთად ამ ქალებს ახასიათებთ დიდი თავისუფლების-მოყვარეობა, გაცილებით მეტა, ვიდრე სადღე სხვაგან მთელს აზიაში (VII, გვ. 410; II, გვ. 32). ჰაველი მაღლა აღნიშნავს აგრეთვე მეგრელებს „სულთანი, — აღნიშნავს იგი, — დიდ პატივსა სცემს ამ ერს და მის თავადებს და თავს არიდებს მათ გამარჯვების უბრლო რაიმეზე. მან კარგად იცის, რომ მეგრელები მამაცი მხედრები არიან და არ შეუძლიათ თვით უმცირესი შეურაცხყოფის მოთმინა. აქედანაც ერთი სათავალო სიტყვისათვის ისინი უმალ იმისმღებენ ზმალს და თუ გააბრაზე, მათგან არ დაგადგება კარგი დღე“ (II, გვ. 33; VII, გვ. 414).

ჰაველი საქიროდ მიიჩნევს ილაპარაკოს ქართული სასმელების ნაირობაზე და ქართველთა სმის კულტურაზე. ქართული სასმელები მაგარია და თვითონ აღმოსავლელი ქართველებიც კარგა მსუბუქნი არიანო, ისევე, როგორც მეგრელები. განსაკუთრებით სუამენ სასიგნო დღეებში. ქალაქი ერიდებიან მამაკაცებთან ერთად ქუამ-სმას (II, გვ. 31). მაგრამ ჰაველთან არაფერია ნათქვამი იმაზე, თითქოს ზშირად სმა ოდენსე უსოროდობაში გადამოიღეს და თანაც რაიმე ტუფი შეღწევათ მოაეროდებოდეს.

საქართველოში ბევრი წიადსეული სიმდიდ-

რე, მაგრამ დაბალია მისი დამამუშავებელი სიმართე ტექნიკის დონე; დიდია მასთან დაკავშირებული საფრთხე და იშვიათი არაა ტრადიციული შემთხვევები. სამეგრელოს საბადოებში, — აღნიშნავს ჰაველი, — რკინასთან ერთად უხვად მოიპოვება ოქრო და ვერცხლი. ოღონდ ამ სამუშაოზე ხალხის მიყვანა დიდი ვანინარობითა ხდება, რადგანაც მუშებს რეზინით, რომ მიწა ჩაინგრება და დაიღუპებიან, იცნ ნამდვილად ზშირად ხდება (VII, გვ. 412; XI, ტომი პირველი, გვ. 718).

ჰაველი ლაპარაკობს რელიგიისადმი დამოკიდებულებაზე. ამ ხალხს, — მწერლის აზრით, — ძვირად უყვდება ტარება იმ მამე უღლისა, რომელსაც ქრისტიანული სარწმუნოება ეწოდება (VIII, გვ. 460), თუმცა ქართველ ქრისტიანთა უმეტესობა კარგად ვერა ვთვითცნობიერებული თავის სარწმუნოებაში. მცირე ნაწილს კი ქრისტიანული მოძღვრება, ისევე როგორც წერა-კითხვა, შეთვისებული აქვს მონასტრებში; და იციან იგი ქალებმა და ქალიშვილებმა უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებმა (II, გვ. 31). და ყველაფერი ეს ხდება არა იმიტომ, თითქოს დედათა მონასტრები უფრო მეტი იყოს, ვიდრე მამათა მონასტრები, არამედ იმ მიზეზით, რომ თავიანთი სიცოცხლის მეტ დროს მამაკაცები ანდომებენ მიწაზე მუშაობას და დღენიდაც ომებს. ქალიშვილებს კი, — რაკი ყოფილთვის ემუქრებათ მოტაცებისა და უცხოეთში ტყვედ გაყიდვის საფრთხე, — იძულებული მშობლები სრულიად პატარებს აბარებენ მონასტრებში, სადაც ისინი დროს დიდ ნაწილს ანდომებენ სწავლა-განათლების მიღებას და რაიმე ხელობის დაუფლებას (II, გვ. 31).

განათლების საქმე არც სამეგრელოშია დაყენებული ცუდად. მეგრელოთა ქვეყანაში, — წერს ჰაველი, — ბევრია ტაძარი ან სემინარია ახალგაზრდობის აღსაზრდელად, ოღონდ აქაც განათლებას უფრო მეტად იღებენ ქალიშვილები, ვიდრე კაბუკები. აღზრდის საქმეს უძღვებიან სულთნობის მამები და როცა ახალგაზრდები აღწევენ გარკვეულ ასაკს, მათ აოჯახებენ, ხოლო მათ ნაცვლად ტაძრებსა და სემინარიებში აღსაზრდელად იყვანენ ახალ შეგირდებს (II, გვ. 32). მონასტრებს, — ჰაველი გადმოიყვანს, — აკისრია მნიშვნელოვანი აღმზრდელიობითი ფუნქცია, თუმცა რელიგიის მიმართ მეგრელები გულგრილები არიან და მათთვის სულ ერთია ეყოლებათ კარგი და განსწავლული, თუ ცუდი და განუსწავლელი მღვდლები (II, გვ. 32; VII, გვ. 412).

გაუგებარია, რას უნდა ემყარებოდეს ჰაველის მსჯელობა, თითქოს საქართველოში მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო მეტად იყვნენ განათლებულნი ვითომც მონასტრებში ხანგრძლივად ყოფნის გამო. სხვათა შორის, ანალოგიური აზრი ზშირად გამოუთქვამთ ევროპელების მიმართ ხალხური ფაბლიოების მკვლევარებს. ამერად არაფერს ვამბობთ, თუ რამდენად სწო-





რია ეს დებულება დასავლელი არისტოკრატების თაობაზე; შევნიშნათ მხოლოდ იმას, რომ ქართველების მიმართ მსგავსი მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჩერ კიდევ არავის დაუდასტურებია, თითქოს ოდესმე ქართველთაგან კაცებზე მეტად განათლებული ყოფილიყვნენ ქალებზე და თანაც იმ მიზეზით, რომ შრომისა და ბრძოლაში გართულ მაჰაკაცებს არ ეცალათ განათლების მისაღებად.

პაპალი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს უახლესი ისტორიის უმთავრეს მომენტებს. თხზობას ეს მისი აღნიშვნით იწყებს, რომ საუკუნის დასაწყისში საქართველოში, საკუთრივ თბილისის სამეფოში, ბრძინებლობდა ქრისტიანი მეფე სახელად სვიმონი, ხოლო სამეგრელოში — ალექსანდრე. სვიმონი ვაიძახებს კონსტანტინოპოლში სამეფო კარის წინაშე თავისი ვალის მოსაბედელი. მაგრამ რაკი მას არ სურდა წასვლა, თურქობამ დალაშქრა საქართველო და სვიმონის ვაჟ ალოვასთან (Alovassa) ერთად ძალით მოაყვანეს კონსტანტინოპოლში. აქ სვიმონი შიშამით დასაჯეს, ხოლო ალოვასა დააბრუნეს შიშამიელ მხარეში, თანად სისახლემ დეკაბუტებამდე შეურყველ მიუძინა ერთი „შეგნებული“ (VIII, გვ. 460) და „პეკინი“ (V, გვ. 197) ქრისტიანი თანამემამულე მოურავად წოდებულა.

სამეგრელოს მეფე ალექსანდრე ხმარსეთის შაჰმა თავისთან თხოვნით ვიწყოა, მიხვან ღირსების მისაღებად; რაკი ამისი დიდი და თანაც ძლიერი ტირანი იყო, ამიტომ ალექსანდრემ საკუთარი ნებთა შაჰს მიჰვლად (Geisel) გაუგზავნა თავისი შვილი კონსტანტინე. მან იქვე მიიღო შაჰმადის სჯული, რითაც შემდეგ გზიდან ნამოთვრია მეუფებაში მოცილე ამა — დავითი.

ამის შემდეგ კონსტანტინე შაჰის იძულებით და დიდი ჯარის თანხლებით გაემგზავრა სამეგრელოში. მან თავის ბანაქში მიიპატიჟა შაჰა და მშა დავითი და დახტოა ისინი. შალე ყოველივე ეს ცნობილია შეიქმნა დავითის თანამეცხედრე პრინცესა ქეთევანისათვის (კათარინასთვის). იგი თავისი ლაშქარით დიძრა მუხანათა მავლის შესაგებებლად და მას შემდეგ რაკ კონსტანტინე მათს ვიწრო ხეობაში მიიწვევდია, მას შეატყობნა, რომ ხურს შეხვედრა მცირე რამ საუბრი-სადავსა. კონსტანტინე ვახლა ქეთევანს და სკამით დიდ ხანს ეთათობრა. მაგრამ, როცა იგი დევშივილობა და საკუთარი ბანაქისაკენ დაბრუნდა, თავს დაესხნენ ჩასადრებული ქართველები და მოჰკლეს დედოფლის ბრძანებით. ქეთევანის მეზობლებმა მიმართეს შაჰის ჯარს, რომელშიც 4. 000 წარმოშობით ქართველი იყო, გაღაპბირეს ისინი ათეიანთკენ და სპარსელები თითქმის მთლიანად ამოჰკლტეს.

შაჰ-აბასს თავისთან ხახხლეში დიდი ხანია ჰყავდა ქეთევანის ვაჟი პრინცი თეიმურაზი, რომელსაც მაჰმადის რჯული ვერაფრით

ვერ მიადებინა. რაკი ერთვლება შეჰყვია, თეიმურაზი აბასმა თავის ქვეყანაში ვაგზავნა ტახტზე დასვა. თეიმურაზს შალე თვალში ჩაქვარდა ერთი ქრისტიანი ქალიშვილი, რომელიც აგრეთვე მოსწონდა ალოვასს და რომლის გამოც მათ შორის უსახამონება და შუღლი ჩამოვარდა (V, გვ. 197).

შაჰ-აბასმა ერთმანეთის უჩუმრად ორივე შეავლანა ურთიერთის წინააღმდეგ და თანაც ისე, რომ ორივესთან კარგი დამოკიდებულების შერჩენა სცადა. მაგრამ როცა ალოვასი და თეიმურაზმა გაუგვეს, ისინი ურთიერი დასუადნენ და თეიმურაზმავე მიიღო თავისი საპატარლო. ყოველივე ამან შაჰ-აბასი იძუენად განაწყენა, რომ იგი პირადად დიძრა სამეგრელოსკენ დიდი ლაშქრის თანხლებით (VII, გვ. 198).

თეიმურაზმა თავის მეუღლესთან ერთად შიგბს შეადარა თავი, ხოლო მისი დედა ქეთევანი შორნილად შეეგუება შაჰს. მან დედოფალი სიამოვნებით მიიღო და მისი ტრფილი გახდა. ამასთანავე შაჰმა მოითხოვა, ქალს იქ მიეყვანა 50 გამორენილი აზნაური, რათა მათთან ეწარმოებინა მოლაბარეობა. და როცა ასეც მოხდა, შაჰმა ყველა ისინი გააჰკლტინა, ხოლო ქეთევან დედოფალს ბადრავე მიუძინა. შემდეგ იგი გაემგზავრა საქართველოში და შეიპყრო მეფე ალოვასა თავის სახელმწიფოს გამგებელ მოურავთან ერთად. მანვე დაატყვევა მოურავის ცოლი, ვაჟი და ქალიშვილი და წაიყოლა ყველა თავის სამშობლოში, ხოლო საქართველოში მეფედ დასვა ერთი მაჰმადიანი პრინცი (VII, გვ. 198).

ალოვასა შაჰმა შალე მოწამელით დასაჯა, ხოლო მოურავს მაჰმადის სჯული მიადებინა და რამდენიმე წლის შემდეგ დიდ ლაშქარსა და 500 ხანთან ერთად საქართველოში ვაგზავნა; ყველა ქართველი ქრისტიანი მას უნდა შაჰის კარზე მიეყვანა ან ვაგწვევტა. შაჰმა მოურავს თავისი ერთი ქალიშვილთაგანიც ვაატანა საქართველოში იმკადად მზრანებელი მაჰმადიანი პრინციისათვის. ამ 500 ხანს მიეღმული ჰქონდა საილუმლო დავალება, თუ ისინი ქრისტიანთა მიმართ თავიანთ შიხანს შეასრულებდნენ, მათ მოურავი უნდა მოეკლათ. ეს საილუმლოება ადრევე ვასცეს, ხოლო მოურავსა არაფერი შეიძინა, მოეთათობრა ქვეყნის ერთვლეზა და თავისთვის საიმელო თავაჰტებს, მათი დახმარებით ხანები სტუმრად მიიპატეჟა და ერთიანად ამოჰკლტა.

ამის შემდეგ, ყვება პაპელი, მოურავმა იხმო მთებში ვადახვეწილი თეიმურაზი და როცა მეფე დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში, თეიმურაზმა შაჰ-აბასს ისევე მოსთხოვა საკუთარი დედა ქეთევანი. შაჰს კი სურდა, რომ შური სწორედ უდასწავლო ქეთევანზე ეძია. შაჰმა შეახუნა დედოფალს თავისი სიყვარული და ჰკითხა,

**შოთა რაჰიშვილი**  
პაპელი და სპარსთველო

როდის ისურვებდა გამზადიყო იგი მაჰმადიანი; რჯულის დაცვაზე. მასში ჩანს წამებული ქალის და როცა ქეთევანმა ორივე წინადადება უარყო, იგი შირაზში მმართველმა საშინელი წამებით მოკლა. სახელდობრ, გავარჯარებული მარწუხებით მის დაავლივს ძუძუები და სხეულის სხვა რბილი ნაწილები, აგრეთვე ხელები და ფეხები, ისე რომ ცოცხალი სხეულიდან ძვლები მოჟრანდა. იგი გოდებით სულ ღმერთს უხმობდა, აღიარებდა თავის დანაშაულს და სთვლიდა, რომ ეს ტანჯვა მეტად უმნიშვნელო იყო მის ცოდვებთან შედარებით. დაბოლოს დედოფალი ჩაავლეს ცეცხლში და დახრუკეს ძვლებამდე, რომლებიც ღვთისმოსავმა ქრისტიანებმა ძლივს შეაგროვეს. საკუთარი ღვთისგან თეიმურაზმა მიიღო ცოდვითა მიიტყვებელი ერთი ავგუსტინელი ბერი, რომელსაც პირადად აღსარება უთხრა თავისი მღვდლის უყოლობის გამო. ამ ბერმა თეიმურაზს გადასცა რჯულის ყუთი; მასში იყო ტანჯული ქეთევანის თავი, რომელიც ამჟამად ვანისვერებს მისდა პატესსაცემად ახლად ავებულ ეკლესიაში.

ცნობებს ქართული სამეფო-სამთავროთა ურთიერთობაზე, სვიმონისა და ალექსანდრეს დროის პოლიტიკურ ვითარებაზე ჰაპელი იმეორებს აგრეთვე მხატვრულ ნაწარმოებში „განახლებული ევროპული თორთაზა“. რომანში ლაპარაკია ისევე შაჰ-აბასის მტარვალობასა და მუხანათობაზე, რის დასადასტურებლადაც მოტანილია ერთი ცოცხალი მაგალითი ქეთევან დედოფლისადმი მისი დამოკიდებულების ისტორიიდან (VIII, გვ. 459). აქაც, ვიდრე მოყვებოდეს ქეთევანის წამების შემადარწუნებელ ამბავს, ავტორი ხატავს რთულსა და დასაბუთ პოლიტიკურ ვითარებას, სურათს იმ ვაქეაქური და შუუპოვარი ბრძოლებისა, რომელთაც აწარმოებდა საქართველო მომიჯნავე მაჰმადიანური ქვეყნების წინააღმდეგ.

მაგრამ ამკერად მოთხრობილ ვარიანტში ავტორს შეაქვს დეტალური სიახლენი: ქეთევანმა კონსტანტინე იმიტიმ მოაკვლევინა, რომ მოიხსრტვა თავისი რძლის ცოლად შერთვა. უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ალოვასას და თეიმურაზის ქიშობა ახალგაზრდა პრინცესას გამო. აქვე მითითებულია ავგუსტინელი ბერის სახელი — მამა ამბროზიუსი, რომლის ყითილი საქმისათვის, — ქეთევან წამებული თავის შენახვაში რომ გამოიხატა, — თურმე ავგუსტინელების ეკლესიამ მიიღო სამეფო იბერია (VIII, გვ. 465): ქეთევანის მარტვილობის ამბავს ჰაპელი აქ ყვება უფრო დეტალურად, ნაირგვარი მხატვრული ხერხების მომარჯვებით, ემოციების და განცდების დრმა ანალიზით. ქეთევანი რომანში პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მას უჩიევნია „სახელოვანი სიკვდილი სამარცხენო სიციცხლს, (VIII, გვ. 464): რომ შხადაა იაროს ტანჯვისა და წამების გზაზე შაპის მიერ შეთავაზებული ბედნიერების მიღების ნაცვლად. საქმელო შომაბეჭდავია ქეთევანის უკანასკნელი მონოლოგი საკუთარი ქვეყნის, ხალხისა და

აშკარა მორალური უპირატესობა შაჰ-აბასის გარემოცვლებთან შედარებით. მკვლევართურქების გამოჩენის შიშით შეპყრობილი ქრისტიანებისათვის კარგი მაგალითი იყო ქეთევანის მიერ მაჰმადის რჯულის დავაობა, საკუთარი სარწმუნოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვა.

ჰაპელი, რა თქმა უნდა, ვერ იცავს ისტორიული დეტალების სიზუსტეს. ალექსანდრე ნამდვილად იყო არა სპარსელოვს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს, კახეთის ბატონი. ამდენად არც კონსტანტინე ყოფილა მეგრელი. ქეთევანის მეუღლე, ალექსანდრეს უფროსი ძე — დავითი — თავისი სიკვდილით გარდაიცვალა, ხოლო კონსტანტინემ მამასთან ერთად მოკლა მშა გიორგი, რომელიც ჰაპელისეულ მონათხრობში საერთოდ არა ჩანს. გერმანელი მწერალი არ აღნიშნავს იმას, რომ კონსტანტინეს მიერ მუხანათური მკვლელობა მოხდა კახეთის აღმოსავლეთ საზღვარზე ქალაქ ბაზარის მახლობლად. მაკართველოს ისტორია არ იცნობს მეფე ალოვასას, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს ფაქტორი უზუსტობანი, მაინც ეპატება XVII საუკუნის გერმანელ მწერალს ისტორიოგრაფიის იმდროინდელი დაბალი მდგომარეობის გამო (რად ღირს თუნდაც ცნობილი ისტორიკოსის და მწერლის ვოლტერის შეცდომები). სამაგიეროდ ჰაპელისეულ მონათხრობში ზოგიერთი დეტალი პირდაპირ ადასტურებს ახალი ქართლის ცხოვრებაში ბერი ევანატაშვილის მიერ მოწოდებულ ცნობებს, ანდა ავსებს და აფართოებს მათ.

უფრო დაწვრილებით ვიდრე ბერ ევანატაშვილთან, ჰაპელთან მოთხრობილია შეფიცული კახელების დახმარებით შეურაცხყოფილი ქეთევან დედოფლის ლაშქრობა კონსტანტინეს წინააღმდეგ და მისი მოკლა. ევანატაშვილთან ვიკებთ, რომ საშინელი დანაშაულის ჩადენის წინ კონსტანტინემ დაითხოვა კარავიდან კახელები, რომლებიც ყოფილან ყიზილბაშთა ლაშქარში.<sup>15</sup> ჰაპელი აზუსტებს — მათი რიცხვი 4.000 იყო და ისინი ქეთევანის მხარეზე გადავიდნენ.

ზოგიერთი დეტალს ალწერა ძალიან უახლოვდება ერთმანეთს ორივე რედაქციაში. ჰაპელის მიხედვით, მოურავი იყო „შეგებული“ და „ჰკვიანი“ („Verstärkten“ და „Kiugen“), ხოლო ბერი ევანატაშვილის შეფასებით — „ჰკვიანი და გონიერი“<sup>16</sup> პიროვნება. ჰაპელის მონათხრობით, წამების დროს ქეთევანს „გავარჯარებულ მარწუხებით დაავლივს ძუძუები“

(es wurden ihr die Brüste mit glühenden Zangen... gerieſen);

ხოლო ევანატაშვილის თხრობით, დედოფალს „განხურებულს გაზებით დაავლივს ძუძუები“.<sup>17</sup> ჰაპელის თხრობით, ქეთევანის წამებას დაესწრო ღვთისმოსვინი ქრისტიანი, ავგუსტინელი ბერი, ვინც მამა ამბროზიუსი, რომელმაც



შეინახა ქეთევანის გვამის ერთი ნაწილი, თავი და რომელიც შემდეგ კადრსა ველმოკლულ თეიმურაზს. ხოლო ეგნატაშვილის ცნობით, წამებას „დაესწრნენ ფრანგნი“, რომელთაც შემდეგ „აღიღეს წმიდანი ნაწილი წმიდისა ქეთევანისნი... და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო ხელი ამ ქვლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“<sup>18</sup>.

„ქართლის ცხოვრება“ არ იცნობს მეფე ალოვასას და არც იმ „პრინცესას“, რომლის გამო თითქოს ეცილებოდნენ ურთიერთს ალოვასა და თეიმურაზი. საიჭვრებელია, ალოვასაში იგულისხმება ქართლის მეფე ლუარსაბ II, ხოლო „პრინცესას“ გამო ატეხილი მეტოქეობა — უბრალოდ გამოძახილია იმ უსიამოვნო ფაქტისა, რომელიც გამოიხატა შაჰ-აბასის პოლიტიკური მოსაზრებებით და დაეინებულ სურვილით ლუარსაბის დაზე და თავის სისხლით ნათესავ ზორაშაზზე დაქვრივებული თეიმურაზის მეორედ ქორწინებაში.<sup>19</sup> ცნობილია, თუ როგორ მისწერა ამ ქორწინების გამო შაჰ-აბასმა წერილები ლუარსაბსა თეიმურაზს. ეს ვარაუდი კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება იმის გახსენებით, რომ ჰაქელის მიხედვით, ალოვასას შეურვედა ჰყავს მიწინილი მოურავი. ალოვასა შაჰის წინააღმდეგ საერთო ენას პოულობს თეიმურაზთან და მართლაც ლუარსაბ II ისტორიულად შეუთანხმდა თეიმურაზ I შაჰის წინააღმდეგ სამოქმედო,<sup>20</sup> ხოლო შემდეგ ლუარსაბ II შაჰის ბრძანებით მოკლეს ისევე, როგორც ალოვასა მოკლეს ჰაქელისეულ რედაქციაში. ვანსხევაება მხოლოდ იმაშია, რომ გერმანელი მწერლის მონათხრობში ალოვასა საწამლავით მოკლეს: ისტორიულად — მოამთვეს მშვილდის სახლით.<sup>21</sup>

ჰაქელთან უფრო ფართოდაა აღწერილი კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ საქართველოს მიმართ შაჰ-აბასის პოლიტიკის მონერწმუნოთი შეცვლა და კახელებთან შერიგების სურათი: თეიმურაზის დაბრუნება და კახეთში მეფე კურთხევა. შემდეგ: საინტერესოა აგრეთვე შაჰის ცოლობაზე უარის თქმის ქეთევანისეული მოტივი და მისი ფორმულირება: „სახელოვანი სიკვდილი სამარცხვინო სიცოცხლეს“ მიეზობს (einen ehrlichen Tod von ein Schänliches Leben). ჩვენ ისე გვეჩვენება, რომ აქ ქეთევანს უნდა ითქვას რუსთაველის ცნობილი აფორიზმი, ნაძარხი სიცოცხლის გმობასა და სახელოვანი სიკვდილის განდიდებასთან დაკავშირებით.

ჰაქელი ლაბარაკობს ქვეყნის უახლეს პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთაგან ამჟამად ყველაზე ძლიერიაო ქართლის მეფე (König von Cartele თუმცა არ გვამცნობს მის გვარსა და სახელს. ამჟამინდელ მეფეს ოთხი ვაჟი ჰყავსო. დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ სპარსეთის მეფემ მისი ერთ-ერთი ვაჟი თავისთან მიიტყუა, საჩუქრებით

თა და დაპირებებით ვადაიბირა და მაჰმადიანობა მიადებინა. მალე ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა უფლისწულმა ხელთ იგდო ხელმწიფობა, რისი უფლებაც არა ჰქონდა მის უფროს ძმას, რაკი უფლებებეზუყოფდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას (XI, ტომი პირველი, გვ. 716). ქართლის ყველა მეფეს ჰყავს ამ სჯულის 300 რაინდიანი გვარდია. საერთოდ საქართველოს მიწაზე ცხოვრობს 12.000 მაჰმადიანური ოჯახი. თბილისის მეფე ვერცხლისაგან აჭრევიებს სპარსეთის შაჰის სახელობის ფულს. სამეგრელოს პროვინცია ოდესღაც ექვემდებარებოდა იმერეთს, რომელიც იქ თავის ზედამხედველებს (Ober-Aiustehr) გზავნიდა და რომელთაც იმ კუთხის ენაზე დადიანი ერქვა. მაგრამ ერთმა ამ ზედამხედველთაგანმა, სულიერმა მამამ, მეგრელთა ზნეობის, კარგმა მცოდნემ, საკუთარი თავი მეფედ გამოაცხადა, სამეგრელო ჩამოაშორა იმერეთს და მისცა დღევანდელი სახე. როცა გურიელმა დაინახა, რომ დადიანმა მეფობა მოაპოვა, მიჰბაძა მის მავალით და თავიდან ჩამოიშორა იმერეთის უღრელი. ყველაფერი ეს მოხდა შვედურიანებით თურქეთის სულთანისა, რომელიც მეტად კმაყოფილი იყო დასავლეთ საქართველოს სამ პროვინციად დაყოფით, რადგანაც ადრე უჭირდა ერთიანი იმერეთის მორჩილებაში ყოფილა. დადიანმა დაუფსა სულთანს მხარდაჭერა და დახარება. თავად კი დაიგლა ყოველწლიურად მისთვის გაეგზავნა ვარკვეული რაოდენობის რკინა (eine Summe Eisen), მაგრამ ერთი პირობით, თუ სულთანი კვლავაც დაეხმარებოდა დადიანს იმერეთის მეფის მხრივ რაიმე შექცობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ რკინის უმეტესობა, რომელიც თურქეთში გამოიყენება, სწორედ სამეგრელოდან შეაქვთ (VII, გვ. 412; XI, ტომი პირველი, გვ. 718). და ბოლის ჰაქელი დასძენს, რომ იმერეთის მეფე, დადიანი და კურეილი არიან ქრისტიანები, და როცა ერთიანეთში ომს აწარმოებენ, მათ თანა ჰყავთ ეპისკოპოსები, მოღვლები და ბერები, მაგრამ არა ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ იმიტომ, რომ შერკინებათა დროს შეტეობილებს ლოცვა მოსამენინრო და მხნეობა შემართონ (VII, გვ. 412; XI, ტომი პირველი, გვ. 718).

ჰაქელი მკითხველებს აცნობს ქართველი ტყვეებით ვაჭრობის სამწუხარო შემთხვევებს. როგორც ითქვა, ორ სხვადასხვა ნაშრომში (II და XI) მას აქვს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ცალკე ქვეთავი — „ქართული ხარკი“. ჰაქელის თანახმად, ტყვეებით ვაჭრობა უფრო მეტად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში; ურთიერთთან მეომარი მეფეები დატყვევებულ მებრძოლებს უმაღ აგზავნიან ვასაყიდად ოსმალეთში ფულის შოვნის მიზნით. საკუთარი სურვილის დასაოკებლად სამეგრელოს დაღებულნი იყენე-

ზოთა რევიზილი  
პაპილი ლა სპარსთველო



თბილისის  
საქართველოს  
საისტორიო  
მუზეუმი

ბენ როგორც წინააღმდეგობა, ასევე ნორჩ ქალი-  
შვილები. ისინი თავიანთ შვილებს აკავშირებენ  
არჩევნებს ეპისკოპოსებად და როცა მთავარი ასე-  
თი არჩევანი უკმაყოფილოა, მთელი სამღვდ-  
ლოება (Clerisei) იჭერს შერჩეულის  
მხარს, რის გამოც ხშირად დიდი ომი იწყება. მა-  
შინ იპყრობენ მთელ სოფლებს და საბარალო  
ხალხს მიჰყვებიან თურქებს ან სპარსელებს (II,  
გვ. 32, VI, გვ. 413).

საერთო პირებს არც ეკლესიის მსახურები ჩა-  
მორჩებიან. თავიანთ ხელქვეითებს ექცევიან ისე-  
ვე, როგორც ბატონები. ისინი თურქებსა და  
სპარსელებთან ეპყრობენ ადამიანებით და საპა-  
მისლო რაც უფრო მშვენიერ ვაჭებსა და ქალებს  
შეარჩევნებენ, მით უფრო მეტ ფულს იღებენ (II,  
გვ. 32; VI, გვ. 413). ტყვეებად ჰყვდიან ყველას  
— ექვემდებარებულს დანაშაულში; ზოგჯერ ქართველ  
ტყვეებად ყვდიან თავიანთ ცოლებს, ხშირად უბ-  
რალო ექვემდებარებულსა და უნებლობის გამო.

ჰაველი ლაპარაკობს იმ ხარკზე, შის ნაირობისა  
და კარდენობისაზე, რომელსაც ოსმალი იმპერი-  
ისათვის გაიღებდა ხოლმე დასავლეთი საქართ-  
ველო. სამეგრელოს ელჩები ყოველწლიურად  
სულთანის კარზე ცხადდებოდნენ ხარკით, რომელიც  
შედგებდა შვიდი ჰაბუტისა და ამდენივე ჰალიშვი-  
ლისაგან. მეგრელებმა ამჟამინდენ ბაი ოხა-  
დონ სწორეთ ადამიანებით, ვიდრე სხვა რითიმე.  
ბატონები ტყვეებად ჰყვდიან თავიანთ ქვეშეურ-  
დომებს (II, გვ. 63; XI, ტომი მეორე, გვ. 165).  
და მაინც თითხმეტი ახალგაზრდა ქალ-კეთის  
„ქართული ხარკი“ თურმე ისეთი მეტრე ყოფი-  
ლა, რომ ქართველ დესპანებს თურქეთში „მა-  
თხოვარა ეღწებენ“ (Bettel-Gesandten). უწოდებ-  
დნენ (II, გვ. 64; XI, ტომი მეორე, გვ. 166).

სწორედ ჰაველი, როდესაც აღატყობს ტყვე-  
ებით ეპყრობის საშუალებას ფაქტს. სინამდვილე  
იყო არც მაშინ სცილდებოდა ოსმალეთს, უბე-  
დურებს ვასაყიდად იმტეტებნო მთავრე მახლო-  
ბელი ადამიანები და თვით — შვიობლები. საქარ-  
თველო, ჰაველის ანუორმაციით, მეტად მთავო-  
რანია და ქართველებიც ისეთი ღარიბები არიან,  
რომ თავიანთ პარშობებს საკუთარი ნებით ჰყ-  
დიან ლტოლნი უკრისათვის (XI, ტომი მეორე, გვ.  
166). სხვა შრომაში მწერალი ამავე დებულებას  
სხვაანაირად ამტკიცებს: ურთიერთ ვაყოფვის ჩვე-  
ულება იმდენით დიდია, რომ ფულისათვის ქა-  
ლი, თუ კაცი ხშირად საკუთარ შვილებსა ყვდი-  
სო. არამშვიდად ისინი ბავშვებს უცვლიან  
წყრილმანები მოკვრებს რამე ყოფილად უწინე-  
ნელი ნივთში (II, გვ. 32; XI, ტომი პირველი,  
გვ. 717). კიდევ სხვაგან ჰაველი ყვება ისევე ძნე-  
ლად დასაჯირბებელი ამბავს: სამეგრელოში შვიობ-  
ლებს გაანჩათ არამუნებრთვი თვისება: საკუთარ  
ბავშვების ვაყოფვის სურვილი ოღონო დი-  
დიჭრების ვარეში (II, გვ. 63; XI, ტომი მეორე,  
გვ. 165); მოხდა თურმე ისეთი შემთხვევა, რო-  
ცა ვიღაცა თავადმა თავისი საყვარელი ღვდა

ვაპყიდა ერთი თურქული ცხენისათვის, რომე-  
ლიც თურმე მას თავისი მოუყიდა (II, გვ. 63,  
XI, ტომი მეორე, გვ. 166).

ჰაველი ცდილობს აუხსნას მკითხველებს მი-  
ზეზები იმისა, თუ რატომ ჰყდიან ქართველი  
შვიობლები საკუთარი ნება-სურვილით თავიანთ  
შვილებს. თურმე ქართველ შვიობლებს გულუბ-  
რკყოფილად ჰქონიათ, რომ მათი შვილები ცხოვ-  
რებისეულ ზედწინებებს უფრო ადვილად ეთა-  
რებიან სხვებს ვში დამორჩილებულ მდგომარე-  
ობაში, სხვათა ყმობასა ან შონობაში (II, გვ.  
64; XI, ტომი მეორე, გვ. 166). ტყვეებად გა-  
ყდილებს უცხოეთში ელთ შედარებით მო-  
სათმენად მდგომარეობა. დიდაცთა სასახლეებში  
შოსამსახურებელად გამწესებულთ ან იანიარე-  
ზად ვაწერთნილებს, მათ შეუძლიათ დააგრო-  
ვონ სკვარო რაოდენობის თანხა, გამოისყიდონ  
თავი და დატრუნდნენ შვიობლები მხარეს, სა-  
კუთარ ოჯახურ კერას.

ჩვენ არ ვიცთ ოცნობდა თუ არა ჰაველი 1675  
წლის 10 დეკემბრის თარიღით პატრი ოსების  
მეორე რომში ვაგზავნალ ბარათს, რომელშიც აღ-  
წერილია საკუთარი ქვეშეურდომების მიმართ  
ქართველი თავადების დანაშაულებრთვი უფლე-  
ბები, მათი მორალური თავაშეებულება და  
უსუსტელობა; ოსმალითა უწინდური მადის  
დასაქმყოფილებლად ვაპრობა ქართველი ტყვე-  
ებით, როგორც უბრალო ნივთებით;<sup>22</sup> მაგრამ  
ერთი რამ ცხადია: ამ მსრთე საქართველოში შე-  
ქმნილი საშუალო ვითარების სურათი, დახა-  
ტელი ვერ კიდევ ვითარების მეორე, ჰაველისათ-  
ვის ნათელია და, როგორც ვაგვიადებულცი არ  
უნდა გვიჩვენოს მისი მსჯელობა საკუთარ შვი-  
ობებით მოკვრე შვიობლებზე, მაინც ფაქტად  
რჩება, რომ საქართველოს ისტორიამ ამისი  
ფულსაკლე და სამარცხენი შემთხვევებიც  
აქვს.

ქართველი ქრისტიანები, მართალია, დამოკი-  
დებულნი არიან სპარსეთზე, მაგრამ, ამისდა მი-  
უხედავად, — დღნიშანს ჰაველი, — საკუთარ  
კანონებებსა და სამართალს ისინი თავად წარ-  
მართავენ და შამაქიანთაგან თვით მეფესაც არ  
შეუძლია ჩაეროთ მათ საქმეში. ამ განცხადების  
შეშველ ჰაველი მკითხველებს აწვდის ცნობებს,  
რომელშიც ჩანს ეკლსობრთვი უთანასწორობისა  
და სოციალური ჩაგვრის სურათი. დასავლეთ  
საქართველოში მდიდრები და დიდებულნი დიდ  
პატივისცემაში არიან და ღარიბებს თავიანთ  
სასარგებლოდ შეუხლდავ კანონებს უწესებენ  
(II, გვ. 32; VII, გვ. 412).

ასეთისავე თავნებობას ხალხის მიმართ იჩენენ  
ეკლესიის მესვეურები. ეპისკოპოსები ადამი-  
ანებს ვანაქორწინებენ ხოლმე მათი სურვილების  
მხედვით და ვანქორწინებულად ხელმეორედ  
ოჯახდება. ხოლო ვანქორწინებულ პირობებსა,  
რომელსაც ეპისკოპოსების რწმენით არა აქვს  
ხელახლა დაოჯახების უფლება, აგზავნიან ვასა-



ყიდად. ისიც, ვინც საკუთარი სურვილით არაა დაქორწინებული, მიატოვებს თავის ცოლს და ცოტა ხნის შემდეგ ირთავს მეორეს (II, გვ. 32; VII, გვ. 413). როგორც აღინიშნა, მამაკაცებს აქვთ თავიანთი ცოლების გაყიდვის უფლება. ბატონს იმ ადგილსა, რომელზედაც ეს გაყიდვა ხდება, ხარკად ერგება საფასურის მესამედი, მეორე მესამედს იღებენ ქალის შშობლები, ხოლო დანარჩენი ერგება ქმარს (II, გვ. 63; XI, ტომი მეორე, გვ. 166). სასჯელს უსადაგებენ ქართველი მსაჯულები ისეთ დანაშაულს, როგორცაა ქურდობა, მკვლელობა და მევალიეობა.

ქურდობა დანაშაულია, მაგრამ ქურდი სხვა სასჯელისაგან თავისუფლებდა, თუ იგი დაზარალებულს აუნაზღაურებდნენ შვიდჯერ იმდენს, რა საფასურის ნივთის მოპარვაზე სცადა. აქედან საზღაურის ორი წილი მიეცემა გაქურდულს, ერთი მსაჯულს და ოთხი — მეფეს. მაგრამ თუ ქურდს არა აქვს მისჯილი შვიდმაგიის ვადახდის საშუალება, იგი გაიყიდება ტყვედ. თუ ქურდმა თავისი არ მოიშალა და კიდევ სცადა დანაშაულის გამეორება, თანვე ცოლ-შვილი ჰყავს, ტყვედ გაიყიდება მისი ცოლი, დაბოლოს — მისი შვილებიც. თუ დაზარალებულმა, ანუ გაქურდულმა გამოიჩინა თანალობა ქურდისადმი და მისცა დასჯელად ვაქცივის უფლება, მაშინ არც მეფეს და არც მოსამართლეს არ ძალუძს ქურდს წაუყენოს რაიმე სარჩელი (VII, გვ. 408).

მკვლელობა სიკვდილით და მოკლულის ნათესავეები არიან კმაყოფილნი ასეთი განაჩენით. მაგრამ დამნაშავე შეიძლება შეწყნარებულ იქნას, თუ მას საშუალება აქვს მოკლულის უახლოესი ნათესავეები დააკმაყოფილოს სამოცი ძროხით (VII, გვ. 408).

მევალეს შეუძლია მოვალეს (ვალის ამღებს) წაართვას ან გაუყიდოს მთელი ქონება, ვიდრე მთლიანად არ დაიბრუნებს გაცემულ თანხას; მაგრამ თუ ქონება საკმარისი არაა, შეუძლია გუყუდოს ამასთანავე ჯერ ცოლი, ხოლო შემდეგ — შვილები (VIII, გვ. 408).

ქართული სამართლის ნორმებთან დაკავშირებით ჰაუელის ცნობები უდავოდ ყურადსაღებია. ჩვენ გვიჭირს მითითება იმ წყაროზე, რომლის საფუძველზეც აგებს თავის მსჯელობას გერმანელი მწერალი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ იგი მართებულად არის ინფორმირებული. ქურდი ნამდვილად ისჯებოდა მოპარული ნივთის შვიდჯერადი ღირებულების ანაზღაურებით, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ჩადენილი ქურდობის დროს და, გარდა ამისა, მნიშვნელოვან პქონდა დაზარალებულის სოციალურ მდგომარეობას. თუ გაქურდული იყო დაბალი სოციალური წარმოშობის, იყო გლეხი, მაშინ შვიდჯერადი ღირებულებიდან მას უბრუნდებოდა ორმაგი; ოთხმაგი ღირებულება ქურდს უნდა გადაეხადა მეფის სასარგებლოდ, დანარჩენი ერთმაგი კი გადადიოდა მეკობრეთმძებნე-

ლის ხელში<sup>23</sup>, ე. ი. ყველაფერი ნამდვილად ხდებოდა ისე, როგორც დადასტურებულია ჰაუელის ცნობებით. მაგრამ თუ ნივთის დამკარგავი იყო მალაქის წარმოშობის, „იყო აზნაურისშვილი“, მაშინ ექვსმაგი ღირებულება უბრუნდებოდა დაზარალებულს, ერთი ეძლეოდა მოსამართლეს, სხვა-ნაირად, „ექვსი პატრონს, ერთი ხევისთავს“<sup>24</sup>.

რომ ქართულ სამართალში მკვლელობისათვის ძირითადი სასჯელი იყო სისხლის ფასი, ესეც მართებულად აქვს აღნიშნული ჰაუელს, მაგრამ თავისთავად სისხლის ფასის რაოდენობა დიდფერენცირებული იყო დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის მიხედვით. თუ დაზარალებული იყო გლეხი, მაშინ მისი სისხლის ფასი იყო ვაცილებით დაბალი, ვიდრე სისხლის ფასი თავადისა ან აზნაურისა. ძირითადად სწორია, აგრეთვე, ჰაუელის ინფორმაცია მოვალესადმი წაყენებული ბრალდების შესახებ, მაგრამ ქართულ სამართალში იგი უფრო დაკონკრეტებულია. საინტერესოა და საყვედვეი, თუ საიდან აიღო ჰაუელმა ცნობები მკვლელის სიკვდილით დასჯის, განმეორებითი ქურდობის მცდელობა და მისი ცოლშვილის ტყვეებად გაყიდვის თაობაზე.

ჰაუელის „უნგრეთის ომის რომანი“ (VII) მხატვრული ხასიათის თხზულებაა. მასში ავტორი არა კმაყოფილდება საქართველოს ისტორიის რომელმე პერიოდის გაშუქებით ან ამ ქვეყანაზე ცალკეული ცნობის მოწოდებით. გვიანდელი ბაროკოს სტილით დაწერილ რომანში საგანგებოა დახლართული ფაბულა და დამძიმებული ფორმა. მიუხედავად ვითარდება რამდენიმე სიტუეტური ხაზით; ხოლო მოქმედების ცენტრში დგას დამაბიაციელი გრაფის მამაკი ვეიშვილი გერგელი, მებრძოლი როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, ასევე პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

სამართალიანობის, ადამიანური ღირსებისა და მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად გერგელი ებრძვის ყაჩაღობასა და ინფორმობას, გუტანლობასა და ჩავერას. გერგელი ყოველთვის აღწევს სასურველ შედეგს, თუმცა გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა არც მოკლეა და არც უწყალო. იგი ხშირად უეარდება ხელთ თურქებსა და ჩერქეზებს, საყოლარ თავზე გამოქცევის ტყვეობის მთელ საშინელებას. ერთხანს გერგელი სამეგრელოს გარების უფროსი იყო და, როგორც ასეთი, უნგრეთის მიწაზე სულთნისათვის ემბროდა მადიარებს. მაგრამ ურჯულომ არ დააფსა მისი თავდადება, ეჭვი შეიტანა მის ერთგულებაში და ხუნდებგაყრილი ჩაავდო დილეგში. მეგობართა დახმარებით განთავისუფლებული გერგელი გადავიდა მადიართა მხარეზე და თურქებთან ბრძოლაში გამარჯვებასაც

**შოთა რაშვილი**  
ჰაპელი და საპარტიზმო

მიადწია. მან შერი იძია პირად მტერსა და ცილისმწამებელ დოლაბატზე (VII, ტომი პირველი, გვ. 51); დაუმეგობრდა უნგრელ გრაფსა და ისტორიულ პიროვნებას, აგრეთვე მამულიშვილს იმერ თეგელს.

რომანის პირველ ტომში უმთავრესად გერგელის დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაზეა ლაპარაკი. მაგრამ მისი საგმირო საქმეების ჩაღწახაში ჭკირვანი ადგილი ეთმობა პირად აღამიანურ გრძნობებსა და ვენებებს და, ამიტომ, რომანის მეორე ტომიც უმთავრესად გერგელის სამიჯნურო თავგადასავლებისადმი მიძღვნილი. მან შეიყვარა და ცოლად შეირთო ყაჩაღების ხელთაგან გამოხსნილი მშვენიერი ტყეოლა (VIII, ტომი მეორე, გვ. 156—168), ცოლმა კი იმით გადაუხადა, რომ შემდეგ თავად იხსნა ყირიმელი თათრების ტყვეობაში ჩაყარნილი ქმარი, თუმცა მალე ისევ ორივენი აღმოჩნდნენ დღეშინის ხელში.

გერგელი თავს აღწევს ტყვეობას და დიდი წვალებით ჩამოდის საქართველოში, უმეგობრდება და ბრძოლაში ეხმარება სამეგრელოს მთავარს — დადიანს. (იქვე, გვ. 234—240) და, რაკი თანამეცხედრე დაღუპული ჰგონია, მეორე ცოლად ირთავს დადიანის ქალიშვილს—ბასკის.

მუხთალი ბედი არც ამჯერად ახარებს გერგელის. თურქებისაგან ხელახლად (უკვე მერამდენელ) დატყვევებული, იგი სცილდება ბასკის; მაგრამ, როცა თავისუფლდება და ისევ დაუბრუნდება მეგრულ მეუღლეს, როცა თითქოს მათ ბედნიერებას წინ აღბრუნებენ ელობება, მაშინ რომანის მოქმედების ვითარებაში პოლუოდნენად ჩაერთვება ორი სრულიად ახალი პერსონაჟი: უცნობი ამორალი ქალი და ფალავანი როდომანტი (იგივე ბირბილა). ამათგან პირველი ორთაბრძოლაში დადიანის ასულს ეცილება გერგელის ხელს; ხოლო მეორე, გერგელთან ორთაბრძოლაში, ცდილობს ბასკის დასაკუთრებას. თანაბარ ბრძოლებს რაიმე შედეგებზე არ მოსდევს. შემდეგ კი, როცა გამოირკვევა, რომ ამორალი ბედად გადარჩენილი და თურქების ტყვეობიდან დახსნილი ტყეოლა, გერგელის პირველი მეუღლე, რინდი კანონიერად უბრუნდება მას, ხოლო როდომანტიც ეტრება ბასკის ჭკრ ხელი და მერე, ალაბთ, გულოც. რომანის ფინალში მიჯნურები წყვილდებიან და მკითხველიც კმაყოფილია ბოროტზე კეთილის საბოლოო ზეიმით.

ამ რომანტიკული ისტორიის გვერდით ავტორი საკმაოდ დაწვრილებითა მსჯელობს თურქეთისა და უნგრეთის ისტორიაზე, მოსახლეობასა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე; სამხედრო პოტენციალსა და საბრძოლო შენაერთების დაკომპლექტებაზე; სარწმუნოებასა და ათათურებისებზე. რომანში მთელი გვერდები ეთმობა ცნობებს აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით (VII, ტომი მეორე, გვ. 406—410). რაკი

მთავარი გმირი გერგელი სამეგრელოში იყო, ჰაპელი საკიროდ მიიჩნევს ილაპარაკოს ამ უკუბუნებზე, დასავლეთ საქართველოზე, მისი ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებზე, მის აღმინისტრაციულ დაყოფაზე (VII, ტომი მეორე, გვ. 410—414). მაგრამ ავტორი აქ მხოლოდ იმეორებს უკვე სხვა შრომებში წარმოდგენილ ცნობებს და ამიტომ თავს შევანებით შევიკავებთ მათზე განმეორებითი მსჯელობისაგან.

ჩვენ საგანგებოდ ავუარეთ გვერდს ლაიონტარდის სტატიაში მობოლიზებულ მასალას და ვცადეთ გვეჩვენებინა სწორედ უნგრელი ქართველოლოგისათვის შეუქმნეველი ცნობები. მაგრამ რაკი ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბჭოურსა და უცხოურ წიგნთსაცავებში ვერსად მოვიძიეთ ოთხტომიანი რომანი „გერმანელ კარლი“ (IX) და ისევ ოთხტომიანი რომანი „ოსმალთ ბაიაზეთი“ (XII), ამიტომ ამჯერად იძულებული ვართ დაკმაყოფილდეთ ტარდისეული ლაციონური ინფორმაციების გახსენებით: ქართველები მოხსენებულნი ყოფილან „ოსმალთ ბაიაზეთშიც“, ხოლო „გერმანელ კარლის“ მოქმედების ერთ-ერთი ადგილი საქართველო და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი — თავადის ქალი დარეგამი (დარეჯანი) — ქართველი ყოფილა. ტარდისაგან განსხვავებით უნდა დავხსნიოთ, რომ დარეჯანი, თეიმურაზ I-ის ქალიშვილი და იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მეორე ცოლი, ჰაპელის დროის ვერობაში უკვე ცნობილი იყო თავისი ვერაგობით შარდენის აღწერილობიდან. ჩვენ ვიცით, მაგალითად, როგორ დაამუშავა მისი სახე იტალიელმა კარლო გოლიონიმ 1761 წელს ვენეციის სცენაზე დადგმულ ჰიესში „მშვენიერი ქართველი ქალი“<sup>25</sup>, მაგრამ თუ როგორა აქვს დახატული დარეჯანის ბუნება ჰაპელს 1690 წელს, ეს უკვე მომავალი კვლევამების საგანია.

საქართველოსა და ქართველობასთან დაკავშირებით ჰაპელისეული ცნობების გაცნობის საფუძველზე შეიძლება საბოლოოდ დავასკვნათ: XVII საუკუნის იმ მწერალთაგან, რომლებიც ინტერესდებოდნენ საქართველოთა და წერდნენ მის შესახებ, ებერპარდ ვერსად ჰაპელი ქრონოლოგურად უკანასკნელია. მან ძირითადად სწორად დახატა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, ფეოდალური შინაომებისა და პარტიკულარული დაქსაქსულობის სურათი; დაახასიათა საქართველოს დაქვემდებარების, დასუსტებისა და გაადარეულების მიმართულებით მომიჯნავე მაშადაიანური ქვეყნების მიერ წარმოებული ვერაგული პოლიტიკა; აჩვენა მისი ეროვნული და სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობისათვის ქართველების თავგანწირული ბრძოლა; მათი სამართლებრივი და ეთიკური ნორმები, მათი უწერი ადათ-ჩვევები. გერმანიის სახელმწიფოებრივი და ეროვნული დაკემულოების მძიმე ხანებში ქართველი ხალხის გმირული





წარსულისა და აწმყოს ვახსენებით, ქართული სიუჟეტების დამუშავებით, ჰაპელი ქადაგებდა მამულიშვილურ იდეებს, მხნეობასა და სულიერ სიმტკიცეს მატებდა დღენიადღი ომებით და გაჭირვებით ილაჭგაწყვეტილი გერმანიის მოსახლეობას.

თავისი ენციკლოპედიური განათლებით ჰაპელი საბოლოოდ ამკვიდრებს მალალსა და დადებით აზრებს საქართველოსა და ქართველობასთან დაკავშირებით; ქმნის ნიადაგს იმისათვის,

რომ მომდევნო საუკუნის ევროპელებიც სიმპათურად განაწყოს ამ ქვეყნისა და ამ ხალხის მიმართ. ჰაპელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დიდ განმანათლებელთა — მონტესციოსა და ვოლტერის, ლესინგისა და ვინკელმანის, აგრეთვე სხვათა — ცნობები საქართველოსა და ქართველობაზე არც უფრო მეტია და არც უფრო ზუსტი ჰაპელისეულ ცნობებთან შედარებით.

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> ლაიოშ ტარდი, ვერნერ ჰაპელი და საქართველოს თემა, „ლიტერატურული საქართველო“, № 21, 1972, გვ. 2-4. ტარდი ცდილობს ილაპარაკოს უმთავრესა და არსებითზე, მაგრამ სავსებით სტატიის ვიწრო ჩარჩოები საშუალებას არ აძლევს გააშუქოს თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები.

<sup>2</sup> Thesaurus Exodiorum, oder eine kurze Vorstellung aller Nationen und Königreiche in Asia, Africa und America. Hamburg, 1688.

<sup>3</sup> Kürze Beschreibung der ganzen Türkei und Abbildung aller Sultanen.

<sup>4</sup> Eine genaue Beschreibung des Ungarischen Königreichs.

<sup>5</sup> Der jetzo glorwürdigst - regierenden Römischen Kaisers (auch Deutschen), Ungarischen und Bömischen Königs Leopold I.

<sup>6</sup> Eine speziele Beschreibung der Mussulmaner und Türken.

<sup>7</sup> Historia moderna Europae, oder eine historische Beschreibung des heutigen Europa, Ulm, 1692.

<sup>8</sup> Der ungarische Kriegerroman, Bd. 1-2, Ulm, 1685.

<sup>9</sup> Der erneuerte Europäesche Toroan, Frankfurt, 1689.

<sup>10</sup> Der Teutsche Carl, Bd. 1-4, Ulm, 1690.

<sup>11</sup> Der Asiatische Onogambo, Ulm, 1673.

<sup>12</sup> Mundus Mirabilis Tripartitus, oder wunderbare Welt in eimer kurzen Cosmographie fürgestellt, Ulm, Bd. 1 (1687); 2 (1688); 3 (1689).

<sup>13</sup> Der ottomanische Bajazzo, Bd. 1-4, Ulm, 1688-89.

<sup>14</sup> იმერეთის მეორე სახელად ჰაპელი იხსენიებს „ბასსაჩიუკ“ (Bassachicuc, II, გვ. 32), ანდა „ბაშა-კურს“ (Bacha-cour, VIII, გვ. 460). ცნობილია, რომ ამდღევარად იმერეთი იხსენიება სხვა ევროპელების შრომებშიც. რაკი იმერლები თავზე ატარებდნენ ფაფანაკს — მომრგვალო და ბრტყელ თავსახურავს, — ამიტომ თურქები მათ უწოდებდნენ თავშიშველებს (თურქულად: „ბაშ-თავი; „აჩიკ“ — ახილი, შიშველი), უქუდლებს, ხოლო მათ ქვეყანას — თავშიშველათა ქვეყანას — ბასსაჩიუკს, ან ბაშა-კურსს.

<sup>15</sup> „ქართლის ცხოვრება“, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 383.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 386.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 402.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 384.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 392.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 249-250.

<sup>23</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 341.

<sup>24</sup> „დასტურლამალი“, გამოცემული პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. 105-106, § 200.

<sup>25</sup> იხ. ჩვენ სტატია „საქართველოს თემა ევროპულ დრამატურგიაში“ (ე. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 9), ანდა წიგნი: „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან“, თბ., 1969, გვ. 12-14.





## პახგუნე გოგუაძე, იუზა პეპენიძე

# საეგვპო ნაზრომი ქართული საზოგადოება და იუმორის შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ 18 წლის შემდეგ განახორციელა ხელახალი გამოცემა ვრ. კიკნაძის წიგნისა — „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინამდვილეში არა მხოლოდ სატირისა და იუმორის განვითარების განვითარების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ რომელიმე ლიტერატურული ჟანრის შესწავლის არც ერთი ცდაც კი ამ წიგნამდე არ არსებობდა, დრომ ნათლად გამოავლინა ამ ნაშრომის ღირსებები და შემოქმედებითი ღირებულება იმით, რომ მის ბაზაზე არა ერთი გამოკვლევა დაიწერა, თავისთავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ აქტუალური და სადღესო მნიშვნელობის მქონეა ავტორის მიერ აღძრული პრობლემები. პრობლემათა აქტუალურობა ვრ. კიკნაძის კვლევა-ძიებითი პროცესის წარმმართველი პრინციპია საზოგადოდ და ამიტომაცაა, რომ რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, იქნება ეს უზოგადესი სატირისა და იუმორის რაობის, სატირის გენეზისის, ტაპიურობის საკითხი, თუ კონკრეტული ქართული ლიტერატურული მასალის ანალიზი, ყველაფერი ამ წიგნში თანამედროვეობის თვალთაა დანახული და შეუძლებელი, ერთგვარ დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების მოთხოვნილებებს.

მაგრამ მაინც როგორია ამ წიგნის სტრუქტურა და საკუთრივი შინაარსი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიცილი, კომიკურის სფერო ურთულეს ფენომენთაგანია საერთოდ. კომიკურის თავისებურებათა გამოვლენის ხარისხის მიხედვით დგინდება ყოველი ამა თუ იმ ხალხის შინაგანი სულიერი სიმდი-

რე, ამგვარი მასალის ანალიზის საფუძველზე ერთი სულიერ შესაძლებლობათა კვლევა-ძიების გზა ცნობილ მოაზროვნეთა მიერ შერჩეული გზაა და განსაკუთრებით საყურადღებოა, როცა ვრ. კიკნაძე ქართული სატირული და იუმორისტული ქმნილებების შესწავლის ნიადაგზე „მრავალ ქარტახელ გამოვლილი ქართველი ხალხის გამძლეობისა და მებრძოლი ხასიათის“ ჩვენებას რომ ისახავს მიზნად. ავტორი ლიტერატურას იკვლევს ზოგად პრობლემათა ასპექტებში. ისე რომ კონკრეტული მასალის საფუძველზე ამოწმებს ტრადიციულ განსაზღვრა-დახასიათებებს მართებულობას, ახდენს მათ გადასინჯვას და გარკვეული კორექტივი შეაქვს კომიკურის შესახებ არსებული ცნობილი დებულებების გაგებაში.

კომიკურის კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი მკვლევარს განსაკუთრებული ამოცანის წინაშე აყენებდა. სატირისა და იუმორის შესახებ ვრ. კიკნაძე განიხილავს ქანაქორ რისტარის, ლიბსის, კონის, დესუარის, ტომოფევის, პოსპელოვის და სხვა გამოჩენილ ავტორთა შეხედულებებს და იძლევა მათი კონცეფციების კრიტიკას. აღინიშნულ განსაზღვრებებს, ავტორის აზრით, „პირველ ყოვლისა, ის ნაკლი ახასიათებს, რომ იგი ვერ მიუთითებს იმაზე, თუ რა არსებითი ნიშანი ანსხვავებს უროთიერისაგან სატირისა და იუმორის. „სიმკაცრისა“ და „სიმწვაის“ ხარისხის ცნება ამ შემთხვევაში არ გამოდგება ობიექტურ კრიტერიუმად, რადგან იმის მიხედვით, თუ ვინ არის მკითხველი, დადინვის სიმკაცრე ირჩევა და ის, რაც ერთს მკაცრ დახასიათებდა, ე. ი. სატირად შეიძლება მიიჩნდეს, მეორემ შეიძლება ნაკლებ



მკაცრ, ლმობიერ დანახიანობად ე. ი. იუმორად ჩითვალოს" (გვ. 20). სატირისა და იუმორის ტრადიციულ განსაზღვრებათა სპირობაპროდ ვრ. კიკნაძე ფიქრობს, რომ „სატირაში არსებობდა გაიგივებული ადამიანი და მისი ქცევა; უკეთ, სატირაში ქცევა თვით ადამიანის არსთან არის გაიგივებული" და მთ შორის სატირა არავითარ განსხვავებას არ აჩვენებს — „იგი ვგობს მთლიანად ადამიანს, მშობნ, როდესაც, „იუმორისტი ადამიანის მხოლოდ ქცევას დასცინის, ამგვარი დაძინვა უკვე გამოხატავს რწმენას ადამიანის ღირსებისადმი და მისი გარდაქმნის შესაძლებლობათა იმედს" (გვ. 38).

სატირისა და იუმორის რაობის ამგვარი სინათლით დანახვის ვერ ვხედებით ლიტერატურაში სატირისა და იუმორის ტრადიციულ შეხედულებათა ნაკლებ მიუთითებდა და გრ. კიკნაძის აღნიშნული კონცეფციის მართებულობას აღიარებდა, აყად. შ. ნეტუბიძე, ჭერ კიდევ 1951 წელს ამ წიგნის ერთ-ერთი თავის მიმართ დაწერილ რეცენზიაში. „გვრივლ კიკნაძის ნაშრომი „სატირისა და იუმორის რაობის შესახებ“, — აღნიშნავდა აყად. შ. ნეტუბიძე, — სერიოზულ ნაკვლევს წარმოადგენს, ავტორი იხილავს ტრადიციულად არსებულ შეხედულებას იუმორისა და სატირის ურთიერთობის შესახებ. საფუძვლიანად არ ემყარვდილება ამ ტრადიციული შეხედულებით, რომელიც აღნიშნული განსხვავებების საფუძველს მხოლოდ ხარისხეული, ანუ ოდენობით განსხვავებაში ხედავს... განიხილავს რა საკმარის მოტივებს და თვისობრივად სავსებით ამომწურავ მასალას, როგორც რუსულს, ისე ქართული მავალითების სახით, უცხოური ლიტერატურიდან, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სატირისა და იუმორის შუა განსხვავება უნდა ავებული იქნას დიდერენციერებული ვნებოების მიხედვით“.

ლიტერატურათმცოდნეობითი სინამდვილისათვის სიახლედ უნდა ჩაითვალოს წიგნის მეორე თავი — „სატირის გენეზისის საკითხისათვის“. აქ ავტორი იყვლევს იმ გზას, თუ რანაირად შივდა ადამიანი სატირულ თვალსაზრისამდე და ფოლკლორულსა და წერილობითი ანალიზის საფუძველზე აჩვენებს სატირული მეტყველებისა ცალკე გამოკვლევა-ჩამოყალიბების პროცესის ლიტერატურულ ნიადაგსა და წყაროს. „ვედრება-გაფრთხილება-მუქარა-წყევლა-სატირა“ (გვ. 70) — აი, ასეთია ის გზა, რომელიც სატირული თვალსაზრისის ჩანასახებში გაიარა, ვიღრე იგი ჭეშმარიტი სატირის სახეს მიიღებდა. ქართული მასალის საფუძვლიანი ანალიზი ამ თვალსაზრისით, საშუალებას აძლევს ავტორს დაუბრისპირდეს ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში სატირის ძველ-

ურჩნელი წარმომავლობის შესახებ განმტკიცებულ შეხედულებას. სატირისა და სატირული ტიპობა ვაგება უნდა იქნა დაკავშირებული ტიპიურობის პრობლემასთან, ტიპიურობის საკითხი კი ესთეტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადისკუსიო პრობლემათაგანი იყო და არის. ეს პრობლემა არსებობდა სინამდვილის რეალიტეტად ასახვის ზოგადსთეტიკური პრობლემაცა, ამიტომაც არის იგი განსაკუთრებულად აქტუალური საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის, მაგრამ არა თუ ქართულ არამედ რუს ავტორთა ნაშრომებშიც არ არის ტიპიურის ვაგების ე. წ. „საშუალო სიდიდეთა“ თეორიის სათაგებები დაქმნილი და არც ამ სტატისტიკური თეორიის ფუძემდებლის ა. კეტლეს ლიტერატურაში გადმოწვდილ შეხედულებათა დანახუთებელი კრიტიკაა მოცემული. მართალია, ჭერ კიდევ ბ. ქრისტიანსენი თავის ცნობილ შრომაში „ხელოვნების ფილოსოფია“ მიიჩნევს ტიპიურის ვაგების „საშუალო სიდიდეთა“ თეორიას მქდარ თეორიად, მაგრამ ავტორი აქ არ იძლევა ა. კეტლეს მოძღვრებათა არის საფუძვლიან ვანხილვას, ხოლო, როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს „ისტორიულად, სწორედ ამ სტატისტიკურ თეორიასთან არის დაკავშირებული ტიპისა და ტიპიურის გარკვეული განსაზღვრაც“ (გვ. 74). „ტიპიურია ის, რაც სტატისტიკურად საშუალოა“ — აი, ესაა ამ თეორიის ძირითადი საყრდენი. სხვადასხვა სიტყვიერი ვარიანტებით ლიტერატურათმცოდნეთა ერთმა ნაწილმა ეს ვანმარტება მიუყვანა კონკრეტულ მხატვრულ ფაქტებს და ამით შეიქმნა საფრთხე ლიტერატურის სპეციფიკის უგულებელყოფისა ანუ ჭეშმარიტი ხელოვნების სიყვდილისა. გრ. კიკნაძე ეტებს ლიტერატურაში ტიპის კეტლესტური ვაგების მიზეზებს და მკვლევართა ნაკლად იმას თვლის, რომ „თავიანთ კვლევა-ძიებით პრაქტიკაში ლიტერატურათმცოდნეებმა სათანადოდ ვერ ვანსხვავეს ეკონომიური მოვლენები მხატვრულ ქმნილებათაგან და უკანასკნელი ეკონომიური მოვლენათა წყებაში მოაქციეს“ (გვ. 71). ავტორის აზრით, რაოდენობრივი ვაერტელება კი არა „ცხოვრების ვანვითარების ნამდვილი პერსპექტივებს ჩვენება... ამბრობებს სოციალურად მნიშვნელოვან ტიპთა წარმოშობას“. ამიტომაც „ნამდვილ ტიპებში ობიექტურად მკლავნდება გარკვეული სოციალური ძალის რაობა, მისი კვდომის თუ შედგომის ვანვითარების პერსპექტივა“ (გვ. 84). მკვლევარის და დაკვირება მნიშვნელოვანია ამა მხოლოდ წარხლის ვამოჩინილ ხელოვანთა მხატვრული ხედვის

ვახტანგ გომეზაძე, იუზუა ვივნიძე  
სამტაკო ნაშრომი ქართული სატირისა და  
იუმორის შესახებ



შესაწავლად, არამედ თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გასათვალისწინებლადაც. თუ წიგნი I ნაწილი ზოგადთეორიული საკითხების გაშუქებას ისახავს მიზნად, II და III ნაწილი კონკრეტული, ქართული სატირული და იუმორისტული მასალის განხილვას ეთმობა.

გრ. კიკნაძე, ჩვენი სასულიერო მწერლობის ძველთა კომიკურის თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე, ითვალისწინებს რა ამ ლიტერატურის სტეციფიკას. სახელისმისო დაკვირვებას იძლევა, რომ სასულიერო თხზულებათა ავტორები „ან ვერ გრძნობენ სატირული ხერხების შემოქმედებით ძალას, ანდა — რაც უფრო მოსალოდნელია — მათის აზრით, კომიკურ-სატირული ტონი შეუფერებელია ისეთი ფაქიზი და ამბულბული თემისათვის, როგორცაა სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა“ (გვ. 87). რაც შეეხება „ეფეხისტყაისანს“ — ავტორის აზრით აქ „სატირა მხოლოდ პოტენციამაა წარმოდგენილი“, ამიტომაც „არც სატირული და არც იუმორისტული დამოკიდებულება არ არის ამ პოემაში მკვეთრად გამოქვლიანი“ (გვ. 88-98). არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და ძველი ქართული ლიტერატურის სხვა წარმომადგენელთა სატირულ-იუმორისტული შემკვიდრების დახასიათებისას მკვლევარი გამოყოფს კომიზმის განხორციელების ძირითად ხერხებს: 1) ბგერებითა და სიტყვებით თამაშის ხერხი, 2) შედარების მეოხებით გამოწვეული კომიზმი, 3) გადაჭარბება როგორც სატირულ-იუმორისტული ხერხი 4) ნართული 5) გერგილიანობა ანუ სიტყვამისწრებულობა, 6) ცინიკური და სკაბრუული მიდგომა სინამდვილისადმი — სწორედ ამ ხერხებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა სატირულ-იუმორისტული ეფექტის მისაღწევად ძველ ქართულ ლიტერატურაში. მართალია, ხუმრობა და დასტურის ფორმით წარმოდგენილი უარყოფაცაა თავჩენილი აქ, მაგრამ როგორც ავტორი შენიშნავს, ისინი არ ასრულებენ წამყვან როლს ჩვენი ძველი მწერლობის შემოქმედებაში“ (გვ. 120) რასაკვირველია, ამ ხერხთა გამოყენების არე ფართოა და შემდგომ მათ წარმატებით იყენებენ ახალი დროის მწერლებიც.

ქართული ხალხური შემოქმედების შემცენებითა და სოციალური ღირებულების გთვალისწინებით, იმ მნიშვნელობის აღიარებით, რითაც ხალხური შემოქმედება მონაწილეობს ინდივიდუალურ-ლიტერატურული ქმნილების წარმოშობაში, გ. კიკნაძე იძლევა ფოლკლორული მასალის ანალიზს; ახასიათებს ქართული ფოლკლორის სატირულ-იუმორისტულ ნიმუშებს. თემატიკურად და მხატვრული თავისებურებების მიხედვით. ავტორი ქართული ხალხური შემოქმედების ძირითად თვისებებზე უშუალოდ და გულუბრყვილობას მიიჩნევს. გულუბრყვილობის ცნების განსაზღვრებაში კიკნაძე ეყრდნობა კლასიკურ ესთეტიკაში ფრ. შილერის დროიდან მიმდინარე შეხედულებას, რაც აღიარებულია მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ და უკვე განმტკიცებული თვალსაზრისის მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში. რამდენადაც „გულუბრყვილობაში ადამიანის პირდაპირობა და ალაღობა პოულობს თავის გამობატულებას“ (გვ. 149), ამდენად, ავტორი ქართული ხალხური შემოქმედების მოსაწონ თვისებად სწორედ ამ თავისებურებას თვლის და იგი მინიშნავს ქართული სახალხო სულის ერთ მნიშვნელოვან ღირებულად.

სატირულ-იუმორისტული თხზულებები, მართალია, უხვადაა წარმოდგენილი ჩვენს ძველ მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში, მაგრამ სინამდვილისადმი სატირულ-იუმორისტული მიდგომის გზა ბოლომდე ქმედით საშუალებად მაინც XIX საუკუნეში იქნა ჩათვლილი. ამ დროიდან უკვე სატირამ და იუმორიკამ საზოგადოებრივად ღირებულ და აქტივობილი მნიშვნელობაც კი შეიძინა. გრ. კიკნაძე გვიჩვენებს მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოში სატირულ-იუმორისტული ლიტერატურის განვითარების პროცესს, გამოყოფს ამ ლიტერატურის ძირითად საფეხურებს. როგორც ავტორის კვლევა-ძიებიდან ჩანს, სატირულ-იუმორისტული თვალსაზრისით ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება მწირ მასალას შეიცავს, მკვლევარი მაინც სავანეებოდ ჩერდება ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის სატირულ-იუმორისტული ტონის შემცველ ლექსებზე.

გრ. კიკნაძე თანმიმდევრულად განიხილავს ქართული პრესის მასალას, რასაკვირველია, იმ ორგანოებისა, რომლებმაც გარკვეული ეტაპი შექმნა ჩვენს საგოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორის საგანგებო დაკვირვების საგანია ს. დოღაშვილის ხელმძღვანელობით გამოსული „სატირულ-იუმორისტული ნაწილის ტილოების უწყევბათანი“ და გ. ერისთავის „ცისკარი“, „სალაყბოს ფურცელი“, „საქართველოს მოამბე“ და „მნათობი“. წიგნში შეფასებულია ამ ორგანოებში გამოქვეყნებული ორიგინალური თუ ნათარგმნი სატირულ-იუმორისტულ თხზულებათა ღირებულება-ნაკლოვანებები. რუსულ მასალასთან შეპირისპირების საფუძველზე გრ. კიკნაძე ვრცლად აანალიზებს სამოციანი წლების სატირულ-იუმორისტულ და აჩვენებს, რომ მძიმე პირობების მიუხედავად აქრთველმა სატირუოსებმა როგორ გადააქციეს სატირა მოწინავე თვალსაზრისისათვის ბრძოლის ნამდვილ იარაღად. ამ მხრივ განსაკუთრებითაა გარჩეული ი. ჭავ-



ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.

გრ. კიკნაძე დაწერილებით ახასიათებს გ. ერისთავის სატირასა და იუმორს, იმ ზერხებს, რითაც მწერალი აღწევს კომიკურ ეფექტს. ამ თვალსაზრისით, ავტორის დაკვირვებით წამყვან როლს ასრულებს სიტუაციური კომიზმი; ენობრივ დამახინჯებაზე აღმოცენებული კომიზმი და წყევლა, როგორც კომიზმის ერთ-ერთი კომპონენტი, გ. ერისთავის დამსახურება ქართული სატირისა და იუმორის განვითარებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გრ. კიკნაძის აზრით „ჩვენნი კომედოლოგია მომეტებულ შემთხვევაში იმ სახეთა ვარაიაცებს გვაწვდის, რომელიც გ. ერისთავმა შექმნა... ამ მხრივ გამოწვევის არც ზურაბ ანტონოვი წარმოადგენს და არც ისეთი ტალანტი, როგორიცაა აკაკი წერეთელი“ (გვ. 289).

გრ. კიკნაძე ვრცლად ჩერდება ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. იგი ერთის მხრივ აანალიზებს ილიას უბედობისტირ სატირას, სადაც ნათლად ჩანს ილიას „როგორც სატირიკოსის იდეური სიმძლავრე“ და, მეორეს მხრივ, ილიას მხატვრულ თხზულებებს. ავტორის დაკვირვებით, „ილიას დაცინვა კლასიკური ნიმუშია ბოტოქარი სატირისა“, იმდენად სერიოზულია ილიას სატირა; რომ „შვირად სიცილისათვის ადვილიც კი არ რჩება. ეს გამოწვეულია იმის გამოც, რომ ილიასთან ყველაფერი ინტელექტის ძალას ეფუძნება, მის ყალიბშია მოქცეული და ამიტომაც ამბობს დიდი მწერალი „გონებას კი მწერალს თუ გაეცინებაო“. გრ. კიკნაძის აზრით, „ჩვენნი მწერლობის განვითარების მანძილზე არსად ისე თვალნათლივ არ ჩანს იმ მოსაზრების სისწორე, რომ ნამდვილი სატირიკოსი თავისი იდეალების თვალსაზრისით აფასებს მოვლენებს, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მაგალითზე“ (გვ. 307).

თვალსაზრისის მიხედვით, რაც ერის ბედს და აღამაანთა მოვალეობას ეხება, რაც ქვეყნის წარსულს განმარტავს და მომავალს მოხაზავს, ილიასა და აკაკის შორის არაა განსხვავება, ისინი საერთო თვალსაზრისზე დგანან. განსხვავება

აქაქის პოეტურ ბუნებაშია საძიებელი. ამიტომაც, თუ ილიას დაცინვა მრისხანე სატირის შთაბეჭდილებას ტოვებს, აკაკი წერეთლის დაცინვა „ემოციური“ „მოციქვისე და თავშეუცხვებლად მოხარხარე“ სატირის ნიმუშია. ამ თვალსაზრისით გრ. კიკნაძე ცალ-ცალკე განიხილავს სატირასა და იუმორს აკაკის პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში.

დავით კლდიაშვილის იუმორის დახასიათებაზე გრ. კიკნაძე ითვლისწინებს იმ მოსაზრებაზე, რაც ამ მწერლისათვის ქართულ სინამდვილეში შეიქმნა ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის თხზულებათა სახით. მაგრამ ამ მწერალთაგან განსხვავებით ავტორის აზრით „დავით კლდიაშვილის გეზი იმდენად სოციალური ურთიერთობის პრობლემებისაკენ არაა უშუალოდ მიმართული, რამდენადაც ეკონომიური ვითარების ასახვისაკენ, თანაც მას აინტერესებს არა ქვეყნის ეკონომიური ვითარება საზოგადოოდ, არამედ დავით კლდიაშვილის ლიტერატურული სარბიელი, ძირითადად შემოფარგულია ოდესღაც შეძლებული საზოგადოებრივი ფენის ამჟამინდელი ცხოვრებით“ (გვ. 393).

დ. კლდიაშვილის არა იუმორისტულ და იუმორისტულ თხზულებათა ანალიზის საფუძველზე გრ. კიკნაძე ასკვნის, რომ მწერლისათვის მთავარია არა პერსონაჟთა „კომიკური ისტორია, არამედ კომიზმი თვით იმ ყოფისა, რომლებიც აღმოაჩენს აიძულებს მოიქცნენ კომიკურად“. ძნელია სათანადო სისრულით ამ სერიოზული და სინტერესოდ გააზრებული წიგნის დახასიათება. გრ. კიკნაძე ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ნინუშებს განიხილავს როგორც ერთ ორგანულ მთლიანობას, რაც იშვიათია საერთოდ ჩვენში. თავის კვლევა-ძიებით პრაქტიკაში ავტორი არა მარტო წარმატებით ეყრდნობა მოსაზრებებ დისციპლინათა მონაპოვარს, არამედ ამდიდრებს ამ დისციპლინებს ახალი დაკვირვებებით. ამიტომ გრ. კიკნაძის წიგნი — „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში როგორც ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორის, ასევე ესთეტიკის თვალსაზრისითაც.





## აპსტრალია

მორის უსსი.  
„ბრიტონი“

პრესა ფართოდ გამოხემაურა ცნობილი ავსტრალიელი მწერლის მორის უესტის რომანის „ტრიტონის“ გამოხვლას.

ინგლისური გაზეთის „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტთან საუბარში უესტმა განაცხადა, რომ წიგნს აქვს ავტობიოგრაფიული ხასიათი.

ეს რომანი, ისევე როგორც უესტის ყველა ნაწარმოები, საინტერესოდ იკითხება, წიგნში ასახულია 70-იანი წლების იტალიის დასაბული პოლიტიკური ამბოხებერო. (იტალიაში მწერალი მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა).

ნაწარმოების მთავარი გმირია იტალიის დასვერვის პოლიკოვნიკი.

ძიებას მიჰყავართ ფაშისტური შეთქმულების გახსნამდე.

## ალჟირი

ახალი ფილმები

ფურნალ „აფრიკ ლიტერერ ე არტისტისკმა“ გამოაქვეყნა მრავალი საინტერესო მასალა, მიმდენილი ალჟირის კინემატოგრაფიისადმი.

ამ ქვეყნის ფილმები მრავალი წლის მანძილზე იმსახურებს კრიტიკის მაღალ შეფასებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მარტო 1972 წელს გამოშ-

ვებულ იქნა ათზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

მონია ანაბალი, უურნალში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის ავტორი, გვაცნობს ალჟირის კინემატოგრაფიის ისტორიას, გვიხატავს ახალგაზრდა რეჟისორების შემოქმედებით პორტრეტებს.

## ბულგარეთი

წიგნები ბრწყინვალე მკვლევარზე

50 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ბულგარეთში მოხდა სექტემბრის ანტი-ფაშისტური ამბოხება, რომელმაც გადაწყვიტა ბულგარელი ხალხის ბედი.

ამ თარიღთან დაკავშირებით ბულგარეთში გამოვიდა კრებულები, სამეცნიერო შრომები, მათ შორის — ენციკლოპედიათ „1928 წლის სექტემბრის ამბოხების მომზადებასა და მის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ენციკლოპედიაში შეტანილია მრავალი ცნობიანი დოკუმენტები, საბრძოლო ოპერაციების სქემები, გამოჩენილი რევოლუციონერების ფოტოსურათები და ა. შ.

გამოვიდა აგრეთვე ალბომი „სექტემბრის ამბოხება 1928 წელს“, რომელიც მოიცავს მდიდარ საილუსტრაციო მასალას.

კრებულში „ხალხი აღსდგა“ გამოქვეყნებულია გ.

დიმიტროვის, ვ. კოლარკოვის, ტ. შივკოვის წერილები და სიტყვები, აგრეთვე ამბოხების მონაწილეთა მოგონებები, ლექსები, პოემები, მოთხრობები.

სექტემბრის თემას დიდი ადგილი დაუთმო აგრეთვე უურნალმა „პლაშკამ“, რომელიც დაარსდა 1924 წელს გამოჩენილი პოეტის გეო შილევის მიერ.

## გ ღ რ

საინტერესო გამოცემები

ბერლინის გამოცემლობა „კულდემი“ გამოაქვეყნა „რუსეთის საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1917 წლიდან 1941 წლამდე.

აღნიშნულ ტომში შეტანილია მონოგრაფიული და მემოზილევითი სტატიები საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შესახებ, ცალკეული თავებია მიძღვნილი გორკის, მაიაკოვსკის, ფადეევის შემოქმედების ანალიზისადმი.

ერთ-ერთი თავი აშუქებს სოციალისტური რეალიზმის განვითარების საკითხებს, მისი ფორმირების პრობლემებს.

## ინფორმაცია

დიდი ღანაკლისი

ინფორმაციის გაზეთი „ნიუ ეიჯი“ დიდ აღვილს უთმობს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის,



პროგრესული მწერლების  
ასოციაციის გენერალური  
მდივნის საჯარო წახირის  
ხსოვნას.

საჯარო წახირი, 63 წლის  
ასაკში გარდაიცვალა, იგი  
იყო ნიჟიერი ორგანიზატორი  
და რევოლუციონერი  
და უკანასკნელ ამოსუნთქ-  
ვამდე ერთგულად ემსახუ-  
რებოდა სამშობლოს კი-  
თილდღეობას.

საჯარო წახირმა მთელი  
სიცოცხლე შესწირა ინდო-  
ელი ხალხის ნათელი მო-  
მავლისათვის ბრძოლას და  
ჭარბსკაცივით მოკვდა საბ-  
რძოლო პოსტზე.

საჯარო წახირის გარდაც-  
ვლებასთან დაკავშირებით,  
ინდოეთის კომპარტიის გე-  
ნერალური მდივანი რაჭვეშ-  
ვარ რამი წერს: „მისი სიკ-  
ვდილი დიდი დანაკლისია  
ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყ-  
ნისა და ხალხისათვის“.

### იორღანის

#### „შავი ბაფთა“

როგორც უფრონაღი „ალ-  
ღაბი“, იუწყება კაიროს  
გამომცემლობა „დარ ალ-  
მარიფთა“ ახლახან გამოს-  
ცა ცნობილი იორღანელი  
მწერლის ისა ან-ნაურის  
რომანი „შავი ბაფთა“. წიგ-  
ნმა არაბი მკითხველის  
აღიარება დაიმსახურა. მას  
აღარებენ ცნობილი ეგვიპ-  
ტელი მწერლის ტაჰი ჰუ-  
სეინის „დღეებს“. ამას წი-  
ნათ ტუნისში დაიბეჭდა  
ისა ან-ნაურის „იორღანის  
მოთხრობების“ მეორე გა-

მოდემა. მადრიდში კი ეს-  
პანურ ენაზე გამოქვეყნდა  
მისი რომანი „სახლი ხაზ-  
ვრის ვადალმა“.

### უნგრეთი

#### პრემიები ლიტერატურის და ხელოვნებაში

ეროვნული ზეიმის —  
ფაშისთან უღლისაგან უნ-  
გრეთის ვაჟებისუღლების  
დღესთან დაკავშირებით  
დასახელებს სხვადასხვა  
პრემიათა დაურეატები ლი-  
ტერატურისა და ხელოვნე-  
ბის დარგში.

მეორე ხარისხის სახელ-  
მწიფო პრემია მიენიჭათ  
ლიტერატურათმცოდნეებს:  
იშტვან კირაისა და ალაღარ  
კომლოშს, კოშუტის სახე-  
ლობის I ხარისხის პრემია  
წილად ხვდა პოეტ ფერენც  
იუხას, მეორე ხარისხისა  
კი მწერლებს იშტვან ერ-  
კენსა და ფერენც შანტს.

კოშუტის სახელობის  
პრემიები მიიღეს აგრეთვე  
კინორეჟისორებმა მ. იან-  
ნომ და კ. მაკმა.

### ფინეთი

#### ვეიო მერი — ლაურმატი

ფინელ მწერალს ვეიო  
მერის მიენიჭა ნრდილოე-  
თის ქვეყნების საბჭოს სა-  
ერთაშორისო პრემია რომ-  
ნისათვის — „სერჟანტის  
ფეიოვილი“. მწერალი 44  
წლისაა. ამჟამად იგი წერს  
წიგნს ფინური ლიტერა-

ტურის კლასიკოსის —  
ალექსანდრის შეხაბტ.  
შემდეგ კი იმუშავენს რო-  
მანზე, რომელშიც მისი  
თაობის ცხოვრება იქნება  
ახსულა.

ვეიო მერი მეორე ფი-  
ნელი მწერალია, რომელ-  
საც სახერეთის ქვეყნების  
საბჭოს საერთაშორისო  
პრემია მიენიჭა. პირველად  
ამ პრემიით ვიან დინი  
დაჭიდდოვდა ათიოდე წლის  
წინათ, რომანისათვის „კი,  
პოლარული ეარსკვლავის  
ქვეშ“.

### შვეიცია

#### სტოკოლმის ოპერა 200 წლისსა

ამანწინათ სტოკოლმში  
აღიწინა სამეფო თეატრის  
დაარსების 200 წლისთავი.

იუბილე შეედეთის ნაცი-  
ონალური საოპერო ხე-  
ლოვნების დიდ ზეიმად იქ-  
ცა. საწეიშო საღამოზე უნ-  
გენეს შეედური ოპერა  
„ტიტოშარა“, რომელიც  
სპეციალურად ამ თარიღ-  
თან დაკავშირებით დიდგა-  
ლიბრეტოს, საფუძვლად  
დაედო კარლ ალმკვისტის  
ნაწარმოებია — „დედოფ-  
ლის დიდგმა“. ოპერა სა-  
მეფო თეატრის დაარსებამ  
მოკეთხრობს, მუსიკა 46  
წლის შეედმა კომპოზი-  
ტორმა ლარს იუჰან ვერ-  
ლემ დაწერა, — ხოლო  
დადგმა რეჟისორმა ხო-  
ლერსტრომმა განახორციე-  
ლა. რეჟისორი აშვედ ღროს  
ლიბრეტოს ავტორიცაა.



გარეკანის მე-2 გვერდზე ნახატი დ. ერისთავისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85, განყოფილებების: პოეზიის  
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 17/X1-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/1-74 წ., ქალაქის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.

თაბახი 14,5

შეკვეთა № 3692

უე 01605

ტირაჟი 30.000

საქ კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3360 60 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ДИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236